



K 245.969  
3

ნაწილი

საქართველოს  
ისტორიის

ტომი I.

ნაგა

245.969  
3

15437  
3

4591  
3

*მ. მამუკაძე*

# საგარეო ურთიერთობების მინისტრო

*გარეურობა - 2*

225  
260

ტ. მ. მ. I.



სპეც-2000  
შეგთქმულია



გამოცემა № 2

ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა.

1920.



Prof. J. M. L. King

# ახალი გზით

# ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვერდი
ავტორისაგან	I
ავტორის წინასიტყვაობა 1910 წლის გამოცემულ რჩეულ ნაწერებისა	V
ეკონომიური წარმატება და ეროვნება (1894 წ.)	1
გაზეთი „ივერია“ და ეროვნება (1895 წ.)	73
კრიტიკის კრიტიკა (1895 წ.)	145
„მოამბის“ პუბლიცისტიკა (1894 წ.)	172

## დ ა ვ ა ტ ე ბ ა ნ ი :

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა	255
გრ. ყიფშიძე. კარგა ხნის წინად (მოგონება)	257
ს. ჯიბლაძე. „კვალი“ და მესამე დასის მწერ- ლები (1895 წ.)	261
ყარობი. „ივერია“, „მოამბე“ და მესამე დასი (1894 წ.)	308



**ნოე ჟორდანია**

16 წლისა, სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოწაფე.

სურათი გადაღებულია 1884 წელს.



დამფუძნებელი

ქვემოთ მოცემული მონაცემები მოცემულია, ასევე მ:

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

## ავტორისაგან

„ქართული ბექდვითი ამხანაგობა“-მ გადასწყვიტა გამოსცეს ყველა ჩემი ნაწერები და შემეკითხა, რა რიგით და წესით აჯობებს მათი გამოცემაო. თავის მოყრა ყველა იმის, რაც მე ოცდაშვიდი წლის განმავლობაში მიწერია (1893 წლიდან) და მათი გამოცემა ისე, რომ მკითხველისათვის არ იყოს ინტერესს მოკლებული არც ისე ადვილი საქმეა. გავლილ ეპოქათა პოლიტიკურ ნაწერებს ორნაირი მნიშვნელობა აქვს—ისტორიული, ე. ი. გაგება იმის, თუ რანი ვიყავით გუშინ, და აქტუალური, ე. ი. რას გვასწავლის ის დღევანდელ ცხოვრების შესაგნებათ და მომავლის გასაშუქებლათ. პირველი მიზანის განხორციელება შეიძლება ქრონოლოგიური წესით, ხოლო მეორე მიზანი მოითხოვს სისტემატიურ წესს. მაგრამ ნაწერების დაწყობა მარტო დროს მიხედვით, ქრონოლოგიურათ ან მარტო შინაარსის მიხედვით, სისტემატიურათ, მოგვცემს არეულ წარმოდგენას როგორც ავტორის აზროვნებაზე, ისე გავლილ დროზე. ამიტომ მე ვარჩიე ამ ორი წესის შეერთება, დაცვა ქრონოლოგიაში აზრთა სისტემის, ხოლო აზრთა სისტემაში ქრონოლოგიის. ეს მით უფრო ადვილია, რომ ამ უკანასკნელ ოცდაშვიდი წლის განმავლობაში ჩვენ განვლეთ რამოდენიმე ხანა, რომელნიც ერთი-მეორისაგან განსხვავდებიან თავისი შინაარსით და საზოგადოებრივი მოძრაობით.



თითოეულ ამ ხანას ქონდა ორი გამოხატულება—თეორეტიული, მწერლობაში და პრაქტიკული, ცხოვრებაში. ეს ორი ფრთა ერთი და იმავე მოვლენის მიდიოდა ერთათ, ხელი-ხელ გაყრილი და სწორეთ ამით მომზადდა ქართველი ხალხი დღევანდელ ქარტახილთან ასე შეგნებულათ საბრძოლველათ.

ქართველი დემოკრატიის გამოფხიზლება პირველ-ყოველისა მოითხოვდა არსებული ურთი-ერთობის ანუ, როგორც დღეს იტყვიან, მომენტის დაფასებას. ამ ოცდა-ხუთი წლის წინათ ჩვენი საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ერთი კითხვა—არსებობს ჩვენში კაპიტალიზმი თუ არა. სოციალ-დემოკრატების პირველი ნაბიჯი მწერლობაში გამოიხატა ამ კითხვის დადებით გადაჭრაში, რამაც გამოიწვია დიდი დავა ყველა სხვა ჯგუფებთან და პარტიებთან. ამ დავამ გასტანა რამოდენიმე წელი და დასრულდა ჩვენი გამარჯვებით. აი ეს ხანა განისაზღვრება 1893—1897 წლებით. ამ დროს მე ვიყავი საზღვარ-გარეთ და იქიდან, გარდა პუბლიცისტური წერილებისა, ჩვენს მწერლობაში ვათავსებდი იქაური ცხოვრებისა და ურთიერთობის აღწერას, რომ ამით მეჩვენებია მკითხველისათვის, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში კაპიტალისტური ურთიერთობა, განსაკუთრებით კი სოფლათ.

მეორე ხანა იწყება 1898 წლიდან და თავდება პირველ რევოლიუციით—1905 წ. ამ, ხანაში სოციალ-დემოკრატია იბრძვის თავის არსებობისათვის მწერლობაში და ებრძვის თვითმპყრობელობას პოლიტიკაში. მოძრაობის მთავარ ორგანოთ ხდება

„კვალი“. ბრძოლა არსებობისათვის დასრულდა ძველი თაობის სრული დამარცხებით 1900—1901 წლებში და იწყება აშკარა პოლიტიკური მოძრაობა. სოციალ-დემოკრატია ცნობილ იქმნა ჩვენი ცხოვრების მთავარ პოლიტიკურ ფაქტორათ.

ძველი თაობის დამარცხებამ შექმნა სოციალ-დემოკრატიის გეგემონია აზროვნებაში, მაგრამ ამ დროს გამოდის ახალი პარტია, რომელიც ახალი დროშით ეცილება ამ გეგემონიას. ეს პარტიაა სოციალისტ-ფედერალისტების. სოციალ-დემოკრატია ეწყობა ახალ ფრონტზე და ბრძოლას იწყებს ახალი მტრის წინააღმდეგ. ამავე ხანაში თვით სოც.-დემოკრატია იყოფა ორ ფრაქციათ და მათ შორის იწყება ძმათა ომი. საქართველოში საბოლოოდ მარცხდება ბოლშევიკების ფრაქცია.

მესამე ხანა იწყება რევოლიუციის დამარცხებით, 1906 წლიდან და თავდება მსოფლიო ომით, 1914 წლით. ამ ხანაში სოციალ-დემოკრატია ებრძვის მწერლობაში სოც.-ფედერალისტებს და პოლიტიკაში გამეფებულ რეაქციას. ბრძოლის მთავარი ორგანოა ყოველ-დღიური გაზეთი.

მეოთხე ხანას შეიცავს მსოფლიო ომი, როცა ჩნდება აზრთა დიდი არეგ-დარევა და პარტიების გადაჯგუფებ-გადმოჯგუფება.

მეხუთე ხანაა დიდი რევოლიუცია, როცა შესრულიად აღარაფერი მიწერია და სამაგიეროთ წილად მხვდა პრაქტიკულათ მემუშავა ცხოვრებაში გასატარებლათ იმ პრინციპებისა, რასაც წინეთ ვიცავდი მწერლობაში.

მაშასადამე უკანასკნელ ტომში შევაჩემი მოხსენებები და სიტყვები, რევოლიუციის ხანაში წარმოთქმულნი. ვინც პირველი ტომის პირველ საპროგრამო წერილს შეუფარდებს უკანასკნელ ტომს, ის აშკარად დაინახავს მათ შორის მკიდრო კავშირს, დაინახავს ოცდაშვიდი წლის წინეთ დაწერილი გეგმის დღეს განხორციელებას.

ვინ იფიქრებდა ამას? ვინ გაბედავდა იმ დროს ეთქვა ამ იდეალის გატარებას ჩვენვე მოვესწრობითო! რა ბრძოლა გავსწიეთ, რა აზრთა შეჯახება განვიცადეთ საბოლოოთ გამარჯვებამდე—ამას მკითხველი დაინახავს დანარჩენი ტომებისაგან. და რომ ეს გავლილი გზა უფრო ნათელი და გასაგები იყოს,—ტომებში იქნება მოთავსებული ცნობები და წერილები იმ ამხანაგების, რომელნიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ და მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ.





**ნოე ჟორდანია 1893 წელს.**

სურათი გადაღებულია ფენევაში ბ-ნ სერგებრიაკოვის მიერ.

## ავტორის წინასიტყვაობა 1910 წლის გამოცემულ რჩეულ ნაწერებისა

თუ საზოგადოთ მართალია ის დებულება, რომ წასულის ცოდნა თავდება აწმყოს უკეთ გაგების და მომავლის გათვალისწინების—მართალია განსაკუთრებით ჩვენი დროისათვისაც. არასოდეს არ ყოფილა ამ დებულების განხორციელების ისეთი საერთო მოთხოვნა, როგორც დღეს არის. რანი ვიყავით გუშინ, რას ვაკეთებდით, რას ვქადაგებდით, საიდან მოვდივართ და საითკენ მივდივართ—ეს და სხვა მრავალი ამგვარი კითხვები თითოეულს ჩვენგანს ებადებოდა და ითხოვენ ახსნას და განმარტებას. და აი, ამ საერთო მიდრეკილების ხელის შესაწყობათ და ახლო წასულის გაცნობის გასაადვილებლათ მე დაეთანხმდი ზოგი ჩვენი ნაწერები ერთ წიგნათ გამოცემას. აქ მკითხველი გაიგებს, და თუ იცოდა— გაიხსენებს, რომ ჩვენში იყო ისეთი დრო, როცა მაგ. პარტიები და განსხვავებული მიმართულებანი არა თუ არ იყვნენ, არამედ მათი არსებობაც კი მანებლათ მიაჩნდათ; თვით კაპიტალისტური წარმოების არსებობაც კი ერთ დროს დიდ სადაო კითხვათ იყო გამოცხადებული. აქ მკითხველი დაინახავს იმას, თუ რა სიმწარით და ნელის ნაბიჯით იკაფავდა გზას ის სოციალური და პოლიტიკური ანბანი, რასაც დღეს ასე „წყალსავით“ კითხულობენ. იმ კურთხეულ დროს ხშირათ მიხდებოდა ხოლმე მესრულებია საქი-

რო, მარა ჯერ კიდევ არ არსებული იდეოლოგიის მოვალეობა და მეთქვა ის, რაც სხვას უნდა ეთქვა. ეს იყო, ასე ვთქვათ, ბრძოლა კულტურისათვის ველურობის წინააღმდეგ და რაღა გასაკვირალია ხანდახან უბრალო კულტურტრეგერობაც მეტვირთა. ძნელი იყო ეს დრო. ძნელი იყო მუშაობა მაშინ, როცა ერთი მხრით იდგა პაწაწკინტელა ჯგუფი თანამოაზრეთა, ხოლო მეორე მხრით მთელი ხროვა მოწინააღმდეგეთა მოპოვებული დიადი გავლენით და გამაგრებული ხანგრძლივი ტრადიციით. ასეთ პირობაში ჩვენი ერთათ ერთი მიზანი უნდა ყოფილიყო და კიდევაც იყო—გაგვერღვია ეს მოჯადოებული წრე და აზროვნება გაგვენთავისუფლებია ძველი ჩარჩოებისაგან. ეს აღარ იყო ბრძოლა კულტურისათვის, ეს იყო კიდევ მეტი: ეს იყო ბრძოლა აზროვნების თავისუფლებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ სანამ ეს მიზანი მიღწეული არ იქმნებოდა, მანამდის ვერავითარი დემოკრატიული მოძრაობა ვერ დაიწყებოდა. დემოკრატია საჭიროებს წმინდა საზოგადოებრივ ჰაერს და ფართო გონებრივ ასპარეზს. ჩვენში კი ათი—თორმეტი წლის წინეთ არც ერთი ეს არ იყო. ძნელი იყო ეს დრო. მაგრამ მას სიამოვნებით ვიგონებ ხოლმე. მუშაობის შედეგებმა ყველა ჩვენ მოლოდინს გადააქარბა. არავინ არ ვფიქრობდით იმას, რაც მოხდა. ის საშიშარი გონებრივი უძრაობა და პოლიტიკური არარაობა ისე უცებ და საშინლათ დაიმსხვრა, რომ თავის თავს ვეკითხებოდით—ნუთუ ეს იყო ის სულთამხუთავი ბუმბერაზი, რომელიც ისე

ამაყათ იღგა და ქვეყანას იმორჩილებდა. დიახ. ეს იყო და ახლა აღარ არის. ამით დაიწყო ახალი ხანა და მითვე შემოვდგით ფეხი მეოცე საუკუნეში. ქართველი დემოკრატიის ნამდვილი ისტორია აქედან იწყება...

ემბრობით ახლა ყველა იმ აზრებს, რაც თავიდანვე გამოვითქვამთ? უეჭველია შემეკითხება მკითხველი. ძნელია ამაზე გადაჭრილი პასუხის მიცემა. შესაძლებელია ზოგი წვრილმალ აზრი დღეს აღარ დავიცვა, ზოგი სხვანაირათ დავასაბუთო, ზოგსაც სხვა მნიშვნელობა მივსცე, მხოლოდ ერთს კი ვიტყვი გადაჭრით: ის მთავარი აზროვნება, რაც წითელი ზოლივითაა გაწოლილი ჩემს ნაწერებში, ჩემი მთავარი აზროვნებაა დღესაც და ასევე დაჩეხა მომავალშიაც. შემძლია დავასახელო ერთათ ერთი ანგარიშ-გასაწევი მაშინდელი მოსაზრება, რომელიც შემდეგ არ გამართლდა. ამ 12—15 წლის წინეთ გვეგონა, რომ ქართული კაპიტალი და ქართველი ბურჟუაზია უფრო სწრაფათ გამძლავრდებოდა, ვინემ ეს ნამდვილათ მოხდა. ცხადია, მაშინ ინტერნაციონალური კაპიტალის როლი კავკასიაში საზოგადოთ, — და საქართველოში კერძოთ — ნათლათ არ გვქონდა წარმოდგენილი. მე მგონია შეუძლებელიც იყო იმ დროს ასეთი წარმოდგენის შედგენა, ვინაიდან უცხო კაპიტალის ძლევამოსილი მსვლელობა შემდეგ დაიწყო. ამიტომ ახლა აღარ ვიზიარებ იმ აზრს, რომელიც მე გამოვთქვი სომხის კაპიტალის შესახებ 1896 წ. („მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“). რაკი ქართველი ბურ-

ქუაზია იმდენათ ვერ გაიზარდა, რომ საზოგადო  
ასპარეზს დაპატრონებოდა და იქიდან კეთილშო-  
ბილი წოდება გაეძეგებია, ცხადია ეს როლი უნდა  
ეტვირთა ქართველ მუშა-ხალხს. მეორე მხრით, რა-  
კი ეს გაძლიერდა და გამრავლდა ინტერნაციონა-  
ლური კაპიტალის გავლენით, აშკარაა მისი პოლი-  
ტიკური დროშაც ინტერნაციონალური უნდა ყო-  
ფილიყო და ამ იარაღით შეკაზმული ბრძოლის ველ-  
ზე დამდგარიყო. აი ამ პირობებმა იქონია გადამ-  
ჭრელი გავლენა მოძრაობის ტაქტიკური, ორგანი-  
ზაციური და ნაციონალური კითხვების გამომუშა-  
ვებაზე. დემოკრატიის გულში აღორძინდა და გა-  
მძლავრდა სოციალ-დემოკრატია და მან თავის გარ-  
შემო დემოკრატია შემოიკრიბა...

მოკლეთ, ქართველი მარქსისტები თავიდანვე  
ეწეოდნენ სამგვარ ბრძოლას: ბრძოლა კულტურისა-  
თვის, ბრძოლა დემოკრატიისათვის, ბრძოლა სოც.  
დემოკრატიისათვის.

თავის-თავათ ცხადია, რომ ამ სამ გვარ ბრძო-  
ლის დროს მრავალს სხვა და სხვა გვარ მოღვაწეებ-  
თან მოგვიხდა შეტაკება, კამათი და უსიამოვნება.  
მაგრამ ყოველთვის მათში ვებრძოდი ყალბ მიმარ-  
თულებას, შემცდარ აზრებს და არასოდეს პიროვნე-  
ბას. მე ისინი მუდამ მიმაჩნდა პატიოსან, მა'რა  
შემცდარ მოაზრეთ. ამ ხანგძლივ ბრძოლაში არა-  
სოდეს არ გამიჩვეია პირადი ანგარიშები, კერძო  
ინტერესები, არაფერი ისეთი, რაც იღვა საკამათო  
პრინციპების გარეშე. ერთი სიტყვით, პუშკინის სი-  
ტყვებით რომ ვთქვა, მუდამ პატიოსნათ მძულდა,  
გულწრფელათ მიყვარდა...





ნოე ჟორდანი 1891 წელს.



ნოე ჟორდანი 1897 წელს.

სურათი გადაღებულია ბერლინში.

# ქართლის საეკლესიო

და

# ეკლესია

(1894)

წერილი პირველი

## I.

„ისტორია განვითარებული ადამიანისთვის ტრაგედიაა, განუვითარებლისთვის კი კომედია“ — ამბობს ბრძენი. მართლაც, თუ ღრმად დაუკვირდებით ისტორიულ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ სამწუხარო და კაცის დამამცირებელი მოვლენანი ბევრი და მრავალგვარია. ხშირათ ერთი ბიჯი რომ წინ გადადგმულა კაცობრიობის საბედნიეროთ, ათი და ოცი უკან და გვერდზე გადახვეულა. ცხოვრება დაუდგრომელ დუღილშია, მუდამ ღელავს და ირყევა, ის წააგავს იმ გრძნობიერ სასწორს, რომელიც მცირე ნიავისაგანაც კი მოძრაობაში მოდის და ხან ერთი მხარისაკენ გადაიხრება, ხან მეორისაკენ. ცხოვრებამ არ იცის არჩეული პირები: ვინც დღეს ფეხზე წამოყენებული და წელში გამართულია, ვინც ცხოვრების ავან-ჩავანი იცის და მით ხერხიანათ სარგებლობს, ის ხვალ, თავდაყირა გაგადატრიალებული, უცებ ვარდება უბედურობის

მორევში და ეს, ერთხელ სახელოვანი ამა სოფლი-  
სა, ცხოვრების უფსკრულში საშუადამოთ ინთქება.  
ასევე ხდება მთელი ერის ცხოვრებაში: წინსვლა  
ერთი ერისა, ჩამორჩენა მეოჴისა, ერთ წერტილზე  
შეჩერება მესამისა, სრულიათ ამოქლეტა და განად-  
გურება მეოთხისა, გადაშენება მეხუთისა, რევოლიუ-  
ციები, კრიზისები და სხ. და სხ.,—აი რა შეად-  
გენს საერთო ისტორიას. ამნაირათ ცხოვრება ზოგს  
ანიჭებს სიხარულს და სიამოვნებას, ზოგს კი—ცრე-  
მლთა დენას და მწუხარებას, იფარავს და აჯილდო-  
ებს, ერთს; სასტიკათ სჯის და სდევნის მეორეს.

რა ამოძრავებს ისტორიას? ვის უჭირავს ამ  
მოძრაობის ჩარხის ტარი? რაში მდგომარეობს ცხო-  
ვრების დედა-ძარღვი? ერთი სიტყვით, რა მოქმე-  
დებს ისტორიაში? აქ მხოლოდ ერთი პასუხი შეი-  
ძლება: **ადამიანი და მისი ინტერესები**—აი სად  
არის მოგროვილი და გამოანასკული ცხოვრების ძა-  
ფი, მისი ძალა თუ უძლეურება, სიკეთე თუ ბორო-  
ტება. თუ რაიმე მოძრაობს ცხოვრებაში, ამ მოძ-  
რაობის ჩარხს უსათუოდ ადამიანი აბრუნებს; თუ  
ცხოვრება სადმე დუღს ან შიშინებს, ამ ში-  
შინის ხმაურობა მხოლოდ ადამიანში იხატება. ერთი  
სიტყვით, ცხოვრების ბურჯი, ისტორიის შემომ-  
ქმედი—ადამიანია. მაგრამ ამით კიდევ არ ირკვევა,  
ისტორიაში ადამიანები ცალ-ცალკე იღებენ მონა-  
წილეობას, თუ ჯგუფ-ჯგუფათ. შეიძლება ცხოვრე-  
ბაში მოხდენ იმისთანა მოვლენანი, რომელნიც მხო-  
ლოდ ერთის ადამიანის ინტერესს ეხებოდენ? არა,  
არ შეიძლება. საზოგადოებრივი ურთიერთობა იმ-

დენათ რთული და განვითარებულია, რომ ყოველათ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პიროვნება სხვისაგან დამოუკიდებლათ. „ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია“—ამბობენ მეცნიერნი. ამისათვის ის მუდამ საზოგადოებაში ცხოვრობს; ის, საზოგადოებასთან ერთად, ერთს ისტორიულ უღელში არის შებმული, ერთად იბრძვის, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინშია გამოტარებული. მაშასადამე, ისტორიის შემომკმედი არის არა პიროვნება, არამედ პიროვნებათა გუნდი.

ახლა ვიკითხოთ, რა აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანებს არსებობისთვის ბრძოლის დროს? უეჭველია, საერთო ინტერესები. ავიღოთ, მაგალითად, ოჯახი, ეს ელემენტარული ტიპი საზოგადოებისა. ოჯახის ყველა წევრი დღე-მუდამ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, თუ როგორ წასწიოს წინ, როგორ დააყენოს ფეხზე თავისი ოჯახი. ის დაუღალავათ იბრძვის, შრომობს: წვლებზე ფეხს იდგამს მხოლოდ იმისთვის, რომ ოჯახი განაკარგოს, რიგიანათ მოაწყოს და მით თვითონაც ისიამოვნოს. ამნაირათ, აქ საერთო ინტერესები ამოქმედებენ ერთად ოჯახის წევრთ. ესენი ერთი და იმავე ოჯახის უღელს ეწევიან.—შესდგა ამხანაგობა რაიმე საქმის საწარმოებლათ. რა ამოქმედებს ამ ამხანაგობის წევრთ? იგივე საერთო ინტერესები: სარგებლობა, რასაც თვითთული მათგანი მოელის საქმის რიგიანათ დაგვირგვინებისაგან. ესენი ერთათ ეწევიან ამხანაგობის უღელს.—ასტყდა ომი! ომი სისხლის ღვრაა, უბედურებაა, დამნთქველია კაცის სიცოცხლისა, მისი

ღვაწლისა და მონაგარისა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რა რიგ შედიდურ სანახაობას წარმოადგენს ხოლმე ის სურათი, როცა თავ-განწირული ერი აზღვავებულა, ამხედრებულა თავისი ვინაობის და ღირსების დასაცველათ. რა ავიწყებს იმათ სიკვდილის მეხს და სიცოცხლის სიტკბოებას? რა აერთებს ასე მჭიდროთ მხედართ? ცხადია, ერში სუფევს რაიმე იდუმალი მიზიდულობა, მიმალული კავშირი, რომლის გამოაშკარავებისათვის საჭიროა მცირე შემთხვევა, რათა დაძინებულმა ერთ-სულობამ იფეთქოს და თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ ნიადაგზე არის აღმოცენებული და შეგნებული ის საერთო ინტერესები, რომლის ძალითაც ადამიანთა კრებული ერთათ მოღვაწეობს, ერთათ იბრძვის თვით-არსებობისათვის.

რა ასაზრდოვებს და აღონიერებს ამ ნიადაგს? რა ჰქმნის მას? სად იმალება ის სათავე, რომელიც დაქსაქსულ გუნდს ადამიანებისას აერთებს და გამოჰყავს იგი ისტორიულ ასპარეზზე? ამბობენ: ეს სათავე **გვარ-ტომობააო**. ერს, ერთის სისხლის მექონეს, ერთის წინაპრის ჩამომავალს, მიდრეკილება აქვს ყოველთვის ერთათ იცხოვროსო. მაგრამ, თუ ისტორიას დავაკვირდებით, ცხადათ დავინახავთ, რომ საგვარტომო მიდრეკილება იმდენათ მძლავრი არ არის, რომ თავისთავათ აწარმოვოს მძიმე ცვლილება ცხოვრებაში. მართა საგვარ-ტომო მიდრეკილების ძალით ორი რომელიმე ტომის ნაწილი არ შეერთებულა ერთათ ან ერთი რომელიმე სამეფო არ დარღვევულა ორათ. მაგალითად, ჰოლანდიას და ავს-

ტრიას არავითარი მიდრეკილება არ აქვთ შეუერთ-  
 დენ გერმანიას; არც შვეიცარიის ფრანგებს მისწევთ  
 გული საფრანგეთისაკენ და იტალიელებს—იტალი-  
 ისკენ. სლავიანთა ერები ერთი გვარ-ტომისანი არიან,  
 მაგრამ ისტორიამ არ იცის მათი ერთათ, ერთ წეს-  
 წყობილების ქვეშ ცხოვრება; არც პორტუგალია  
 შეერთებია ისპანიას. ზოგი ამბობს: ენა არის ის  
 დედა-ბოძი, რომელზედაც აშენებულია ერის ერთო-  
 ბაო. ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკე ერთმანეთს  
 უახლოვდებიან საერთო ცხოვრებისათვისო. მართა-  
 ლია, ენას დიდი ალაგი უჭირავს ერის ცხოვრებაში,  
 ენა არის უპირველესი ნიშანი ეროვნებისა, ამით  
 შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომელი ხალხი რომელ  
 ერს ეკუთვნის, მაგრამ ენა მაინც ვერ წარმოადგენს  
 იმ ძლიერ ძალას, რომლის საშუალებითაც შესაძ-  
 ლებელია ერთ ენაზე მოლაპარაკე ორი ხალხი შე-  
 ერთდეს და ერთად იცხოვროს.. ენა არის მხოლოდ  
 საშუალება სალიტერატურო და საზოგადოებრივი  
 ერთობისა და არა თვითონ ერთობა, ის იარაღია  
 ცხოვრებაში და არა თვითონ ცხოვრება. უმრავლეს-  
 სობას ყველგან ერთი და იგივე ჭირი აწუხებს; ყველ-  
 გან და ყველანი ცდილობენ გამოვიდნენ ამ მწუხა-  
 რებისაგან. ამ ცდაში ენას და გვარტომობას მკი-  
 რე ალაგი უპყრია... თუ ხალხი მშვიდია, ლუკმა-  
 პურს დაეძებს, ამისათვის შეიძლება ის შეუერთდეს  
 თავის ტომის ხალხს, მაგრამ, თუ კი ამ შეერთე-  
 ბით უარესი შიმშილი მოელის, არა მგონია ეს  
 შეერთება მოინდომოს. ამის დასამტკიცებელი მაგა-  
 ლითები ურიცხვია დღევანდელ ცხოვრებაში. რამ-

დენი ადამიანი სტოვებს სამუდამოთ თავის სამშობ-  
ლოს და მიდის უცხო ქვეყანაში ლუკმა-პურის მო-  
საპოვებლათ, 1820—1892 წ.წ. ევროპიდან ამერიკის  
შეერთებულ შტატებში გადასახლებულა 15.490,654  
კაცი. განა ეს არ მოწმობს იმას, რომ ადამიანი  
შიშშილ-წყურვილის საქმეს ყველაზე მალლა აყენებს!  
ენა და გვარტომობა შეადგენენ მხოლოდ იმ სა-  
ფუძველს, რომელზედაც შენდება კედელი ეროვნო-  
ბისა. ეროვნული ცხოვრება ერის გარეშე შეუძლე-  
ბელია. თვით ეროვნობის დედა-აზრი მოითხოვს სა-  
ერთო ენას. თუ კი ადამიანთ არა გაეგებათ-რა ერთ-  
მანეთისა, იქ, რასაკვირველია, ვერავითარი ერთობა  
ვერ დამყარდება. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს,  
რომ ერთ ენაზე მოლაპარაკე უთუოდ ერთად ცხოვრო-  
ბდეს, ეროვნულ უღელს ერთად ეწეოდეს, აქ უფ-  
რო რთული პირობები იმალებიან და ცხოვრებას  
ამა თუ იმ კალაპოტში აყენებენ. განვიხილოთ ეს  
პირობები.

ომი, ბუნების ძალა და აღებ-მიცემობა ანუ  
ვაჭრობა—აი ეს მოვლენანი მოქმედებენ საზოგა-  
დოებაში, როგორც ადამიანთა შემაერთებელნი და  
შემკავშირებელნი. ამათი გავლენა ერის ცხოვრებაზე  
თუმცა ძლიერია, მაგრამ თანასწორი კი არ არის.  
ერის განვითარებას ესენი სხვა-და-სხვა ნაირად უწყ-  
ობენ ხელს, მეტ-ნაკლებათ უმაგრებენ ძირს. საერ-  
თო მტერმა, თათრებმა, შეაერთა XV—XVII საუ-  
კუნეებში სხვა-და-სხვა ტომის ერნი: უნგრელნი,  
ჩეხნი, გერმანელნი, სამხრეთის სლავიანები და სხ.  
და დაუმორჩილა ჰაბსბურგთა სამეფოს, მაგრამ რო-

გორც კი მოსცილდა გარეშე მტერი და გაჰქრა საერთო საფრთხე, ამ სახელმწიფომ მაშინვე დარღვევა იწყო. ომის წყალობით დააარსეს უდიდესი სამეფოები კვიროსმა, ალექსანდრე მაკედონელმა, კარლოს დიდმა, და სხ. მაგრამ იმ შეერთებული სამეფოების არსებობა ხან-მოკლე იყო. რატომ? იმიტომ რომ იგი სამეფოები გარეგნობით, მექანიკურად იყვნენ გაერთიანებულნი, მათი სიდიადე ძალაზე იყო დამყარებული და ერთა ისტორიულ განვითარებაზე. საზოგადოება რაც უფრო ჩვილი, ერთგვარი და განუვითარებულია, რაც უფრო დაბლა დგას ისტორიის საფეხურზე, მით უფრო ადვილათ შეიძლება ომისა და ძალმომრეობის წყალობით მისი გადაგვარება, გადაშენება და ნორმალურ ცხოვრების არეც-დარევა.

მაგრამ რაკი კაცობრიობამ თავი დააღწია ველურ მდგომარეობას, დაიყო ერებათ და დაადგა წარმატების გზას, სამხედრო ძალასაც დაეკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. ჩვენ ვხედავთ, რომ ომის მეოხებით ერთდება ერთ და იმავე ენაზე მოლაპარაკე ხალხი, უკავშირდებიან ერთმანეთს სხვადა-სხვა ერნი, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე ჩქარა ირღვევა და ნაწილდება. თავისუფლება ერისა, განვითარება თანახმად მისი განსაკუთრებული პირობებისა—აი რა დასკვნას მიადგა ისტორიული მიმდინარეობა. თუ კი დღეს ეს დედა-პრინციპი ხშირად ილახება და ფეხ-ქვეშ ითელება, ეს მხოლოდ წარმავალია და დროებითი. კაცობრიობა



ვერ ასცდება ერთა თავისუფლებას. ასე თუ ისე, ომი, სამხედრო ძლიერება ვერ ჩაითვლება თანამედროვე ცხოვრებაში ერთობის უმთავრეს მიზეზათ.

თუ გეოგრაფიული პირობები ქვეყნისა იმნაირია, რომ ადამიანს ცალ-ცალკე არ ძალუძს საზრდოს მოპოვება, მაშინ, რასაკვირველია, ის უნდა შეუერთდეს თავის მოძმეს და საერთო ძალ-ღონით გამოსტაცოს ძუნწ ბუნებას რაიმე ნაყოფი. მაგალ., მდინარე ნილოსის ქალები შეადგენდნენ ერთადერთს საცხოვრებელ საუნჯეს ძველ ეგვიპტელებისას. ამისათვის ამ ქალების დაცვა ნილოსის წალეკვისა და აობრებისაგან შეიქმნა უმთავრეს საზრუნავად. ხალხი შეერთდა და სისტემატიური შრომით დაიწყო ნაპირების გამაგრება. ლ. მეჩნიკოვის აზრით, ამნაირივე მნიშვნელობა ჰქონდათ მდინ. ეფრატს, ტიგროსს, კიანგას და გოანგოს. ორ უკანასკნელთა მიდამოებში (ჩინეთში) ჩვენ „შევხვდებით იმეგარ ბუნებას, რომელიც კაცის შრომას უხვად აჯილდოვებს, მხოლოდ ამისათვის ის მოითხოვს მუშაკთა სრულს თანხმობას, სასტიკ და მუდმივ დისციპლინას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე ბუნება ადამიანს უქადის აღვას დედამიწის ზურგიდან“ \*). აქედან წარმოსდგა აღმოსავლეთის მეფეთა დესპოტიზმი, ვინაიდან მარტო ამ სახის მთავრობას შეეძლო დაემყარებინა ხალხში ერთობა და კავშირი. მაშასადამე, ამათ პოლიტიკურ წყობილებას სარჩულად დაედვა ეკონომიური მოთხოვნილება.

\*] La civilisation et les grands fleuves historiques“ par Léon Metchnicoff. Paris. 1889. 353—354 გვ.

ამგვარად, ბუნების ძალა აიძულებს ადამიანთა გუნდს ერთმანეთს შეეერთდნენ, და არსდება ეგრეთ-წოდებული „მდინარეთა ცივილიზაცია“. აქ ერი ვითარდება, მაგრამ ეს განვითარება ძალ-დატანებითია, მას არა აქვს გადგმული ფესვები ხალხის სოციალურ პირობებში: იგი გამოიწვიეს მხოლოდ ბუნების განსაკუთრებულ თვისებებმა. მოსპეთ ეს მიზეზი და მაშინვე დაირღვევა ზედ ამართული წყობილება, ხალხი ისევ ძველებურად დანაწილდება. აშკარაა, აქ თვით ცხოვრებაც ვიწრო რკალით არის შემოზღუდული და თავის წარმატებას უდებს საზღვარს. მეორეთ, აქ ეროვნული ცივილიზაცია მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყნისაგან, ის განკერძოებული, კარ-ჩაკეტილია, ასე რომ სხვა-და-სხვა ერთა შორის არავითარი კავშირი და მიმოსვლა არ არსებობს. კაცობრიობა დაადგა ერთობის გზას და მით გამოეთხარა ძირი განკერძოებულ ეროვნულ ცივილიზაციას. იგი დაირღვა; მის ნანგრევზე აშენდა ახალი ცხოვრება, რომელსაც საფუძვლად დაედვა ალბ-მიცემობა, ვაჭრობა, მისვლა-მოსვლა.

ამ სახით საზოგადოება რაც უფრო განმარტოებული და კარ-ჩაკეტილია, რაც უფრო დაბლა დგას კულტურით და განათლებით, მით უფრო ძლიერი გავლენა აქვს მასზე ბუნებას, მით უფრო ის ბუნების მონა-მორჩილია.

რაკი საკაცობრიო განვითარებამ უარჰყო ძველი განკერძოებული ერთა ცხოვრება, ამით მოსალოდნელი იყო ეროვნების მოუძღვრება. მაგრამ ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი ხანის იმაში გამოიხატე-

ბა, რომ ეს ორი, წინათ შეურიგებელი ძალა—ერი და კაცობრიობა—ერთმანეთს დაუკავშირა, ნაწილი შეუერთა მთელს, ერი და კაცობრიობა ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოვიდნენ ისტორიულ ასპარეზზე.

ამ ჟამათ კაცობრიობა საშინელის სიჩქარით მიისწრაფება ერთობისაკენ. ის შემოზღუდულია ერთი გალანით, რომლის საფუძველი ღრმად არის ჩაფლული და ფესვებ-გადგმული ნივთიერ ურთიერთობაში. კაცობრიობის ნაწილთ შორის იყოფა შრომა ეკონომიურათ და მით ნივთიერათ ერთი-მეორისაგან დამოკიდებულნი ხდებიან. ევროპა იზიდავს თავისკენ სხვა-და-სხვა საქონელს აზიისას, ამერიკისას, ავსტრალიისას და აფრიკისას; სამაგიეროდ უგზავნის თავისას. მაგ., 1860 წ. ასტყდა ომი შეერთებულ შტატებში. ამის მიზეზით შეჩერდა ბამბის გადმოტანა ამერიკიდან ინგლისში. მაშინ ინგლისის მრეწველობაში ჩამოვარდა კრიზისი. დაიკეტა ქარხნები, გაკოტრდნენ ფულის პატრონნი, აუარებელი მუშა ხალხი დარჩა უსაქმოდ და გალატაკდა, დაიმშა და სხ.. რაც ჩრდილოეთ ქვეყნებში ხეირობს, იმას სამხრეთის ბუნება არ უწყობს ხელს. ერთ ქვეყანაში წარმოების ერთი დარგი უფრო განვითარებულია, მეორეში მეორე და სხ. ამისათვის იგი ქვეყნები იძულებულნი არიან ერთმანეთ-შორის მისვლა-მოსვლა იქონიონ, საქონელი გაცვალ-გამოცვალონ. რა მდგომარეობაშია ამ დროს ერის შინაური ცხოვრება? მისუსტდა ამით ეროვნება? სრულიადაც არა. ერი საკვირველის ძლიერებით ისხამს ფრთებს და ადგება განვითარების გზას. ის თანდათან იყოფა რამდენსამე

ეკონომიურ ნაწილათ: ერთი კუთხე მოკლებულია იმას, რაც მოდის და წარმოებს მეორეში, ამით ისინი ნივთიერათ უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგ.. ლიონში და მის მიდამოებში აბრეშუმეულის წარმოებაა, რუანში—მატყლისა, ბოსში—ხორბლისა, ლუარაში და პადეკალეში—ნახშირისა, ბორდოში—ღვინისა და სხ.. მთელი საფრანგეთი ისე აოის და ნაწილებული ეკონომიურათ, რომ ამ ნაწილებს ერთ დღესაც არ შეუძლიანთ უერთმანეთოთ ცხოვრება. ერი გაერთიანებული ნივთიერათ—გაერთიანებულია იდეებითაც. ყველას სურს განავითაროს ეროვნული შრომა, გააღონიეროს ერი. სუსტი ერის საქონელი ხშირათ იჩაგრება მსოფლიო ბაზარზე. რაც უფრო გაძლიერებულია ხალხში აღებ-მიცემობა, რაც უფრო მეტი საქონელი გააქვთ საზღვარ-გარეთ, რაც უფრო სასარგებლოა საერთაშორისო სავაჭრო ხელ-შეკრულობა და სხ., მით მეტი მოთხოვნილებაა დასამუშავებელ მასალისა და მუშათა ხელისა. ამ შემთხვევაში მეტათ ფასობს როგორც გლეხის ნამუშავარი, ისე მუშის დღიური ფასი. ამნაირათ, ერის სიდიდეში დაინტერესებულია, როგორც ბურჟუა-ვაჭარი, ისე გლეხი-მუშა. აქ ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულათ ეწევა, როგორც უდიდესი საპოლიტიკო მოღვაწე, ისე უბრალო სოფლელი.

ნივთიერმა საქიროებამ ისე გადააჯაჭვა ერის ყველა წევრი ერთმანეთთან, რომ ამის დარღვევა აუცილებლივ თვით ერის სიკვდილს მოასწავებს. აქ ერთობა ნაყოფია ნივთიერი განვითარებისა და სრულიათ დამყარებულია ცხოვრებაზე. თანახმათ ამისა

შენდება და იცვლება ერის პოლიტიკური ფორმები და ისტორიას ეძლევა ეს თუ ის მიმართულება. ამის თვალსაჩინო მაგალითს გერმანიის ისტორია წარმოადგენს. მე-XV საუკ. აღმოაჩინეს ამერიკა და ოსტინდოეთში მისავალი გზა აფრიკის გარეშემო. ამისათვის ვაჭრობა ხმელთა-შუა ზღვიდან გადავიდა ატლანტიკის ოკეანის ნაპირებზე. გერმანიის და იტალიის ადგილი აღებ-მიცემობაში დაიჭირეს პორტუგალიამ, ისპანიამ, ინგლისმა და ჩრდილო საფრანგეთმა. ეკონომიური განვითარება გერმანიისა დაეცა, გათახსირდა. ამას მოჰყვა ეროვნული გრძობის მისუსტება და ერის დაქუცმაცება. გერმანია (აგრედვე იტალია) დანაწილდა წვრილ-წვრილად, აღვირ-წახსნილ სამეფოებათ. აქ გამეჟდა პატრიარქალური წეს-წყობილება, ინგლისში კი განვითარდა კაპიტალი. ამ მდგომარეობაში დარჩა გერმანია ამ საუკუნის ნახევრამდე. ამ საუკუნეში ხელ-ახლა აიღვა ფეხი წარმოებას და უმაღლეს წერტილამდე მივიდა 1860—1870 წ. ამ დროს აღორძინდა წარმოების მრავალი ახალი დარგი და გერმანიამ დაიპყრო დიდი ბაზარი\*\*). ერი გაერთიანდა ნივთიერად და ამას ზედ მოჰყვა პოლიტიკური გაერთიანებაც. გერმანიამ კვლავ დაიჭირა საპატრიო ალაგი ევროპაში.

ამნაირათ, საკაცობრიო და საგვარტომო გაერთიანება შესაძლებლათ ხდება ნივთიერ ნიადაგზე, როცა ეკონომიური განვითარება იქამდინ მიდის,

\*\*) ამგვარი ფაქტები მრავალია მოყვანილი გერმანულ წიგნში: „Handwörterbuche der Staatswissenschaften“ 93 წ. ბერლინი.

რომ შრომა ნაწილდება, როგორც სხვა-და-სხვა ერთა, ისე ერთსა და იმავე ერის ნაწილთა შორის, თანახმათ კულტურისა, ნიადაგისა და ჰაერის თვისობათა. ამით მკვიდრდება ნივთიერი საფუძველი ერთობისა და იბადება მტკიცე ეროვნული ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ პოლიტიკო-ეკონომიური პირობანი არ აჩვენებენ ერთათ ცხოვრებას, თუ ცხოვრება და კულტურა არ აერთებს და არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფს ერთი-მეორესთან, ისე არავითარ გარემოებას არ ძალუძს ისტორიული მღელვარებით დაქსაქსული ერი ერთ უღელში შეაქას, ცხოვრების ჭაპანი ერთათ გააწევიოს...

## II

აჲ, ეს აზრი წავიმძღვაროთ წინ და ამ მხრივ დავაკვირდეთ ქართველ ტომის ხალხთა მდგომარეობას: ვნახოთ, რა სურათს წარმოგვიდგენს ის დღეს, ან რა იყო წარსულში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველები ერთ ერს შეადგენენ, საერთო ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულათ ეწევიან? თუ ეს მხოლოდ გაკრიალებული ფრაზები ოცნების ნაყოფია, დაფუძნებული ზოგიერთა პირის სურვილზე და არა თანამედროვე ნამდვილ ცხოვრებაზე?

ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წეს-რიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის-თავს ერთ ერთს, ქირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე“-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკ-

რატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით-არსებობას განსაცდელი რამ მოეღოს, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას აღგვას უპირებს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულლობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით. ახლა ვიკითხოთ: ქართველობამ ეს ხანა გაიარა, თუ ამ ხანის კარებთან არის გაჩერებული?

საქართველოს ნაწილებს შეადგენენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, მესხეთი, აჭარა-ქობულეთი, სამეგრელო, სვანეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი და საინგილო. საქართველოს ყველა ქვეყნებში, რომელნიც ეხლა ჩამოვთვალეთ, ცხოვრებენ ქართველები, უმეტესნიც ერთის ტომის, ერთის შთამომავლობის, ერთის სისხლის და ხორცისანი არიან... ყველა იმათ ჰქონდათ და აქვთ ერთი და იგივე ენა, ერთი და იგივე ზნე-ჩვეულება, ერთი და იგივე მწერლობა. ეს სახელწოდებათა უმრავლესობა გვიხატავს არა მარტო ადგილთ-მდებარეობას, არამედ იმ ჯგუფთ ქარ-

თველთა ტომისას, რომელნიც ბინადრობენ ამა თუ იმ მხარეში. როდესაც ჩვენ ვამბობთ: გურული, მეგრელი, კახელი და სხ., მაშინვე თვალ-წინ გვეხატება ის განსაკუთრებითი თვისებანი, რითაც ისინი განირჩევიან ერთი-მეორისაგან. თვითეული ჯგუფი წარმოადგენს ერთ მთელს: ზნით, ხასიათით, ბუნებრივი ნიჭით, ტემპერამენტით, მოქმედებით და სხ., ასე რომ არც ერთი მხარე ცხოვრებისა ნათლათ არ გვიჩვენებს ურთიერთს შორის ეროვნულ დამოკიდებულებას. მხოლოდ ენა და გვარტომობა გვეუბნება, სუყველა ქართველები ხართო. მაგრამ ამ დასკვნამდინ ჩვენი ერი ჯერ ვერ მისულა, ეს თავისთავათ მარტივი ჭეშმარიტება ჯერ შეგნებულნი არ არის. განა ინგილოელს და მეგრელს შეუძლიათ წარმოიდგინონ ურთიერთშორისი დამოკიდებულება და ერთობა? ან რა აქვთ საერთო, მაგ. სვანს და აჭარელს, სამურზაყანოელს და კახელს, ქანელს და მთიულს, გურულს და ხევსურს? ესენი განა გრძნობენ თავის თავს ერთ ერთად? ამათ აღელვებით საერთო ინტერესები, საერთო ქირი და ლხინი? საქართველოს ნაწილები გრძნობენ უფრო განსხვავებას, ვიდრე ერთობას<sup>\*\*\*</sup>). „ეტნოგრაფიული კრებული შეიძლება საუბრობდეს ერთ ენაზე, მაგრამ ეროვნობას არ შეადგენდეს“ — ამბობს პროფ. კარევეი. „ეროვნობას შეგნება ჰქმნის“ — ი დასძენს იგივე<sup>\*\*</sup>).

\*) ამგვარ პროვინციალურ განხორციელებას ბანს აძლევს და ტაშს უკრავს თფილისის დარბაისელი აზნაურთა კრება. იხილეთ მეთაური წერილი „ივერიისა“ 93, 1893 წ.

\*\*\*) „Основные Вопросы Фил. Исторіи“ ტ. 114 გვ.




სწორედ ეს შეგნება აკლია ქართველ ხალხს. ამისათვის, სადაც ეროვნული შეგნება არ სუფევს, იქ არც ეროვნობა არსებობს. იქ მხოლოდ ადამიანთა გუნდია, ეტნოგრაფიული კრებულია.

ერს ვერ შეჰქმნის და ვერც დაარღვევს სურვილი დიდებულთა და მეცნიერთა. ის არის ნაყოფი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრებისა. თუ ჩვენ დღეს დაქსასულნი და უძლურნი ვართ, თუ ჩვენ შორის განხეთქილება და უთანხმოება არის. ერთი სიტყვით, თუ ქართველობა არ წარმოადგენს ერთს ცნობიერათ გაერთიანებულ ერს, ეს მხოლოდ შედეგია ისტორიულ წარსულისა და ამასთანავე უმთავრესი მიზეზია ერის მიხუსტებისა. დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ლოლიკური დასკვნაა წარსულისა. ამისათვის თუ პირველის ახსნა გვსურს, ჯერ უკანასკნელი უნდა გავიგოთ.

### III

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ერის შეგნებულათ გაერთიანებას წინ მიუძღვის ნივთიერი გაერთიანება, ესე იგი, იბადებიან იმისთანა საეკონომიო პირობები, რომელნიც ძალაუნებურათ აკავშირებენ ერის ნაწილებს და გამოჰყავთ ერთობის გზაზე. ამ გვარათ მომზადებულ ნივთიერ საფუძველზე შენდება შესაფერი პოლიტიკური, გონებრივი და ზნეობრივი მხარეები. თუ ამ თვალთა-ხედვის ისარს მოვიმარჯვებთ და ამ მხრივ გადავხედავთ წარსულს, მაშინ ნათლად გამოვარკვევთ ისტორიის იმ დედაძარღვს, რომელიც მთელ ამ ისტორიის არსებობას ამოძრავებს.



K 245 969

K 5.437

F 4.591

გეოგრაფიულის მხრივ საქართველო წარმოადგენს საკვირველ სხვა-და-სხვაობას. მას ლიხის მთა ჰყოფს ორ დიდ ნაწილათ: ამერეთათ და იმერეთათ. ეს ორი მხარე მეტათ გაირჩევა ერთმანეთისაგან, როგორც მდებარეობით, ისე ბუნებას თვისებებით: ნიადაგით, ჰავით, მცენარეულობით და სხვ. ამნაირათ ერთი ერთი ბუნებამ გაყო ორათ და ცხოვრებას მიეცა ორი ბუნებრივი კალაპოტი. ამასთანავე, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით საქართველო იმავე ბუნების წყალობით ნაწილდება რამდენსამე კუთხეთ. თვითეული კუთხე ბუნების ძალით და ნაყოფიერებით სხვებს არ ემსგავსება. ამასთანავე ყოველი გეოგრაფიული კუთხე, თანახმათ ბუნებისა, ეკონომიურათ ერთ მთელს წარმოადგენდა: აქ მოდიოდა ყველაფერი, რაც კი მკვიდრის მოთხოვნილებას შეადგენდა: ამგვარათ, ერთი მხრით საქართველო გეოგრაფიულათ განიყო რამდენსამე მხარეებად და ყოველი მხარე გარშემორტყმული იყო ურთიერთისაგან განსხვავებული მთა-გორებით, მდინარეებით, მიუვალი ტყეებით და სხ., მეორე მხრით ამ თვითეულ ფარგალში მყოფ მხარეს ბუნება ღმობიერათ ეპყრობა, ადამიანს და მისს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მოთხოვნილებაც მცირე და ადგილობრივი ნიადაგის შესაფერი უნდა ყოფილიყო. „სადილი ჭზნაურისა, თავადისა და მთავრისა არაფრით განირჩეოდა ერთმანეთისაგან... ცხოველებს იმდენათ სადა იყო, რომ მთავარი ხშირათ ბინავდებოდა უიატაკო ქობში... მეფე, რომელიც ეწეოდა



ბრძანებით უსწრაფებდა სიცოცხლეს ქვეშევრდომს, ომის დროს ნაკლებათ განირჩეოდა იმათგან: ყველასთვის სადილი და ქვეშაგები ერთი და იგივე იყო, მხოლოდ გლეხი ემსახურებოდა აზნაურს, აზნაური თავადს და თავადი მეფეს... მკვიდრნი სარგებლობდნენ ადგილობრივი ბუნების ნაყოფით, შორიდან საზრდოს გადმოტანისათვის არ ზრუნავდნენ, კმაყოფილდებოდნენ იმითაც, რაც ხელთა ჰქონდათ. \*) ამგვარათ ხალხს მეტათ განსაზღვრული მოთხოვნილება აქვს; ის არ ცდილობს ბუნების დამორჩილებას და ცხოვრების გაფართოებას. პირიქით, თვითონ ეკედლება ბუნებას და ყმაწვილივით სწოვს იმის ნაყოფიერ ძუძუს. მაგ., „დადიანი თევზაობის დროს ცხოვრობდა რიონთან ახლოს; ჯიხვზე, ირემზე და ღორზე ნადირობის დროს ცხოვრობდა ოდიშში, სადაც გროვდებოდნენ გარეული ცხოველები; ზაფხულობით კი ლეჩხუმში იყო ხოლმე, სადაც მიირთმევდა პურს და არა ღომს“ \*\*).

მართალია, ზოგ ალაგას ბუნება ძლიერ ძუნწობს, მაგრამ აღამიანი აქაც ბუნების მორჩილება-შეა და თავის ცხოვრებას ამის შესაფერათ აშენებს. რა კი ქვეყანა დანაწილებულია იმ გვარ კუთხეებათ, რომ თვითოეული მათგანი წარმოადგენს ეკონომიურათ განსაკუთრებულ საზოგადოებას, რილასთვის უნდა სუფევდეს ერთობა და კავშირი? ყველა ნა-

\*) И. Дубровинъ -- Исторія воиных и владычества русск. на Кавказѣ 258—529 გვ. ამასვე ჰმოწმობს ლიტვინოვი: „Описание Мингрелии и Имеретии“, სუყველას ცნობები შეეხება ამ საუკუნის დასაწყისს.

\*\*) ib 1803—1806 წ. 143 გვ.

წილს აქვს, რაც საჭიროა ცხოვრებაში: სასმელი, საკმელი, ტანისამოსი და სხ. ამით ისპობა გაცვლა-გამოცვლის, ვაჭრობის ნიადაგი. ეხლაც ბევრი მაზრებია ჩვენში ამგვარ ნივთიერ პირობებში დარჩენილი. აი რას მოგვითხრობს თანამედროვე მოგზაური სვანების შესახებ: „სვანებს აქვთ ყველაფერი, რაც სჭირდებათ ცხოვრებაში, ტან-საცმელს თვითონ ქსოვენ, იარაღს თვითონ აკეთებენ, თოფის წამალსაც, ვერცხლეულობასაც, ხან-და-ხან ოქროთ მოჭედელსაც თვითონვე სჭედენ. ერთი სიტყვით, სვანებს ყველაფერი საკუთარი აქვთ. ასე რომ სხვა მაზრებიდან აქ არაფერი მოდის“\*). ამნაირ მდგომარეობაში იყო 30—40 წლის წინათ არა მარტო სვანეთი, არამედ მთელი საქართველო. თვითეული კუთხე, თვითეული სოფელი და ოჯახი თვითონ იმზადებდა თავისათვის ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო, პური სადაც მოდიოდა, იქვე იფქვებოდა და იხარჯებოდა; მატყლი და ბამბა ადგილობრივ იქსოვებოდა და იცვეთებოდა\*\*).

ამნაირათ ხალხის შემაერთებელი ძალა მისუსტებული, მიმქრალიყო. ნივთიერი საჭიროება არავის ძალას არ ატანდა, ვისმეს შეერთებოდა და მისვლა-მოსვლა გაემართა. ყველა კუთხე ეკონომიურათ კარ-ჩაკეტილი დარჩა. ამისათვის აქ ვერ ვხედავთ რიგიან გზებს, ბოგირებს და სხვ. საქართველოს ორი დიდი ნაწილი, იმერეთი და ამერეთი, ვერ იყო

\*) „ივერია“ 1877 წ. № 25 და სხვ. შესანიშნავი წერილი სვანეთის შესახებ.

\*\*)\*) Дыр. ib.

შეერთებული ადვილათ მისავალ-მოსავალი გზით. მე-XVII საუკუნეში ქართლიდან იმერეთში გადასასვლელი გზები მეტათ საშიშარნი იყვნენ, რადგანაც ტყე გაუტეხარი, გზა გაუკეთებელი, მთები, ვიწრო და გაუვალი\*). ამ საუკუნის დამდეგს თ. ციციანოვს გაჰყავს გზა სურამსა და ქუთაისს შუა. „ამ გზის საშუალებით შესაძლებელი გახდა თავისუფალი მიმოსვლა იმერეთ-სამეგრელოსთან“. წინადაც ყოფილა გზები, მაგრამ მთები, ხეობები, გაუტეხარი ტყე შესაძლებლათ ხდიდენ მოგზაურობას მხოლოდ ქვეითად და ცხენით მიმავალთათვის. ეს უგზო-უკვლობა იყო მიზეზი, რომ იმერეთს მტერი ხშირათ არ შეესევოდა ხოლმე\*\*). ამნაირსავე სურათს წარმოგვიდგენს თვითეული პროვინცია ცალცალკე. მაგ., ხევსურეთში ზამთრობით მოგზაურობა სრულიად მოუხერხებელი იყო\*\*\*). „თუშეთში უგზოობის გამო ზაფხულში მისვლა-მოსვლა საძნელოა, ზამთრობით კი სრულიათ ისპობა“\*\*\*\*) ასევე იყო გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, რაჭაში და სხვა.

ამნაირ ნიადაგზე, რასაკვირველია, ვაჭრობა ვერ აღორძინდებოდა. ამისათვის ის მისუსტებული, მიმქრალი იყო. მართალია ხან და ხან თავს წამოჰყოფდა, წელში გამართვას დააპირებდა, მაგრამ ამ ცხოვ-

\*) „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზე“, ან. ფურცელადისა 176. გვერ.

\*\* ( „Закавказье“ Дубр. 196 – 198 გვ.

\*\*\*) Ист. Воинъ на Кавк., 280 გვ.

\*\*\*\*) id.

რების მეტ ხორცს ჩქარა ეთხრებოდა ორმო და ქრებოდა. ჩვენს ისტორიაში ვხედავთ, რომ ალებ-მიცემობა უცხოელებთან მხოლოდ შავი ზღვის პირას იყო გამართული (ფაზისი, დიოსკურია) და ისიც დრო-გამოშვებით. მე-XIV საუკუნის შემდეგ იქაც სუსტდება. მეორე მხრით თბილისი იღებდა ზოგ საქონელს თავრიზიდან, მაგ., ფარჩას, აბრე-შუმს, მარილს, რკინას, ერბოს, მატყლს და სხვას.\*) ქართველებს ეს ხელობა (ვაჭრობა) ისე სამარცხენოთ მიაჩნდათ, რომ თვითონ თაკილობდნ და სხვა ტომის ხალხს, ურიებს და სომხებს, ახვევდნ თავ-ზე.

თუმცა მეფეები ვაჭრობას დიდ მფარველობას უწევდნ, მაგრამ ფეხი მაინც ვერ მოიკიდა; თბილისში ვერც ერთს სამრეწველო ქარხანას ვერ ვხედავთ. თ. ციციანოვი სწუხს, რომ თბილისში არავითარი ქარხნეულობა არ არის და სთხოვს მთავრობას ტყავის და მაუდის (სალდათების ჩასაცმელად) ქარხნის გამართვას\*\*). რაც შეეხება საქართველოს ნაწილთა შორის ალებ-მიცემობას, ეს სრულიად არა სჩანს. ქართველთ არა ჰქონდათ-რა ერთმანეთში გასაცვლელი. ამ საუკუნის დამდეგს ლეჩხუმში ყოფილა რამოდენიმე ვაჭარი. იმათი საქმე ისე ცუდათ წასულა, რომ თავიანთ ოჯახსაც ვერ ინახავდნ\*\*\*). ზოგიერთ კუთხეში ვაჭრობა ახლაც ვერ დამკვიდრებულა. სენათში ვაჭრობა სრულე-

\*) „დასტურლამალი“ გვ. 100.

\*\*) „Закавказье“, Дубр. 123 გვ.

\*\*\*) ib.

ბით არ არის; ვაჭრობის მნიშვნელობა სვანებს ჯერაც ვერ შეუღწიათ. სვანეთში ვაჭარ ხალხს არავითარი პატივისცემა არა აქვს. სვანები ფულზე კი არ ჰყდიან, არამედ სცვლიან ერთმანეთში საჭირო საქონელს. „ერთი სიტყვით, ფული ვაჭრობაში არა ტრიალებს. მხოლოდ გაცვლა-გამოცვლა აქვთ საქონლისა“ \*). მთელ სვანეთში ერთი ვაჭარი არ არის. „არც ერთი დუქანი, არც ერთი ბაზარი, ერთი სიტყვით, არაფერი ვაჭრობისა, როგორც რიგია და როგორც კავკასიის სხვა მაზრებში იციან, არ არის ამ ქვეყანაში \*\*). თუ კი საქართველოს ერთი ნაწილი ასე არის დღეს, დანარჩენი ნაწილები რაღა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ისტორიულ წარსულში?

ჩვენ ვამბობთ, ყოველი კუთხე საქართველოსა წარმოადგენდა ეკონომიურად განკერძოებულ ადგილს; შრომის განაწილება, აღებ-მიცემობა, წარმოება თითქმის სრულებით არ არსებობდა და თუ ხან-და-ხან აქა-იქ თავს იჩენდა, ისიც ისე ხან-მოკლეთ და სუსტათ, რომ ცხოვრების მიმდინარეობაზე არავითარი გავლენა არა ჰქონდა. ამ გარემოებამ დაბადა კარ-ჩაკეტილი ცხოვრება ქალაქებისა, პროვინციებისა და სოფლებისა. აღორძინდენ და განვითარდენ იმგვარი ეროვნული თვისებანი, რომელნიც აშორებენ, აცალკევებენ სხვა-და-სხვა ჯგუფთ ქარ-

\*) „ივერია“ 1877 წ. სვანეთის შესახებ.

\*\*); ib. იხ. ამის შესახებ გაკვრით „ივერია“ 1893 წ. № 212, „სვანეთი“.

თველის ტომისას. პირველათ ენა ითვისებს მრავალ-  
 ნაირ კილოს (გურული, რაჭული, მთიური და სხ.)  
 და იცვლება თვითვე (მეგრული, ქანური, სვანუ-  
 რი და სხ.). მტკიცდება განსხვავებული ზნე-ჩვეუ-  
 ლება, ხასიათი, შეხედულობა და სხვ.

ახლა ვიკითხოთ, რა გავლენა ჰქონდა ამ სა-  
 ეკონომიო პირობებს პოლიტიკურ წყობილებაზე?  
 შეეძლოთ ნივთიერად გაცალკევებულ ნაწილებს პო-  
 ლიტიკურად გაერთიანება?

#### IV

ჩვენს ისტორიას თან დაჰყვა ერთი ძალა, რო-  
 მელიც მატლივით ჩაჯდა ცხოვრების სათავეში და  
 დაუწყო ღრღნა ქართველთ ერთობას. ეს იყო სა-  
 ქართველოს მიდრეკილება **დანაწილებისადმი.**

პოლიტიკური დანაწილება ანუ დაყოფა ერისა  
 არის აშენებული და გამაგრებული ეკონომიურ  
 განცალკავებაზე და დამოუკიდებლობაზე. რაკი რო-  
 მელიმე მხარე ნივთიერათ კარ-ჩაკეტილია, ამით აშ-  
 კარაა, იმას ერთმევა ერთი უძლიერესი დედა-ძარ-  
 ღვი დანარჩენ ქვეყანასთან მისვლა-მოსვლის და ერ-  
 თობისა. ამ შემთხვევაში ერში ბატონობს ფეოდა-  
 ლური წეს-წყობილება. ამნაირ წყობილებას ბოლო  
 აღარ ექნებოდა, რომ მის გვერდით არ დაბადებულყო  
 მეორე ძალა სრულიად წინააღმდეგი. მე-XIV—XV  
 საუკუნეებში ევროპამ გაიცნო ახლათ აღმოჩენილი  
 ქვეყნები და გაიტაცა გამდიდრების, ოქრო-ვერც-  
 ხლის შეძენის სურვილმა. აი ამ გზაზე დაიძრა ევ-



როპის ხალხი, გაიმართა მისვლა-მოსვლა ახალ ქვე-  
 ყნებში, მოთხოვნა თანდათან გაფართოვდა და  
 გამრავლდა. ამან გამოიწვია შრომის დანაწილება  
 და ვაჭრობა. ამ გვარ მიდრეკილებამ პირველათ  
 ქალაქებში იჩინა თავი. აქ მოგროვდა სავაჭრო სა-  
 ქონელი, როგორც საზღვარ-გარეთ გასატანი, ისე  
 შემოსატანი. ქალაქი ნელნელა გახდა ეკონომიურ  
 შუაგულ ადგილათ. ახალ საქმეს დასჭირდა განსა-  
 კუთრებული მფარველობა, ხელის შეწყობა, და აი  
 გაჩნდა ძლიერი პოლიტიკური ძალა, ქალაქში გა-  
 მოიკვანძა ყველა ძაფები პოლიტიკურ ცენტრისა.  
 ამ სახით, აქ ვხედავთ ჩვენ ორ ძალას, ორ დედა-  
 აზრს: ერთი არის დამყარებული შრომის ერთ-გვა-  
 რობაზე და ნივთიერ განკერძოებაზე (ფეოდალიზ-  
 მი), მეორე კი შრომის ეკონომიურათ დანაწილე-  
 ბაზე და ნივთიერ გაერთიანებაზე (ბურჟუაზია); პი-  
 რველია აღქურვილი ხმალ-ხანჯლით, მეორე ოქ-  
 რო - ვერცხლით ანუ ფულით. ასტყდა ხანგრძლი-  
 ვი ბრძოლა ამ ორ მოვლენათა შორის. ცხოვრება  
 დაადგა ახალ გზას და მით ორმო გამოეთხარა  
 ფეოდალიზმს. ფეოდალი, მეფეთა მიერ დაუმორჩი-  
 ლებელი, დაიმორჩილა ვაჭარმა: ქედი მოიხარა ფუ-  
 ლის წინაშე. დაიწყო ერთა გაერთიანება და ერთ-  
 მთავრობის დამყარება. ასე მოხდა ევროპაში. ჩვენ-  
 ში კი სწავანარათ დატრიალდა ისტორიის ჩარხი.  
 საქართველოს ამოხდა სული (პოლიტიკურათ) შუა  
 გზაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას: ესე იგი გაიმარ-  
 ჯვა და დამკვიდრდა ფეოდალიზმი და ბოლო მოე-  
 ლო ქართველთ ერთობას.

ქვეყნის

„ქართლის ცხოვრების“ თქმით, საქართველოს საერისთავოებათ დაყოფა იწყება მეფე ფარნაოზის დროს (III საუკ. ქრისტეს წინ) და თავდება მე-XVIII საუკუნით. ცხრამეტე საუკუნის განმავლობაში (გამოკლებულია დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დრო) ქართველობა წარმოადგენდა არა ერთ მთელ ერს, არამედ რამდენსამე დანაწილებულ ჯგუფს, რომელიც ცხოვრობს სხვა და სხვა გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობებში; გარშემო სხვა და სხვა ხალხი არტყიათ, მტერთან ცალ-ცალკე იბრძვიან და შინაური მართვა-გამგეობა სხვა და სხვა გვარათ აქვთ მოწყობილი. ამისთვის თვითეულ ნაწილს ჰქონდა და აქვს თავისი ცხოვრების საკუთარი წესრიგი. რაც დრო მიდიოდა, მით უფრო სუსტდებოდა ერთობა, სამაგიეროთ შუღლი, ქიშპობა და განხეთქილება თან-და-თან მატულობდა და ფესვს იდგამდა ცხოვრებაში. მიდრეკილება დანაწილები-სადმი ისეთი ძლიერი იყო, რომ თვით ეგრე წოდებულ „ოქროს საუკუნეშიც“ კი ვერ შეაყენა და რამდენადმე მაინც ვერ შეასუსტა. მართალია, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს საქართველო ერთი პოლიტიკური ცხოვრებით სტკბებოდა, საერთო ისტორიულ უღელს სწევდა, მტერს ერთად მტრობა სუწევდა და მოყვარეს—მოყვრობას, მაგრამ სუყველა ეს დროებითი, წარმავალი იყო. ეს არ იყო შედეგი და დასკვნა ერის ეკონომიური განვითარებისა, არ იყო ქვეყნის გულიდან წარმოშობილი\*). მხოლოდ იმისთანა შმრომელ, მხნე და გამჭრიან

\*) ეს მტკიცდება შემდეგი ფაქტით: თამარ მეფის ქმარი გიორგი თავისი უშვირი ყოფაქცევის გამო გან-

მეფეთ, როგორც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, შეეძლოთ დროებით მაინც შეეერთებინათ მთელი ქართველობა. მოშორდნენ თუ არა ისინი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაშინვე დაირღვა ერთობა და გაქრენ საქმენი მათ მიერ დაწყებულნი\*). საქართველო დაიყო ერთი მეორის მოწინააღმდეგე ნაწილებათ: ქართლ-კახეთ-სამცხე-იმერეთათ და წვრილ სამთავროებათ. ამ დროს გარეშე, მტერთა შორის მოხდა შესამჩნევი ცვლილება: სპარსთა მიიღეს განსხვავებული სჯული („შიიტობა“) და მტრათ გაუხდენ ოსმალებს („სუნიტებს“). ამ ორ ბანაკთა შორის ასტყდა ხან-გრძლივი ბრძოლა იმაზე, თუ ვის უნდა რეგებოდა საქართველო. იმერეთი იმყოფებოდა ოსმალეთის გავლენის ქვეშ. ქართლ-კახეთი—სპარსეთისა. ერთი მხრით ამ გარეშე მტერთა მეოხებით, მეორე მხრით ბუნებრივი (ესე იგი გეოგრაფიული) და ეკონომიური მიზეზებით საქართველოს ნაწილები სრულიათ არ მიისწრაფოდენ ერთი რომელიმე ცენტრისაკენ, ერთმეფობისკენ. მართალია

დევნილ იქმნა საქართველოდან. იგი წავიდა სტამბოლს: გამოსთხოვა ჯარი ბერძენთ მეფეს და შემოვიდა საქართველოში თამარის და მისი სამეფოს ძალით დასამორჩილებლათ. მაშინ თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო: იმერეთი, სვანეთი, კლარჯეთი, სამეგრელო, ტაოსკარი და სხვა გადაუდგა თამარს და მიემხრო გიორგის. იხ. *Исторія Грузіи Баратова* тетр. 65 გვერ).

\*) მიუხედავად ამისა ღვაწლი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა დაუფასებელია საქართველოს წინაშე. პირველათ ამათ დასთესეს თესლი ქართველთა ერთობისა...

ამ ნაირი მიდრეკილება სუფევდა, მაგრამ არა ერში, არამედ თითო-ოროლა შორს მჭვრეტელ პირებში, რომელთაც მოინდომეს ცხოვრების კალაპოტის უცვლელად გაქმნა და რასაკვირველია, უნდა დამარცხებულიყვნენ.

თანხმობა, ერთობა არ სუფევდა არა თუ სამეფოთა შორის, არამედ თვით ერთსა და იმავე სამეფოშიაც. ამის მკაცრ მაგალითს გვიჩვენებს იმერეთი XVIII საუკ. გასულს და XIX საუკ. პირველ მეოთხედში\*). სოლომონ მე-II-ის საშინაო პოლიტიკა იყო მიმართული ხელ-ქვეით მთავრების ასალაგმავათ და სამეფოს სრულიათ გასაერთიანებლათ. „იცნა რა მანუჩარმან (ოდიშის მთავარი, მეფის მიერ პირველათ დამტკიცებული და შემდეგ უარყოფილი) ვიდრე მეფესა არა სწადს არა რომელიმე ძეთა დადიანისათა კეთილი, ამისათვის მივიდა გეორგისთანა (მთავრად ნამყოფი და დევნილი მეფის მიერ) ძმისათვისისა და შეუერთდა მეფესა საბრძოლველად“ — ამბობს თ. ნიკოლოზ დადიანი თავის „ქართლის ცხოვრებაში.“\*\*) მეფემ მოინდომა პირველათ ოდიშის მთავრის დამორჩილება და მისი მართვა-გამგეობის შეზღუდვა. ამის გამო მეფე და მთავარი შეე-

\*) ამ ხანას ვაქცევთ ყურადღებას იმიტომ, რომ ოდნავ მაინც მოკავონოთ მკითხველს საქართველოს წყობილება თვით-არსებობის უკანასკნელ დროს.

\*\*) იხ. „ივერია“ 1877 წ. „მასალა ჩვენი ისტორიისათვის“.

ჯახენ ერთმანეთს და ამ შეჯახებაში დამარცხებული დაჩა მეფე \*).

თვით სამთავროებში კი იყო ერთობა? ხშირათ მთავრებს ებრძოდნენ ქვეშევრდომი მებატონეები და კიდევაც სძლევდნენ. ამის მაგალითს ერთ-ორს მოვიყვანოთ. „ბერი გელოვანი (ლეჩხუმის მოურავი) დაუტევა ერთგულება მეფისა, რათა ქმნას ერთგულება დადიანისა, ამისათვის მოუწოდა იგი ლეჩხუმს, წარვიდა დადიანი ნოლიდან და მივიდა თამოკოს (სოფელია სამეგრელოში) და მოსცა თამოკონი ჯოლორია დგებუაძემ“<sup>\*\*\*</sup>). აქედან ცხადია, რომ მთავრისთვის თავის ხელ-ქვეით სოფელში გასაღლელოთ მებატონეს ნებართვა ყოფილა საჭირო<sup>\*\*\*</sup>) მე-XVIII საუკ. საჩხერეში გაძლიერდა ორი გვარი: აბაშიძე და წერეთელი. იმათ ააშენეს ციხე „მოდინახე“. მეფე ალექსანდრე მე-V-ს არ ეპიტნავა ეს ამბავი. იმან დაპატიჟა დავით აბაშიძე და პაპუნა წერეთელი. სიძე-სიმამრი, ორივე მუხთლობით მოჰკლა და უნდოდა იმათი ადგილ-მამულის ხელში ჩაგდება, მაგრამ პაპუნა წერეთელს ცოლი გამგარდა „მოდინახეს“ ციხეში და მეფემ ვერა უყო რა“, — ამბობს ბ. გიორგი წერეთელი<sup>\*</sup>). საზოგადოთ, ლიხის მთის იქითა მხარეს დაუსრულებელი ომები იყო მეფეთა შორის, ათაბაგთა და მეფეთა შორის, მეფეთა და

\*) იბ. ამ დროს განუდგა მეფეს და შეუერთდა დადიანს აფხაზთ მთავარი ქელუშ ახმედ ბეგი.

\*\*\*) იბ.

\*\*\*\*) იხ. იქვე, თუ როგორ ებრძოდნენ ერთმანეთს მანუჩარ და გიორგი დადიანები ტახტისათვის.

\*\*\*\*\*) იხ. „ქვალი“ № 3.93 წ.

ერისთავთა შორის. ამას გვიმტკიცებს თითქმის ყოველი ფურცელი „ქართლის ცხოვრებისა“.

აქედან ნათლათ სჩანს, რომ არევ-დარევა, შულლი და მტრობა მუდამ არსებობდა პირველათ სამეფოებს შუა, მეორეთ, სამეფო და ხელ-ქვეით სამთავროებს შორის. მებატონე, მთავარი და მეფე, ეს სამი პოლიტიკური ინსტანცია, დაუცხრომელ ჭიდილში იყვნენ; სოფელი, სამთავრო და სამეფო, ეს სამი ასპარეზი ძალ-მომრეობისა, განუწყვეტლივ ბრძოლაში იყვნენ ერთმანეთთან. აი რა ნაირ საისტორიო განვითარების დუდილში იყო ქართველთა ცხოვრება! აი რით დაასრულა საქართველომ პოლიტიკური თვით-არსებობა! სად არის აქ საერთო პოლიტიკური წყობილება? ისტორიამ ჩვენი ერი დაჰყო და არა შეაერთა, განხეთქილება და ქიშპობა ჩამოაგდო და არა ძმობა და ერთობა. ამ ნაირათ ცხოვრების ნივთიერ-სათუფველზე აგებულ იქმნა შესაფერი პოლიტიკური ყოფა-მდგომარეობა: მხარე ნივთიერათ კარ-ჩაკეტილი განთვითოებული, პოლიტიკურადაც განკერძოებული შეიქმნა.

როგორ უნდა გასწორდეს ეს ისტორიის მიერ ნაანდერძევი მდგომარეობა? ჩვენ ვამბობთ—სიძლიერე ერთობაშიაო. ისტორიამ კი ეს ერთობა ხელიდან გამოგვაცალა; ჩვენ ვამბობთ—ხალხმა უნდა შეიმუშავოს ერთი ეროვნული „მე“, ცნობიერებით გაშუქებული, ისტორიამ კი ჩვენი ეროვნული „მე“ დაახურდავა, დააწვრილმანა. რანაირათ უნდა გაიხსნას ეს კვანძი? ნუ თუ ხსნა არსად არის? ნუ თუ

საქართველოს შეგნებულათ გაერთიანება შეუძლებელია? თუ კი მთელი ჩვენი ისტორია მიმართული იყო ქართველობის დაცალკევებისაკენ, რა სასწაულით უნდა მოხდეს დღეს ეს სასურველი ერთობა? ნუ თუ ისტორიული მოძრაობა არავითარ კანონს განვითარებისას არ ექვემდებარება?

V

ისტორიულმა განვითარებამ ერს ორი წინადადება დაუდვა, ორივე აუცილებელი და ასე თუ ისე გადასაჭრელი, ორივე ერთი მეორის წინააღმდეგი და შეუთანხმებელი: ან საკუთარი ძალ-ღონით უნდა დაერღვია ძველი დახვედებული წეს-წყობილება, შეემუშავებია ერთი პოლიტიკური ცენტრი და მით გაეძლიერებია ეროვნული ცხოვრება, ან სხვა უფრო მძლავრი ერისათვის მიემართა შემწეობისათვის და ეთხოვა მფარველობა, ამით თავის ბედ-იღბალი სხვის ხელში ჩაეგდო და ეროვნობაც განსაცდელს მისცემოდა. ამ ორ დედა-აზრს ერთი რამ აქვთ საერთო, ორივეს მსხვერპლათ ფეოდალიზმი უნდა გამხდარიყო, ორივეს უნდა მოესპო ერის დანაწილება. მხოლოდ ეს ორი ძალა ამ მიზანს სხვა-და-სხვა ნაირათ აღწევს.

მე-XVI—XVIII საუკუნეები წარმოადგენენ იმ ხანას, როცა ევროპაში ერთი მხრით ვითარდება შორომა, ძლიერდება აღებ-მიცემობა და ვაჭრობა, მეორე მხრით, ირღვევა და ილეწება ძველი მობერებული პოლიტიკური ფორმა (ფეოდალიზმი). აი ასე მიმდი-

ნარეობს ისტორიული მსვლელობა, როცა ის ბუნებრივ დუღილზე და ზრდაზე არის დამყარებული. ჩვენში კი ესევე გარემოება უკუღმა დატრიალდა. ავხსნათ.

ფეოდალურმა წყობილებამ ისე დასცა და დაარღვია ქართველობა, რომ მისი გამგეობა ბოლოს შეუძლებელი შეიქმნა მე-XVIII საუკუნ. და მე-XIX საუკ. დასაწყისში შემოვარდა ჩვენს ცხოვრებაში გარეშე საპოლიტიკო ძალა და საუცხოვო სისწრაფით აასრულა თავისი დანიშნულება: ფეოდალები ალაგმა, უჩრჩნი დაიმორჩილა, ერთი მთავრობა დაამყარა და სხვა ამისთანები, ისეთი სიადვილით და შეუშფოთველათ, თითქო აქ არა მომხდარა-რავა. ისეთი საკვირველი სიწყნარით და სამარისებური სიჩუმით გასძვრა ერს ეს პოლიტიკური ქერქი, თითქო ერთი ხორც-მეტი მოიჭრა და გადისროლაო. ცხადია ერი ვერ მიხვდა—რას იძენდა და რას კარგავდა. რატომ? იმიტომ რომ ზევით, პოლიტიკაში, მოხდა ისეთი ცვლილება, რომელსაც არავითარი ნივთიერი საფუძველი არ ჰქონდა მომზადებული ქვევით ცხოვრებაში. ხალხის გული ზღვაა, სადაც საშიშარი ღელვა ასტყდება მხოლოდ მაშინ, როცა ქარიშხალი თვით ზღვას მისწვდება და ტალღებს გამოიწვევს. ფეოდალიზმი მოისპო, მაგრამ ქვეყანა ისევ ძველებურ საეკონომიკო ვითარებაში დარჩა, ისევ ძველი განცალკევება, განთვითობა სოფლებისა, პროვინციებისა და ქალაქელებისა სუფევდა. ის, რაც ქვევიდან უნდა დაწყებულიყო, დაიწყო ზევით პოლიტიკურ სფერაში. ახალი უცხო ფორმა ვერ მიაღვა ძველ შინაარსს და აი



აქ ტყდება ჩვენი ცხოვრება, აქ ვაკეთებთ ისტორიულ ნახტომს და ბუნებრივი თავისებური ზრდის მაგიერათ ჩვენ ვვითარდებით უნიადგოთ, უთავ-ბოლოთ, უწესრიგოთ. რასაკვირველია, ადრე თუ გვიან უნდა შერყეულიყო ერის ეკონომიური მდგომარეობა, მოქალაქეობამ დააპირა ფეხზე დადგომა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო განსაკუთრებითი მფარველობა, შემწეობა, ხელის შეწყობა, ერთი-სიტყვით, საკუთარი პოლიტიკური ძალა. ჩვენი უსუსური ვაქრობა, აშკარაა, ვერ გაუძლებდა ამ ნიადაგზე მომწიფებულ ერთა უღმობელ კანონს კონკურენციისას. ისტორიამ ერთხელ კიდევ ჩაჰკრა თავში ჩვენს ხალხს: უკან ჩამოდექ, კუთხეში მიჯექ, ვერა ხედავ, სხვა მოდისო. ამგვარათ ერს აერია გზა-კვალი, ვერ გაიგნო, რა ექმნა, საითკენ წასულიყო, დაუძღურდა და მედგრად წინ-სვლის მაგიერ დაბარბაცდა და წაბოროტკდა. ამ მდგომარეობაში დაჰყო მან ნახევარ საუკუნეზე მეტი.

უკანასკნელ 20—25 წ. განმავლობაში ჩვენი ცხოვრება შესამჩნევათ შეიცვალა. შემდეგ ბატონყმობის მოსპობისა, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზების დამართვისა ფეხი აიდგა მრეწველობამ და ვაქრობამ, გაძლიერდა მიმოსვლა და აღებ-მიცემობა. ვაქრობა შეიქმნა რევოლიუციური ძალათ ჩვენი ქვეყნისა. ვაჭარი არ კმაყოფილდება ერთი რომელიმე განსაზღვრული ტერიტორიით, იმას სურს ყველგან მისი საქონელი ბატონობდეს, მოცილეობას უწევდეს უცხო საქონელს და მეტ ბაზარს იპყრობდეს. ამისათვის გაჰყავს გზები მიუვალ ალაგს, მიაქვს თა-

ვისი ნაწარმოები გასანაღდებლათ და გამოაქვს სა-  
მაგიერო სხვაგან გასაყიდათ. ამნაირათ, ნივთიერათ  
აკავშირებს უცნობ ნაწილებს. სოფელი, ქალაქი,  
მაზრა გამოდიან ეკონომიურ განკერძოებულ ცხოვ-  
რებიდან, ერთ კუთხეში ეჩვევიან უფრო სიმინდის  
მოყვანას, მეორეში—პურისას, მესამეში—ღვინისას  
და სხ. (შრომის ამგვარი განაწილება მხოლოდ ახ-  
ლათ დაწყებულია და ისიც არა ყველგან); იმარ-  
თება საეკონომიო ცენტრები, სადაც შეაქვთ და  
გამოაქვთ საჭირო საქონელი, ეს იზიდავს ხალხს:  
ვაქარს, ხელოსანს, მუშას. იქვე იკრიბება სხვა-და-  
სხვა სამმართველო და საზოგადო დაწესებულებანი,  
იხსნება სკოლები, თავს იყრიან განათლებული და  
ნასწავლი პირები, ჩნდება გონებრივი აღებ-მიცემო-  
ბა, ფებს იდგამს მწერლობა და სხვა. ამასთანავე  
შრავლდება ქალაქები, იზრდება დაბა-სოფელი. მთე-  
ლი საქართველო მიისწრაფება უმთავრეს და წვრილ  
ქალაქებისაკენ. ამით სხვა-და-სხვა კუთხე შეუმჩნე-  
ვლათ უახლოვდება და უკავშირდება ერთმანეთს. ეს  
კიდევ არაფერი. ჩვენი ვაჭარი თვალ-ყურს ადევნებს  
ევროპიულ ვაჭრობას; ტყობილობს, სად რომელი  
საქონელია ძვირი, სად რა არის საჭირო; იბარებს  
დამუშავებულ საქონელს და გზავნის დასამუშავე-  
ბელ მასალას. ასე გასინჯეთ, სოფლის მეურნეც კი  
ჩაიყოლია ამ მიმდინარეობამ, ის მოცილებობას უწევს  
მსოფლიო ბაზარში ევროპის მეურნეს, სიმინდით,  
პურით, ღვინით და სხ. ამისათვის იმას ძლიერ ეინტე-  
რესება უცხოეთის ამბები, მისი ეკონომიური და სოცია-  
ლური მდგომარეობა. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში გა-

ჩნდნენ ახალი პირობები და განახლდა თვით ცხოვრება.

ამგვარათ, ახალმა ცხოვრებამ დაჰბადა ახალი მოთხოვნილება, წინ წამოაყენა ვაქცინობა და აღებ-მიცემობა, გაართულა და გაამრავალფერა პირვანდელი სადა ურთიერთობა, შრომა ეკონომიურად დაჰყო ერის ნაწილთა შორის, ჩააყენა ქვეყანა მსოფლიო აღებ-მიცემობის კალაპოტში. სუყველა ამას თან მოსდევს ხალხის ნივთიერად გაერთიანება და საზოგადო კაცობრიობის ცხოვრებაში შესაფერი აღგილის დაქტრა. აი ამ საისტორიო გზას დაადგა ქართველობა; ჯერ მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა ამ მხრით და მით ფეხი მოიმაგრა ახალ ნიადაგზე. ამით მიეცა შეურყვეველი საფუძველი ქართველ ეროვნობას. ერი შეება საერთო უღელში, შეეჩვია ერთად ცხოვრებას, ერთათ მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი გონებრივი ერთობისა; ქართველობა ერთი ყელ-საბმელით შებორკილი, ერთი ჯაჭვით შემოჯაჭვული, ფხიზლდება, სალი გონებით და მახვილი თვალით იხედება.

## VI

თუ ჩვენს ერის აგებულებას დავაკვირდებით და მის წყობილებას გავსინჯავთ, ნათლად დავინახავთ ერთ მეტათ რთულს და ამასთანავე დიდ საყურადღებო გარემოებას: ის წარმოადგენს, შაქრის თავივით, თავწვეტ სხეულს, რომელიც ძირისაკენ თანდათან განიერდება და სქელდება. ეს სხეული მით არის შესანიშნავი, რომ შემდგარია არა ერთი და

იმავე, არამედ სხვა-და-სხვა მასალისაგან. ამისათვის მთელ აგებულებასაც საშინელი სხვა-და-სხვაობის ბეჭედი აზის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ყველა ნაწილების დაწვრილებით ანუსხვა და რიგინათ გათვალისწინება საქმელო საქმეა. პირველათ იმისთვის, რომ ზოგიერთაგანი ჯერ მხოლოდ ჩასახულია და არავითარი გარეგანი ნიშანი არ ეტყობა; ზოგს კი არ დაუშთავრებია სრული ზრდა და მომწიფება. მეორეთ აქვე შევხვდებით მოუძღურებულ და მობერებულ ნაწილსაც, რომელიც ჟამთა მსვლლობას მეტ-ხორცათ გაუხდია და ადრე თუ გვიან უნდა მოსწყდეს სხეულს. მხოლოდ ჯერ კიდევ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ დაჰკარგვია სრულიათ, და ცხოვრების მსვლელობას ხშირად აფერხებს და ერთ დონეზე აჩერებს. ამ მომაკვდავ ნაწილსაც დიდი ალაგი უჭირავს და თავისი უძრავი არსებით სხვა ნაწილებს ჩრდილავს. ამნაირათ, იმ სხეულის აგებულება, რომელსაც ჩვენ ერს ვუწოდებთ, ძლიერ ძნელი დასანაწილებელი და გამოსარკვევია, მაგრამ მაინც არ ვკარგავთ სრულ იმედს და ვეცდებით, სრულათ თუ არა, დაახლოვებით მაინც დავასურათოთ ერის დღევანდელი ყოფა-მდგომარეობა. აქ არ კმარა ვიკითხოთ: რა არის დღეს? არამედ უნდა გამოვარკვიოთ—რანაირ ცვლილებაშია დღემუდამ და რად უნდა გახდეს ახლო მომავალში?

გარეგანი შეხედულებით ქართველი ერი წარმოადგენს სამს ნაკეცს: მალლა დგას უფლება-უპირატესობით მოსილი აზნაურობა, დაბლა—გლენ-კა-

ცობა, შუაში კი სასულიერო წოდება\*). თვითე-  
 ულ მათგანს აქვს საკუთარი ზნე, ხასიათი გონებ-  
 რივი განვითარება, ზნეობრივი თვისებანი და სხ.;  
 მუდამ უჭირავს ერთხელ განსაზღვრული ადგილი  
 ცხოვრებაში, ასე რომ ქვედა საფეხურზე მდგომი  
 მალე ვერ აიწევს და ვერ შეანგრევს მიუღვამელ  
 კლდეს ზედა ფარგლისას. თვით ისტორიამ გაავლო  
 ასეთი კედელი და დაბადა წოდებრივი მიუკარებ-  
 ლობა. ამაზედ აშენდა ურთიერთ შორის დამოკი-  
 დებულება: ერთი ბატონია, მეორე კი მორჩილი,  
 ერთი შპრძანებელია, მეორე ყურმოჭრილი მონა-  
 ამასრულებელი, ერთი ამპარტავნულათ და პრის-  
 ხანეთ გამოიცილება მაღლიდან, მეორე კი მოკრ-  
 ძალებით იყურება ზევითკენ და უნებლიეთის შეც-  
 დომების მიტევებას თხოულობს. ერთი მუდამ  
 ფუფუნებაში ატარებს წუთი-სოფელს, მეორე სულ  
 მუდამ შრომა-გარჯაშია და მისი დასოკოვებული  
 და ტყავ-ამძვრალი ხელის-გული ცხადათ ამტკიცებს  
 მის მუდამ ტანჯვას და მწუხარებას. ერთი სიტ-  
 ყვით, აზნაურობა და გლებ-კაცობა—ეს ორი შე-  
 ურიგებელი ნაწილია ჩვენის ცხოვრებისა. მათ შო-  
 რის სრული და ნამდვილი წოდებრივი განწყობი-  
 ლება სუფევს. მაგრამ ასეა ახლა ეს? გარეგნობით  
 კი ასე გვეჩვენება. აბა ჩავიხედოთ თვით ცხოვრე-  
 ბის სიღრმეში და გავიგოთ ამ ცხოვრების სინამდ-  
 ვილე.

\*) ამ წოდების შესახებ ჩვენ აქ არ გვექნება სჯა-  
 ბაასი, ვინაიდან ის არ წარმოადგენს სრულ დამოუკი-  
 დებელ ძალას ცხოვრებაში.

ერის წოდებრივად დანაწილება ისტორიული ცხოვრების ნაყოფია. ის ერი, რომელიც ისტორიულ ასპარეზზე არ გამოსულა და მისი სიმწარე-სიტკბოება არ უგემია, წოდებრივ განკერძოებასაც მოკლებულია. რა ისტორია უნდა ჰქონდეს ამერიკის ან აფრიკის ველურ ხალხს? ან რა წოდებრივი განსხვავება შეიძლება იმათში? მხოლოდ იქ, სადა კულტურა ფეხს იკიდებს, მყარდება ნიადაგი საისტორიო-ცხოვრებისა. ამ ასპარეზზე მხოლოდ ის ხალხი იმარჯვებს და სხვებზე ბატონობს, რომელიც დაიყო ჯგუფებათ, დანაწილდა მათ შორის შრომა: ერთს მიენიჭა გარეშე მტრისაგან დაცვა, მეორეს მიწის შემუშავება, მესამეს მღვდელ-მოქმედება და სხ., ამნაირათ მოწყობილი ხალხი არსებობისათვის ბრძოლაში წელში გამაგრებული და გაღონიერებულია. იმას სხვა ვერ დასჩაგრავს, პირიქით, ის სხვებს ანადგურებს და სიცოცხლეს უსპობს. ამისათვის ბურთი და მოედანი იმას რჩება. დროთა-ვითარებაც ამგვარ ხალხს მფარველობას და პირველობას ანიჭებს. ამნაირათ ხალხის გუნდ-გუნდათ დაყოფა ისტორიულათ აუცილებელია, უამისოთ ეროვნული ცხოვრება შეუძლებელი იყო. ამასთანავე ისტორიულ მიმდინარეობამ ამ დანაწილებას სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ფორმა მისცა. მაგ., ისტორიამ გამოიწვია მონობა. მაგრამ მანვე უარჰყო მისი არსებობა; ისტორიამ შვა ბატონყმობა, მაგრამ მანვე მოსპო და აღგავა დედამიწის ზურგიდან; ისტორიამ გააჩინა აზნაურობა, მაგრამ მანვე გარდაჰქმნა და გააქარწყლა დასავლეთ

ევროპაში; ისტორიის ნაყოფია თანხის (კაპიტალის) ბატონობა (ევროპაში), მაგრამ... ჯერ არ დასრულებულა ეს პროცესი. რისთვის მოხდა ყოველივე ეს? საქმე ის არის, რომ ერის განვითარებას რამდენიმე საფეხური აქვს. ის, რაც პირველ საფეხურზე ცხოვრების წინ წამწევი და პროგრესიულია, მეორეზე და მესამეზე შემაჩერებელი, უკან-დამწევი და რეგრესიულია. ამ შემთხვევაში ისტორია ადამიანის მიმართ ულმობელობას იჩენს. როგორც კი დაიბადება საზოგადოებაში ახალი ნიადაგი და ზედ ახალი კითხვები აღმოცენდება, ისტორია მაშინვე გადაუდგება ძველ წყობას და ემზრობა ახალს. უეჭველია, ჩვენი ერი, როგორც ისტორიულ ასპარეზზე გამოსული, ამავე კანონს უნდა ექვემდებარებოდეს.

## VII

საქართველოს მუდმივმა სამხედრო მდგომარეობამ გაამრავლა და გააძლიერა უპირატესობით აღჭურვილი აზნაურობა. ის ედგა სათავეში ჩვენ ქვეყანას და ნამდვილი პირველობაც მას ეკუთვნოდა. მას ეჭირა ხელში ჩარხის ტარი ჩვენი წალმა-უკულმა ტრიალისა, იყო ერის ხელმძღვანელი და მეთაური თვით-არსებობისათვის ბრძოლაში. აი, ამაში იხატება მისი ისტორიული ღვაწლი. დადგა XIX საუკუნე. საქართველო უერთდება რუსეთს. რუსეთი კისრულობს ქართველების დაცვას გარეშე მტრისა და შინაურ არევ-დარევისაგან. აზნაურობაც ამით ჰკარ-

წინააღმდეგობა

გავს თავის ისტორიულ დანიშნულებას. იგი რჩება  
 უსაქმოთ. წინ უძევს ორი გზა: ან თავის მამულ-  
 დედულში დაბინავება და ტკბილათ, უდარდელათ ცხო-  
 რება, ან სამხედრო-სამოქალაქო სამსახურში შესვლა  
 და ეკლიანი გზის ამით გაკაფვა. ამ უკანასკნელს გა-  
 ჰყვა მცირე ნაწილი აზნაურობისა: დანარჩენმა კი  
 ლუარსაბ თათქარიძის მდგომარეობაში ამოჰყო თავი.  
 მაგრამ ნეტარ-ხსენებულ ლუარსაბსაც ჩქარა გაუ-  
 ჭირდა საქმე. 19 თებერვლის რეფორმებით ყმები  
 გამოეცალა ხელიდან, დარჩა მარტო-ხელა კაცი ად-  
 გილ-მამულებით. მამულს მოხმარება უნდა, ეს ძლიერ  
 უჭირს და არ ეხერხება; მეორე მხრით, ცხოვრება და  
 მისი მოთხოვნილება გაფართოვდა. ფული საჭირო  
 შეიქმნა. სად იშოვოს? აქ იწყება აზნაურობის კრი-  
 ზისი. აქ იღებს სათავეს ის პროცესი, რომელიც  
 ჯერ კიდევ არ დასრულებულა. შრომას და გარჯას  
 შეუჩვენებელი წოდება აძლევს მშრომელ ხალხს — გლეხ-  
 კაცობას — მიწა-ადგილს შესამუშავებლათ და ღალას  
 ღებულობს. ბატონს არ უყვარს ყველაფერს თვი-  
 თონ ადევნოს თვალი. იმისთვის მხოლოდ ფულია  
 საჭირო. ის უსაქმოთ დარჩენილი ჩაითრია ცხოვრე-  
 ბის მორევმა, გაელვიძა და აღეძრა სხვა-და-სხვა მო-  
 თხოვნილება, რაც მის წინაპრებს არც კი მოსიზ-  
 მრებიათ. ახალმა სიომ მოჰბერა ახალი ვითარება,  
 ცხოვრების ახალი პირობები. მამულის შემოსავალი  
 მოთხოვნილებასთან შედარებით მცირე იყო. ან  
 ცხოვრება ვიწრო ფარგლით უნდა შემოეხაზა და  
 მამული უკლებლათ შეენახა, ან ცხოვრებასა აპყლო-  
 და და; მამული ხელიდან გაეშვა. აზნაურობამ ვერ



შეიგნო დროს შესაფერი მოქმედება და მეორე გზას  
 დაადგა. აქ მან ჩქარა იშოვა ხელის მომმართველი:  
 „პრიკაზი“, ბანკები, კერძო ფულის პატრონი  
 ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აბა რომელი მათგანი  
 უფრო მიიზიდავს თავის ქისისაკენ მეტ რიცხვს  
 „ბრწყინვალე წოდებისასო“. ამნაირათ ცხოვრების  
 პირობებმა ჩვენი აზნაურობა ფულით გატენილ სკივ-  
 რისაკენ მირეკა. რა კი ერთხელ გაიგო ფულის გე-  
 მო, მან ამ გზას აღარ გადაუხვია. უფლი იხარჯე-  
 ბოდა, მამული კი ისევ გავერანებული რჩებოდა.  
 მაგრამ ყველაფერს თავისი ზომა აქვს. როცა ფული  
 უფრო მეტი იფლანგება, ვიდრე მამული იძლევა,  
 მაშინ, რასაკვირველია, იწყება მიწა-ადგილის ხელი-  
 დან გაშვება, ნებით თუ უნებლიეთ ჩამორთმევა. ამ  
 მიზეზით მოწინავე წოდება თანდათან ლატაკდება,  
 მამა-პაპის ნაანდერძევი გამრჯელ და მწარმოებლის  
 ხელში იკრაბება. ამ ეპოქა ჩვენ ვხედავთ მრავალ  
 აზნაურს უმიწა-წყლოთ, ღვთის ანაბარათ დარჩენილს.

არც მოხელეთა გუნდი ასცდა გაჭირვებას. თუ  
 ბატონ-ყმობის მოსპობამდე მართო გვარიშვილობა  
 იყო საჭირო სამსახურში შესვლისათვის (უფრო სამ-  
 ხედროში), შემდეგ კი გონების ცენზი შეიქმნა სა-  
 ვალდებულოთ. სწავლა-განათლება—ეს წინათ მეტ  
 ბარგათ მიჩნეული\*) ეხლა სატრფიალო საგნათ გახდა  
 აზნაურთათვის. ის ცდილობს მთავრობის წყალო-  
 ბით სკოლები დახსნას. გემნაზიები, სამხედრო სას-  
 წავლებლები, დედათა სკოლები, სააზნაურო სასწა-

\*) ლუარსაბ თათქარიძის სიტყვით წერა-კითხვა დე-  
 დაკაცის საქმეა.

ვლებლები ამ ხანათ იმართება. აზნაურობას ბედმა გაუღლიმა, ახლა მაინც დავაბინავებთ ჩვენს შვილებსო. მაგრამ ამათთან ერთად სასწავლებლის კარებს მიაწყდა სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი, უკეთ მომზადებული და დახელოვნებული გამოსაცდელ საგნებში. აზნაურობა ვერ უძლებს იმათ მოცილეობას და იმათი რიცხვი სასწავლებლებში თან-და-თან კლებულობს. ან კი საიდან შეეძლო გაღარიბებულ წოდებას შვილების აღზრდა? ამ ნაირათ, ასპარეზი ქართველ მოხელეთა შევიწროვდა, ისინი აქაც დამარცხდნ. იმათ ალაგს სხვები ჩადგენ... მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა ეს ალაგი. ამ სახით, აზნაურობამ ორ საშუალებას მიჰმართა თავის ღირსების და მდგომარეობის დასაცავად: მიწა-ადგილის გაყიდვა-დაგირავებას და სამსახურს. მაგრამ როგორც დავინახეთ, ვერც ერთმა ვერ გაამართლა მისი იმედები და გულდათუთქული დასტოვა.

ამ ქამად აზნაურობის სიღრმეში იბადება და იზრდება ერთი ძალა. ამ ძალას თვით-მოქმედებას უწოდებენ. თუ განათლებულ ევროპიელს არ ეთაკილება ვაჭრობა, ალებ-მიცემობა, ჩვენ რალა ვართო, გაიფიქრა ერთმა ნაწილმა აზნაურობისამ და კიდევაც დაადგა მრეწველობის გზას. ერთი მხრით, კავკასიის ბუნება უხვათ იძლევა მიწის მოსავალს, მხოლოდ ამ საქმეს მოწყობა და გაუმჯობესობა ეჭირვება; მეორე მხრით, თვით დედამიწის გულში მრავალგვარი მადნის სიმდიდრეა ჩამარბული და შეზავებული. ვინ უნდა დაეპატრონოს ამაებს, თუ არა შეძლებული აზნაურობა? ხოლო იქ, საცა თვი-

თეული პირი უღონო და ხელმოკლეა, რამდენიმე პირების კრებული ძლიერი და ხელღონიერია. აი ამ აზრმა იჩინა თავი ჩვენში. ამისათვის მოსალოდნელია აღებ-მიცემობა, მრეწველობა შეძლებულ აზნაურობას ჩაუვარდეს ხელში.

აქედან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დიდი ცვლილება მოხდა მოწინავე წოდებაში. უმრავლესობა ხელცარიელი რჩება, ღარიბდება: უმცირესობა, როგორც იყო, ცხოვრებას ეკედლება, მოხელეობის ასპარეზზე გამოდის. ხოლო ერთი მუქა შეძლებულ მემამულეთა ადგება ევროპის მიერ გაკვალულ გზას თანხით წარმოებას და აღებ-მიცემობას. აშკარაა, რომ „ბრწყინვალე წოდება“ დანაწილდა, მისი აგებულობა გადასხვაფერდა და დღემოდამ გარდაქმნისკენ არის მიდრეკილი. მის სიღრმეში ნივთიერთ საშინილი მეტ-ნაკლებობა აღმოჩნდა. რა არის საერთო, მაგალითად, იმ აზნაურთ შორის, სადაც ერთი ათი-ათასობით ფულს ატრიალებს ხელში, ხოლო მეორეს კი ლუკმა-პურიც ენატრება? ისინი ნივთიერად აღარ არიან დაკავშირებული, იმათ შორის დიდი ორმოა გათხრილი. მხოლოდ ერთი რამ აერთებს იმათ—ერთი თანასწორი უფლება-უპირატესობა, ესე იგი ტრადიცია იურიდიულად განმტკიცებული. მაგრამ „საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობა არის ნამდვილი და უტყუარი საფუძველი, რომელზედაც მყარდება იურიდიული და პოლიტიკური წყობილებაო“, — ამბობს კ. მარქსი. ამისათვის, თუ ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ ეს

ნივთიერათ დაქუცმაცებული წოდება ერთი ქერ-  
 ქით, ერთი გარეგანი კანით არის შემოხვეული, ეს  
 ამის შეურყევლობას სჩუღლიათ არ ამტკიცებს. ეს  
 მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ცხოვრების დუღილი  
 ჯერ კიდევ ისეთი ძლიერი არ არის, რომ გარეთ  
 გადმოხეთქოს და წალეკოს ყოველივე ის, რაც აფერ-  
 ხებს და ხელს უშლის მის ბუნებრივ მიმდინარეო-  
 ბას. და რომ ეს ასეუნდა მოხდეს ადრე თუ გვიან  
 — ცხადია.

ახლა ვიკითხოთ, შეუძლია თუ არა მარტო  
 ჩვენ შეძლებულ აზნაურობას შევბრძოლოს აღებ-  
 მიცემობის საქმეში ევროპის თანხის-პატრონებს? „ამ  
 ჟამათ გამოდიან მდაბიო ერის სიღრმიდან თითო-  
 ოროლანი, რომელთაც კარგათ აქვთ აღებული ალ-  
 ლო დღევანდელი ვითარებისა და მრავლათ იგდებენ  
 ხელში ქონებასა და დოვლათს“. \*) ცხადია, რომ  
 აზნაურნი მაწარმოებელნი გაჭირვების დროს ამათ  
 ხელს გაუწვდიან და ძმურათ ეტყვიან: მოდი, მო-  
 გვაშველეთ თქვენი ფულით გატენილი ქისები და  
 ერთად დავიწყოთ „ქვეყნის აშენების“ საქმეო. ამ  
 სახით, ეს ორი სხვა-და-სხვა წოდების წარმომად-  
 გენელნი შეიძლება (ამას ექვი არ უნდა) ახალმა სა-  
 ქმემ და საერთო საშუალებამ, ე. ი. ფულმა და წარ-  
 მოებამ, შეაერთოს, ხელი-ხელ გაყრილნი გამოიყვან-  
 ნოს ბრძოლის ასპარეზზე. განვიხილოთ, საიდან  
 ჩნდება ეს მეორე ძალა ჩვენს ცხოვრებაში.

## VIII

ყველასათვის ცხადია, რომ გლეხ-კაცობა ბა-

\*) „ივერია“ 93 წ. № 22, მეთაური წერილი.

ტონ-ყმობის მოსპობამდე ყოველათ უნუგეშო მდგომარეობაში იყო. გლეხი ბატონის საკუთრება იყო, ის გაჰყიდდა, დააგირავებდა, გააჩუქებდა, გაასამართლებდა, დასჯიდა და სხ.. ის პიროვნება არ იყო. გლეხის შემოსავალი ნახევარზე მეტი ბატონს მიჰქონდა; ის ხნავდა, თესავდა და ინახავდა ბატონს. ოჯახში თუ ორი მამაკაცი იქნებოდა, ერთი ბატონთან უნდა ყოფილიყო მოსამსახურეთ. ბატონის ნება-დაუზრთველად გათხოვება, ცოლის შერთვა, გაყრა შეუძლებელი იყო. რაკი გლეხი სრულიათ დამოუკიდებელი იყო თავის ბატონ-პატრონზე, აშკარაა, რომ მისი შრომა არ იქნებოდა თავისუფალი. აქ შრომა ბორკილ-დადებული, შებოქვილი იყო. ყმა თუ შრომობდა, შრომობდა ბატონისათვის, თუ რამეს თავისთავად შეიძენდა, მეორე დღეს იმას ბატონი ისაკუთრებდა. ერთი სიტყვით, ყმას საკუთარი არა გააჩნდა-რა, ყმაც ბატონისა იყო და მისი ქონებაც. „გოგოც ჩემია და მისი ჩითმერდინიცაო“ — ამბობს ლუარსაბის მეუღლე დარეჯანი\*). დადგადრო ბატონ-ყმობის გაუქმებისა. 19 თებერვლის რეფორმებით კაცი კაცათ იქმნა აღიარებული. მოისპო ერთი სამარცხენო მიზეზი ადამიანის უფლებების გაქლევისა და შეურაცყოფისა. „ერთს ჩამოერთვა ის, რაც სიმართლის შეურაცყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უსამართლოთ წართმეული ჰქონდა“. \*\*)

\*) „კაცთა ადამიანი?!“ ამ საგნის შესახებ იხილეთ მეტათ საყურადღებო წიგნაკი ხახანაშვილისა „ბატონ-ყმობა საქართველოში“.

\*\*\*) „ცხოვრება და კანონი“, ი. ჭავჭავაძისა. „ივერია“ 77 წ. წერილი პირველი.

ყმა განთავისუფლდა ბატონის დამოკიდებულები-  
 საგან. მაგრამ ეს განთავისუფლება სრული არ იყო,  
 ბოლო მოკვეცილი დარჩა. გლეხი გამოუშვეს ცხოვ-  
 რების სარბიელზე უმიწა-წყლოთ, — წადი, როგორც  
 გასურს, ისე იშრომე და იცხოვრეო. გლეხს, რასა-  
 კვირველია, ასე ღვთის ანაბარა დარჩენილს, ცხო-  
 ვრება არ შეეძლო, მისთვის აუცილებლათ საჭირო  
 იყო სამოსახლო და სახნავ-სათესი მიწა. აი ამ „მო-  
 წყალებას“ აძლევენ ბატონის მამულიდან და გლე-  
 ხიც იქ ბინავდება. სამაგიეროთ ის იხდის წელი-  
 წადში ყოველივე შემოსავლის მეოთხედს (ცოტა  
 ფულსაც) ბატონის სასარგებლოთ\*). რაც უნდა  
 იყოს, გლეხი გახდა სრულიათ დამოუკიდებელი: ის  
 შეიქმნა ერთად-ერთი პატრონი საკუთარის ძაღ-  
 ღონისა, საკუთარი შრომისა და მონაგარისა.  
 მას ახლა თავისუფლათ შეეძლო მოეხმარა თა-  
 ვისი შრომა, შეემუშაებინა მხოლოდ „საკუ-  
 თარი“ მამული. ამაში გამოიხატა დედა-აზრი ახა-  
 ლი რეფორმებისა. აი აქ არის სათავე იმ ეკონო-  
 მიურ ცვლილებისა, რომლის მოწამე ჩვენ ვართ  
 დღეს. **განთავისუფლება შრომისა**—აი რა დაედვა  
 სარჩულათ ახალ ცხოვრებას, აი სად სცემს დედა-  
 ძარღვი ახალი ურთიერთობისა და ვითარებისა. რა-  
 კი გლეხმა თავისუფლება ხელთ იგდო, ის გაექან-  
 გამოექანა, მიდგა-მოდგა ცხოვრებაში და მედგრათ  
 შეებრძოლა ცხოვრების აზვირთებულ ტალღებს. იმან  
 აქ იგრძნო თავის თავი მარტო-ხელათ, უმწყოთ, გან-  
 ცალკევებულათ. მიიხედ-მოიხედა გარშემო და დაი-

\*) ib.

ნახა, რომ ყველა ცალკე შრომობს, ერთმანეთის დაუხმარებლათ, თითოეულად იბრძვიან ლუკმა-პურისათვის. ამნაირათ, ხალხის გულში ამოხეთქა ახალმა დედა-აზრმა: განცალკევებამ, განთვითებამ, ინდივიდუალიზმმა. ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოთ ერთის მეორესთან, ერთისა ყველასთან, ყველასი ერთთან, ბრძოლა ლუკმა-პურისთვის, ბრძოლა—აი რას მოჰყავს მოძრაობაში დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი. ყველა თავის ინტერესებს ხედავს, თავის სარგებლობას ეძებს, თავისთვის იბრძვის. პირადობა, თვისი „მე“ საშინელი ძლევამოსილებით გამოდის მოედანზე—და ძირიანათ არღვევს ჩვენს ცხოვრებას; ის, ვინც მეტი გამრჯელი, ხერხიანი და უნარიანია, ბრძოლაშიაც, რასაკვირველია, იმარჯვებს და ცხოვრებას ასე თუ ისე ეკედლება. იმას „ცა ქუდათ მიაჩნია და დედამიწა—ქალამნათ“.

აქ იწყება გლეხ-კაცობის ქონებრივი დანაწილება. თუ კი ერთი თან-და-თან წელს იმაგრებს და ღონიერდება ნივთიერათ, სამაგიეროთ მეორე უძლურდება და ლატაკდება. თუ კი ერთი ხელში იგროვებს ქონებას და დოვლათს, სამაგიეროთ მეორეს ხელიდან ეცლება და სამუდამოთ ჰკარგავს. ერთის სიმსუქნე მეორეს სიმქლევეზე არის აშენებული, ერთის ძლიერება მეორეს სისუსტეა, ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაა. დიახ, ამას მოითხოვს მტკიცე და შეუბრალებელი ეკონომიური კანონი და ამის ქახრაკში უკვე გაჰყო თავი ჩვენმა ერმა საერთოთ და გლეხ-კაცობამ კერძოთ. ამ მიზეზით გლეხ-კაცობა იყოფა

ორ მეტ-ნაკლებ ნაწილათ: უმცირესს „კარგათ აქვს აღებული ალღო დღევანდელი ვითარებისა და მრავლათ იგდებს ხელში ქონებას და დოვლათს“, ხოლო უმრავლესობა, სიღარიბისაგან ილაჯ-გაწყვეტილი და არაქათ-გამოღებული, თან-და-თან წელში იხრება და სილატაკის მორევში ეშვება. ნამდვილი არის ეს? აბა ჩავიხედოთ ლიტერატურაში.

## IX

როგორც კი ახალმა დედა-აზრმა—ინდივიდუალიზმმა—ცხოვრების კედელი შემოანგრია, მის სიღრმეს მისწვდა და დაიწყო თავისუფალი ნავარდობა, ხალხმა ეს მაშინვე იგრძნო, მიხვდა, რომ რალაც არაჩვეულებრივი შემოეპარა, და ყურები აცქვიტა. მიიხედ-მოიხედა და რა ნახა? ნახა, რომ ყველას რალაც თავს წასწოლია მაჯლაჯუნასავით და სულს უხუთავს. მაგრამ რა არის ეს „რალაც“, რაში მდგომარეობს მისი არსებითი ძალა, ან საიდან მომდინარეობს, ვერ გაეგო, აქ გონიერებამ უღალატა. ხალხი ხედავდა თითო-ორი პირს, რომელიც მას უმოწყალოდ სძარცავდა და მაშინვე ხმა-მალლა მორთო ყვირილი: აი ესენი არიან ჩვენი უბედურობის მიზეზი, მოგვაცილეთ თავიდან და ბედნიერი შევიქნებითო. ამნაირათ მთელ სისტემას ახალი ცხოვრებისას რამდენსამე პირს თავზე ახვევდენ, ესენი არიან დამნაშავენიო. ან კი როგორ უნდა მოეზრათ, რომ ახალი პრინციპი თავისი ძლევა-მოსილობით აღემატება ყოველივე ძალას ადამიანისას, რომ მისი



შეკავება და გზის გადაღობვა ოცნებაა და არა ნამდვილი საშუალება. გაისმა ხალხში გლოვის ზარი, მოჰყვნენ ოხვრას და გოდებას. ეს მოძრაობა მწერლობაშიაც გამოიხატა. წნ წლიდან იწყება ლიტერატურაში დაუსრულებელი მგლოვიანობა. რაც წინ მიდის დრო, მით უფრო გმინვა-გოდება ძლიერდება და თავისს უმაღლეს წერტილს აღწევს 76—89 წ. წ. აქედან კი, თითქო საზოგადოება შეეჩვია მოვლინებულ „ჭირსაო“, ეს ხმა სუსტდება და ბოლოს ქრება. ახლა ფეხს იდგამს ბელეტრისტიკა, რომელიც გვიხატავს ხალხის ცხოვრებას, მისს გაჭირვებულ მდგომარეობას და გვიწოდებს, მოდიოთ ნახეთ, როგორ ირღვევა ჩვენი ცხოვრებაო.\*) ახლა გადავავლოთ თვალი ძველ და ახალ მწერლობას და გავიგოთ გლეხის გარემოება.

„.... ჩაიხედეთ რომელსამე კახეთის სოფელში (თუნდა თვით თელავშიაც), მიიხედ-მოიხედეთ რა სხვა-და-სხვა და ერთი მეორის წინააღმდეგი სურათები წარმოგიდგებათ: ერთი მხრით ხედავთ, რომ მშვენიერი ორ-სართულიანი სახლი ევროპიულათ აშენებული დგას, მეორე მხრით კი გვერდზე წამოწოლილი ქოხი, რომელიც საქათმეს უფრო მიემგზავსება, ვიდრე სახლს. ერთი მხრით ხედავთ აუარებელ სიმდიდრეს, ზოგჯერ ისეთს, რომ პატრონს გაუნათლებლობის გამო ვერც კი მოუხმარებია, მეორე მხრით საშინელ სიღარიბეს და სისაწყლეს! ერთი

\*) ამ მიმართულების საუკეთესო წარმომადგენელი არის ბ. ე. ნინოშვილი შემდეგ ბბ. შ. არაგვისპირელი, დუტუ მეგრელი და მელანია.

მხრიდან გესმით სიმღერა და ხარხარი, მეორე მხრიდან მწუხარება და ტირილი“!...\*) „1890 წელს თითქმის სათითაოთ დავიარე ზემო-ქართლის სოფლები და ყველგან ერთი და იგივე მესმოდა: იმდენი არ მოგვივიდა ქირნახული, რომ ღალა მოვიშოროთო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ თურმე აგრე სახარბიელო მოსავალი არც წინა წლებში მოსულიყო. ეს შვიდი წელიწადი იქნება, რაც ჩვენ მოსავალი არ მოგვსვლიაო, მიპასუხეს გლეხებმა“. \*\*) „მომეტებული ნაწილი მცხოვრებთა ქანც-გაწყვეტილია ბალახეულობით კვებისაგან (კახეთში), ბევრგან სხვა-და-სხვა ავადმყოფობამ თავი იჩინა და მუსრს ავლებს ამ დასუსტებულ ხალხს“. \*\*\*) „შორაპანი: უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოების მცხოვრებთა ღარიბია. პურს იშვიათათ თესვენ. ყველა სიმიანდს ეტანება, მაგრამ კარგ ამინდშიაც წლის სარჩო თითქმის ვერავის მოჰყავს. ამ საზოგადოების ავლა-დიდება ღვინო იყო და ამანაც ბოლო წლებში ძალიან იკლო.“ \*\*\*\*) გლეხის ოჯახი საზოგადოთ წარმოადგენს უბუხრო ფიქრულ სახლს, რომელშიაც შენიშნავთ რამდენიმე სამ-ფეხა სკამს და ან ხის გადანაჭერ მორგვეებს „ჯორგოებს“, ცოლის ნამზითვე დამტვერიანებულ ფარდავს, ქილობს, რამდენიმე დაწვირიანებულ დაბამბულ საბანს და მიუცილებელ წვრილ-წვრილ ხაბაკებს. ამ ავლა-დიდების პატრონს ცოლ-შვილი

\*) „ივერია“ 1878 № 13;

\*\*) „ივერია“ 1893 № 71;

\*\*\*) ib. № 79;

\*\*\*\*) ib. № 207.

სანახევროთ ტიტველა უყრია არა თუ სახლში—  
შინაობაში, არამედ გარეთაც კი. ასე წარმოიდგი-  
ნეთ, თემობაშიაც კი შეხვდებით ფეხ-შიშველა ქა-  
ლებს... თვით სახლის უფროსი, მამა, ყოველ ცის-  
მარე ღღეს, დარში და ავდარში, თავ-ფეხ-ტიტვე-  
ლა, თავის ცხენებით ეზიდება და ეზიდება შავ-  
ქვას იმ იმედით, რომ ღღეს არა ხვალ წელში გა-  
ვიმართები და ოჯახს ვუპატრონებო“.\*) ასეთი ამ-  
ბებით ავსებენ ჩვენს გაზეთებს სოფლის მეთვალ-  
ყურენი. ამნაირათვე ხატავს ბელეტრისტიკა გლე-  
ხის მდგომარეობას.

„ნაბატონარი გლეხი, გიგოლა ნალექარიშვი-  
ლი, როგორც ეხლანდელი გლეხ-კაცობის უმრავ-  
ლესობა, ძალიან ხელ-მოკლეთ და ღარიბათ ცხოვ-  
რობდა თავის ცოლით და წვრილი შვილებით.  
მამეული „ნადელი“ ბევრ ნაწილათ ოჯახის გაყრი-  
სა და მამულის გაყოფის გამო თითქმის არაფერი  
დარჩომოდა. ერთი კალოს ტოლა ვენახი, პატარა  
ჩალა-დაფარებული წნული სახლი, პაწია ეზოთი,  
ორი ხარით—აი მთელი ამისი უძრავი და მოძრა-  
ვი სარჩო-საბადებელი, შინაური ვეჯისა და ქათამ-  
წიწილის გარდა, რომელიც არა იყო-რა სათქმე-  
ლი.\*\*) გოგია უიშვილი ცხოვრობს „პატარა მქვარ-

\*) „ივერია“ 1893. № 94. „შორაპნის მახრა“. ასე-  
ვე სწერენ: „ივერია“ 1892 № 94, 1893 წელს №№ 31,  
36, 67, 200, 222; „Новое Обозрение“ 92 წ. აპრილა  
და სხვ.

\*\*) „ივერია“ № 90. 1893. მოთხრობა „გიგოლა  
ქირაზე“.

ტლივით გაშავებულ, ფიცრის სახლში, რომლის ავეჯ-სამკაულს შეადგენენ ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთები: ოღრო-ჩოღრო ფიცრის ტახტზე ეწყო ჭილობი, ძველი ქუჭყიანი ლეიბი, ასეთივე საბანი და ბალიში (მუთაქის მაგიერათ ხის ძირკვი ედო), ქვედა კუთხეში ერთმანეთში არეულიყვენ ერთი დიდი და ერთი პატარა თუჯის ქვაბები, ქვის კეცი და ორი პირ-მოტეხილი დოქი. იქვე თაროზე ეწყო ათი-თხუთმეტოდე ხის ჯამი, ხისავე ფილი და გობი, ზევით კუთხეში, ერთ მხარეს ეგდო ცული და წალდი, მეორე მხარეს იდგა ერთი დიდი და ერთი პატარა გოდორი; საცეცხლოურში ეკიდა მქვარტლისაგან გაშავებული ხის კავი. აი ამით თავდებოდა გოგია უიშვილის სახლის ავეჯეულობა\*)... „ში-იძლება ზოგს ეგონოს ღარიბი ცოტას მუშაობს? მაგრამ არა, ჩემო მკითხველო, ღარიბი დილით საღამომდინ დაუსვენებლივ მუშაობს, მაგრამ მაინც ისევ ღარიბია\*\*)... „მუშა გლახს რაც უნდა დარი იყოს, მაინც არ შეუძლია მოისვენოს: გლახმა კარგათ იცის, რომ მოსვენება და სატანჯველის მოშორება უარესს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არას დროს არ მოისვენებს\*\*\*)...—ამბობს ბ-ნი ნინოშვილი. „მოსვენება კარგია, შეალო მარა ვინ მოვასვენებს! მებატონეს, მღვდელს, ხელმწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყველას პასუ-

\*) „რამდენიმე მოთხრობა“ ე. ნინოშვილისა 15—16 გვ.

\*\*\*) „ივერია“ 1878 წ. № 13.

\*\*\*) „რამდენიმე მოთხრობა“ 97 გვ.

ხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის გული“ —ნაღვლი-  
ანად ეუბნება გლეხი ივანე თავისი ვაჟს ნიკოს\*).

აი რანაირ სამწუხარო სურათს წარმოგვიდ-  
გენს გლეხის მდგომარეობა.ის მუდამ ღარიბია. რა  
არის ამის მიზეზი? რასაკვირველია პირველათ უმა-  
მულობა. ის სხვის მიწაზე ცხოვრობს, ხნავს, თე-  
სავს და სხ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აზნაურობას  
ქონდა მამული, მიუხედავად ამისა უმრავლესობამ  
ხელიდან გაუშვა და გაღარიბდა. რუსეთში ბევრ  
ალაგას მიწის საზოგადო მფლობელობაა. ე. ი.  
მიწა სოფელს ეკუთვნის და საკმარისად არის განა-  
წილებული. მთელ რუსეთში თითოეულ გლეხ-კაცს  
საკომლო მიწა ხვდება 12,3 დესიატინა, თითოეულ  
მამაკაცზე მოდის 4,1 დესიატინა. მაგრამ „მიწის  
ნაწარმოები გლეხის არსებით საქიროებასაც ვერ  
აკმაყოფილებს“ —იწერება რუსული გაზეთის კორე-  
სპონდენტი\*\*), რის გამო საშინელი შიმშილო-  
ბა დაატყდა თავს. სტავროპოლის გუბერნიაში  
„თითო სულს მიეცა ნადელათ 19 დესიატინა,  
ანუ 38 დღიური და დღეს ათ პროცენტს გლეხო-  
ბისას ერთი ნაჭერი მიწაც აღარ აქვს“\*\*\*)... 1891  
წლის რუსეთის „საგლეხო ბანკის ანგარიშიდან  
სჩანს, რომ ამ წელს ბანკს დარჩენია 90,606  
დღიური მიწა; წარმოიდგინეთ, იმ წელს, როცა  
მთავრობამაც დიდი შეღავათი მისცა მოუსავლობი-

\*) ib. 112 გვ.

\*\*) „ივერია“ 92 წ. № 28.

\*\*\*) „ივერია“ 93 წ. № 77-

საგან დამშეულ ხალხს ბანკის ვალის გადახდა-ში, 100 ათასი გლახი სტოვებს თავის მიწა-წყალს და კუქ-მშიერი გაზბის სხვა-და-სხვა შორეულ მხარეს, სოფლათ და დაბა ქალაქებში ქუჩა-ქუჩა ლუკმა-პურის საშოვნელად\*). რუსეთის გლახ-კაცობის გალატაკება ერთობ საშინელის ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ის მუდამ სტოვებს თავის მიწა-წყალს და სხვაგან ეძებს სარჩოს. ჩვენში კი, მაგ. ქუთაისის გუბერნიაში, ყოველგვარი მამული: ეზო, ვენახი, სახნავ-სათესი, ტყე, საბალახო და უვარგისი მიწები თითოეულ კომლს გლახისას ხვდება 4,23 დესიატინა, თითოეულ მამა-კაცს 1,28 დესიატინა\*\*). მთელ ქართლში გლახთა საკუთრება იქნება 5<sup>0</sup>/<sub>0</sub> ვერც კი შეადგინოს\*\*\*). მიუხედავად ამისა ჩვენი გლახ-კაცობა ჯერ კიდევ არ დაძრულა თავის ადგილიდან (რუსეთთან შედარებით) და კერას არ მოსცილებია. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ჩვენი აზრით ის **დამარღვეველი პროცესი**, რომელიც რუსეთის ხალხს საფუძველს ურყევს და თავის მამულ-დედულიდან სდევნის, ჩვენში ახლათ ფეხ-ადგმულია. სრულ ზრდას და განვითარებას მოკლებულია ჯერ-ჯერობით. ამისთვის მისი მკაცრი გავლენა სუსტი და ფერ-მკრთალია.\*\*\*\*)

რაში იხატება ეს პროცესი?

\*) იხ. № 70.

\*\*) „ივერია“ 92 წ. № 28.

\*\*\*) „ივერია“ 93 წ. № 71.

\*\*\*\*) ამბობენ: ქართველ გლახს განსაკუთრებით ხასიათი აქვს: ის მამა-პაპეულ მიწას არ მეფეშვებაო. გერმანელი გლახიც ამ თვისებით იყო გათქმული, მაგრამ ურიცხვმა დასტოვა სოფელი და ქალაქებს მიაწყდა. საზოგადოთ „კუქის საქმე“ უფრო ძლიერია, ვიდრე ტრადიცია.

X

„ქიზიყის სიღარიბის და ნივთიერათ დაკემის მიზეზი, სხვათა შორის, ის იყო, რომ ყველა სოფელში იყო და ახლაც არის გამართული რამოდენიმე დუქანი სხვა-და-სხვა საქონელითა. ქიზიყელი დედა-კაცები იპარავდენ სახლში სარჩოს და მთარბენინებდენ დუქანში. ვაჭრები რაღას შვრებთან? ორი და სამი თუმნით იგირავებდენ ვენახებს, რამდენიმე წლის განმავლობაში სარგებლობდენ მოსავალით და შერე კიდევაც ისაკუთრებდენ და ახლა სიღნაღის მაზრაში მრავალი ვენახი უჭკრია ამ ვაჭრებს\*). „ვაჭრების წყალობით მრავალი გლეხკაცი სრულიათ დაგლახაკდა... ისინი იფანტებთან ზაქათალის მაზრის ყველა სოფელში, სადაც მოშორებულნი არიან ყოველგვარ ზედამხედველობას და სტარცვავენ ხალხს\*\*). „ხიდის-თაველების მშვენიერი შეკაზმული ვენახები და სახნავი მიწები სულ იმათ (სომეხთ) და ორიოდე ჩვენებურ ბობოლას ხელშია“\*\*\*). „სიღნაღს რის დარდი აქვს: მოვა მოსავალი სიხარულით აღარ არის, არ მოვა კიდევა და უფრო მხიარულობს. ერთსა და მეორე შემთხვევაშიაც ადვილათ ახერხებს იოლათ წასვლას, ქონების შეძენას, ამისი უნარი და შნო სიღნაღს დიდი აქვს. ერის გაჭირვებაცა და ლხენაც ამისთვის დღესასწაულია, ქორწილია, აღდგომაა. აი როცა მოუსავლო-

\*) „ივერია“ 1878 წ. № 17.  
 \*\*) ib. № 30.  
 \*\*\*) ib. № 28.

ბით ხალხს გაუჭირდება, სიღნაღს ყოველივე ბევრი აქვს და სისხლის ფასათ აძლევს. ეს ქალაქი თავის მაცხოვრებელ მაზრას ლუკმა-პურს ართმევს და სწველის ოსტატურათ, მოხერხებით... ოთხ აბაზზე მეტს სარგებელს აძლევს (გლეხი) თუმანზე თვეში და კიდევ უხარია, ემადლიერება ფულის პატრონს, რომ ასე იაფათ იშოვა, ოთხი თვის შემდეგ, ე. ი. მკათათვეში, პური უნდა მისცეს ფულის პატრონს, კოდი მანათათ. რომ არც წელს მოუვიდეს პური, მაშინ? მაშინ ხომ ყმათ გაუხდება ფულის პატრონს სამ თუმანში. ამაზე მეტ უკიდურეს მდგომარეობამდე კიდევ გინდათ მივიდეს ხალხი?\*)

ბ. ე. ნინოშვილი საუცხოვო ხელოვნებით გვიხატავს სოფლის ბობოლათა ტიპს, რომელსაც ღრმით აქვს გადგმული ფესვი ჩვენს ცხოვრებაში. „...აა, შენ წაწყმედილო ქვეყნის ყლაპიავ, რას მერჩი, რას!“ ეუბნებოდა გლეხი სიმონა დავითს. „ხალხი მისცვივდა სიმონას და მიაფარა პირზე ხელი:

—ბიჭო, ხომ არ გადირიე, თავადიშვილი ვერ გაუბედავს ამას მაგისტანა სიტყვებს? შენი ტოლი ხომ არ გგონია! გაჩუმდი! გაჩუმდი!..

—შენ მებრალები, თვარა ამას (სიმონას) ასწავლიან ქვეს, იმისთანა ადგილზე ჩავაჯენ “ —ეტყოდა დავით სიმონას დედას, როდესაც ის ბოდის მხობილიდა მის წინაშე; „აპატივე, ბატონო, ბაღანია, უჭკუო“ —ო. როდესაც სიმონა თავის სახლში ლანძღვას დაუწყებდა დავითს, დედა მივარდებოდა და

\*) „ივერია“ 93 წ. № 77.



მუდარების კილოთი ეტყოდა: — „შვილო, ნუ მეთქინ, ნუ იტყვი ამისანას. შვილო, ჩვენ ობოლი ვართ და იგი ნეფის ტოლი კაცია, რომ მოინდომოს, ერთის სიტყვის თქმით დაგვლუპავს“. \*\*) ვინ არის ეს დავით, რომლის წინაშე ასე მოწიწებით მუხლს იდრეკს მთელი ხალხი? საიდან მოიპოვა ამ „ნეფის-ტოლმა“ კაცმა იმდენი ძალა, რომ ერთის სიტყვითაც შეუძლია სიცოცხლევც ჩაუმწაროს ადამიანს? შეიძლება მის წინაშე იმისთვის ძრწის ხალხი, რომ უმალლესი მთავრობის წარმომადგენელი იყოს, ან საზოგადო ღვაწლ-მოსილი და ხალხის სარგებლობისათვის თავ-დადებული? არც ერთი და არც მეორე. მაშ ვინ არის?

აი რას მოგვითხრობს თვით ავტორი დავითის ვინაობის შესახებ: „დავით დროიძე გლეხი იყო, ერთი აზნაურის „ნაკაცვარი“. ყმაწვილობისას დავით ვილაც ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იდგა, ჯერ მოჯამაგირეთ და მერე „პრიკაშჩიკათ“. შემდეგ როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითმა თითონ დაიწყო ნიგვზის ხეების ყიდვა-გაყიდვა... რამდენიმე ხნის შემდეგ დავითმა დაანება თავი ხის ვაჭრობას და სიმინდის ვაჭრობას ხელი მიჰყო. ამ ვაჭრობამაც კარგა ბლომათ შესძინა ფული დავითს... უკანასკნელ, დავით მობრუნდა სოფელში, შეიყიდა თავის მებატონესაგან საკომლო მიწები, გაიკეთა კარგი ოდა (სახლი) და გაიჩინა ცოლ-შვილი. თუ რამ „საფოდრაათო“ გამოჩნდე-

\*) „სიმონა“ ე. ნინოშვილისა.

ბოდა, დავით თავის ხელიდან არ გაუშვებდა. თუ არა და ცხოვრობდა ფულების პროცენტით—ფულებს მეზობლებში ასესხებდა... დავითმა გაიკეთა თავის სოფელში ღუქანი“. ის აქედან იგებს ფულს და მისმა უფროსმა ვაჟმა მახლობელ ქალაქში დაიწყო ვაჭრობა „მანიფაქტურით“. მიწა-ადგილს დავით თან-და-თან იძენდა, ასე რომ „ბოლო დროს კარგი მამულის პატრონი თავადისთვის შეეძლო ხელის გაწვდენა“, რისთვისაც „აზნაურის ოჯახს“ უწოდებდნენ მისს სახლობას\*). აი ვინ არის დავით. იმას კარგათ „აულია ალლო დღევანდელ ვითარებისა და მრავლათ მოუკრებია ხელში ქონება და დოვლათი“. ამისათვის „ნეფის-ტოლ კაცათ გამხდარა სოფელში. ეს ერთხელ ღარიბი გლეხი, ახლა მთელი სოფლის ბატონათ შექმნილა, მას ყურ-მოჭრილ მონათ გაუხდია ხალხი. დავითსა და ხალხს შორის დიდი ორმოა ამოთხრილი. ერთს მხარეზე დგას შბრძანებელი, მეორეზე მონა-მორჩილი; ერთისაკენ მოგროვილია სიმდიდრე და ძლიერება, მეორისაკენ —სიღარიბე და უძლურება. ერთი სიტყვით დავითს და დანარჩენ გლეხებ შუა ხილია ჩატეხილი. —დავით თავის სოფელში პატარა მეფეა\*\*).

გადაიკითხეთ „ივერიაში“ სხვა-და-სხვა სოფლიდან გამოგზავნილი კორესპონდენტციები, რომელიც აგვიწერს ჩვენი სოფლების დღიურ ვარამს, მისი ცხოვრების ავ-კარგიანობას და თქვენ დაგვერწმუნებით, რომ დავით ჩვენი ცხოვრების ღვიძლი

\* ) ib.

\*\* ) ib.

შვილია, ნამდვილ ნიადაგზე არი შექმნილი და აღ-  
მოცენებული.

ამნაირათ, ახალი ცხოვრება დამყარდა ახალ  
 საფუძველზე. მისი არსებითი თვისება ფული შეიქ-  
 მნა. „არ იცით, რომ სიცოცხლე ბრძოლაა?—ეკი-  
 თება დავით დროიძის ვაჟი ტიტკო ძმებს:—ბუ-  
 ოთი და შეიდანი იმას რჩება, ვინც მძლავრია. სიმ-  
 ძლავარე ანუ ძალა ეხლანდელ დროში ფულია. \*)  
 ფულის შექმნის უფლება, ბატონ-ყმობის გაუქმე-  
 ბის შემდეგ, ყველას მიეცა. რაკი ეს ასე მოხთა,  
 ცხადია, რომ ყველა თანასწორათ ვერ შეიძენდა.  
 ამიტომ მიუვალი კედლით შემოზღუდული წოდება  
 შეიკრა. მის გულ-ღვიძლში ჩაჯდა დანაწილების მა-  
 ტლი. გლეხ-კაცობაში ჩნდებიან ერთი მხრით და-  
 ვით დროიძე, მეორე მხრით სიმონა. რა აქვთ ამ პირთ  
 საერთო? სრულიათ არაფერი. რამდენათ დავით მალ-  
 ლა დგას ქონებით, იმდენათ სიმონა დაბლა არის. ფუ-  
 ლმა დაიმონავა უფლება, შექლებამ—სიღარიბე. მძლავ-  
 ვრმა—სუსტი. აქ ამიერიდან წოდებაზე აღარ არის  
 ლაპარაკი, ის de facto აღარ არსებობს. მისი აღა-  
 გი ფულმა დაიჭირა. მდიდარი ხარ, მაღალ წოდე-  
 ბას ეკუთვნი, ღარიბი—დაბალს. დავითს „კარგი  
 მამულის პატრონი თავადისთვის შეეძლო ხელის  
 გაწვდენა“. გლეხ-კაცობა (როგორც აზნაურობა) ირ-  
 ლვევა, ნაწილდება ორათ: გლეხი მდიდარი და გლეხი  
 ღარიბი. ესენი ნივთიერათ დაცალკევებულნი არიან,  
 საერთო მხოლოდ ძველი მოგონება დარჩენიათ, ის

\*) „სიმონა“.

რომ ერთხელ ორივე თანასწორათ ატარებდენ ცხოვრების მძიმე უღელს. ამიერიდან გაქრა ის დრო, ისტორიას ჩაბარდა.

## XI

მეტყვიან: გლეხი ღარიბი, გლეხი მდიდარი, ორივე გლეხია, ორივე თანასწორ მოვალეობას ასრულებენ, ორივეს ერთი და იგივე უფლება აქვსო. განვიხილოთ, რამდენად ჭეშმარიტია ეს აზრი.

რაკი გლეხ-კაცობა ეკონომიურად დანაწილდა, უფლება-მოვალეობითაც უნდა დანაწილებულიყო. ჭვა-კუთხედს ადამიანის ცხოვრებისას ქონებრივი მდგომარეობა შეადგენს. ქონება და უფლება — ეს ორი მხარეა ერთი და იმავე მოვლენისა. ისინი ისე მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი, რომ ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს. ვინც თავის ხელში სიმდიდრეს აგროვებს, ის ამით უფლებასაც იძენს. ქონება თავისკენ იზიდავს უფლებას, თუ შეიძლება ასე ითქვას. შინაარსს უფორმით არსებობა არ შეუძლია. საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ (1789) დაამხო ძველი წოდებრივი განწყობილება და დაამყარა ახალი. ძმობა, ერთობა, თავისუფლება—აი რა ეწერა მის დროშაზე. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა, რომ უფლებით თანასწორობა ვერ გააბედნიერებს ქვეყანას და თვით ეს თანასწორობა ფიქციაა. ხალხი გათანასწორებული *de jure*—დარჩა გაუთანასწორებელი *de facto*. რისთვის? იმისთვის, რომ ნამდვილი უფლება იმან მოიპოვა, ვინც ქონებით გაძლიერდა.

ერის წეს-წყობილების სათავეში შექმნილნი ჩად-  
 გენ და კანონ-მდებელნიც თვითვე შეიქმნენ. ამ მწა-  
 რე სინამდვილემ გამოააშკარავა და ყველასთვის  
 თვალსაჩინო გახადა ერთი ქეშმარიტება: **ეკონო-  
 მიური ურთიერთობა არის საფუძველი უფლებ-  
 რივი ურთიერთობისა**: ამას ვერც ჩვენი ქვეყანა ას-  
 ცდება.

ორი ერთი და იმავე წოდების წარმომადგენე-  
 ლი, ნივთიერად განსხვავებული, უფლება-მოვალეო-  
 ბითაც განსხვავებულია. აქ ცხოვრების სინამდვილე  
 არ ეთანხმება იურიდიულ სინამდვილეს. შეიძლება  
 წარმოვიდგინოთ, რომ დავითს და სიმონას ერთნაი-  
 რი უფლება, თანასწორი ხმა ჰქონდეთ საზოგადოე-  
 ბაში? ორივე გლახია, ორივეს ერთი უღელი აწევს  
 კისერზე. მაგრამ დახე ბედის წერას? რალაც მანქა-  
 ნებით დავითი სრულიად თავისუფლდება ამ მოვა-  
 ლეობისაგან. ის იძენს უალრეს უფლებას. დავით „სა-  
 სულიერო წოდების კაცათ ჩაეწერა, თუმცა არავის  
 ახსოვს, რომ დავითის მამა-პაპათაგანი ვინმე სასუ-  
 ლიერო წოდებისა ყოფილიყოს“. როგორ მოხდა ეს?  
 ეს კანონის აშკარა დარღვევა არ არის? დავითმა  
 „თავის დროზე დახაჯა ფულიო“. \*) ამ მოკლე სი-  
 ტყვით მრავალი ითქვა. სუყველაფერი ფულის საქმე  
 ყოფილა. აი სად მარხია დედა-ძარღვი! აი სად იხ-  
 სნება გორდიონის კვანძი! ქონებამ კანონს გადააბი-  
 ჯა, ყურ-მოქრილ მონად გაიხადა. კანონიერად კი  
 არ შეეძლო დავითს სურვილის განხორციელება?

\*) ibid.

„მექოთნე (ჭურჭლის მკეთებელი) ქოთანს ყურს სითაც უნდა, იქით გამოაბამს“ — ამბობენ გურიაში; „ფული ღერძია, რომლითაც შეიძლება ქვეყნის გადაბრუნება“ — იმეორებენ ანგარიშის მოყვარე ინგლისელები. „ესეც რომ არ მოეხერხებინა დავითს, ის სავაჭრო მოწმობანი, რომელთაც დავითის შვილები იღებენ ყოველ-წლივ, სრულიათ გაანთავისუფლებდა გლეხ-კაცის მოვალეობისაგან“\*). მაშასადამე, ორი გზით შესძლება დავითს უპირატესობის მოპოვება, ორივე შემთხვევაში ფულის წყალობით, ქონებით იძენს უფლებას.

მოდით და შეადარეთ ამას საწყალი სიმონა, გოგია უიშვილი, გაბრიელა ჩამწარდაძე, გიგოლანარეკალაშვილი და სხ.! ამათ არა თუ აძლევენ, პირიქით, იმასაც კი ართმევენ, რაც აქვთ. გოგიას სცემენ, იჭერენ, შოლტენ, სატუსალოში ამწყვდევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ბეგრის გადახდა ორი დღით დაავციანა\*\*). მათი ადამიანური ღირსება ფეხ-ქვეშ ითელება, მათი მცირე უფლებაც ვიწროვდება და ბოლო ეკვეცება. დაბეჩავებული გლეხოზა საკუთარ სასოფლო საქმეებშიაც მოკლებულია თავისუფლებას. მამასახლისის, მწერლის და სხვა მოხელეების არჩევა ხდება თითო-ოროლა პირის მიერ...

აი რანაირ გათახსირებულ მდგომარეობაშია გლეხ-კაცობის უმრავლესობა. ის თანდათან ლატაკდება როგორც ქონებით, ისე უფლებით. ამით ხერხია-

\*) *ibid.*

\*\*) „რამდენიმე მოთხრობა“ ე. ნინოშვილისა.

ნათ სარგებლობს უმცირესობა და თავისუფლათ  
 თლის შარაზე დადებულ დუმას. დიახ, ხალხი ცხვრის  
 დუმაა, რომელსაც ყველა ამვლელ-ჩამომვლელი თი-  
 თო ნაჭერს აჭრის. გრძნობს აჰას ხალხი? შეგნებუ-  
 ლი აქვს თავისი მდგომარეობა? ხმარობს რაიმე ლო-  
 ნეს თავის ადამიანურ უფლების დასაცავათ? „ხალ-  
 ხი უმეტეს შემთხვევაში ქვევრი არის, რასაც ჩასძა-  
 ხებენ იმასვე ამოსძახებს“ — გვეუბნება ბ-ნი ნინო-  
 შვილი. \*) თუ კი ხალხს თავის თავზე რიგიანი წარ-  
 მოდგენა არ აქვს, არ გაეგება — რა შეადგენს მის  
 ღირსებას, არ იცის, ვინ არის მისი მოყვარე და მტე-  
 რი, მაშინ ის, რასაკვირველია, საუკეთესო სარბიე-  
 ლია, სადაც ადამიანის ქვენა-გრძნობები საზრდოს  
 პოულობს და ყოველგვარი უსამართლობა და ძალ-  
 მომრეობა ფრთა-გაშლილი პარპაშობს. ამ შემთხვე-  
 ვაში ხალხი ცხვრის ფარაა, საითკენაც სურთ, იქით  
 გარეკენ, როგორც სურთ, ისე გაკრეკენ, ვინ არის  
 წინააღმდეგი, ხმის ამომღები! „გავლენიანმა დავით-  
 მა ჩასძახა: სიმონა მავნებელიაო და ხალხიც იმეო-  
 რებდა მავნებელიაო“. \*\*) ცხადია, გლახს სიღარი-  
 ბე მოფიქრების ნებას არ აძლევს. ის მოკლებულია  
 საკუთარ შეხედულებას, მისი ცხოვრება წყვდიადით  
 არის გარემოცული, სადაც ცნობიერებას ვერ ჩაულ-  
 წევია. ხალხს ძარცვენ მოხელენი. რისთვის? იმისა-  
 თვის რომ „ალარა გვაქვს ერთობა, დაგვირღვევია  
 ურთიერთთან კავშირი, აღარც ურთი-ერთისათვის

\*) „სიმონა“  
 \*\*) ibid.

გულ-შემატკივრობაა ჩვენში და აღარც ურთი-ერთის გამოსარჩლებათა—იწერება სოფლელი.\*) „საწყალ ხალხს ბრმა შური და მტრობა ერთმანეთისა ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი“—ჩივის მეორე კორესპონდენტი\*\*):

განთვითება, ინდივიდუალიზმი ისე გაძლიერებულია გლეხში, რომ თავის თანამოძმის ქირი სრულებით დავიწყებული აქვს: მის შესახებ გულ-გრილია, სხვის მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს. ამისათვის ის ცალკე უღონოა, მისი ხმა მისუსტებულია, უმნიშვნელოა, მისი ძალა მიმქრალია, მიმალულია. ხოლო უძლური ცალ-ცალკე, ძლიერია ერთათ. აქ მაგონდება გვარჩანათ ძველი, მაგრამ, ამისთანა შემთხვევაში მუდამ ახალი არაკი: ერთი მოხუცებული რომ სიკვდილზე მიიწურა, მოატანი-ნა შვილებს ერთი კონა ისარი; მოსწია ერთათ და ვერ დაამტვრია, თითო-თითო კი მაშინვე დაღეწა. შვილებს მიუბრუნდა და უთხრა: თუ ერთათ იქნებით, მტერი ვერას დაგაკლებთ, თუ გაიყრებით, გაცალკევდებით, მტერი ისე დაგლეწავთ, როგორც მე თითო ღერო დავღეწეო. ერთი რუსის მწერალი ამბობს: „ხალხის მომზადება თავის ინტერესებისათვის საბრძოლველათ—აი რაში მდგომარეობს ხალხის სამსახურიო“. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც, როგორც ამბობს თ. ილ. ჭავჭავაძე, „ხალხს თვისი უფლება და მოვალეობა კარ-

\*) „ივერია“ 1878 წ. № 28.

\*\*\*) „ივერია“ 1793 წ. № 31.



გათ აქვს აწონილი და ცნობილი, თუ ამასთან ხორც-სისხლში გამჯდარი აქვს, რომ ჩემი მეზობლის უფლების დარღვევა ჩემი უფლებას დარღვევასაც მოასწავებს“-ო \*). აი, ამ ნიადაგზე უნდა იქმნას აგებული ღარიბი ხალხი, ერთ ეკონომიურ და იურიდიულ უფელ ქვეშ მყოფი, ობიექტიურათ უკვე მზათ არის ერთობისა და კავშირისათვის. ამას მხოლოთ შეგნება აკლია. მიეცით ამასთანავე ხალხს **თვით-ცნობიერება** და ის დღევანდელ ჯოჯოხეთს ხვალ სამოთხეთ გადააქცევს...

## XII

ყოველივე ზევით მოხსენებულიდან ჩვენ ნათლათ ვხედავთ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობიდან ჩვენს ცხოვრებაში შემოვარდა მოვახშე, მოსარგებლე თანხა (კაპიტალი). ამის არსებითი თვისება იმაში იხატება, რომ ის პირ-და-პირ არ გადადის წარმოებაში; ამ ნაირი ფულის პატრონი მწარმოებელი არ არის. აქ ფული ფულს იგებს უშუამდგომლოთ, იგებს საქმეში დაუბანდებლათ. აქ არავითარი შრომის წეს-რიგი, კანონიერება არ არსებობს. ერთის ჯიბე იცლება მხოლოთ იმიტომ, რომ შიგ რამოდენიმე ხანს სხვისი ფული იღვა. ამ სახით, ფულმა შეანგრ-შემოანგრია ერი და დაყო ორ ჯგუფათ: ფულის პატრონი და უფულონი, მდიდარი და ღარიბნი. ამით მომზადდა და მზადდება ნიადაგი, რომელზედაც უნდა აღორძინდეს და აყვავდეს წარმოება.

\*) „ივერია“ 1878 წ. № 16. მეთაური წიგნილი.

წარმოება ვერ გაჩნდება, სანამ შრომა თავისუფალი არ არის (ბატონ-ყმობაში), მეორე, სანამ მუშას ცხოვრების ვითარება არ წაიყვანს მწარმოებლის კარებისაკენ და არ ხდება მოქირავეთ. პირველ პირობას ასრულებს კანონ-მდებლობა, ხოლო მეორეს—მოვახზე თანხა. ამ უკანასკნელის საშუალებით მდიდარი ღარიბდება, ღარიბი ღატაკდება. ორიოდ დღიური მიწა, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს ახალ ცხოვრების მრავალ-ფერ მოთხოვნილებას, კაცი შიმშილით უნდა მოკვდეს (მაგალითად შიმშილობა რუსეთში), აქ ჩნდება წარმოება, იხსნება ქარხნები და ეს ოჯახის განწირული შვილი პოულობს ბინას, იჩენს საქმეს. იბადება უმიწა-წყლო ბოგანო ხალხი (რასაკვირველია, ეს უცებ არ ხდება).

ამ გვარათ წარმოებისთვის ორი რამ არის საჭირო: თანხა და მოქირავე მუშა. ეს ორი ძალა მუდამ ერთი-მეორის მოწინააღმდეგეა, ერთმანეთთან მებრძოლი და შეჟურიგებელი. რამდენათაც იზრდება პირველი, იმდენათ ღატაკდება მეორე. ამისთვის ასინი დაუცხრომელ კიდილში და მტრობა-ქიშპობაში არიან. მიუხედავად ამისა, ორივე ყოველთვის ერთათ არის, უერთ-მეორით არსებობა არ შეუძლიათ, საწარმოვო თანხა იზრდება მუშის ძალ-ღონით, მუშა საზრდოს პოულობს მხოლოდ დღიური ქირით. პირველი ვერ იხეირებს უმუშაოთ, მეორე ვერ დარჩება უსაქმოთ. ამით ეს ორი ძალა მჭიდროთ არის დაკავშირებული. ამათი დანაწილება და დაცალკეება შეუძლებელია.

ჩვენში ჯერ კიდევ სჭარბობს მოვახშე თანხა. მაგრამ იმის სიღრმიდან იბადება საწარმოვო ფული და მკვიდრდება აღებ-მიცემობა. ამას ხელს უწყობს ერთი მხრით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ერის გაღარიბება, მეორე მხრით, გარეშე ბუნებრივი პირობები: „რამდენათაც ეს გარეგანი ბუნება კავკასიისა მრავალ-გვარობით მდიდარია, იმდენათ მის მიწის გულშიაც მოიპოვება აუარებელი სიმდიდრე მადნეულობისა, რომელთაგან ზოგმა კიდევ იჩინა თავი მსოფლიო აღებ-მიცემობაში, როგორც მაგალითათ, ბაქოს ნავთის წყაროებმა, ქვა-გუნდამ (მარგანეცმა), ქვა-ნახშირმა.

ამ სახით, ჩვენი ქვეყანა შეუმჩნევლათ უკვე დაადგა წარმოების გზას, ერმა თავი გაყო **კაპიტალიზმის კახრაკში.**

ყოველი ისტორიული ხანა წამოაყენებს რაიმე მეტად დიდ და საყურადღებო კითხვას, რომელიც ასე თუ ისე ახსნილი უნდა იქმნას. ეს კითხვა არ არის ზეციდან მოვლინებული, ან უქმი ჭკუის უქმი ნაყოფი. ის არის აშენებული უტყუარ ნიადაგზე, ფესვები ღრმად აქვს გადგმული ცხოვრებაში და მის სიღრმეში თან-და-თან იზრდება და მწიფდება. ამის გამოაშკარავება ისტორიული აუცილებლობაა. ამისათვის ადრე თუ გვიან ის მთელი თავისი არსებით წარსდგება საზოგადოების წინაშე: გინდა თუ არა ყურადღება უნდა მომაქციოვო. ვაი იმ საზოგადოებას, რომელიც ამას თავის ღრობზე ვერ შეიგნებს და თუ შეიგნებს, ზურგს შეაბრუნებს! იგი საზო-

გაღობა ყოველი მიზეზის გარეშე დამარცხებული დარჩება არსებობისთვის ბრძოლაში. იმას აღგვა მოელის დედა-მიწის ზურგიდან. ორი ამგვარი კითხვა შექმნა ჩვენმა თანამედროვე ცხოვრებამ და თხოულობს საზოგადო მოღვაწის სრულ ყურადღებას. ორივე შეიცავს უმთავრეს ძარღვს ჩვენი არსებობისას და შეეხება როგორც მთელ ერს საერთოთ, ისე თითოეულ პირს კერძოთ.

როგორც მოვიხსენეთ, პირველ წერილში, საქართველო უკვე დაადგა ნივთიერათ გაერთიანების გზას. ამით მზადდება საფუძველი ეროვნული გაერთიანებისა. აქედან ეროვნულ გრძნობათა გაღვიძება და ერთი მიზნისკენ მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე. ხალხი ცხოვრობს უფრო აწმყოთი. იმისთვის საინტერესოა თანამედროვე ნივთიერი მდგომარეობა. თუ კი ხალხი ეკონომიურათ იჩაგრება სხვისაგან, მაშინ ის რასაკვირველია, აშაირი დაჩაგრვის მოსპობას ცდილობს. მაგალითად, რამდენივე საუკუნეა, რაც ინგლისი ფლობს ირლანდიას. ყველა ღონისძიება იყო მიღებული ირლანდიის გაინგლისელებისათვის. მართლაც, დაარსდა იქ ინგლისური მწეოლობა, ხელოვნება, მეცნიერება და სხ. მიუხედავად ამისა, ბრძოლა ამ ერთა შორის არ შეწყვეტილა. რატომ? იმიტომ რომ ინგლისმა დაუწყო სისხლის წოვა უფრო მგრძნობიარე ადგილს ირლანდიისას; მან მოინდომა ირლანდიის დამორჩილება ეკონომიურათ ადგილობრივი წარმოების შესუსტებით და დაქვეითებით. ამისათვის ირლანდიის მექარხნეობა დაეცა, სასოფლო მეურნეობა დაირ-

ღვა, ვაქრობა და აღებ-მიცემობა მისუსტდა და სხ. აპრიგად თვით ეკონომიურ საჭიროებამ მოითხოვა ირლანდიის თავისუფლება ანუ თვითმართველობა. აქ შესანიშნავია ის გარემოება, რომ ირლანდიის თავისუფლების წინააღმდეგნი გახდენ ის მამული-შვილნი, რომელნიც ნივთიერად კეთილ-დღეობაში არიან; სახელდობრ, ირლანდიის ლორდები \*). — თ. ბისმარკის საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო და-მორჩილებულ ერთა გაგერმანელებისაკენ, ამისათვის მან დააარსა განსაკუთრებითი ბანკი, რის საშუალებითაც პოლონელთა მაწა-ადგილი (სილევზიაში) უნ-და შეესყიდა და გერმანელები დაესახლებინა. ამან გააღვიძა პოლონელები და მათში გამოიწვია მღელ-ვარება. პოლონელებმაც დააარსეს თავისი ბანკი და შეისყიდეს მამულები იმ პირთაგან, რომლებიდანაც ბისმარკს სურდა შექმნა. სადაც კი ბისმარკის ბანკი დაიწყებდა მოქმედებას, იქ უთუოდ პოლონელთა ბანკიც შეეცილებოდა ხოლმე კიდევაც იმარჯვებდა. საიდან მოიპოვეს ამდენი ფული ასე უცებ პოლო-ნელებმა? საინტერესოა ამ ბანკის დაარსების ამბავი. ბისმარკის პლანმა ისე შეანძრია მთელი სილევზია, რომ არ დარჩენილა არც ერთი პოლონელი, რომ თავის წვლილი ამ ბანკში არ შეეტანოს. ორი გრო-შის პატრონსაც კი ერთი გროში შეჰქონდა. რა-ტომ? იმიტომ რომ მთავრობა შეეხო უმთავრეს მხა-რეს ხალხისას, მის ადგილ-მამულს, სახლ-კარს, ერ-

\*) იხ. გლადსტონის სიტყვა ჰომრულის შესახებ, „კვირია“ 93 წ. № 36. ცხადია აქედან, რომ შეძლე-ბულთათვის საშობლო არ არსებობს.

თი სიტყვით, ყველაფერს იმას, რითაც თავს ირჩენდა გლეხი.—მესამე მაგალითი. რა იქნა ჩეხიაში ეგრედ-წოდებული ძველ-ჩეხთა დასი? გაჰქრა, აღარ არსებობს. რატომ? იმიტომ, რომ მის დროშაზე ეწერა ერთი მხრით ეროვნობა, მეორე მხრით არისტოკრატია, მდიდართა უფლების დაცვა, ერმა უარჰყო ესა.\*) მის მაგიერ ჩადგა ახალ-ჩეხთა დასი, რომელმაც თავისი პროგრამა უმრავლესობის ეკონომიურ მდგომარეობას შეუთანხმა. ძველი პროგრამიდან არისტოკრატია ამოშალეს და დემოკრატია ჩასწერს. ერთი სიტყვით როცა ერი შეიგნებს, რომ მას ისე ეპყრობიან, როგორც მეტ-ხორცს, რომ მისი ადგილ-მამული დაუსჯელათ იფლანგება და სხვებს ურიგდება, მაშინ იგი მოდის მოძრაობაში თავის თავის დასაცავათ და ნივთიერი მდგომარეობის განსაკარგებლათ.

მეორე მხრით, ერის გაერთიანებას ზოგჯერ თან მოსდევს, როგორც ზევით გავარკვეეთ, უმრავლესობის ნივთიერთ და სულიერთ გაღარიბება. ამით მზადდება საზოგადოებრივი ნიადაგი, რომელიც აერთებს ადამიანთა გუნდთ საერთო მოღვაწეობისათვის. აქედან იწყება **გაღარიბებული ნაწილის დაკავშირება და თვით-ცნობიერების შექმნა პოლიტიკო-ეკონომიურ ნიადაგზე.** აქ ჩვენ ვადგებით იმ გზას, რომელსაც ადამიანი პირდაპირ მიჰყავს ნივთიერ კეთილ-დღეობისაკენ. თანამედრო-

\*) იხ. ხი ჯუჯა ახალ-ჩეხისა. „ივერია“ 92 წ. № 88-  
 აქედან სჩანს, რომ ჩეხიის არისტოკრატია გადაუდგა  
 სამშობლოს და მიემხრო გერმანელებს.

ვე ევროპაში ვხედავთ, რომ მღელვარება ქონებრივი მეტ-ნაკლებობის წინააღმდეგ უკვე დაიწყო უმრავლესობის სასარგებლოთ. ამ შემთხვევაში შრომის წარმომადგენელი—მუშა და გლეხი—შეადგენენ ერთს მხარეს, ხოლო მეორე მხარეს—ქონების პატრონი ანუ კაპიტალისტები (კაპიტალისტი ეწოდება როგორც მექარხნის მფლობელს). ამ სახით ერთი იყოფა ორ დიდ წოდებათ: მდიდარი და ღარიბი. ესენი ერთად აბრძვიან გარეშე მტერთა წინააღმდეგ, ერთმანეთს ებრძვიან სამკვდრო-სასიცოცხლოთ შინაურ ცხოვრებაში. ბრძოლა ღარიბთა და მდიდართა შორის მუდამ არის, განუწყვეტლივ არსებითი მოთხოვნილებაა ეხლანდელი საზოგადოებისა, ამას ვერც ერთი ერთი ვერ აუქცევს გზას. მხოლოდ ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის ხდება ხან-და-ხან, ერთ დროებით და წყდება მაშინვე, როგორც კი აღწევენ თავიანთ სურვილს. რა აქვს საერთო ამ ორ მოვლენას? რატომ ასე თავგანწირულად ებრძვის ერთი ერთი მეორეს თავისუფლების მოპოებისათვის? ღარიბი და მდიდარი რათ არის მუდამ არსებობისთვის ჭიდილში? ერის თავისუფლება რისთვის არის საჭირო? უკეთესი ცხოვრებისათვის. პიროვნების თავისუფლება რათ გვინდა? უკეთესი ცხოვრებისათვის. აშკარაა, ორივე სათავეს ცხოვრებიდან იღებს. ხოლო ცხოვრების დედა ძარღვი, როგორც მოვიხსენიეთ, დამარბულია ეკონომიურ ვითარებაში, ნივთიერი კეთილდღეობა—აი რა არის ბურჟუი ცხოვრებისა. ამ გვარათ ეკონომიური ურთი-ერთობა შეადგენს

იმ საერთო ნიადაგს, რომელზედაც იზრდებიან ფესვები ბრძოლისა, როგორც მთელი ერის, ისე თვითეული ადამიანისა. ორივე შემთხვევაში პროგრესიულ მოღვაწეს დაჩაგრულთა მხარე უჭირავს. ირლანდიის ის ლორდები, რომელნიც წინააღმდეგნი არიან სამშობლოს თავისუფლებისა, ცხადია, მოლაღატენი არიან თავის ერისა. ის მოღვაწენი, რომელნიც იცავენ უმცირესობის უფლებას, წინააღმდეგ უმრავლესობისა, ცხადია მტერნი არიან თავის ერისა, ვინაიდან ერს შეადგენს უმრავლესობა და არა უმცირესობა. \*)

ამ სახით, ჩვენ მივადექით შემდეგ დასკვნას: 1, ნივთიერი კეთილ-დღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2, თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევათ და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3, ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსე-

\*) ქ. კარბოში (საფრანგეთში) მეშათა დღესასწაულზე (1893 წ. 1 ნოემბერს) დეპუტატმა ჯიულ გედმა სხვათა შორის სთქვა: მოწინააღმდეგენი ჩვენ გვიწოდებენ „sans-partie“ (უსამშობლო). მე წინააღმდეგი ვარ ამ ტერმინისა. პატრიოტები ვართ ჩვენ მუშები, და არა თქვენ, ბურჟუები! სამშობლო გაჭირვების დროს ჩვენში 3პოულობს მფარველს და არა თქვენში! ომში ჩვენი სისხლი იღვრება და არა თქვენი, ბანკირებო და ფინანსისტებო! რესპუბლიკის დაწესებულებანი ჩვენი ფულით ინახება და არა თქვენის, მდიდრებო! ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ველობით კეთდება და არა თქვენის, თანხის-პატრონებო!...



ბანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქმნას ეკონომიურ ნიადაგზე...

ესევე აზრი შეიძლება გამოიხატოს კიდევ ამ ნაირათ:

**I**, ეკონომიური კეთილდღეობა—როგორც უმთავრესი პირობა აღამიანთა ბედნიერებისა; **II**, ვაჭრობა და წარმოება—როგორც ძველი კარ-ჩაკეტილი ცხოვრების დამარღვეველი და ერის და კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა (პროგრესიული მოვლენა). ა) ერის და თითოეულის პირის თავისუფლება—როგორც საუკეთესო საშუალება შეორე მუხლში, მოხსენებულ სურვილის განსახორციელებლათ; აქედან, **III**—გაძლიერება ბურჟუაზიული წესწყობილებისა და უმრავლესობის ნივთიერათ გაღარიბება, ადგილ-მამულის ხელიდან გაცლით და უმცირესობის ბატონობით (რეგრესიული მოვლენა); **IV**, გაღარიბებული ნაწილის შეკავშირება და პირველ მუხლში მოხსენებულ სურვილისკენ მიპართვა—როგორც პირ-და-პირი იარაღი კეთილდღეობის მოპოვებისა (პროგრესიული მოვლენა).

ყველა ეს მოვლენანი ასე რიგ-რიგათ არ ხდებიან ცხოვრებაში. ისინი ერთმანეთში არიან არეულნი და ხშირათ ერთათ მოქმედებენ.

---

გაზ. „მომხმე“

და

ეროვნობა

(1897)

I

ამ ბოლო დროს „მომხმე“ (1 №) და „ივე-  
რიაჲ“ (№ 15) ერთ საყურადღებო კითხვის შესახებ  
აღძრეს ბაასი,—ეს არის პარტიოზის არსებობა ჩვენ-  
ში. კითხვა თავიდანვე ასე დადგა: სასურველია თუ არა  
პარტიების აღორძინება? „მომხმე“ გამოთქვა, სა-  
სურველიაო, „ივერიაჲ“ კი არ არის სასურველიო.  
ჩვენ ამ საგანს სხვა მხრივ გავშინჯავთ. საქმე იმაში  
კი არ არის, მოვლენათა გუნდი ორათ გაყო. ერთს  
უწოდო ცუდი, მეორეს კარგი, ერთით აღტაცებაში  
მოხვიდოდე, მეორე კი გეზიზღებოდეს. ვისაც საგ-  
ნის გაცნობა სურს, ის პირველათ იკითხავს: აქვს  
თუ არა საფუძველი ამა თუ იმ მოვლენას. თუ მოვ-  
ლენა ჯერ კიდევ არ გამოაშკარავებულა ერთიანათ  
და სავსებით, მაშინ კითხვა ასე უნდა დადგეს: შე-  
საძლებელია—ამ გვარი მოვლენის გამოჩენა? ერთი  
სიტყვით გამორკვეული უნდა იქმნას მიზეზი მისი  
არსებობისა, უნდა გადიშინჯოს ნიადაგი და მისი  
შემადგენელი ახალი და ძველი ელემენტები გამოი-  
ჩხრიკოს. შეიძლება მოვლენა სრულიათაც არ იყოს  
სასურველი, მაგრამ ისეთი ნიადაგი მომზადდეს, რომ

მისი აღმოაჩენლობა შეუძლებელი გახდეს; ან ჯერ  
დღევ ძლიერ სასურველიც იყოს, მაგრამ საკმარისი  
მიზეზები არ მოეპოვებოდეს და სამუდამოთ გაჰქ-  
რეს. დასები ვერც დაიბადება და ვერც მოისპობა  
თითო-ორიოლას სურვილით, ხელოვნურათ. ისინი  
ცხოვრების განვითარების მიერ უნდა იქმნენ წარ-  
მოშობილნი და ფესვებ-გამაგრებულნი. ამისთვის  
ჩვენ ვიკითხავთ: შესაძლებელია თუ არა ჩვენში და-  
სების გაჩენა? ე. ი. არის ისეთი საზოგადო კით-  
ხვები, რომელთაც ყოველთვის და ყველანი ერთ-  
ნაირათ არ გადაჭრიან? სანამ ამაზე მიუყვებდეთ,  
საჭიროა ცხოვრების გულში ჩახედვა. იქნება თვი-  
თონ ცხოვრებამ მოგვცეს—თვალთახედვის წერ-  
ტილი მოვლენათა გასათვალისწინებლათ და გასა-  
გებათ.

ჩვენი ცხოვრების შესახებ ჩვენი აზრი გამოვ-  
თქვით ორ წერილში („ეკონომიური წარმატება და  
ეროვნება“, „მოამბე“ № 5—6), რომლის დედა-  
აზრს აქ მოვიყვანთ: საქართველოს დღევანდელი გან-  
ვითარება შეიცავს ორ მხარეს, ორივეს აუცილე-  
ბელს და ერთმანეთთან მჭიდროთ შეკავშირებულს:  
ნივთიერად **გაერთიანება** საქართველოს სხვა-და-სხვა  
კუთხის და ნივთიერათ **დაყოფა** ქართველი ხალხის,  
ორივე ხდება აღებ-მიცემობის კაპიტალის წყალო-  
ბით. პირველ შემთხვევაში თუ ერთი ერთიანდება იდე-  
ებით **ეროვნული** თვით-ცნობიერების ნიადაგზე, მეო-  
რე შემთხვევაში იგივე ერთი ნაწილდება ინტერესე-  
ბით ეკონომიური თვით-ცნობიერების ნიადაგზე.  
ყოველივე ფეხის ნაბიჯი ჩვენ მიერ წინ გადადგმუ-

ლი მოასწავებს ეროვნული შრომის, საწარმოვეო ძალის განვითარებას—ერთი მხრით. კლასიური განხეთქილების, სოციალური ანტაგონიზმის აღორძინებას—მეორე მხრით. ეს ორი მხარე ერთი მეორეს შვილია, პირველი იწვევს მეორეს, მეორე ავითარებს პირველს. ჩვენი ცხოვრება, რომლის შინაარსს წინათ წოდებრივი წყობილება და პატრიარქალური იდილიური დამოკიდებულება შეადგენდა, დღეს გაევროპიელების გზას დაადგა.

წოდებების ფაქტიურათ გაუქმება და ხალხის დაყოფა თანახმად სიმდიდრე-სიღარიბისა—აი, ეს გზა. აქ ირღვევა ძველებური იდილიური განწყობილება და მის ალაგას გულ-ცივი, მშრალი ბურჟუაზიული ანგარიში დგება. ამგვარათ ეროვნული და სოციალური კითხვა—აი, ის ორი ფეხი, რომელზედაც ცხოვრება შედგა და საშინელი სისწრაფით წინ მიეჭანება. ეს ჩვენი არსებობის დედაძარღვია, ეს ჩვენი წარმატების საფუძველია. ასეთია სინამდვილე. შეიძლება აქ დასების გაჩენა? „ივერია“ გვეუბნება, მათი „არსებობა ჩვენი ცხოვრების ბუნებრივ (!) მოთხოვნილებას არ შეადგენსო“, რადგანაც ჩვენ ყველას ერთი საქმე, ერთი მიზანი გვაქვს—ეროვნების დაცვაო. ეს აზრი „ჩვენი უპირველესი წადილია და უახლოესი საფეხური ეტაპი, რომელსაც უნდა მივალწიოთ. ხოლო როდესაც ამ საფეხურს ავალწევთ, მაშინ თვით ცხოვრება მოითხოვს ჩვენს დანაწილებას სხვა-და-სხვა მიმართულებათ“. ამ სახით „ივერიას“ ჰგონია, ცხოვრება ასეთ მის მიერ დამწკრივებული საფეხუ-

რებით მიმდინარეობს, ჯერ ერთი, მერე მეორეო.  
ნამდვილათ კი ყოველივე მოვლენას ორი მხარე  
აქვს: კონსერვატორიული და პროგრესიული. ამ  
ორ წინააღმდეგობის შეტაკებით მოძრაობს თვით  
მოვლენა. ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩუ-  
ლი ეკონომიური წარმატებაა, რამაც დაბადა ერო-  
ვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება.  
**საქართველო ერთი, განუყოფელი:** საქართველო  
ორი სიმდიდრ-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი.  
თუ პირველ კითხვაზე ვერთდებით, მეორეზე ვიყო-  
ფით. თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე  
მტრის წინააღმდეგ ერთათ ვდგევართ, ეს არის  
არსებითი თვისება უმაღლესი განვითარების. როცა  
„ივერია“ ამბობს, „ჩვენში დასები არ არისო“,  
ამით მხოლოდ იმას აქტიცებს, რომ ჩვენი ცხოვ-  
რება ჯერ ჩვილი, განუვითარებელიაო. ხოლო რო-  
ცა გვარწმუნებს, რომ ჩვენში დასები არც უნდა  
იყოსო, ამით მხოლოდ ჩვენი განუვითარებლობა  
პრინციპათ აჰყავს და აკანონებს, ჩვენ ვერ განვი-  
თარდებითო.

განვიხილოთ ეგვევ კითხვა სხვა მხრივ. „ივე-  
რია“ წერს: „ხალხს და ლიტერატურას ჰყოფს მრავალ  
პარტიათ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვ-  
რება“. რუსეთში ამგვარი თავისუფლება არ არის.  
მაგრამ მისი ამ საუკუნის ისტორია პარტიების ის-  
ტორიაა. განა დღესაც არ არსებობს რუსულ მწერ-  
ლობაში სხვა-და-სხვა მიმართულება? სანამ ევროპა-  
ში პოლიტიკური თავისუფლება დამკვიდრდებოდა,  
მანამდისაც არსებობდნენ პარტიები. საფრანგეთში ენ-

ციკლობედისტები (XVIII საუკ.); გერმანიაში მე-  
 მარცხენე ჰეგელიანები და რადიკალები (ამ საუ-  
 კუნის პირველი ნახევარი), ინგლისში ნიველისტე-  
 ბი და სხ. (მე-XVII საუკ.). ამათი წინააღმდეგნი-  
 იყვნენ სხვა-და-სხვა კონსერვატორული დასები.  
 როცა ასეთმა პარტიომამ მოიკიდა ფეხი, მაშინ ცხო-  
 ვრებამაც ძირითადი ცვლილება მოახდინა, რაც ამ-  
 ტკიცებს იმას, რომ პარტიომა სიმწიფის ნიშანია. ✓  
 „ივერია“ გვეტყვის: ყველა ეს დამოუკიდებელ ერ-  
 ში წარმოებს, დამოკიდებული, დაჩაგრული ერი ასე  
 არ ჰყოფს თავის ძალასო. მართალია ეს? გავშინ-  
 ჯოთ ისტორია და დღევანდელი ცხოვრება.

**ირლანდია.** აქ დაარსდა სამი დასი, რომელიც  
 იღვწოდა ირლანდიის ხალხისათვის. 1878 წელს  
 მიხელ დავითი შეიქმნა „აგრარული ლიგის“ მოთა-  
 ვე და გამოაცხადა შემდეგი: „ირლანდიის კითხვა  
 არ არის მარტო პოლიტიკური. კითხვა როგორც  
 პარნელს და მის დასს ჰგონია (ჰომრულერებს).—  
 არა, ის სოციალური კითხვაა, უნდა ჩამოერთვას მი-  
 წები ლორდებს და უმიწა-წყლო ფერმერებს დაუ-  
 რიდესო“. ამ ეკონომიურ პროგრამას ემხრობო-  
 და მეორე დასი—ფენიები—იმ გარჩევით, რომ ის  
 მიილტვოდა ირლანდიის სრულ განთავისუფლების  
 და რესპუბლიკის დამყარებისაკენ. ჰომრულერებს კი  
 სურდათ მხოლოდ ირლანდიის თვით-მმართველობა  
 ინგლისის მეფის წინამძღოლობით. იმ დროს დავი-  
 თი დაიჭირეს, სასტიკი სასჯელი მიუსაჯეს. ამან ააღე-  
 ლვა „ლიგა“ და შეიქმნა საშინელი მოძრაობა. პარ-  
 ნელმა სასწორი მართლ-მსჯელობისა „ლიგისკენ“

გადახარა და მის მოთავეთ შეიქმნა. მისი დასიდან ზოგი მიემხრო, ზოგი არა. ამ ორმა დასმა მთელი ირლანდია შეძრა საიდუმლო, თუ აშკარა მოქმედებით, რისთვისაც გლადსტონი (1881 წ.) იძულებული შეიქმნა განსაკუთრებითი წესები შემოეღო და პარლელიც დაეჭირა. ამ დროს გამოჩნდა მესამე დასიც—რიზოლები. ეს დასი ძველია, მისი დაარსება ეკუთვნის 1820 წ.. 1835—55 წ. გაძლიერდა და მერე კი მისუსტდა. ახლა ხელ-ახლა აღდგა. მისი პროგრამა ვერ არის რიგიანათ გარკვეული, უფრო რადიკალურია, თითქმის სოციალისტურიც. ყველა ეს დასები სამაგალითო ერთსულობას იჩენდენ მთავრობასთან ბრძოლაში, შაგნით კი სხვა-და-სხვა ნაირათ იღვწოდენ. ამათ წინააღმდეგენ ირლანდიის ლორდები და ინგლისს დაუკავშირდენ. არეულობა გაძლიერდა. როგორც ამ ლორდების, ისე ინგლისის წინააღმდეგ. მაშინ გლადსტონმა მოისურვა ზომიერ დასთან შერიგება. ინახულა სატუსალოში პარლელი და თანხმობის პირობაც შეკრეს. ირლანდიის თვითმმართველობა და ფერმერთათვის საკუთარი მიწის მიცემა—ეს იყო ამ პირობის უმთავრესი მუხლი. ორმა დანარჩენმა დასმა ეს საქმე პარლელს ლალატობაში ჩამოართვა. გლადსტონმა კი ჯერაც ვერ შეასრულა დაპირებული. ამ ნაირათ, როგორც ხედავთ, ირლანდიას ოთხი დასი ჰყოლია.

**ჩეხია.** ამ ათი წლის წინათ ჩეხიაში ფესვი გადგმული ჰქონდა ეგრეთ წოდებულ ძველ-ჩეხთა დასს, რომელიც ნაციონალური პირობადით შეძლებულთა ინტერესს იცავდა. დროთა-ვითარებამ მათი ნამდვი-

ლი მიზანი საქვეყნოთ გახადა. 1881 წ. ზოგიერთი მადნების მუშებმა მუშაობა აკვეთეს, მოითხოვეს დღიური ქირის მომატება, ათი საათის სამუშაო დღის შემოღება და სხ. მაშინ ტააფეს სამინისტრო იყო, რომელმაც მოიწადინა ავსტრიის სხვა-და-სხვა ერთა მორიგება. მუშათა მოძრაობამ ძალიან გააოცა მთავრობა და ჯაჩით დაამშვიდა. ძველ-ჩებთა დასმა ხელი შეუწყო საქმის ასეთ დაბოლოვებას. ასეთი მუშაობის აკვეთა და ასეთი დამშვიდება გახშირდა. ამას მიემატა გლეხთა მოძრაობა უზომო გადასახადების და სხვა უკანონობის წინააღმდეგ. მიტინგებით მოიფინა ქვეყანა. წინ წარმოაყენეს ეკონომიური ინტერესები. გლეხთა უმთავრეს კომიტეტმა აშნაირი პროკლამაცია გამოაცხა (1 ივნის 1881 წ.): „იმპერატორმა ჩვენ გაგვათავისუფლა ბატონ-ყმობისაგან, მაგრამ ჩვენ ახლა მეორე უღელი დაგვადგა: დიდი კაპიტალი და ფულიანი ბარონები. ამათ რომ ჩვენი ყურადღება გარეთ გაიტყუონ, უშინაასო პროგრამას ხელს ჰკიდებენ, აბა, რომელი ერი შეიქმნება ბატონიო. ამავე დროს ყოველივე უპირატესობა და დახმარება ეძლევა კაპიტალისტებს და ფულიან ბატონებს. ყველა ეს, რასაკვირველია ჩვენს ხარჯზეა. ჩვენზე არავინ წუხს. გლეხებს არ ყავს მეგობარი არც ქრისტიანებში, არც ურჩებში, არც მდიდრებში არც ღარიბებში. გლეხობა არსებობს იმიტომ, რომ „დიდი-კაცები“ დებუტატებათ ამოიჩიოს; შემდეგ, ურჩევს ყველა გლეხებს ეროვნობის განურჩევლათ, კავშირის შედგენას და თავიანთთვის ბრძოლას. გამოითქვა აგრეთვე ის აზრი, რომ გლეხი მუშა და წვრილი-



ლი მწარმოებელი ერთათ შეერთდენ მსხვილ კაპიტალის წინააღმდეგ. აი აქ დაეკარგა ავტორიტეტი და სახელი ძველ დასს. უნდა გამოჩენილიყო ახალი პოლიტიკური დასი და კიდევ გამოვიდა. ამან თავისი პროგრამა ააშენა ორ უმთავრეს მუხლზე: ხალხის ნივთიერი ინტერესების და ეროვნული თვითარსებობის დაცვა. ამ დასს დაერქვა ახალ-ჩეხთა დასი, რომელმაც საშინლათ დაამარცხა მოწინააღმდეგე ძველი დასი. ამ ბოლო დროს ჩეხიაში ფეხი მოიკიდა სოციალ-დემოკრატთა დასმა, მაგრამ ეს და ახალი ჩეხები თან-და-თან უახლოვდებიან ერთმანეთს. ამათ გარეთ კიდევ არიან წვრილი დასები.

**ვენგრიაში.** სანამ ის თვითმმართველობას მოიპოვებდა, ორი დასი მუშაობდა: კოშუტის და დეაკის „(იხ. „მოამბე“ № 4, „კვალი“ № 25, 1894 წელ.).

**პოლონეთში.** ორი დიდი დასი მოღვაწეობს ვარშავის მწერლობაში, ორი უმთავრესი მიმართულებაა: კონსერვატორული და პროგრესიული (უკანასკნელის ორგანო არის საკვირაო ჟურნალი „Głos“).

ოსმალეთის **სომხეთში** ორი დასი იბრძვის: ჰონჩაკელები და დროშაკელები. თბილისის სომხობაში ორი დასია: პროგრესიული („მშაკი“) და კონსერვატიული („ნორდარი“).

ერთი სიტყვით ყველა წინ-წაწეულ, გარეშე სახელმწიფოს მიერ დამონებულ ერებში დასები ყოფილა და არის. მხოლოდ თბილისის ქართული გაზეთი „ივერია“ გამომდგარა და იძახის: „დასების არსებობა ჩვენ ბუნებრივ მოთხოვნილებას არ შეად-

გენსო“. ჩვენ სულ იმას ვფიქრობთ, ვაი თუ „ივერია“ ამით მხოლოდ იმას გვეუბნებოდეს, რომ „ყველამ „ივერიის“ თავი მოიბით და ჩვენ თანახმათ იფიქრეთო. ამ შემთხვევაში „ივერია“ გამოდის გონების ინკვიზიციის მოძღვრად. ეს-ღო აკლდა ჩვენ ობ-მოკიდებულ უაზრობას!

## II

რაკი „ივერიამ“ ერთხელ აღიარა, არ არის საქართველო გარდა საქართველოსი და ერთად-ერთი მისი ორგანო „ივერიააო“, რასაკვირველია, ამით მან ბრძოლა გამოუცხადა ყოველი ახალი აზრის გაფურჩქნასა და შემუშავებას, მიმართულების და ცხოვრების ახალი პრინციპით გამოკვლევას. და, აი სწორეთ რამდენსამე დღეს შემდეგ „ივერიაში“ ვკითხულობთ ერთ ფელეტონს, სადაც იგივე აზრია გაბატონებული (№ 19). „კვალი“ სწერდა: მესამე დასმა წინააღმდეგ „ივერია“ — „მოამბისა“ ახალი ეროვნული პრინციპი წამოაყენა: „ჩვენ უნდა ვეცადოთ, მხარი მივსცეთ ყოველ ისეთ გარემოებას, ყოველ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია საქართველოს ერი განამტკიცოს, გააღონიეროს ერთიანობით, პოლიტიკურად და ეკონომიურად; აგრეთვე უნდა ვეწინააღმდეგოთ ყოველ მეცადინეობას, რომელსაც შეუძლია რომელიმე ნაწილი ამ შემკრებლობითი ერთიანობის გააბატონოს და დააწინაუროს სხვა მის ნაწილზე“ და სხ. (№ 5). „ივერია“ თავის-თავის დაცვის მაგიერ, სიტყვას ბანზე აგდებს და ასეთ პასუხს იძ-

ლევა: „მესამოცე წლების მოღვაწეებმა დასახეს ეროვნების პრინციპი სრულიათ სავსებით და არა ცალ-კერძოთ“. ისინი დემოკრატიული პროგრამით იღვწოდნენო. საოცარი პასუხია: მას ამტყუნებდენ დღეს კონსერვატორი ხარო და ის კი მესამოცე წლებზე ლაპარაკობს! შემდეგ ასე განაგრძობს: „გ. წერეთლის აზრით კი ეს პრინციპი ახლა გამოთქვაო მისგან ჩოჩხათის სასაფლაოზე ამოჩენილმა „მესამე დასმა“. ერთი უნდა ვკითხო „ივერიას“, რას ნიშნავს „ეროვნობის პრინციპი“? ეს უბრალო სიტყვაა, თუ რამე შინააჩსი აქვს. უკანასკნელ შემთხვევაში ის წყაროს ცხოვრებიდან უნდა ღებულობდეს, ის კითხვები, რომელნიც ცხოვრებაში ტრიალებენ „ეროვნულ პრინციპს“ საფუძვლათ უნდა დაედვას და შინააჩსათ გაუხთეს. ზევით მოყვანილი ისტორიულ მაგალითებიდან ნათლათ ჩანს, თუ როგორ იცვლება „ეროვნული პრინციპის“ შინააჩსი, როგორ ჩნდება სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა დასი. თუ ჩვენ „ივერიას“ დავუჯერეთ და დასის გამოსაცნობათ მისებურა ეროვნული პრინციპით ვიხელმძღვანელეთ, მაშინ ყველა ეს დასები ერთ და იმავე დასათ უნდა მივიღოთ, რადგანაც ყველა ეროვნული პრინციპის“ დროშის ქვეშ იბრძოდა. როგორც ვიცით, ეს ასე არ არის. „ივერიას“ იმიტომ მოსვლია ეს შეცთობა, რომ სიტყვა საქმეთ მიუღია, „ეროვნული პრინციპი“ ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული ჰგონებია. რასაკვირველია დაცვა ვინაობის, ენის, პირადობის, თავისუფლების — არსებობითი თვისებაა ეროვნებისა, მხოლოთ საქმე

იმაშია, თუ ეს ვის როგორ ესმის და რა საშუალებით დაინტერესებს ამაში ხალხს, ერს რა გზით შეეძლება მისი ცნობიერების აღდგენა. აი, აქ არის მთელი კითხვა. ჩვენ, ეკონომიური მატერიალიზმის მომხრენი, ვაზობთ: ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება უნდა იყოს ერთი-ერთი შინაარსი მისი ყოველ-გვარი ცნობიერებისა. ყველა ზევით ჩამოთვლილი თანამედროვე დასები ეკონომიურ საფუძველზე დგანან, ამისთვის შეიქმნენ ისინი ძლიერნი, რას წინაშე გლადსტონმაც კი ქედი მოიხარა. „ივერია“ თავასი „ეროვნული პრინციპით“ გვაგონებს ბავშვს, რომელიც მთვარეს თხოულობს, მომეცითო და, როცა არ აძლევენ, ტირილს მორთავს. ნატვრა, კეთილი განზრახვა, ვერაფერი თავდება საქმის განხორციელების და მიზნის მიხვევის. „ივერია“ ნატრობს, ნეტავ ეს შემასრულებიაო, ჩვენ კი გვსურს თვით ცხოვრებაში მოვინახოთ ის მატერიალური პირობები, რომელნიც შეადგენენ საპოქმედო ნაიდაგს. აქ კი ვხედავთ დიდ უმრავლესობას ეკონომიურათ დაჩაგრულს, ბევრ უფლებებს მოკლებულს და თუ მოკლებულს არა, სიღარიბის გამო ცხოვრებაში გამოუყენებელს (წვრილ აზნაურობა). ნამდვილი ეროვნული დასი ამათი ინტერესების დამცველია, ამათი ცნობიერების და აღამიანობის აღმდგენია. ახლა ვიკითხოთ, მესამოცე წლებში იქნებოდნენ ის კითხვები, რომელნიც მერმინდელ ცხოვრებამ წამოაყენა? მაშინდელი კითხვა მდგომარეობდა ბატონ-ყმობის გაუქმებაში. ეს იყო საერო, სახალხო საქმე. ჩვენი პროგრესიული მო-

V ღვაწენიც ამ ნიადაგზე იდგენ და ებრძოდნენ ძველ თაობას, ბატონ-ყმობის მომხრეს (იხ. „კვალ“ № 6, 1895 წ.). ამ მოღვაწეობით ჩვენ ნამდვილათაც ვაპყობთ, რაც გამოთქმული იყო „კვალში“ (№ 35, 1894 წ.). მაგრამ მაშინდელი „ეროვნული პრინციპის“ შინაარსი დღეს<sup>1</sup> ჩალათაც არ ღირს. ბატონ-ყმობის მოსპობას ყველა წოდება შეურიგდა და შეეჩვია. ცხადია, დემოკრატიულ დასმა ახალი ნიადაგი უნდა მოძებნოს და მით შეიქმნეს ძველი პროგრესიული დასის გამგრძობი. „ივერია“ ასეთი ნიადაგი თავად-აზნაურობაში ჰპოვა\*). ჩვენ ამ ნიადაგს ვეძებთ ერის უმრავლესობაში, მიუხედავად წოდებისა. ეს უმრავლესობა ახალი ვითარებით საშინელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, უნდა გაცნობიერდეს, შეგნებულად შეეყაროს მომავალს. მაშასადამე, როცა „ივერია“ ამბობს ახლანდელი „ეროვნული პრინციპი“ და მესამოცე წლების ერთი და იგივეაო, ან სიტყვას საქმეთ ღებულობს, ან და არ უწყის, რასაც ამბობს.

აი, აქ ერთდება ეკონომიური და პოლიტიკური მხარეები; „ივერია“ კი ამას ვერ მიხვდა. მას რომ დაუჯეროთ, „ბ. გ. წერეთელი უფრო პოლიტიკური მხარეს უთმობს ადგილს, ყარიბი და პეტრიძე—ეკონომიური მატერიალიზმის პრინციპებს აძლევენ უპირატესობას“. ამის ავტორს რატომ არ გაეგება ის, რომ ყოველივე ეკონომიური ბრძოლა არის ბრძო-

\*) თუ დღეს ამას უარს ჰყოფს „ივერია“, ჩვენ პირველათ გაუწვდით ხელს, როგორც ეს შენიშნული იყო „კვალში“ № 6.

ლა პოლიტიკური (მარქსი). თუ ერთი მწერალი უფრო ერთ კითხვას აქცევს ყურადღებას და მეორე — მეორეს, ეგ მხოლოდ შრომის დაყოფაა და არა მათი აზრთა წინააღმდეგობა. მაგრამ „ივერიას“ სიტყვები სიმართლესაც მოკლებულია. პეტრიძის წერილებში ორივე კითხვაა აღძრული (იხ. „კვალი“ № № 16 — 17, 25, 34—35). თუ „კვალში“ ჩნდება ხანდახან ისეთი წერილი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს დედა-აზრებს (მაგ. ფხას წერილი), ეს ამტკიცებს იმას, რომ რედაქცია ფართო შეხედულობით ხელმძღვანელობს, სურს აზრი გამოიჩვენოს და „ივერია“-სავით გონების შემბოქველათ არ შეიქმნეს. უეჭველია, ასეთი აზრით ხელმძღვანელობდა „მოამბეც“, როცა ჩვენი წერილები დასტამბა, თუმცა მთელი მისი პუბლიცისტიკა ამ წერილების წინააღმდეგია. დიახ, სჯობს ერთმანეთში მოურიგებლობა, იდეების შეტაკება და რისამე გამორკვევა, ვინც „ივერიელობა“, რომელიც სხვისი გონების მოძრაობას ასე სასტიკათ ეპყრობა და საქვეყნოთ აღიარებს, ყველამ ჩემსავით იფიქრეთო.

„ივერია“ ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატების შესახებ. ეს დასი მისთვის აქამდე არ არსებობდა, ახლა აღმოუჩენია, თუმცა ეს აღმოჩენაც თავისებურია. ის გაკვირვებით კითხულობს: რა კავშირი აქვს ამ დასს ჩვენს ცხოვრებასთანაო. ჩვენ ვიტყვით, რომ ამ დასს კავშირი აქვს არა თუ ჩვენთან, არამედ ჩვენზე უფრო უკან ჩამორჩენილ ხალხებთანაც. ავხადოთ ფარდა „ივერიის“ საგულისხმიეროთ. სოციალ-დემოკრატების

მოძღვრება შესდგება ორი ნაწილისაგან: ისტორი-  
 ულ-ფილოსოფიური და პოლიტიკურ-ეკონომიური.  
 პირველი შეიცავს თეორიას ეკონომიური მატერია-  
 ლიზმისას, მეორე კი თანამედროვე წყობილების შეგ-  
 ნებას, კრიტიკას და ამის თანახმად ბრძოლას. პირ-  
 ველი გვეუბნება, რა არის ისტორიის დედა-ძარღვი,  
 როგორ და რანაირად მოვდივართ, საითკენ მივ-  
 დივართ; მეორე იკვლევს სპეციალურად კაპიტა-  
 ლისტურ წყობილებას და გამოჰყავს ის დასკვნა,  
 რომ ეს წყობილება უნდა დაინგრეს, მისი უხალ-  
 ლესი განვითარება მისივე სამარეაო. (იხ. „კვალი“,  
 „პარიჟი“, V—VI). ჩვენი წარსულის და აწმყო  
 მდგომარეობის გასაგებათ ვხელმძღვანელობთ ეკო-  
 ნომიური მატერიალიზმით, ხოლო რამდენად ვითარ-  
 დება კაპიტალისტური წყობილება, იმდენად მეორესაც  
 ხელს ვკიდებთ ერის დაჩაგრული ნაწილის  
 გასაცნობიერებლად ახალი მოვლენის წინაშე.\*)  
 ცხადია, ცოდნა თვით მოძღვრების და ჩვენი ცხოვ-  
 რების შეადგენს ქვა-კუთხედს პროგრესიული მოძ-  
 ჳრებისათვის. ერთი სიტყვით, სოციალ-დემოკრატი-  
 თა მოძღვრება როგორც ისტორიული, ისე ეკონო-  
 მიური მეცნიერებაა, რომელსაც ბურჟუები ებრძვიან  
 ანგარიშით და არა ქეშმარიტების მოყვარეობით (და-  
 სავლეთ ევროპაში); „ივერია“ კი კითხულობს, რა  
 კავშირი აქვს ჩვენთან მეცნიერებასო!

\*) „ივერია“ ამბობს, შეიძლება ჩვენმა ერმა თავი-  
 სებური, არა-კაპიტალისტური, ეკონომიური ფორმა შეი-  
 მუშავოსო. კარგი იქნება, რომ ამ საიდუმლოებას გაგვიმ-  
 ხელდეს, ამ თილისმას გვაცნობებდეს!?

## III

1893 წ. განსვენებულ<sup>ა</sup> ეგ. ნინოშვილმა კვალში ორი პუბლიცისტური წერილი დასტამბა, რითაც ჩვენ დიდი ხნით მიძინებულ „ივერიას“ ძილი დაუფრთხო და ზეზე წამოაგდო. ასეთი თავხედობა, რასაკვირველია, დარბაისელმა გაზეთმა არ აპატივა ახალგაზდა მწერალს და სამაგიერო მიუზღო: ეს ახალგაზდათა „ხტუნაობა, კუნტრუში და ლიკლიკობაა“ მეტი არაფერია (№ 29). 1894 წ. გადაიკვალა იგივე ნინოშვილი და მის დასაფლავების მეორე დღეს „კვალმა“ გამოაცხადა: ჩვენში თურმე ახალი დასაშემდგარა, რომლის მეთაური ნინოშვილი ყოფილაო. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არაფრათ ეჭაშნიკა იმავე „ივერიას“ და ყვირილი მორთო: რის დასი, რა დასი, ჩვენ ვართ და ჩვენო. 1895 წ. მოხდა სასწაულება, გადაბრუნდა ქვეყანა. იგივე „ივერია“ თავის ძველი ბუდიდან გადმომხტარა და საყოველთაო განსაცვიფრებლათ ახალი დასის შუაგულში დასკუბებულა. საუბედუროთ ნახტომი შეშლია და კუდი ისევ ძველ ბუდეში დარჩენია. ამნაირათ ასეთ ჩახლართულ მდგომარეობაში ჩავარდნილა. რა ქნას, საით წავიდეს?.. წინ? მაშინ ხომ სრულიათ შეუერთდა მის მიერ ათვალწუნებულ დასს, ეს კი ასე საქნელოა „ივერიული“ თავმოყვარეობისათვის. უკან?—ეს ერთობ გასაჭირია, უბრალო სტრატეგიული მოსაზრებაც კი ეწინააღმდეგება ამას. აბა, რა სივაჟაკცვა მტრისკენ ზურგის მიბრუნება. ეს ექვსი თვეა ამ განსაცდელშია ჩვენი ერთათ-ერთი ყოველ-



დღიური გაზეთი. ხან იქით გაექანება, ხან აქეთ, მაგრამ ამოთ, თავის ადგილიდან ვერ ინძრევა. ცალი ხელი პროგრესისტებისკენ გაუწვდია, მეორე კონსერვატორებისკენ. სურს ესენი შეაერთოს, დაამაზანაგოს, დასობა ვის გაუგონია. ყველა ერთ-და-იმავე დასს წაშლავადგენთო, მაგრამ არ იქმნა და არა, შეგირდებს არაფერი ესმით, ჯიუტები ყოფილან. ეს იმდენი შეგირდების ბრალი არ არის, რამდენიც თვითონ მასწავლებლის. საქმე იმაშია, რომ ამ დასთა მოძრიგებელ-მოსაშუალებს სრულიათ უყურადღებოთ დაუტოვებია კონსერვატორები და ბრძოლა-დარიგება მხოლოდ პროგრესისტებისაკენ მაუმაართავს. მას არ ასვენებს ერთი გარემოება: რატომ უთუოდ ჩოჩხათის სასაფლაოზე აღმოჩნდა ახალი დასი და არა სხვაგანო? ხოლო ამ უსიამოვნო ამბავს რომ თავი დაახწიოს, ის იშვიდებს გულს: არავითარი დასი არ აღმოჩენილა; მართო გაზეთი „კვალი“ გამოძღვარა და იძახის—ცალკე—ქესამე დასი ვარო! მიუხედავად ამისა, შემთხვევას არ უშვებს თავისი ისარი მისგან უარყოვილ დასს შესტყორცნოს და ამით კიდევ ერთხელ ეწინააღმდეგოს თავის თავს. ერთი ამგვარი ისრის ნატეხი, სხვათა შორის, ჩვენამდისაც მოვიდა და იმედია შემდეგშიაც ასეთი წყალობა არ მოგვაკლდება. ეს მოწყალება კი გამოიწვია ჩვენმა წერილმა, რომელიც დასტაბული იყო „კვალში“ და შეეხებოდა „ივერიის“ ახალ მიმართულებას. სიმართლე მოგახსენოთ, ჩვენ ძლიერო მოხარული ვართ „ივერიის“ ასეთი მოულოდნელი ცვლილებისათვის. ამიტომ სწორეთ მადლობის ღირსია მისი ახალი თა-

ნამშრომელი. ბ. ლალი\*) უეჭველათ პროგრესიული მოღვაწეა: მაგრამ მოგეხსენებათ, მარტო კეთილი განზრახვა, რიგიანი მისწრაფება საკმარისი არ არის. „ივერიის“ პუბლიცისტს, მართალია, ჩინებული მიზანი აქვს, მაგრამ ის საშუალება, რასაც ის ასახელებს, ის მოძღვრება ჩვენი ცხოვრების შესახებ, რომლის ქადაგებას ის შესდგომია, ერთობ კონსერვატიულია და არავითარი კავშირი არ აქვს არც მის მიერ მოწონებულ მეცნიერებასთან და არც მის იდეალთან. შეიძლება, მკითხველს ეს გაუკვირდეს. დასარწმუნებლათ ვთხოვთ ჩვენ მოგვეყვეს და მცირედი ყურადღება მოგვაპყრას. პირველათ აღვადგინოთ საკამათო საგანი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ კამათში ხშირათ ივიწყებენ მას, რამაც კამათი გამოიწვია და ერთი ფეხ-მარდი გადახტომით სრულებით სხვა ნიადაგზე გადადიან.

„ივერია“ წერდა: ხალხს და მის ლიტერატურას ჰყოფს მრავალ პარტიათ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება“. ცოტა ქვევით ასე განაგრძობს: შესამოცე წლების მწერლებმა „აღძრეს ერთი დიდი საგანი, ეროვნული თვითცნობიერება. ეროვნული თავის დაცვა და განვითარება ერისა ევროპიული სწავლა-მეცნიერების საშუალებით. დღეს დროთა ვითარების გამო ჩვენ ყველანი შევადგენთ

\*) ამ წერილის პირველ ორ და დანარჩენ თავების დაწერის და ბეჭედის შორის განვლო რამდენიმე თვემ. ამ ხანის განმავლობაში „ივერია“ გადავიდა ქართველ ნაროდნიკების ხელში, რომლის მეთაური იყო ბ. ლალი. ამიტომ აქ კამათია უკანასკნელებთან.

ერთს პარტიას, ერთი აზრით გამსჭვალულს. საშუალება და სახსარიც ერთი და იგივე გვაქვს ამ აზრის განსახორციელებლათ; მაგრამ თუ ვინმე ახალს რომელსამე საშუალებას დაგვისახელებს, დავეთანხმებით, ოღონდ კი ეს საშუალება ა' ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს აზრს და არ არღვევდეს **ჩვენი ერის** საქირო ერთობას. ზემოხსენებული აზრი ჩვენი უპირველესი წადილაა და უახლოესი საფეხური, ეტაპი, რომელსაც უნდა მივახწიოთ“ (№ 15). ახლა ვიკითხოთ, რა ეტაპი აქვს ავტორს მხედველობაში! თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება, თუ ეროვნული თავის დაცვა? ამის გამოსაცნობად დავიხმაროთ მათი მეორე წერილი (№ 19). აქ ვკითხულობთ: „ყოველმა ჩამორჩენილმა ერმა უნდა იმუშაოს თავის კულტურის ამალლებისა და წარმატებისათვის. „მაგრამ ამას ეწინააღმდეგებიან ერთხელვე დამკვიდრებული ჩვენში ისტორიული გარემოებით გარეშე ძალები“. მაშ, თუ ეს ასეა, **ეკონომიური ბრძოლა აქ არაფერ შუაშია**, და დიდათ საეჭვოა, რომ ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა ბრძოლამ სამოთხის კარებამდის მიიყვანოს ბ. გ. წერეთელი და მისგან აღმოჩენილი მესამე დასიო“. ახლა პასუხი აშკარაა; ავტორს მხედველობაში აქვს ეროვნული კითხვა და არა პოლიტიკო-ეკონომიური. ჩვენ ეს ასე გავიგეთ და თანახმათ ამისა ვუპასუხეთ: დამოკიდებულ ერებში, მიუხედავად იმისა პოლიტიკური თავისუფლება არის თუ არა, დასები ყოფილან და არიან. ამის გამო „ივეჩიამ“ დასტამბა ჩვენდა პასუხით ორი ფელეტონი ასეთი სათაურით: „უახ-

ლობელესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა“. (№ 65, 69). აქ საკამათო საგანი სრულიათ დაუვიწყია და მხოლოდ ბიუროკრატიულ „ზედშენობის“ შესახებ ლაპაოაკობს. ეროვნული თავის დაცვა და „ზედშენობა“ ეს ორი სხვა-და-სხვა კითხვაა, მათი ერთმანეთში არევა, ერთის მაგიერ მეორის ჩასმა პოლემიკური ხერხია და მეტი არაფერი. ჩვენს ინტელიგენციაში ჯერ კიდევ სადავოა, ამ ორ კითხვას შორის არსებობს რაიმე კავშირი თუ არა. თვითონ „ივერიას“ არა ერთხელ გამოუცხადებია, რომ ჩვენ სრულებით არ გვინტერესებს ის, რაც რუსეთის ახალგაზრდობას ამოძრავებსო. აი, მაგ. მისი სიტყვები: „ვისურვებთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა საფუძვლიანათ ჩაუფიქრდეს და აწონოს ისა, თუ რა ძირითადი განსხვავება არსებობს რუსეთის განათლებულ თაობასა და ქართველ განათლებულ თაობას შორის. რაც შეუძლოა და შეშვენის დიდოჯახს, პატარა ოჯახი იმას ვერ აიტანს და აჩირებული იქნება ასეთ პრეტენზია დიდკაცობაზე პატარისაგან (1894 წ. ივლისი)“. რაკი ეს ორი სხვა-და-სხვა საგანია, მაშ რა უფლება ჰქონდა, მოპასუხეს კამათი ერთისაგან მეორეზე გადაეტანა და თუ გადაიტანა, რატომ არ აღნიშნა? ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ ამ ორ კითხვას შორის მართლა არავითარი კავშირი არ არსებობდეს: არა, ჩვენ გვსურს მხოლოდ კამათის წეს-რიგის დაცვა და მწერლობიდან ხრიკების განდევნა.

ახლა კი გავყვეთ ავტორს იქით, საითკენაც თვითონ გამგზავრებულა, ხოლო გზა-და-გზა გავ-

სინჯოთ მისი ეკონომიური წერილებიც და ბოლოს გამოვიყვანოთ, თუ რა ჯურის პროგრესისტებს უნდა ვაკუთვნოთ განახლებული „ივერია“ და მისი ახალი თანამშრომელი.

პირველი კითხვა, რომელსაც „ივერია“ წააწყდა და გადაჭრით კი ვერ გადაჭრა, არის კითხვა ეროვნობის შესახებ. რას ნიშნავს ეროვნული პრინციპი, ეროვნული განვითარება, ეროვნება? აი, რა არის გასარჩევ-გასარკვეველი. „ივერია“ ხშირათ უტრიალებს ამას, უელის გარშემო, ებლაუქება ხან ერთი მხრით, ხან მეორეთი, მაგრამ ამაოთ? კითხვა მაინც კითხვათ რჩება. „ივერიიდან“ ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს: 1) ეროვნული პრინციპი წამოყენებული იქმნა მესამოცე წლებში და გადმოეცა დღევანდელ მწერლობას; 2) ეროვნობის საქმეში „ეკონომიური ბრძოლა არაფერს შუაშიაო\*);

\*) „ივერიის“ წერილების გარჩევა ერთობ ძნელია. არ არის არც ერთი დედა-აზრი შიგ გამოთქმული, რომელიც იქავე ან მეორე ალაგს არ იყვეს დარღვეული. ეს აშკარათ გამოარკვია ბ. „ქართველმა მკითხველმა“! ამისთვის შეიძლება ჩვენც ისეთი პასუხი მივიღოთ, როგორიც მიიღო ქართველმა მკითხველმა: მაგ. კითხვების პასუხი იქვე, ჩემს წერილებშიაო. სწორეთ რომ არის. ერთ ალაგას ამბობს „ეკონომიური ბრძოლა არაფერს შუაშიაო“, ხოლო როცა ჩვენ შევნიშნეთ, რომ ეროვნული ბრძოლა შენდება ეკონომიურ ინტერესებზე-მეთქი, ასე წერს: „რომ ხალხმა შეიგნოს და შეიყვაროს ეროვნული იდეალი საქიროა მის სარჩულათ დაედვას მტკიცე-განსახდვრული რეალური ინტერესებიო“. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით ლოლიკურ ნახტომებს. ჩვენ გვსურს მხოლოთ ამ არეულობაში სისტემა შევიტანოთ. რაც ძალათ მიწებებულაია გამოვაცალოთ და გულ-ღვიძლი გამოუშალოთ.

3) „ჩვენს („ივერიისას“) ეროვნულ პრინციპს საფუძვლათ უდევს მთელი ერის ყოველმხრივი განვითარება, რათა ამით ჩვენს ერსაც შეეძლოს თავის მხრივ შეიტანოს წვლილი კაცობრიობის საერთო კულტურაში“ (№ 19, 69). ამ გვარათ, ეროვნული განვითარება ყოფილა ერის ყოველმხრივი ვითარება ეკონომიური განვითარების გამოკლებით, ასეთია პასუხი, ასეთია მისი ეროვნობა! რა არის საჭირო ერის ასეთი უშინაარსო განვითარებისთვის? ამისთვის საჭიროა, რომ ერის ცხოვრებას ხელს არ უშლიდეს არავითარი გარეშე გარემოებაო“ გვეუბნება გაზეთი. მაგრამ, ერმა რომ ეს გარეშე გარემოება დაძლიოს, თავიდან მოიშოროს, საჭიროა, ის იყოს განვითარებული, გაღონიერებული. „ივერია“ კი გვეუბნება, ის ვერ გაღონიერდება მანამდე, სანამ თავისუფალი არ არისო. რანაირათ გამოვიდეთ ამ მოჯადოებულ წრიდან? განუვითარებელია, იმიტომ რომ თავისუფალი არ არის. თავისუფალი არ არის იმიტომ რომ განუვითარებელია. საით არის გასავალი? ავიღოთ მეორე მაგალითი; „ივერია“ ამბობს: „რომ ხალხის თვითცნობიერება იქმნას აღდგენილი, სოფელში უნდა დატრიალდეს ინტელიგენცია და ამ მხრით უნდა იმოღვაწოს, ხოლო, ასეთ მოღვაწეობას კი წინ ეღობება „იგივე ზედ-შენობა“, რომელმაც რუსეთის ინტელიგენციის მოძრაობა შეაჩერა“. აქაც წრეში ტრიალებთ: ხალხი თვით-ცნობიერებას მოკლებულია იმიტომ, რომ „ზედ-შენობა“ ხელს უშლის. „ზედ-შენობა“ ხელს უშლის, იმიტომ რომ ხალხი თვითცნობიერებას მოკლებულია;

ხალხის განუვითარებლობა „ზედ-შენობის“ ბრალის, ზედ-შენობის არსებობის მიზეზი ხალხის განუვითარებლობაა და სხ., ან კიდევ: კაპიტალიზმის არსებობისთვის საჭიროა პროლეტარიატის არსებობაო, მაგრამ მეორე მხრით პროლეტარიატის არსებობისთვის საჭიროა კაპიტალიზმის არსებობაო. კაპიტალიზმი ვერ გაჩნდება უპროლეტარიატოთ, პროლეტარიატი უკაპიტალიზმით; კაპიტალი აჩენს პროლეტარს, პროლეტარი—კაპიტალს. ერთი სიტყვით ეს კითხვები ატრიბუტით, როგორც გსურდეთ, ვერც თავს უპოვით და ვერც ბოლოს. „ივერია“ და „მოამბემ“ ჩაგვიკეტეს კარები და დაგვტოვეს. საკვირველი ის არის, რომ ნაობახში დამწყვედულთ გვარაგებენ, „იმოქმედეთო“. „ივერია“ წერს, ჩვენში მშრომელი ხალხი სოფლათ არის და არა ქალაქად, მაშასადამე ინტელიგენციაც სოფელში უნდა წავიდეს, ამას კი გარეშე გარემოება ელობება წინ. დასკვნა ასეთია: „ამ გარემოების მიხედვით ჩნდება მოღვაწეობის ასპარეზი ახალგაზრდობას მოწინავე რაზმისა“. მოდიოთ და გაიგეთ ეს! ქალაქში საჭირონი არ არიან. სოფლათ კი ვერ წავლენ, მაშ სად უნდა იმოღვაწონ? მეორე პლანეტაზე? ცხადია, სამოქმედო ასპარეზი აღარ ყოფილა და სიტყვა „იმოქმედეთო“ ფუჭი და უშინაარსოა. აი რანაირ მახეში გაბმულა ჩვენი „ივერია“. აქედან გამოსვლა, რამდენიც უნდა იმეცადინოს, აღარ შეუძლია.

ასეთი უკულმართი მსჯელობა ხშირია ევროპიულ მწერლობაშიაც. აქ ერთ მაგალითს დავასახელებთ. 1847 წ. მარქსი და ენგელსი ცნობილ „მა-

ნიფესტში“ მუშა-ხალხს ურჩევდენ პოლიტიკური  
 უფლებების მოპოვებას და მის საშუალებით ეკონო-  
 მიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამის წინააღ-  
 მდეგ ამხედ'და მაშინდელი პროგრესიული მწე'ლობა  
 და გაიმართა პოლემიკა. ესენი ამბობდენ: ეს აზრი  
 ჩინებულთა, მაგრამ განხორციელება ყოვლად შეუ-  
 ძლებელია. პოლიტიკური უფლებების შეძენის და მო-  
 ხმარებისათვის საჭიროა ცოდნა, განათლება, მაშა-  
 სადაჲე სიმდიდრე. მუშა-ხალხი კი ღარიბია, მაშასა-  
 დამე უვიციც. რანაირად შეუძლია ამ უვიცს, გა-  
 ნათლებულ ბურჟუაზიას შეებრძოლოს და პოლი-  
 ტიკური ძალა წაჭრთვას? ამნაირად ასეთი წრე გა-  
 კეთდა: მუშა-ხალხი უვიცია, იმიტომ რომ ღარიბია,  
 ღარიბია იმიტომ, რომ უვიცია, უვიცია იმიტომ რომ  
 ღარიბია, და ასე მუდამ. კაცს ჰგონია, ამაზე უძლიერესი  
 ლოდიკა არც კი შეიძლებაო. შემდეგ ცხოვრებამ  
 გვიჩვენა, თუ რამდენათ უსაფუძვლო იყო ასეთი მო-  
 საზრება. მუშა-ხალხი დაადგა მარქსის მიერ ნაჩვენ-  
 ნებ გზას და ისე გაძლიერდა, როგორათაც დღეს  
 ვხედავთ. — ბუნების მეტყველებაში ერთხელ დავა-  
 იყო, ქათამი გაჩნდა უმალ, თუ კვერცხიო. თუ ქა-  
 თამი არ იყო, კვერცხიც ვერ იქნებოდა, რადგანაც  
 კვერცხს ქათამი იძლევა; თუ კვერცხი არ იყო, ქა-  
 თამიც ვერ გაჩნდებოდა, რადგანაც ქათამი კვერც-  
 ხიდან იჩეკება. კვერცხი ვერ გაჩნდება უქათამოთ, ქა-  
 თამი უკვერცხოთ. ლოდიკა ნამდვილია. ამის გადა-  
 ქრა არ შეეძლო მაშინდელ მეცნიერებას. რატო  
 ხდება ყველა ეს? საქმე იმაშია, რომ ესენი მეტა-  
 ფიზიკები არიან. ცხოვრებას უყურობენ არა, რომ



გორც პროცესს, განვითარებას, არამედ, როგორც გათავებულ, დაოთხკუთხებულ მოვლენას. ლამარკ-დარვინის თეორიამდე ბუნების-მეტყველებაში ის აზრი იყო, რომ ცხოველთა გვარნი ცალ-ცალკე, ერთმანეთის დამოუკიდებლად არიან გაჩენილიო, (აგასისი). მაშასადამე ახსნაც არ შეიძლება. კვერცხი გაჩნდა უმალ, თუ ქათამი. მხოლოდ დარვინის ევოლიუციონურ მოძღვრებამ საშინელ უბრალოთ გახსნა ეს კვანძი. ასევე იყო სოციოლოგიაში, რის გამოკვლევა ვერ შეიძლეს მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებმა და მეცხრამეტე საუკუნის ისტორიკოსებმა, ის კარლ მარქსმა გაარკვია და თვალსაჩინოთ გახადა\*). „ივერია“ იმით განირჩევა ყველა ამებებისაგან, რომ ის შემცდარი აზრები, რომელნიც ევროპაში ამ 50 წლის წინად მეფობდენ, დღეს მას შეუთვისებ-შეუსისხლხორცებია. აი, ამ სათავიდან, მომდინარეობენ „ივერიის“ ყველა დანარჩენი შეცდომები. მართლაც, თუ კი ცხოვრებას დავანაწილებთ და თითოეულ ნაწილს ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გავსინჯავთ, უთუოდ ზემოთ მოყვანილ ლოღიკურ უკუღმართობას მივადგებით. თუ კი მოვლენას უცქერით ისე, როგორც დამთავრებულ, დაბოლოვებულ რასმე, აშკარაა „ივერიის“ უნდა დავეთანხმოთ, როცა ამბობს: „ჩვენში კაპიტალის პატრონთა რიცხვი ძლიერ ნაკლებია და ფულიც იმათ ხელში ცოტა ტრიალებს“, აგრეთვე

\*) იხ. „Монистический взгляд на историю“ Н. Белтова, С.-П. 1895 г.

ცოტაა უმიწა-წყლო მუშათა რიცხვი და მესამეთ, ბაზარიც აღარ გვაქვსო. აი ეს სამი გარემოება აფერხებს კაპიტალიზმის დამყარებას და ვერც დამყარდებაო\*\*) (34). როგორც ხედავთ, ველარც კაპიტალი იმატებს, ველარც მუშათა რიცხვი და ველარც ბაზარი გაფართოვდება. რალაც თილისმას, წინააღმდეგ განვითარების კანონებისა, ესენი ერთ ალაგას გაუჩივრებია, გაუყინავს და „ივერიისთვის“ ჩაუბარებია, აბა, შენ იცი ამ ჩემ სასწაულ-მოქმედებას როგორი სამეცნიერო საფერავით გააღამაზებო. ასეთია ლოდიკა, ასეთია შეხედულობა. ამნაირათ ჩვენ გამოვარკვიეთ „ივერიის“ თვალთახედვის ისარი, მისი მეცნიერული საზომი. ეს ყოველგან ერთი და იგივეა: მოვლენის განხილვა არა, როგორც განვითარება, არამედ როგორც ერთ წერტილზე დაძვარე, გაქვავებული, უძრავი; მოვლენა არსებობს, ან არ არსებობს, არის „ჰო“ — ან — „არა“. მეთოდი მეტაფიზიკურია. ხოლო მეცნიერებამ უკვე იცის, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთ და იმავე დროს არსებობს და არც არსებობს. „ჰოც“ არის და „არც“. არსებობს — ეს იქიდან სჩანს, რომ მოვლენა წარმოებს, არ არსებობს — ეს კი იქიდან, რომ ის მუდამ ცვლილებაშია, ერთი მისი შემადგენელი ელემენტი ირღვევა და მის ალაგას მეორე, ახალი დგება. ეს რღვევა-შენება, წარსული და მომავალი, რეგრესი და პროგრესი შეადგენს მოვ-

\*\*) ალბათ ამიტომ აცხადებს წინდაწინ ეროვნების საქმეში ეკონომიურ ბრძოლას ადგილი არ აქვსო.

ლენის განვითარებას, მის ევოლიუციას. ამ პროცესს გარეთ მოვლენა არ არის. მეთოდი მეცნიერულია.

მოკვცეთ იქიდან, საიდანაც დავიწყეთ.

რას ნიშნავს ეროვნული განვითარება? რას შეიცავს ეროვნობა? დღევანდელ ცხოვრებაში ეროვნული განვითარება—ეს მისი ეკონომიური განვითარებაა. ერი გაღონიერებული ნივთიერათ, გაღონიერებულია ლიტერატურულათ, იურიდიულათ, პოლიტიკურათ, ე. ი. კულტურულათ. ასეთი ერი თუ დამოუკიდებელია, პირველი ალაგი უჭირავს ქვეყანაზე (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხ.), ხალხი თუ დამოკიდებულია, ადვილათ იტანს გარედან მოვლენილ ძალ-მომრევობას, მედგრათ იბრძვის თვითარსებობისათვის და თავის ელფერს, პირადობას სამუდამოთ შეირჩენს (პოლონეთი, ირლანდია, ჩეხია, ელზას-ლორენი). გაძლიერებული, წელში გამაგრებული ეკონომიურ ნიადაგზე, გაძლიერებულია აგრეთვე ეროვნულ თვითცნობიერების ნიადაგზე. მისთვის „ეროვნული პრინციპი“ წარმოადგენს არა უბრალო სიტყვას, არამედ იმ პირად თვისებებს, რომელნიც მასში აღძრა და ააღორძინა საწარმოვო ძალის განვითარებამ და ჩაეწნა მის კულტურას. გალაშქრდება ამ თვისებების წინააღმდეგ ნიშნავს გალაშქრებას მისი არსებობის დედა ბოძის, მისი ცხოვრების წინააღმდეგ. ნივთიერი წარმატება—ეს ხალხის სამოქმედო ასპარეზის გაფართოვება,

მისი ძალღონის გამრავალგვარება და გაღონიერება. აქ ეროვნული პირადობა და ნივთიერი ვითარება მჭიდროთ არის ერთმანეთზე დაკავშირებული, დაახლოვებული, გადამხულ-გადმოხმული. თუ პირველი ფერხდება, ფერხდება მეორეც, ვითარდება მეორე, ვითარდება პირველიც. ესენი განუყრელათ ერთათ მიდიან, ერი რამდენათ ამ გზაზე წინ წასულა, იმდენათ მისი განსაკუთრებითი ეროვნული თვისებები გამრავლებული და გამოაშკარავებულია. ხოლო რამდენათ ის უკან ჩამორჩენილია, იმდენათ მისი პირადობა, ინდივიდუალობა მიმქრალი, მიმალულია. ამ შემთხვევაში ის არის ჩვილი, მსუბუქი, რომლის გადაგვარ-გადაშენება, შემუსვრა-ამოქლექა ადვილი საქმეა. მთელი ახალი ისტორია ამის დამამტკიცებელი საბუთია. ნივთიერათ განვითარებული ევროპა ყველა დაბალ კულტურიან ხალხს ერთ და იმავე საკითხს უსვამს: ან უნდა მიწამო, ან უნდა მე ჩავდგე შენს ალაგსო. ე. ი. ან ჩემ მიერ გაკვალულ გზაზე ნება-ყოფლობით გამოხვიდე, ან და მე გამოგიყვან ძალათო. ამ ძალადობას მრავალი ხალხი ვერ უძლებს და სამუდამოთ ჰქრება.

ეს რა გზაა, რომელზედაც ევროპა ქვეყანას ერეკება? ეს ის არის, რომელზედაც კარგა ხანია თვითონ ევროპა შედგა და რომლის დედა-ბოძი გამაგრებულია აღებ-მიცემობაზე, ინუ ვაჭრობა-მრეწველობაზე. წარმოება, წარმოება კაპიტალისტური — აი, სად მარხია ევროპის დედა-ძარღვი. მე-XIV—XVI საუკ. პირველათ ინგლისში მოხდა ეროვნუ-

ლი შრომის დიდი განაწილება. ქალაქი დაშორდა სოფელს და გაჩაღდა ქალაქური ცხოვრება. აქ ჩაისახა თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება. რაკი ეს ასე მოხდა ერთ ერში, ამით დანარჩენ ერთა ბედიც გადაწყდა. მას გაყვა საფრანგეთი, გერმანია და დანარჩენი ევროპის სახელმწიფოები, აგრეთვე ამერიკა, ავსტრალია, აფრიკა (ახალ-შენები) და აზია (იაპონია, ინდოეთი და ახლა ჩინეთს მიადგა კარებზე). კაპიტალიზმის ასეთს შეუჩერებელივ მიმდინარეობას თან მიჰყვა ცხოვრების ძირითადი ცვლილება. მან გადაასხვაფერა ხალხთა ზნეჩვეულება, დაარღვია ძველი იურიდიული და პოლიტიკური წყობილება, შემუსრა პატრიარქალური იდილიური ურთიერთობა, გააერთიანა თითოეული ერი ცალ-ცალკე და დააკავშირა სხვა-და-სხვანი ერთმანეთთან, ააყვავა ხელოვნება, მწერლობა, მეცნიერება, ერთი სიტყვით ადამიანში განავითარა ისეთი ენერგია, ძლევა მოსილი მოქმედება, რაც წინანდელ კაცობრიობას არც კი მოსიზმრებია. მეორე მხრით იმავე კაპიტალიზმმა დაჰყო ერი ორ ნაწილად\*) მდიდარი, ღარიბი, მესაკუთრე და ბოგანო, ბურჟუა და მუშა, ააღორძინა სოციალური განხეთქილება, დაბადა კლასთა ბრძოლა, გამოიწვია მუშახალხი საპოლიტიკო ასპარეზზე და მით გათხარა თავის-თავის სამარე. ამ გვარათ. ეკონომიურ განვითარებას თან მოსდევს ერის ერთობა იმ კითხვებზე, რომელნიც ედებიან მთელი ერის პოლიტი-

\*) რასაკვირველია, არა ისე უცებ, როგორც „ივერიელებს“ ჰჯონიათ.

კო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე ეროვნული\*) და ერის დაყოფა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებოდა მის შემადგენელ ნაწილების პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე პოლიტიკო-სოციალური). ერი ერთდება, იმავე დროს იყოფა, სხვადასხვაობა ერთობაში, ერთობა სხვადასხვაობაში. თანხმობა განხეთქილებაში, განხეთქილება თანხმობაში. ასეთია კაპიტალისტური განვითარება.

მეტყვი: საჭიროა კი ისე განვითარება? განა კაპიტალიზმი პროგრესს მოასწავებს? ამაზე პასუხის გაცემა ძნელია. საქმე იმაშია, რომ პროგრესზე ჩვენ აქ სრულებით არ ვლაპარაკობთ. ჩვენ ვიკვლევთ არა იმას, თუ როგორი წარმატებაა სანატრელი, არამედ როგორი განვითარებაა ნამდვილ ცხოვრებაში; ჩვენ კი არ ვიგონებთ ამა თუ იმ წყობილებას, არამედ გვსურს შევიგნოთ ის, რაც უკვე არსებობს და გან-

\*) ეს ასე არ არის ყოველთვის, როცა სოციალური განხეთქილება უმაღლეს ხარისხს მიახწევს კლასი—დაძაბავრელი იწვევს უცხოელებს, წინააღმდეგ სამშობლოს დიდი უმრავლესობისა, რომ ამით კლასი დაჩაგრული დაძლიოს და უპირატესობა შეირჩინოს. მაშინ სამშობლოს ინტერესების დამცველათ და მეომრათ გამოდის მხოლოდ უკანასკნელი, პირველი კი ემხრობა მტერთ. აი, მაგალითები: ძველი საპერსეთის არისტოკრატის აუჯანყდა ხალხი და წაართვა მიწა-ადგილები. ამავების უკან დასაბრუნებლათ მან მოიწვია გარეშე მტერი: პირველათ მაკედონელები, ბოლოს რომაელები. ხალხი შეებრძოლა მტერთ. მაგრამ 146წ. (ქრ. წინ) რომაელების მიერ სამუდამოთ იქმნა ძლეული.—1789 წ. საფრანგეთის არისტოკრატია მთელი ევროპა დიდი რევოლუციის ჩასაქრობათ და თავის ბატონობის

ვითვალისწინოთ მისი მომავალი. კითხვა პროგრესის შესახებ არის კითხვა მეტაფიზიკური, რომლის გადაჭრა შეუძლებელია. ვინც ჩვენ გვეუბნება კაცობრიობა თავიდანვე პროგრესისაკენ მიისწრაფვისო, ამით გვეუბნება ორში ერთს: ან კაცობრიობას მიუძღვება წინ უზენაესი და მიჰყავს ბედნიერებისაკენ (პროვიდენციალიზმი, წარმომადგენელია ბოსუეტი), ან და ადამიანთა გუნდს წინდაწინ შეუგნია, თუ რა არის პროგრესი და აქეთ მიაქანებს კაცობრიობას (რაციონალიზმი მე-XVIII-ის. განმანათლებელი, მათი თეორია: გონება მართავს ქვეყანას). ამ ორ მოძღვრებას ერთი და იგივე საჩუღი აქვს: პირველი განგების როლს ადამიანთა გარეშე. ამყარებს, მეორე კი თვითონ ადამიან-შესარჩენათ. ევროპა და მასთან საფრანგეთის არისტოკრატია ძლეულ იქმნა საფრანგეთის ხალხის მიერ, — 1871 წ. საფრანგეთის ბურჟუაზიამ ტიერის მეთაურობით, ბისმარკს, რომელიც ჯარით პარაქს შემოერთება შემწეობა თხოვა კომმუნის დასამარცხებლათ. ეს შემდეგ ბისმარკმა აღიარა (იხ. „le temps“ 19 მაისი 1890 წ. ავტ. 2) ირლანდიას და ჩეხიას გადაუდგა თავიანთი არისტოკრატია. ამას მიუმატეთ საქართველოს შალალი თავად-აზნაურობა, რომელმაც ამ საუკუნის პირველ ნახევარში ჩინს და სამშობლოს ერთი და იგივე ფასი დაადვა, განსხვავება, თუმცა ძარითადი ამაშია: ჩვენი განუვითარებლობის გამო ხალხი ვერ შეიქმნა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული, რომ მოწინავე წოდების მიერ გაყიდული უფლებები აღედგინა და ბრძოლა გამოეცხადებია, როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის წინააღმდეგ. მგონი, ასეთა წოდების დაქვეითებაზე ტარიან ჩვენი ვითომდა პატრიოტები!).

ში. პირველის შეხედულებით ქვეყანას ერთი პირი წინამძღვრობს, მეორის—რამოდენიმე, გენიოსები, გმირები. ორივე შემთხვევაში მეცნიერება შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ასეთ მეთაურთა მოქმედება სისტემატიურ კანონიერებას არ ემორჩილება. ორივე თეორიას ერთ და იმავე დასკვნამდე მივყევართ: ყოველივე მოვლენა პროგრესიული, გონიერია, რადგანაც მისი მომავლინებელი გონებაა. ამას ამტკიცებდა ბოსუეტი. ხოლო განმანათლებელნი ამბობდნენ: დღევანდლამდე ცხოვრება უკულმართი გზით მიდიოდა, ადამიანებმა ვერ შეიგნეს, თუ რა არის წარმატება, პროგრესი და რა არა, დღეიდან კი ბედნიერება დამყარდება, რადგანაც ჩვენ აღმოვაჩინეთ უბედურების მალამო, მხოლოდ საჭიროა ამის გაგება და განხორციელებაო. აქედან წარმოდგა გმირთა „კრიტიკულ მოაზრეთა“ (ჩვენებურად ინტელიგენცია) გაღმერთება. ესენი სასწაულს ახდენენ ცხოვრებაში. ორივე შემთხვევაში ცხოველთა და ადამიანთა შორის ყოველივე კავშირს ვსპობთ და ვქმნით განვითარების ორ სხვა-და-სხვა თეორიას, ერთს ბიოლოგიისათვის, მეორეს საზოგადოებისათვის. ჩოლო მეცნიერება გვასწავლის, ადამიანი ცხოველების გაგრძელებააო, ცხადია, იმავე მეცნიერებამ მთელი ამ პროცესის შესახებ ერთი საერთო თეორია უნდა შეიმუშაოს და მით ორი სამეფო ერთმანეთს დაუკავშიროს. აი, ეს თეორია ევოლიუციონიზმი, რომელიც, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ბუნების-მეტყველებაში შეიტანა დარვინმა (დარვინიზმი) და სოციოლოგიაში მარქსმა (მარქსიზმი). ჩვენ ვიცით



მხოლოდ ცვლილება, განვითარება, ევოლიუცია და მეტი არაფერი. ამ ცვლილებას უნდა შეეწყოს როგორც ცხოველები, ისე ადამიანები. აი, საერთო წერტილი ბიოლოგიას და სოციოლოგიას შორის. ასევე უნდა შევხედოთ ფეოდალიზმს, კაპიტალიზმს, სოციალიზმს და ცხოვრების სხვა ფორმებს. ესენი განვითარდნენ, ან ვითარდებიან იმიტომ კი არა, რომ კარგი, ჩინებული რამ არიან, არამედ იმიტომ, რომ მათი განვითარება აუცილებელია. მზადდება ისეთი ნივთიერი პირობები, რომელნიც აუცილებლათ იწვევენ ამა თუ იმ მოვლენას. ადამიანის მოღვაწეობა იხატება იმაში, რომ მან უნდა შეისწავლოს, შეიგნოს ეს, უიმიოთ აღორძინებული მოვლენა და თანახმად ამისა მოაწყოს პრაქტიკული მოქმედება. ოცნება იმის შესახებ, რომ „შეგნებული ინტელიგენციის“ დახმარებით თავიდან ამა თუ იმ ეკონომიურ ფორმებს, არავითარ ნივთიერ საფუძველზე არ არის დაყარებული და წარმოადგენს სრულ ფანტაზიას. როგორც ქვევით დავინახავთ, ასეთი ოცნება პიროვნულად გერმანიაში დაიბადა, შემდეგ რუსეთში გადავიდა, დღეს ჩვენშიაც („ივერიის“ ფურცლებზე) დაფართოვდა. ამისათვის არის, რომ „ივერია“ ასე გადაჭრით ამბობს, „კაპიტალიზმი ჩვენში მკვიდრ ნიადაგზე ვერ დადგებაო“, ხოლო როცა დასავლეთ ევროპაში ძირითადი ცვლილება მოხდება და სოციალიზმი ერთიანად კაპიტალიზმის შედეგი გაიპარჯვება, „ჩენი ერი შეგნებული ინტელიგენციის დახმარებით ადვილათ შეითვისებსო“ (34). ამგვარათ ის უზენაესი ძალა,

რომელიც ბოსუეტის აზრით, ხალხს წინ მიუძღვე-  
 ბა. „ივერიას ინტელიგენციაში მოუქცევია და ისიც  
 იმ ინტელიგენციაში, რომელიც მისებურათ ფიქ-  
 რობს, ე. ი. პაწაწკინტელა ჯგუფში. აი, ეს ჯგუ-  
 ფი მთელ ერს პატრიარქალურ წყობილებიდან კო-  
 ლექტიურზე გადაახტუნებსო. ფეხმარდობაც ასეთი  
 უნდა! ერთი ბრძანებით ჩვენი ხალხი თურმე იქ გა-  
 ჩნდება, საცა განათლებული კაცობრიობა საუკუ-  
 ნოების განვითარებას მიყავს. ასეთი სასწაულთ მო-  
 ქმედება ზღაპარშიაც არ გავვიგონია. აღარც განვი-  
 თარება. აღარც ცხოვრების კანონები. ერთი სიტ-  
 ყვით აღარაფერი არ სუფევს გარდა მბრძანებელი  
 ინტელიგენციის და მაჩანჩალა ხალხისა. ასეთი მე-  
 ზღაპრე მარქსის ისტორიულ თეორიის მომხრეობას  
 აღიარებს! ცხადია „ივერიისთვის“ კიდევ, კიდევ  
 და მუდამ ფარდის ახდა ყოფილა საჭირო, თუმცა  
 ის გვარწმუნებს: „ეს საჭირო არ არის, ჩვენი წე-  
 რილებიდან კარგათ მიხვდებით, თუ რა კავშირი აქვს  
 მარქსიზმს (სოციალ-დემოკრატიას) ჩვენს ცხოვრე-  
 ბასთან და რა არაო“ (№ 69). დიახ, კარგათ მიხ-  
 ვდით, ის კავშირია, რომ არავითარი კავშირი არ  
 არის. მარქსიზმი ერთიანათ აშენებულია კაპიტალი-  
 სტურ წარმოებაზე. ის წარმოების კითხვაა და არა  
 კუჭის: მხოლოთ იქ შეიძლება მისი განხორციელე-  
 ბა, სადაც კაპიტალისტური წარმოება მკვიდრდება:  
 მხოლოთ კაპიტალიზმი ქმნის ისეთ პირობებს, რო-  
 მელნიც უარს ყოფენ თავისსავე შემქნელს და დგე-  
 ბა ხანა ძირითადი ცვლილებისა. (პატივცემული ნა-  
 ლისთვის ეს დიდი საიდუმლოებაა, მაგრამ მოთმი-

ნება!) მეორე ალაგას „ივერია“ წერს: „პროლეტარიატის ელემენტი, რომელმაც უნდა ააგოს მამავალი შენობა“ (65), მას ენატრება ეს შენობა, ხოლო მისი შემქმნელი თვითონვეა, „ივერიელები“ და არა პროლეტარიატი. „ივერია“ არავითარ ისტორიულ კანონს არ ემორჩილება; ის ისტორიაზე მალლა დგას, გადაყავს ხალხი ერთი კიდიდან მეორე კიდეზე, უკანასკნელი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე, როგორც სურს, საითკენაც ესიამოვნება. უეჭველათ, ის ჯადო-ქარი, რომელსაც პატივცემული დარეჯანი სახლის უკან ამოთ ეძებდა, „ივერიას“ უპოვია ჩვენდა საბედნიეროთ და სასარგებლოთ. მაგრამ, ვაი თუ მარტო წინ არა, უკანაც გადმოგვახტუნოს ამ ჩვენდა საბედნიეროთ მოვლენილმა ჯადო-ქარმა. ვინ არის თავდები?\*)

ასე თუ ისე, „ივერია“ გვარწმუნებს: „კაპიტალიზმი ჩვენში ვერ იხეირებს, პირ იქით ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ფორმის დამყარებას“ (ამით კონსერვატორობს); 2) როცა ევროპაში კაპიტალიზმი შეიცვლება სამართლიანი ეკონომიური ფორმით, „ჩვენი ერი შეგნებული ინ-

\*) „ივერია“ აღარც ასეთ დევ-გმირობას კმარობს, მეცნიერების გამოგონებასაც შედგომია. მოიხსენა რა ევროპის ყოფა-მდგომარეობა, კითხულობს: „სხვა ჩამორჩენილ, დაქვეითებულ ერებისათვის კი ერთი საგანი იბადება აუცილებელ გასარკვევათ და ასახსნელათ: შეიძლება თუ არა ერი გამდიდრდეს, განვითარებული მრეწველობა, აღებ მიცემობა და საზოგადოთ მაღალი კულტურა დამყარდეს, ისე კი რომ ამ ერის უმრავლესობა არ დაიჩაგროს, არ გალატაკდეს? ეს მხოლოთ მაშინ შეიძ-

ტელიგენციის დახმარებით შეითვისებსო (ამით პროგრესისტობს). ამ ორ ერთმანეთის დამარღვეველ თეორიას ასეთი კუდი აქვს მობმული: „თუ ქართველთა ცხოვრების პოლიტიკური კალაპოტი გაფართოვდა, რასაც უნდა მიექცეს უმთავრესი ჩვენი ყურადღება“, ვინ უნდა გააფართოვოს ეს კალაპოტი? ინტელიგენციამ? მან რომ საკუთარი ძალ-ღონით ვერ გააფართოვა, ამას წარსული გვიმტკიცებს. ცხადია, იმავე ინტელიგენციამ რაიმე მკვიდრი ნიადაგი უნდა მონახოს და ზედ ააგოს თავისი მოქმედება. სად არის ეს ნიადაგი?

#### IV

„ივერია“ მუდამ იმეორებს ერთ ფრაზას: ეკონომიური წყობილება არის ის საფუძველი, რომელზედაც შენდება ერის პოლიტიკური იურიდიულ წყობილებაო, ხოლო, როცა ჩვენი ცხოვრების შესახებ მსჯელობს, მუდამ თავის აზრს ივიწყებს. კალაპოტი, გვეუბნება პასუხათ ახლანდელი ეკონომიური მეცნიერება (?), როდესაც მიწა-წყალი და წარმოების ყველა იარაღი კერძო საკუთრებათ კი არა, არამედ საზოგადოების საერთო კუთვნილებათ შეიქმნებაო“ (33). ძლიერ საინტერესოა, „ივერია“ გაგვიმელავებდეს, რომელი მეცნიერება ამბობს, უკან ჩამორჩენილი ერი უკაპიტალიზმით გადავა სოციალიზმშიო. ან ვინ უნდა მოახდინოს ასეთი გადასვლა? მართალია „ივერიის“ აზრით ამას ინტელიგენციის პაწაწა ჯგუფი ე. ი. „ივერიელები“ ახდენენ, მაგრამ ამ ოცნებას და მეცნიერებას შორის დიდი უფსკრულია.

პიტალიზმს აქვს ორი ხანა: პირველათ ის ვითარდება უკანონობით, ჩარჩობით, მოტყუებით, ძალადობით; ცარცვავს მესაკუთრეთ, გლეხს, აზნაურს, ყველას; ერთი თუმნის თამასუქით ხელში იგდებს მთელ სარჩო-საბადებელს. აქ ხრიკი, გაქნილობა ადამიანის საპატიო თვისებაა. ამგვარი ზომები დაუსჯელათ რომ დარჩეს, ის იქრთამავს მოხელეთ, ხალხის დარაჯთ, კანონს თავის სურვილისაკენ ატარებს. ამისათვის აქ კაპიტალის შეგროვებისათვის საჭიროა სახელმწიფოში უწყეს-რიგობა, არეულ დარეულობა სუფევდეს. ეს მისი პირდაპირი ინტერესია, ის მხოლოდ ამ მღვრია წყალში იჭერს თევზს და ამით იზრდება. მეორე მხრით, ამ ზრდას თან მოსდევს აღებშიცემობის გაფართოება, ხალხის ერთი ნაწილის გაღარიბება და მოთხოვნილებათა გამრავლება. ამ შემთხვევაში უკანონო შექმნილი კაპიტალი წარმოებაში გადადის. აქ კი კაპიტალი იზრდება მუშის ძალ-ღონით. პატრონი ქირაობს მუშას სრულიათ კანონიერათ და ამუშავებს. აქ ორივე მხარე თავისუფალია, პირველი ეუბნება მეორეს: აი, დღეში ამას მოგცემ, გინდ წამომყევი და გინდ არა. მოტყუებას, ჩარჩობას, ძალადობას ადგილი არ აქვს. ამიტომ ამ მეორე ხანაში ძველი არეული წყობილება, უკანონო კანონიერება კაპიტალისტისათვის მეტი ბარგია. მის ინტერესებს აღარ ემსახურება. პირიქით ბიუროკრატიული თვითნებობა ხელს უშლის კაპიტალის თავისუფლათ ზრდა-განვითარებას. უბრალო ქარხნის გაღებისათვის მთელი წელიწადი უნდა იხვეწოს და ეგების ნება-რთვა აიღოს. აქაც

უქრთამოთ არაფერი გაკეთდება. ბიუროკრატიული წყობილებაც მხოლოდ თავის ინტერესებს ხედავს. თუ რასმე აკეთებს, აკეთებს იმიტომ, რომ აქედან მეტი შემოსავალი გაიჩინოს. მას სურს გაიყვანოს რკინის გზები და ზედ დიდი ტარიფი დაადვას, \*) დაიწყოს სხვა-და-სხვა მონოპოლიური წარმოება და მით ჯიბე გაისქელოს. მრეწველობას, ვაჭრობას შეაწეროს დიდი გადასახადი და მით ფინანსები გაიძლიეროს. გლეხს, აზნაურს, მოქალაქეს, მუშას იმდენი მნიშვნელობა აქვს მისთვის, რამდენათ ესენი გამამხდელია. ბორკილს ადებს მუშა ხალხის თავისუფალ მოქმედებას, მის პოლიტიკურ გაწვრთნა-გაძლიერებას და თავის ინტერესებისათვის ბრძოლას. ერთი სიტყვით ყოველგან, საითაც კი გაექანები, „ზედ-შენობა“ წინ გიხვდება და თავისას თხოულობს „მეო“. აქ ეს ყველასთვის უღელია. ეს დიდათ საგრძნობელია განსაკუთრებით იმ ელემენტებისათვის, რომელნიც კაპიტალიზმის განვითარებას მოსდევენ: ერთი მხრით ბურჟუაზია და მეორე მხრით მუშა-ხალხისთვის, ესენი რევოლუციონური ელემენტებია. როგორც ქვევით დავინახავთ, ესენი სხვა-და-სხვა ისტორიულ პირობებში სხვა და სხვა ნაირათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ახლა მიუბრუნდეთ კაპიტალიზმის პროცესს.

\*) ამას, სხვათა შორის, ნათლათ ამტკიცებს ერთი ჩინებულათ დასაბუთებული წერილი „მარგანეცის ამბავი“, დასტამბული „კვალში“ (1893 წ. №33 და სხ.) ავტორი ასეთ მაგალითებს მოგვითხრობს: ერთი და იგივე ტვირთის ინგლისიდან ბათუმს მოტანა ჯდება 8 მ. 50 კ. ბათუმიდან რიონამდის კი 17 მანეთი.

ზევით აღნიშნული ორი ხანა ისე რიგ-რიგათ  
 არ წარმოებს ცხოვრებაში. მეორე ფეხს იდგამს და  
 ვითარდება მაშინ, როცა პირველი არ დასრულე-  
 ბულა. ორივე ერთათ მიდის. მაგრამ მოვლენა რო-  
 ცა უმაღლესათ ვითარდება, თავის თავს უარყოფს  
 და ძირს ეშვება. მეორე ხანა ერთიანათ პირველზე  
 არის აშენებული. მიუხედავათ ამისა პირველის და-  
 ცემა და გაქრობა მოსდევს მეორის განვითარებას  
 ე. ი. შედეგი უარყოფს მიზეზს. ევროპაში ამ პრო-  
 ცესს რამდენიმე საუკუნე მოუწდა. საფრანგეთში  
 კაპიტალისტური წარმოება დამკვიდრდა მე-XV საუ-  
 კუნეში, ხოლო მეფახშეობამ ამ საუკუნის პირველ  
 ნახევრამდის მოახწია (ბალზაკის მოთხრობებში ხში-  
 რია ასეთი ტიპები). ამნაირათ უკანონოთ შექნი-  
 ლი ფული რამდენიმე ხანს შემდეგ ამყარებს კანონ-  
 ნიერებას ე. ი. უარსყოფს თავის თავს, რომ მით  
 კიდევ უფრო გაძლიერდეს. ევროპაში დღეს სავსე-  
 ბით ბატონობს მეორე ხანა, პირველი მოსპობილია,  
 ჩვენში ბატონობს პირველი, მეორემ კი ფეხი აიდ-  
 გა. აქ ამ ჟამათ ორგვარი სააღკებ-მიცემო ფული  
 ტრიალებს: ერთი ის, რომელიც ევროპიდან შედის  
 სხვა-და-სხვა-მწარმოებლების და კომისიონერების  
 საშუალებით, მეორე კი ჩვენშივე მოგროვილი. ეს  
 უკანასკნელი შეიცავს მოვახშე და სავაჭრო თანხას.  
 აი, ეს ებრძვის უცხოელთ და მისი გამარჯვება იმა-  
 ვე დროს ჩვენს გამარჯვებას, კულტურულ წინ-  
 წაწევას მოასწავებს. ამნაირათ გამოდის, რომ  
 ჩვენი კულტურული წარმოება დამოკიდებუ-  
 ლია იმაზე, თუ რამდენათ მეფახშეობა გააღა-

რიბებს მესაკუთრეთა უმრავლესობას, შეგროვდება  
 ფული მცირე პირთა ხელში და შეეცილება ფულს.  
 დიახ, ეს ისე არის. ამას „ივერიის“ ოცნება ვერ  
 შეაყენებს. ხოლო საქმე იმაშია, ეს ხანა ხალხმაჩქა-  
 რა გამოიაროს და ტკივილები შეიმსუბუქოს. ამით  
 აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს ჩვენში ასე მე-  
 ცადინეობენ იაფი კრედიტიანი ბანკების და დეპო-  
 კასების დახსნას. თვითონ ეს ლტოლვილება მოწ-  
 მობს იმას, რომ ჩვენ კაპიტალიზმის გზაზე კარგა  
 შორს წავსულვართ. ბ-ნი ნ—ლი და „ივერია“  
 ერთხმათ ლაღადებენ: კაპიტალიზმი ჩვენში არ არი-  
 სო. საბუთებიც ერთი და იგივე აქვთ: ფაბრიკები  
 არ გვაქვს, სრულიათ გაპროლეტარებული მუშა-ხა-  
 ლხი არა გვყავსო. რაკი დღეს ასეა ევროპაში, მათ  
 წარმოუდგენიათ მუდამ ასე იყოვო. ცხადია კაპიტა-  
 ლიზმის ისტორია სრულებით არ ცოდნიათ. ფაბრი-  
 კა ეს იგივე სახელოსნოა, მხოლოდ მაშინურ წარ-  
 მოებაზე აგებული. პირველი ორთქლის სამუშაო მა-  
 შინა გამოიგონა უატმა 1784 წ. საფრანგეთში იმა-  
 ვე წელს დაარსდა პირველი ფაბრიკა, რომლის მა-  
 შინის ძალა უდრიდა 120 ცხენის ძალას. ამ ხანა-  
 მდი კაპიტალისტური წარმოება წარმოებდა სახე-  
 ლოსნოებში, სადაც მუშა უნდა ყოფილიყო მოხელე  
 საქმეში გავარჯიშებული და არა ვიგინდარა, პირვე-  
 ლი მოსული, როგორც ეს დღევანდელ ფაბრიკებ-  
 შია. აი, ამ წარმოებას უწოდებენ მანუფაქტურას ე.  
 ი. წარმოების ფაქტორი იყო ადამიანის ხელი და  
 არა მაშინა manufacture ხელსაქმობა, (manus—ხე-  
 ლი, facture—საქმობა, შემუშავება). მანუფაქტურის



წინ იყო კოოპერაცია. მაგრამ ეს ორი ფორმა დიდად არ განიჩქევა ერთმანეთისგან (პირველში შრომის განაწილება უფრო მეტია, ვიდრე მეორეში. ამაშია გარჩევა). საფრანგეთის ბურჟუაზია ისე გაძლიერდა უფაბრიკოთ და უმაშინოთ, რომ 1789 წ. დიდი რევოლიუცია მოახდინა და ძველი წყობილება ერთიანად წალეკა. ბ. ნა—ლისთვის ეს სასწაულ-მოქმედებაა, მაგრამ რა ფუყოთ. ამასაც ისე ახსნის, როგორც კაპიტალიზმის მოვლინებას ხსნის: უთუოთ ეს განვითარებული ბურჟუაზია საიდანღაც 1789 წ. საფრანგეთში ჩამოსულა და აჯანყებულაო. მისი აზრით კაპიტალიზმი ასე მოგზაურობს; ჯერ ხალხი ღარიბდება, ღატაკდება, ყოველივე საკუთრება ეკარგვის, უმრავლესობას აღარათფერი დარჩენია „ფიზიკური და გონებრივი ძალ-ღონის მეტი, შემდეგ მობრძანდება (ის კი აღარ ვიცით, საიდან) ბატონი კაპიტალიზმი, დახსნის ფაბრიკებს და ამ მშიერტიტველა ხალხს შიგ შერეკავსო\*). თითქმის ასე აზროვნებს „ივერიაც“. კარგია ჩვენი მოწინააღმდეგენი კეთილ ინებებდენ და აკვიხსნიდენ: რა აღა-

\*) იხ. „სალიტერატურო შენიშვნები“ („მოამბე“ № 3) ბ-ნი ნა—ლი ამასაც აღარ კმარობს. ის ამბობს: მევახშეობა კაპიტალისტური წყობილების ნიშანი არ არისო. ასეთი მწერალი სხვას უკითხავს ანბანს; ამის მიერ შედგენილ ანბანში არ მოიპოვება ერთი წინადადება, რომელიც მეორეს არ არღვევდეს. მაგრამ რა: მისგან არა არის რა ასაღები, ჯერ არ მითქვამს ყველაფერი, კიდევ ვიტყვიო. მოვიწვევთ, გამოთქვას, თუ რაჲე კი აქვს სათქმელა, „ახალ-მიმართულების აბდა-უბდა“ გამოაჩინოს, როგორც თუთონ ამბობს.

რიბებს ხალხს? რატომ უნდა გაჩნდნენ უმიწაწყლონი? თუ ამის მიზეზი კაპიტალი არ არის, გვითხარით რა არის, შეიძლება აქაც რომელიმე ჯადოქარი მოქმედობს. ყოველგან სასწაული და სასწაული!

ევროპის პროლეტარიატი ზეციდან არ ჩამოვარდნილა, არც უცებ გამოჩეკილა. მანუფაქტურის დროს მუშა-ხალხი ყოველივე საკუთრებას მოკლებული, როგორათაც ამას დღეს ვხედავთ, არ ყოფილა. ეს თან-და-თან განვითარდა. ხოლო უმაშინოთ მისი განვითარება შეუძლებელი იყო. მარქსი ამბობს: მხოლოდ დიდ ინდუსტრიამ დააცილა მიწათ-მოქმედება და მრეწველობა ერთმანეთსო. წინათ მუშათა უმრავლესობა ორივეს მისდევდა. ერთათ ერთი ხელოსანი ხალხი ე. ი. ხელობის მცოდნენი მუდამ სახელოსნოში უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ აქ არ შევუდგებით დაწვრილებით ამ საგნის განხილვას. ხოლო „ივერიელებს“, რომელნიც მუდამ მარქსს იხსენიებენ, მივუთითებთ მარქსის თხზულებაზე „კაპიტალი“. იქ ნახვენ ამას -გარკვეულ-დასაბუთებულს\*). (განსაკუთრებით ორი უკანასკნელი თავი; ბ-ნი ლალი იქ ამოიკითხავს, რომ მამულის დაკნინება ხელს უწყობს და არა ხელს უშლის კაპიტალიზმის აღორ-

\*) საფრანგეთის შესახებ საყოლაღლებოა ვობანის „memoires“ საიდანაც ნათლათ ჩანს, თუ რა ნაირათ მიდი-მოდოდოდა ხალხი სოფელს და ქალაქს შუა. მანუფაქტურის დროს თუ რა ნაირათ მცირე იყო მუშათა რიცხვი აქედან ჩანს; კაპიტალისტი ვან რობე, აბევილში, ცნობილი გახდა იმით, რომ 1692 მუშას ამუშავებს.

ძინებას). კაპიტალისტურ წარმოების ნიშნობლი-  
ვი თვისება არ არის არც ფაბრიკა-მაშინები, არც  
პროლეტარიატი. ესენი შეადგენენ მხოლოდ იმ საუ-  
კეთესო პირობებს, რომელნიც საჭირონი არიან კაპი-  
ტალიზმის გაძლიერებისათვის. კაპიტალიზმი თუმცა  
მე-XV—XVI საუკუნეებში დამკვიდრდა, მაგრამ  
ეს პირობები კი გაჩნდნენ შემდეგ მე-XVIII—XIX  
საუკუნეებში. კაპიტალიზმი დაფუძნებულია თავისუ-  
ფალი ადამიანის ექსპლუატაციაზე. მაგ. ფულის პა-  
ტრონი ქირაობს მუშას დღეში მანეთათ. ამუშავებს  
12 საათის განმავლობაში და დამუშავებულ ნივთს  
ყიდის ბაზარზე ორ მანეთათ. მანეთი მიეცა მუშას,  
მანეთი მას დარჩა. რას ნიშნავს ეს? აი, რას. თო-  
რმეტი საათის მუშაობის ნაყოფი გარიგდა ორათ:  
ერთი ნაწილი მომუშავეს, მეორე ფულის პატრონს.  
ე. ი. მუშას ექვსი საათის განმავლობაში უმუშავ-  
ნია თავისთვის, მეორე ექვსი საათი პატრონისათვის.  
აი, ეს უკანასკნელი შეადგენს **ზედ-მეტ შრომას**,  
რასაც სხვა პირი ისაკუთრებს. ეს არის კაპიტალი-  
ზმის საიდუმლოება, ყველა დანარჩენი გარემოება  
მისი პირობებია და მეტი არაფერი. ახლა გვითხრან  
ჩვენმ. მოწინააღმდეგეებმა: ამნაირი წარმოება არ-  
სებობს ჩვენში თუ არა? ჩვენი სახელოსნოები, შე-  
ნობა-ქარხნების მთა-მადნების, ხე-ტყის და სხ. და  
სხ. წარმოება რა საფუძველზე არის აგებული, თუ  
არა კაპიტალისტურზე?

ამ გვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ ძველ წყობი-  
ლების კალაპოტში ჩნდება და ნელ-ნელა ვითარდება  
ახალი ძალა, ძალა ეკონომიური. ეს ართულებს

ადამიანთა ურთიერთობას და აფართოებს ხალხის მოქმედებას. მაგრამ ასეთ განვითარებას წინ ეღობება ის ძველი პოლიტიკური ფორმა, რომელიც გარს აქვს შემოხვეული. აი, აქ შინაარსი და ფორმა, ახალი ეკონომიური ვითარება და ძველი პოლიტიკური წყობილება ერთმანეთს ეჯახება და უკანასკნელი ინგრევა. ხოლო სანამ ეს ასე მოხდებოდეს, მანამდე ერში ღებულობს სათავეს სხვა-და-სხვა მიმართულება, აზრთა მიმდინარეობა, ჩუმი მოძრაობა უფარგისი „ზედ-შენობის“ წინააღმდეგ. „ივერია“ დაუსრულებლივ იმეორებს, „ხალხს და ლიტერატურას ჰყოფს მრავალ პარტიათ თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება“-ო, ნამდვილათ კი ასეთი პარტიობა ფეხს იდგამს მაშინ, როცა ჯერ კიდევ ასეთი თავისუფლება არ არსებობს. სხვა ნაირათ არც კი შეიძლება ცვლილების, ევოლიუციის წარმოადგენა. თუ კი წინ-და-წინ არ არსებობენ პარტიები, მაშინ ვინ ცვლის პოლიტიკურ ფორმებს? ვინ იბრძვის? ჩვენ ვამტკიცებთ: **ეკონომიური განვითარება იწვევს დასთა აღორძინებას და პოლიტიკურ ცვლილებას**, „ივერიას“ არ წამს პირველი ორი, ხოლო მესამეს კი ებლაუჭება. ან უნდა მიიღოს სამივე, ან და არც ერთი. მეტი გასავალი არ აქვს. ახლა განვიხილოთ ეს ისტორიულათ და მოვნახოთ ინტელიგენციისთვის სამოქმედო ნიადაგი.

ჩვენ ზევით ვთქვით, როცა ერში ვითარდება ეკონომიური ძალა, თანახმათ ამისა ვითარდება აზრ-

თა მიმდინარეობა, ანუ პარტიობა. ეს პარტიის  
 ყველგან ერთნაირათ არ წარმოებს. ზოგ ალაგას  
 პირველი წინ უსწრებს მეორეს, ზოგ ალაგას კი მეო-  
 რე პირველს. გავარკვიოთ.

იქ, სადაც კაპიტალიზმი პირველათ განვითარდა,  
 ერის თეორიული მუშაობა ფეხ-და-ფეხ მისდევს  
 პრაქტიკულ მუშაობას. რამდენათ იცვლება ხალხის  
 ეკონომიური პირობები, იმდენათ ეს გადადის ადამიან-  
 ის შეგნებაში. ჯერ ცხოვრების ფაქტები, მერე ამ ფა-  
 ქტების აწონ-დაწონვა, გასჯა. შეიძლება ეს სჯა ყალბი  
 იყოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვითონ ფაქტი გამო-  
 გონილი არ არის. რამდენიმე საუკუნე დასჭირდა  
 ინგლისს, რომ იქ კაპიტალიზმი გამაგრებულიყო და  
 თანახმათ ამისა პოლიტიკური წყობილება შეცვლი-  
 ლიყო. ბურჟუაზიის აზრდილიც საკმარისი შეიქმნა  
 რევოლუციისათვის. (1688) ეს ორი მხარე, ეკონ-  
 დომიური და პოლიტიკური ცვლილება, აქ ერთმან-  
 ეთს თან-და-თან უახლოვდებიან, და ერთათ მიდი-  
 ან. ამის მიზეზი დამარხულია ინგლისის განსაკუ-  
 თრებითი ეკონომიურ პირობებში (საშუალო საუ-  
 კუნეების მიწათ მფლობელობა), რასაც აქ არ  
 შეეცხებით. ცოტა გვიან იმავე გზაზე გამოვიდა  
 საფრანგეთი. აქ დაეცა ფეოდალური წყობილება და  
 გაძლიერდა ერთ-მეფობა. უკანასკნელი შეიქმნა  
 კაპიტალიზმის მფარველათ, ხოლო სახელმწიფოს  
 შინაგანი არეული წყობილება გახდა წყაროთ კაპი-  
 ტალის შეგროვების და ზრდისა. კაპიტალიზმი გან-  
 ვითარდა და წინანდელი დამხმარე წყობილება უღლათ  
 დაედვა. ამ დროს იწყება მიმდინარეობა მანე „ხედ-

შენობის“ წინააღმდეგ. საფრანგეთისთვის ინგლისი მაგალითათ გახდა. ფრანგთა მეფე და მასთან კონსერვატიული დასი ნათლათ ხედავდა, თუ როგორ დაკარგა ინგლისის მეფემ თვითმპყრობელობა და გადაეცა ბურჟუაზიას, ამისათვის მან მაგრათ ჩაქიდა ხელი იმავე თვითმპყრობელობას, რომ ინგლისის მეფესავით ხელიდან არ გაეგდო. მეორე მხრით, ბურჟუაზია ამბობდა: აი. იქ ინგლისში ბურჟუაზია მართავს ქვეყანას, ამიტომ იქ დატრიალდა აუარებელი სიმდიდრე, სანამ ჩვენ არ გვექნება ისეთი ძალა, ცხადია მათ კონკურენციას ვერ გავუწევთო. ამ ნაირათ შედგა ორი დიდი დასი კონსერვატიული და პროგრესიული. პარიჟი და სხვა უმთავრესი ქალაქები მოფენილი იყო საიდუმლო კლუბებით. პროგრესიული დასი დაყოფილი იყო სამათ: 1, კონსტიტუციონალისტები (აქედან მირაბო) 2, რესპუბლიკანელები (აქედან რობესპიერი) და კომუნისტები (აქედან ბაბეფი). 1789 წელს იფეთქა ქვეყანამ, კონსერვატიული ძალა სრულებით დამარცხდა, პროგრესისტებში გაიმარჯვა მეორე დასმა, პირველი და მესამე ეშაფოტზე გაამგზავრეს. ბურჟუაზიამ ისახელა თავი. ახლა საფრანგეთი შეიქმნა ევროპის მაგალითათ. დიდმა რევოლიუციამ საშინლათ დააფრთხო ევროპის კონსერვატორები და გაახაო პროგრესისტები. მოსალოდნელი იყო, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიის მოქმედება იდეალათ გახდებოდა ევროპის ბურჟუაზიისთვის, და თუ ეს ასე არ მოხდა, მიზეზი იმავე საფრანგეთის ცხოვრებაა. დიდი რევოლიუციის დროს მხოლოდ ბურჟუაზია შეიქმნა პო-

ლიტიკურად განვითარებული. მის ხელში მუშა-ხალხი ბრმა იარაღთ გადაიქცა. შემდეგ ე. ი. ეს ოდესმე ბრმა იარაღი, ივნებს თავის, მუშის, განსაკუთრებით ინტერესებს და ჩაღდება კლასიური ბრძოლა. 1831 წ. ლიონში და 1848 წ. პარიჟში (ივნისში) მუშებმა არეულობა მოახდინეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამან დააშინა უკანასკნელი და მიაკედლა კონსერვატორებს. რამდენათ პროლეტარიატი გაძლიერდა, იმდენად ბურჟუაზიამ უკან დაიწია. ვინ არ იცის, თუ რამდენი შრომა დასჭირდა გამბეტას, რომ რესპუბლიკისათვის ბურჟუაზია მოეშორებია. ბურჟუაზიისათვის რესპუბლიკა დემაგოგიის, ჯანყის სიმბოლოთ გადაიქცა. გამბეტა ამბობდა: რესპუბლიკას ძირი არ ექმნება მომაგრებული მანამ, სანამ ბურჟუაზია არ შეიყვარებს და არ შეითვისებს ამასაო. აქედან წარმოდგა მისი ახალი პოლიტიკა, პირველათ მან დააახლოვა, დაამეგობრა რესპუბლიკანური მთავრობა და ფინანსისტები. მინისტრის და ბანკის კაბინეტი გაერთდა. შემდეგ მანვე დაიწყო ამის წინააღმდეგ ბრძოლა, მოინდომა რკინის გზების გამოყიდვა კომპანიებისგან და სხ. მაგრამ ეს მას არ შეეძლო, ვინაიდან მეორე ხელით იმავე კომპანიებს მფარველობდა. ასეთ გარემოებაში მოუსწრო სიკვდილმა და იხსნა განსაცდელისგან.

ამ ნაირათ, ამ საუკუნის პირველ ნახევარში საფრანგეთში, ბურჟუაზიის მოწინააღმდეგეთ გამოვიდა მეოთხე წოდება—პროლეტარიატი. ამას დაერთო ჩარტისტების მოძრაობა ინგლისში. ამ ორმა გარემოებამ დააფრთხო მთელი ევროპის ბურჟუაზია

და მოაცილა ის რევოლუციური მიდრეკილება, რითაც ინგლისის და კიდევ უფრო საფრანგეთის ბურჟუაზიამ ისახელა თავი. ამ დროს გერმანიაში და სხვა უმთავრეს სახელმწიფოებში მონარქიული წყობილება ბატონობდა. გერმანია ერთობ გვიან დაადგა ეკონომიურ განვითარების გზას. ამ 50 წლის წინათ მისი მრეწველობა ისე სუსტი იყო, რომ თვითონ გერმანიას არ ჯეროდა, თუ ოდესმე დამკვიდრდებოდა კაპიტალიზმი. ამ გვარს სუსტ ნიადაგზე ახალგაზდობამ, ანუ ინტელიგენციამ გადმონერგა საფრანგეთის პოლიტიკური იდეები და მისცა დასაბამი პროგრესიულ ლტოლვილებას. ინტელიგენცია ხედავდა მის მეზობელ ხალხში თავისუფალ წყობილებას და მოიწადინა ასეთივე წყობილების დაარსება თავის სამშობლოში. აქ მას ერთი გარემოება გადაეღობა წინ: საფრანგეთის პოლიტიკური წყობილება ერთიანათ გამაგრებული იყო მის ეკონომიურ წყობილებაზე. გერმანიაში კი მიღებული, მისუსტებული იყო უკანასკნელი, მაშასადამე ვერ იხეირებდა პირველი. ახალ-გაზრდობა რის ახალგაზდობაა, თუ ასეთ დაბრკოლებას შეუშინდა და ბრძოლის ველს გაეცალა. არა, მას სურს თავის სამშობლო ადრე გააბედნიეროს და შეუდრეკელათ, მამაცურათ გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე. ხოლო ასეთ მისწრაფებას რომ შეცნირული საფუძველი მასცეს, ის იგონებს მთელ ახალ ფილოსოფიას. აი, აქ ჩნდება ორი თეორია, რაც შემდეგ რუსეთის ინტელიგენციამ 'შეისისხლ-



ხორცა და დღეს „ივერია“ გვიქადაგებს: 1) კაპიტალიზმი ვერ დამკვიდრდება გერმანიაში; 2) კრიტიკულათ მოაზრეთ მეორეთ შეუძლიათ ცხოვრებას ეს თუ ის მიმდინარეობა მისცენ (ძმანი ბაუერნი). გაჩაღდა მოძრაობა, საქმეს კი არა ეშველა რა. ამან დაბადა სასო-წარკვეთილება. ასეთი თეორიების წინააღმდეგ ორჯელ კიდევ გაილაშქრეს ახალგაზდა მეგობრებმა: კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა. ესენი ამბობდენ, სანამ მუშა ხალხი ქუჩაზე არ გამოვა და სისხლს არ დაღვრის, პრუსიის კონსტიტუცია ოცნებააო. Die heilige tamille 1845 წ.) ამით უჩვენეს ახალი გზა, წადით, მუშა-ხალხი გააცნობიერეთო. მართლაც 1848 წ. ქ. ბერლინის მუშებმა დაიძახეს: ძირს ძველი წყობილებაო და კიდევაც დაინგრა. ამ რევოლუციაში ბურჟუაზიას, როგორც კლასს, აღარ უჭირავს მოწინავე რაზმი, (როგორც ეს საფრანგეთში). ის მუშა ხალხის მოძრაობის ნაყოფია. ევროპის ბურჟუაზიამ დაჰკარგა რევოლუციონური როლი, ის მუშათა კუთვნილებათ შეიქმნა.

აქედან გამოგვყავს შემდეგი დასკვნა: პირველათ, ინგლისში და საფრანგეთში პოლიტიკურ პარტიებს წინ უსწრობს ღრმა ეკონომიური ცვლილება, გერმანიაში კი ასეთ ეკონომიურ ცვლილებას წინ გაუსწრო პოლიტიკურმა პარტიებმა, ხოლო ამათი აზრები ვერ განხორციელდა მანამ, სანამ შესაფერი ეკონომიური ცვლილება არ მოხდა. მეორეთ, ინგლისში და საფრანგეთში რომ რევოლუცია მომხდარიყო (და სხვა უკან ჩამორჩენილ ქვე-

ყნებში) ბურჟუაზიის განვითარება საკმარისი აღარ შეიქმნა რადგანაც მას უკვე გამოეცალა რევოლუციური თაოსნობის ძალა. ამისათვის აუცილებელი გახდა მუშა-ხალხის განვითარება და გაცნობიერება.

ახლა კი ცხადია, ვინ არის პოლიტიკური ცვლილების აგენტი და სად უნდა მოძებნოს თანამედროვე ინტელიგენციამ სამოქმედო ნიადაგი.

## V

გადავიდეთ რუსეთზე. ჩვენ ვწერდით: რუსეთის ამ საუკუნის ისტორია პარტიოზის ისტორიაა-მეთქი. „ივერია“ ამაზე ასეთ შენიშვნას იძლევა: „ფრიათ“ საინტერესო იქმნება, თუ ბ. ჟორდანია ინებებს ამ შეხედულებით აგვისნის რუსეთის ისტორიასო“. ცხადია „ივერიას“ უფიქრია, ვითომ პარტიოზის საშუალებით შეიძლებოდეს ისტორიის ახსნა, ჩვენ კი ისტორიის საშუალებით ვხსნით პარტიოზას.

რაც ჩვენ ვთქვით გერმანიის ინტელიგენციის შესახებ, იგივე შეგვიძლია ვთქვათ რუსეთის შესახებაც, იმ გარჩევით, რომ რამდენათ რუსეთი გერმანიაზე უფრო ნაკლებათ იყო ეკონომიურათ განვითარებული, იმდენათ მისი ინტელიგენციის იდეოლოგიური მოძრაობა გატაცებული და ძლიერი უნდა ყოფილიყო. რუსეთის ამ საუკუნის ისტორია ტრაგიკომიკურია. ერთი მხრით, მას სურს რაც ევროპაში საუკუნოების განმავლობაში შემუშავებულია (სახეში მაქვს ინგლის-სათრანგეთი, რასაკვი-

რველია), ის რამდენიმე წლის განმავლობაში შეი-  
 თვისოს და ცხოვრებაში შეიტანოს. ასეთია თავის  
 თავის ძალათ განდიდება. მეორე მხრით, ამ სურვილ-  
 მა ისეთი ძალ-ლონე და ენერგია აღძრა მოწინავე  
 რაზმთა შორის, რომ კომედია ღრამათ გადაიქცა  
 და მთელი ქვეყანა განცვიფრებაში მოიყვანა.

რუსეთს გვერდში ამოეჭიმა დასავლეთი ევრო-  
 როპა მთელი თავისი სამხედრო და სამოქალაქო  
 ძლევა-მოსილობით. ამით მისი ისტორიის ჩაბრხის  
 მიმართულებაც გადაჭრილი შეიქმნა, მას ედვა ორი  
 გზა: ან უნდა დაჩქინილიყო იმათ, რათაც წინათ  
 იყო ე. ი. აღმოსავლეთის გაუნათლებელ, განუვი-  
 თარებელ ქვეყნათ, ან და ევროპის გზას დადგო-  
 მოდა და ამაზე აეგო მერმისი. პირველ შემთხვევა-  
 ში, რასაკვირველია, ის ვერ გაუწევდა ძლიერ ევ-  
 როპას ვერავითარ მოცილეობას ვერავითარ ასპაოე-  
 ზზე. რომელ ერსაც დღეს სიცოცხლე სურს, ის იმ  
 იარაღით უნდა აღიჭურვოს, რომლითაც მოწინა-  
 ვე ერნი არიან აღჭურვილნი. ახალი სისტემის თოფ-  
 ზარბაზნის წინააღმდეგ შეილდ-ისარით ან კაჟიანი  
 თოფით რომ გამოხვიდე, შენი ხვედრი წინდაწინ  
 ცნობილია—ძლეულ იქმნები. რუსეთი კარგა ხანია  
 მეორე გზას დაადგა, მაგრამ დაბეჯითებით შეგვი-  
 ძლია ვთქვათ, ამ საუკუნემდი დიდი არაფერი გაუ-  
 კეთებია. მან გვიანამდი ვერ შეიგნო, თუ რას ქვია  
 გაევროპიელება, სად არის ამის დედა-ძარღვი. ამი-  
 სათვის პირველათ გარეგან სახეს მიაქციეს ყურად-  
 ლება. ასეთი თუ ისეთი ტანისამოსი, ასეთი თუ ისე-  
 თი პირის სახის შეკეთება, ეს თუ ის სასაუბრო ენა

და სხ. ამისთანები—აი, რით დაიწყეს რუსეთის განათლება (ხანა პეტრე დიდის, ეკატერინე მეორის და სხ.). მხოლოდ ამ საუკუნეში აშკარა გახდა, რომ გავეროპიელება ნიშნავს ეკონომიურ განვითარებას. ამის შეგნებამ დიდი მსხვერპლი მოითხოვა. რუსეთის წყობილების უვარგისობა და არა-რაობა ფაქტიურათ, აშკარათ უნდა დამტკიცებულიყო. ეს შეასრულა ყირიმის ომმა. რუსეთი მოხვდა ევროპას და დამარცხდა. ასე გასინჯეთ ინგლისს ლონდონიდან უფრო ადრე მოყავდა ჯაჩი შავ ზღვაზე, ვინე რუსეთს პეტერბურგიდან. აქედან იწყება მეორე ხანა რუსეთის ისტორიაში. ბატონ-ყმობის გაუქმება, სასამართლოების, სასწავლებლების, სამხედრო წყობილების შეცვლა-გაუკეთესება—აი ახალი მიმართულება. დახსნა რკინის გზების, გამრავლება ხომალდების, აღორძინება ვაჭრობა-მრეწველობის—აი შინაარსი ამ მიმართულების. რუსეთი დაადგა გავეროპიელების გზას. აქაც, როგორც გერმანიაში. ცხოვრების ასეთ მიმდინარეობას წინ უსწრობს აზრთა მიმდინარეობა, დასთა აღორძინება და გავეროპიელებისათვის შეგნებულათ ბოძოლა. განა შეეძლო ინტელიგენციას გულ-გრილათ ეცქირა დასავლეთ ევროპისათვის, სადაც პოლიტიკური ცხოვრება დულდა და გადმოდულდა? არა, მან მოისურვა თავისი სამშობლოც ასეთ პირობებში შეცურებულიყო და აქეთ მომართა თავისი მოქმედება. ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის უღელი ხალხს კისერზე ედგა, როცა მისმა წარჩინებულმა შვილებმა ევროპის პოლიტიკური ფორმების შემოტანა მოიწადინა. ამან დაბადა დეკაბრისტების

მოძრაობა. მწერლობაში გაისმა ხმა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, (ტურგენიევი, გოგოლი, გერცენი, ოგარევი, ჩერნიშევსკი და სხ.) ასეთი მუდმივი ლაღების შედეგი შეიქმნა მესამოცე წლებში მთავრობის და საზოგადოების მხურვალე მოქმედება, კონსერვატიული ძალა ძლეულ იქმნა და დადგა რეფორმების ხანა. ინტელიგენციამ, როგორც ყოველთვის, წინ გაასწოო თავისი აზრებით მთავრობის ლიბერალურ ლტოლვილებას. მან შეითვისა დასავლეთ ევროპის სოციალური თეორიები (განსაკუთრებით პრუდონის და ლუი-ბლანის) და შეუდგამის განხორციელებას. მაგრამ აქაც ისეთივე დაბრკოლება დახვთა, როგორიც გერმანიის ინტელიგენციას. დასავლეთ ევროპის თეორიები კაპიტალიზმის შედეგი იყო. რუსეთში კი კაპიტალიზმი არ არსებობდა. აი, ასეთ აბნეულ მდგომარეობისაგან ინტელიგენცია გამოიყვანა წიგნაკმა „Философскія предубежденія противъ общиннаго землевладѣнiя“. ავტორი ნათლათ ამტკიცებდა, რომ რუსეთის „община“-ს შეუძლია პირდაპირ (უკაპიტალიზმით) გადავიდეს სოციალისტურ წყობილებაშიო, სამწუხაროთ ეს დამტკიცება იყო მატემატიკური და არა ფაქტიური. ასე თუ ისე, ახალგაზრდობა დაადგა ამ გზას, მეორე მხრით ამან დაბადა შიში და წინანდელი ლიბერალური მიმართულება კონსერვატიულათ გახადა. ეს ორი ძალა შეეჯახა ერთმანეთს. ორივე მხარე ერთ და იგივე საფუძველზე იდგა: ძველ, პატრიარქალურ ეკონომიურ წყობილებაზე. —ეს წყობილება არსებობს საუკუნეების განმავლო-

ბაში და არავითარ უმაღლეს ფორმაში არ გადასულა, მაშ რატომ დღეს უნდა გადავიდეს? კითხულობდნ კონსერვატორები. რატომ და ინტელიგენციას სურს. მან დაინახა ეს ხალხის საბედნიეროთ — უპასუხებდნ პროგრესისტები. ამან გამოიწვია „კრიტიკულ მოაზრეთა“ ყოველათ შემძლებლობის მოძღვრება თავის „სუბიექტიური მეთოდით“ იგივე ფილოსოფიური მოსაზრება, რაც გერმანიაში. მხოლოთ უკიდურეს ხარისხამდე მიყვანილია\*). ამ ბრძოლაში მიდიოდა დრო და მასთან ერთათ გზას იკაფავდა კაპიტალიზმი. მართალია „ზედ-შენობის“ საფუძველი ძველი ეკონომიური წარმოებაა, მაგრამ დასავლეთ ევროპას რომ გაეჯიბროს, გაუბადლდეს, საჭირო შეიქმნა მფარველობა ყოველივე იმის, რაც

\*) „საპატიო მიზეზის“ გამო აქ ვერ განვიხილავთ ყველა იმ დასებს, რომელნიც დაიბადენ ამ საერთო ნიადაგზე. ჩვენი მიზანია მხოლოთ გავარკვიოთ ის დედაბოძი, რომელზედაც იყო დაყრდნობილი ინტელიგენციის სვა-და-სხვა ფრაქცია, ეს დედა-ბოძია „народничество“ (სიტყვა „ტეტიათა მოტრფიალე“ ამას კარგათ ვერ ხატავს, მაგრამ უკეთესის უქონლობის გამო ვიხმართ). ყველა ფრაქცია, დაწყებული სლავიანოფილებიდან და გათავებული უკიდურესი დასით, ერთ და იმავე თეორიას აღიარებდნ: რუსეთმა სხვა ისტორიული გზა უნდა გააკეთოს, ვინემ დასავლეთ ევროპამო. ამ სათავიდან სრულიათ სხვა-და-სხვა დასკვნები გამოყავდათ. პირველნი იცავდნ ყოველივე ძველ წყობილებას, მეორენი მხოლოთ პოლიტიკური ფორმის გაევროპიელებას მისდევდნ და ამის საშუალებით ხალხის უმაღლეს ეკონომიურ საფეხურზე გადაყვანას.

ხალხში შრომას ანვითარებს, ფულს ატრიალებს ე. ი. ვაჭრობა-მრეწველობას. სახელმწიფოსათვის ფულია საჭირო, ფული კი ხალხმა უნდა გადაიხადოს. რა ნაირათ შეუძლია გადაიხადოს, თუ კი ის აღებ-მიმცემი არ არის, არ ყიდის თავის ნაშრომს და ფულს არ იძენს. ეს ცხადია დღესავით. მაშასადამე სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესია, ხალხი გამოვიდეს კაპიტალიზმის გზაზე. „ზედ-შენობა“ ძირს ითხრის.

რაკი კაპიტალიზმი სოფელს მიწვდა, ის მიინგრ-მოინგრა და გაჩდენ ის ტიპები, რომელნიც ასე ჩინებულათ აქვთ დახატული გლებ-უსპენსკის, კოროლენკოს და სხვა რუსეთის მწერლებს. გლების ნივთიერი მდგომარეობა შეირყა. მისი ცხოვრების საძირკველი—მიწის საერთო მფლობელობა—მოხვდა ახალ ელემენტს-ფულს და ერთიანათ დაიმსხვრა. გამოჩნდა, რომ მობერებულ ეკონომიურ ფორმას არავითარი ცხოველ-მყოფელი ძალა არ ქონებია ახალ ეკონომიურ ფორმასთან საბრძოლველათ ცხადია მიმართულება ამ მოუძღლურებულ ნიადაგზე აშენებული ოცი წლის წინათ მოკლებულია დღეს ყოველსავე „raison d'être“-ს. რის გარკვევა ვერ შეძლეს მაშინდელ გენიოსებმა, დღეს ცხოვრებამ საშინელი სიადვილით გაარკვია და გახსნა. რაც მაშინ გენიოსური მოსაზრება იყო, ის დღეს ანაქრონიზმია, „ნაროდნიკობა“ მაშინ აუცილებელი იყო, დღეს კი გზადაბნეულია. ის წარმოადგენდა რუსეთის აზროვნობის უმაღლეს განვითარებას, მის მწვერვალს, დღეს კი აზროვნობის დაცარიელებას, დაქვეითებას.

მან მაშინ გაიტაცა და აამოძრავა ყველა, ვისაც კი ხალხის ბედ-იღბალი ჩალათ არ მიაჩნდა, ვისაც სამშობლოს სიყვარულის ნაპერწკალი გულში უღვივდა. დღეს კი აღარავის არ აინტერესებს, პირ-იქით ყველას აძინებს, „ნანინას“ ეუბნება. აშკარაა მაშინდელი დროშა დღეს ფარსათ გადაქცეულა და თანახმად იმისა შეცვლილან მომქმედნი პირნი. დრამის მეთაურნი იყვენ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, შელგუნოვი, მიტროვი და ძმანი მათნი; ფარსის—კარევი, მიხაილოვსკი, ვასილ ვარანცოვი, კრივენკო და სხ. *acta est fabula!*

ამ ნაირათ ცხოვრების განვითარებამ, კაპიტალიზმის წარმატებამ გამოაცალა საფუძველი „ნაროდნიკებს“. ამას უნდა გამოეწვია მეორე ალაგის მეორე ძალა. ვერც ერთი მიმართულება ვერ მოიკიდებს ფეხს, თუ ის რაიმე განსაზღვრულ ნიადაგზე არ არის აშენებული, ისეთ ნიადაგზე, რომელიც თანდათან ფართოვდება, ნოყიერდება და შეადგენს მომავალს. პატრიარქალური წარმოება ირღვევა, ჰქრება, მაშასადამე ამაზე დამყარებული იმედები უნდა გაქრეს. კაპიტალისტური წარმოება გზას იკვლევს, ვითარდება, მაშასადამე ამის თანაბრათ შემუშავებული პროგრამა ხანგრძლივი, ცხოველ-მყოფელია, მომავალიც მისია. კაპიტალიზმის ტენდენციამ ერი დაყო ორ-ნაწილათ. ფულიანი და უფულო, მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა. ეს ორი ძალა ერთმანეთის მტერია, მათი ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ამისათვის ცხოვრებაშიაც ორი მიდრეკილება ჩნდება, ერთი მფარველობს კაპიტა-



ლის ინტერესებს, მეორე—შრომისას. პირველია ბურჟუაზიული მიმართულება სხვა-და-სხვა ფორმით, სხვა-და-სხვა სახელით, მეორე სოციალ-დემოკრატიულია. ესენია მომავალის დასები, ბრძოლა ამათ შორის წარმოებს. ყველა დანარჩენი დასი ან ერთს ემხრობა, ან მეორეს. სხვა გზა არ აქვს. ამ სახით ეს ორი ნიადაგი სრულებით სხვა-და-სხვაა, მათი ერთმანეთში არევა შეუძლებელია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი კავშირი არასოდეს არ შეიძლებოდეს. 1847 წ. მარქსი და ენგელსი ცნობილ „მანიფესტში“ აცხადებენ: გერმანიის სოციალ-დემოკრატები უნდა შეუერთდნენ ბურჟუაზიულ დასებს, რომ საერთო ძალღონით პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვონო; სოციალ - დემოკრატები ყოველგან და ყოველთვის უნდა შეუერთდნენ პროგრესიულ დასებს კონსერვატორების წინააღმდეგო და სხვა. ასეთი შეერთება დღეს ევროპაში ყოველ დღე ხდება, საფრანგეთში უერთდებიან რადიკალებს, გერმანიაში ან თავისუფალ მოაზრეთ ცენტრს და სხ. (არჩევნებში ან პარლამენტის ბჭობის დროს), ეს ასეა ყოველგან. მხოლოდ „ივერიისთვის“ ეს ასე არ არის. ის გვატყობინებს: „რუსეთის ნა-როდნიკები, მარქსისტები და ლიბერალები პროგრამის ერთ მუხლზე შეერთდნო, აქედან კი გამოყავს, ვითომ ისინი გაერთებულებიყვენ და სამის მაგიერ ერთი პროგრამა შეიმუშავენ-სო\*.) განა შეერთება გაერთიანებას მოასწავებს?

\*) ის კი აღარ ვიცით, რატომ „იველია“ არ იხსენიებს კონსერვატიულ დასს. არ არსებობს? ცხადია რატომ,

სამივე პარტია სხვა-და-სხვა ნიადაგზე დგანან! ჯერ ეს ნიადაგები უნდა გაერთდნენ და მეორე ზედ-აშენებული პარტიები. მაქსისტები შრომის ინტერესს იცავენ, ლიბერალები კაპიტალისას. პირველი ებრძვის მეორეს, მეორე პირველს და უცხოეთის კონკურენციას. ამ სხვა-და-სხვა გზაზე ორივეს ხელს უშლის ერთი და იგივე გარემოება. ამის შეცვლაში ორივე სხვა-და-სხვანაირათ არიან დაინტერესებულნი. ვინ არის შემცვლელი? ზევით გავარკვიეთ: მას შემდეგ, რაც მუშა-ხალხი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ბურჟუაზიამ დაკარგა რევოლუციონური ძალა. ცხადია ლიბერალები დაჩნებიან მხოლოდ მნატვრელებათ, ნეტავ ეს ასე იქნებოდესო, სწორეთ ისე, როგორც „ივერია“ ნატრულობს, ნეტავ „ზედ-შენობა“ არ მიშლიდეს ხელს, თორემ პარტიობა რა უნდა იყოსო. „ნაროდნიკები?“.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ „ნაროდნიკების“ მოძღვრება აზროვნობის დაცარიელებაა, რეაქციაა. აი მათი ტეზისები: კაპიტალიზმი ვერ განვითარდება რუსეთში, მშრომელი ელემენტის უმრავლესობა სოფელშია და არა ქალაქში; ინტელიგენციას შეუძლია ხალხის წარმოება ახალ ნიადაგზე დააყენოს და მით აჩემა მან პარტიებს თავისუფალი პოლიტიკური ცხოვრება ქმნისო, მხოლოდ რომ ეთქვა რუსეთში პროგრესიულ პარტიას გარდა კონსერვატიული არისო, გამოჩნდებოდა რომ დასები უკვე ყოფილა და მის მიერ აჩემებული ტეზისიც დაირღვევოდა. ასეთ მდგომარეობაში ვარდება ყოველთვის „ნაროდნიკი“, ის ოცნებით გატაცებული, ფაქტებს ველარ ხედავს.

ააცილოს კაპიტალიზმს. ამის განხორციელებისათვის საჭიროა არავითარი გარეშე გარემოება წინ არ გველოდებოდესო. ეს უტოპიური თეორიები „ივერიას“ სიტყვა-სიტყვით გადმოუღია და საქართველოს ცხოვრებაზე მიუყერებია. ამნაირათ „ივერიის“ ახალი მიმართულება ის მიმართულებაა, რომელმაც რუსეთში თავისი დრო მოჰკმა და ახლა ვასილი ვორონცოვის ანაბარათ დარჩა. უტოპიური აზრები გერმანიიდან რუსეთში გადმოვიდა, რუსეთიდან ჩვენში, ამას იქით ველარ წავა, სპარსეთში მგონი ვერ იხეირებს. უკანასკნელი საბუდარი „ივერია“ („ივერია“ გვარწმუნებს ეს თეორიები ხელს უშლიან კაპიტალის განვითარებასო; ნამდვილათ კი, კაპიტალის განვითარება ხელს უშლის ამ თეორიას). შევადაროთ „ნაროდნიკები“ და კონსერვატორები ერთმანეთს:

კონსერვატორები		— ძველი პოლიტიკური წყობილების დაცვა: — ახალი ეკონომიური წყობილების შემოღება.
„ნაროდნიკები“		— ახალი პოლიტ. წყობილ. შემოღება. — ძველი ეკონ. წყობილების დაცვა.

პირველის მიზანი რეგრესიულია. მეორის, — პროგრესიული. პირველის ეკონომიური მიდრეკილება პროგრესიულია. მეორის — რეგრესიული. პირველნი მეცადინეობენ მობერებულ ფორმაში ახალი შინაარსი გამოხვიონ, მეორენი — მობერებული შინაარსი — ახალ ფორმაში გამოხვიონ. ესენი ეწინააღმდეგებიან თავიანთ თავს, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი და იგივე აღიარონ: შესაძლებელია შინაარსი უფორმოთ, ფორ-

მა უშინაარსოთ, ორივე კონსერვატორებია. მათ ხალხისათვის ზრუნვას თითქმის ერთი და იგივე შედეგები მოსდევენ. კონსერვატორები ემსახურებიან კაპიტალის ინტერესებს. (რასაკვირველია იმიტომ, რომ სახელმწიფოს შემოსავალი გაძლიერდეს) „ნაროდნიკები უარჰყოფენ კაპიტალიზმის განვითარებას და ვერ ხედავენ იმ კითხვებს, რომელნიც კაპიტალიზმმა გამოიწვია. ისინი ოცნებობენ იმაზე, თუ როგორ გააბედნიერებენ სოფელს ერთ დღეს, ერთი რეცეპტით. მაგრამ, რადგანაც სოფლის გაბედნიერებას „ივერიის“ სიტყვით, გარეშე გარემოება ხელს უშლის, ეს ჩვენი „ტეტიათა მოტრფიალენი“ რჩებიან უნიადაგოთ, ჰაერში გამოკიდულნი.

„ტეტიათა მოტრფიალეთ“ (რუსულათ „ნაროდნიკები“) ერთი ახირებული საქმე დაემართათ. სრულიად გამოეპარათ ჩვენი უკანასკნელი ოცდაათი წლის ისტორია. გამოეპარათ აგრედვე დასავლეთ ევროპის ისტორია და მთელი დღევანდელი ცხოვრება. მათ გონიათ, ახლანდელი ცხოვრების დედაბოძი სოფელიაო. ამისათვის მუდამ გაიძახიან: სოფელში, სოფელში წადითო! ეს სოფლის ტრფიალი ისე გაძლიერებულია ჩვენს მწერლობაში, რომ იშვიათათ იბეჭდება წერილი, რომელიც არ იწყებოდეს სოფლით და არ თავდებოდეს სოფლითვე. რადგანაც მშრომელი ხალხის უმეტესობა სოფლიათ არის ჯერ-ჯერობით, ამიტომ ინტელიგენცია ქალაქს უნდა მოშორდეს და სოფელში წავიდესო! პირველი წინადადება ფაქტია, დასკვნა კი ყალბია. ეს არ ნიშნავს, ვითომ დღეს სოფელს ეჭიროს პირველი ალაგი

და არა ქალაქს. სოფლის და ქალაქის როლი ისტორიაში სრულიად სხვა-და-სხვანაირია და ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. ეს კითხვა შეიცავს მთელ ძველ და ახალ ისტორიას. ჩვენ მხოლოდ აქ აღვნიშნავთ უმთავრეს დედა-აზრებს.

საშუალო საუკუნოების ცხოვრება ერთიანად დაყრდნობილი იყო სოფლის ცხოვრებაზე. სოფელი სოფლიდან იყო გაცალკევებული, ხეობა ხეობიდან, მაზრა მაზრიდან, მხარე მხრიდან. აქ ისტორიის ჩარხს სოფელი ატრიალებს. სოფლის ბატონობა ნიშნავს პოლიტიკურ წყობილებაში ანარქიას, ეკონომიურ წყობილებაში შრომის განუვითარებლობას, მიმოსვლის დახშვას და კარჩაკეტილ ცხოვრებას. ახალი ისტორია დაიწყო ქალაქის აღორძინებით. შრომის განვითარება, აღებ-მიცემობის ფეხის აღგმა, მისვლა-მოსვლის გაადვილება—აი, ახალი მიმდინარეობა. ასეთმა მოძრაობამ გამოიწვია სავაჭრო ნივთთა და ადამიანთა კონცენტრაცია, თავის მოყრა, ერთი ცენტრი. ასეთ ცენტრებს დაერქვა ქალაქი და დაედვა საფუძვლათ ახალ ისტორიას. ქალაქმა დაიჭირა მოწინავე როლი. მან შეაერთა სხვა-და-სხვა კუთხე ერთმანეთთან, გააერთიანა მთელი ერი და დააკავშირა უცხო ერნი. ქალაქში მოიყარა თავი ერის ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძარღვებმა. სოფელი უქალაქოთ ერთ დღესაც ვერ გასძლებს. სოფელი მიდის ქალაქში ნაშრომის გასაყიდათ და საჭირო საქონლის საყი-

დღათ. ქალაქელი დროს გასატარებლათ თუ  
 წავა, თორემ მეტი არაფერი საქმე აქვს სოფელ-  
 ში. რაკი ეს ასეა, ცხადია, ქალაქია ის შუაგული  
 ადგილი, სადაც ტრიალებს ყოველნაირი ხალხი:  
 მუშა, ხელოსანი, მეურნე, მეღუქნე, მეეტლე, მო-  
 ხელე, მოსწავლე და სხ. და სხ. ასეთი მოძრაობა  
 ერთმანეთს აახლოებს, მოქალაქობრივ გრძნობებს  
 უღვიძებს, გონებრივად წრთვნის და ამალღებს. როცა  
 ქალაქში ძლიერდება ახალი იდეები, სოფელშიაც  
 გადადის, რომელი ერთი ქალაქშია ფეხ-მომაგრე-  
 ბული, სოფელშიაც ადვილათ ფეხს იკიდებს. გამო-  
 აცალღეთ ირლანდიას დუბლინი, პოლონეთს ვარშავა,  
 თქვენ დაგრჩებათ სხეული უსულოთ, ქვეყანა უთა-  
 ვოთ, ხალხი უწინამძღვროთ, ერი დაქსაქსულ-დაუ-  
 ძღურებული. ქალაქში იწყება ყოველივე რევოლიუ-  
 ციონური მღელვარება, ვითარდება პოლიტიკური  
 ბრძოლა და შემდეგ თან-და-თან ედება სოფელს.  
 ქალაქში იწერება და იცემა კანონები, გამოდის  
 ბრძანებები, იხსნება სასწავლებლები, არსდება საზო-  
 გადოებები, ჩნდებიან მწერლები, მუშავდება იდეები,  
 ერთი სიტყვით, ქალაქის მაჯის ცემა—მთელი ერის  
 მაჯის ცემაა, ეროვნული ცხოვრება—ეს ქალაქური  
 ცხოვრებაა. სოფელი ნელ-ნელა ქალაქდება, ეს  
 აშკარაა მთელი განათლებული ქვეყნისთვის, წყვედი-  
 დით მოცულია ჩვენი მწერლობისათვის. ეს დაუსრუ-  
 ლებლათ ღაღადებს, ჩვენი მხსნელი, ჩვენი ეროვ-  
 ნობის აღმდგენი სოფელიაო. „ივერიას“ ხელში სახრე

დაუკავებია და ინტელიგენციას სოფლათ მიერეკება\*).  
 ეს ასეც უნდა იყოს. „ტეტიათა მოტრფიალეთათვის“  
 ქალაქი არ არსებობს. ისინი სოფელს ეალერსებიან  
 და ოცნებობენ იმაზე, თუ ერთ შვენიერ დღეს  
 სოფლას ცხოვრებას როგორ გადაახტუნებენ ევრო-  
 პიულ განვითარების უმაღლეს საფეხურზე, ესენი  
 ძალიან გვაგონებენ დაუვიწყარ ლუარსაბ თათქა-  
 რიძეს. პატივცემულ თავადს არაფრათ არ სჯეროდა,  
 ბატონ-ყმობას გააუქმებნო, იმ საბუთის ძალით, რომ  
 წინათ რაიმე საქვეყნო სასწაული უნდა მოხდესო.  
 თუმცა კუდიანი ვარსკვლავი გამოჩენილიყო, მაგრამ  
 ეს კიდეც არ მიაჩნდა საკმარის საბუთათ. ჩვენი  
 „ტეტიათა მოტრფიალენიც“ ასეთ სასწაულს ელო-  
 დებიან, რომ დაჩუმუნდენ, საშუალო საუკუნოები  
 უკვე დასრულდა და მოქალაქობრიობა დადგა.

ჩვენ ამით იმას არ ვამბობთ, რომ სოფელი  
 ყურადღების ღირსი არ იყოს. ჩვენ ვამტკიცებთ:  
**სოფელს ქალაქი მიუძღვება წინ.** მაშასადამე, ჯერ  
 ქალაქი უნდა იყოს გაღონიერებული ეროვნული,  
 პოლიტიკური და სოციალური იდეებით, რომ სო-  
 ფელმაც შეითვისოს. ნუ თუ ჩვენი ქალაქები ამ მხრით  
 სასურველ ნიადაგზე დგანან?

ვისაც სოფლის გაუმჯობესება სურს, მან პირო-  
 ველათ უნდა გაარკვიოს, რა ეკონომიურ პირობებში

\*) საბუთიც საუცხოვო აქვს: მაგ., ქართველ ექიმებს  
 უქადაგებს: ქალაქში უცხოელი ექიმებიც ბევრია, თქვენ  
 სოფელში წადითო. ვთქვათ, ეს უცხოელები სოფელსაც  
 დაეპატრონენ, საით გზავნის მერე „ივერია“ ჩვენ ინტე-  
 ლიგენციას? ეს კი აღარ ვიცი.

იმყოფება სოფლის ცხოვრება. ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ჩვენ ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება მოხდა. ვაჭრობა, მრეწველობა, რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი და სხ., და სხ.—აი, რამ შესძრა ჩვენი მყუდრო, ძველებური ურთიერთობა. გაევროპიელების გზას დავადექით. ასე გასინჯეთ, ეს „ივერია-საც“ კი სჯერა, მხოლოდ უარჰყოფს ჩვენს ტერმინოლოგიას: „საშინელის სისწრაფით“ წინ მივდივართ-მეთქი. არ მოსწონს სიტყვა სწრაფი. მიეჩანჩალობთ თქვა, რომ გვეთქვა, მის სიხარულს საზღვარი არ ექნებოდა, რადგანაც „ტექიათა მოტრფიალეთა“ თეორია ამას მოითხოვს. ეს მოძღვრება, როგორც არა ერთხელ განვმარტეთ, დამყარებულია იმ წინადადებაზე, რომ ახალი, ევროპიული, ეკონომიური წყობილება ვერ დამყარდება კუროთხეულ საქართველოში. ამისთვის „ივერიას“ საშინლათ ეჯავრება ყოველივე ის სიტყვა, რომელიც ჩვენ ჩქარ წინ-სვლას აღნიშნავს. ფაქტი თეორიის მსხვერპლია. აღვადგინოთ ფაქტი. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიურ ვითარებაში ისეთი ცვლილება მოხდა, რაც არ მომხდარა გავლილ ოცი საუკუნის განმავლობაში. ნუ თუ ეს არ არის სწრაფი? ჩვენი ოცი წლის ეკონომიური განვითარება უდრის ინგლის-საფრანგეთის რამდენიმე საუკუნის განვითარებას. განა შესაძლებელია სხვანაირათ? უკან ჩამორჩენილი ერი მისდევს მოწინავე ერს და, რაც იქ საუკუნოების განმავლობაში შემუშავებულა, მოკლე დროში ითვისებს. ხოლო როცა დაეწევა, თვითონ დგება მო-



წინავეთა რაზმში და საკაცობრიო ცხოვრებაში შეაქვს თავისი ელემენტი. ინგლისს გაუამხანაგდა საფრანგეთი, საფრანგეთს გერმანია, გერმანიას ევროპის სხვა სახელმწიფოები, ევროპას ამერიკა და რამდენიმეთ ავსტრალია—აზია\*). კაპიტალიზმი დღეს ჩვენში უფრო ჩქარა არღვევს პატრიარქალურ ურთიერთობას, და ათახსირებს ხალხის უმრავლესობას, ვინემ ეს მოხდა წარსულ საუკუნოებში ინგლის-საფრანგეთში. აქ მე-XVI—XVIII ს. იცემოდა განსაკუთრებითი კანონები, რომელთაც სამუშაო დღეს 15—17 საათამდი აგრძელებდენ. ეს იმიტომ, რომ მუშა არ მუშაობდა, ცოტა შრომით შეეძლო თა-

\*) ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს ევროპის ბურჟუაზიული მწერლობა ასე თავ-გამოდებით ქადაგებს: ნუ დავანებებთ იაპონიას აზიის მეთაურობასო. მართლაც რომ თავგამოსადებია. კითხვაა არა ცივილიზაციის დაცვა-პატრონობაზე (ამას ბურჟუაზია იგონებს), არამედ თვითონ ბურჟუაზიის ბატონობაზე. თუ აზია გამოფხიზლდა, განვითარდა, ევროპას ერთათ-ერთი ბაზარი ეკარგვის. ამ შემთხვევაში ევროპის წარმოება რკინის გალიაში იმწყვდევა, გასაქანი არ აქვს. ეს კრიზისი საშინელებაა. აუარებელი მუშა-ხალხი დარჩება უსაქმოთ. მეორე მხრით, ჩინეთის წარმატება გამოიწვევს ჩინელების ემიგრაციას სამუშაოს საშოვრათ. ისინი უფრო მიაწვებიან თბილ ქვეყნებს და გამოდენიან ევროპიელ მუშებს, რადგანაც არც ერთ ევროპიელს არ შეუძლია ისე ცოტა ხარჯით იცხოვროს, როგორც ჩინელს. ამ ნაირათ, ევროპაში შედგება უსაქმო მუშათა დიდი ჯარი. აქედან ორი გამოსავალია. ან შიმშილით უნდა დაიხოცონ, ან და რევოლიუცია მოახდინონ. წარმოებაში წეს-რიგი შეიტანონ. აზია ევროპაში ახდენს რევოლიუციას!

ვის რჩენა. კვირაში ხშირათ სამი-ოთხი დღის მეტს არ რჩებოდა სახელოსნოში. ამისათვის ბურჟუაზიამ კანონით აიძულა მუშა დიდხანს ემუშავა. დღეს ჩვენი მუშისათვის ასეთი კანონი აღარ არის საჭირო. სამუშაო თუ კი იშოვია, დღე კი არა ღამეც არ მოშორდება. ცხადია, დღევანდელი ჩვენი მუშა უფრო გაჭირვებული ყოფილა, ვინემ წარსული საუკუნის ინგლისის მუშა, თუმცა აქ კაპიტალიზმს ორი საუკუნის ისტორია ქონდა. ჩვენ ვვითარდებით არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ევროპის მუჟღულუგუნით, ევროპა გვაიძულებს ევროპის გზაზე გამოვიდეთ. ჩვენი განვითარება, როგორც ყველა უკან ჩამორჩენილი ხალხის, ძალდატანებითია. ამ ძალადობას ვუძღვებით იმიტომ, რომ კულტურა გვაქვს. უკულტურო ხალხი ვერ უძლებს და ჰქრება. მაშასადამე, ჩვენ ჩავდექით ახალ ხანაში, არა როგორც ეტნოგრაფიული ხალხი, არამედ როგორც ქართველი ხალხი, მქონე საკუთარი ისტორიის, კულტურის, ზნე-ჩვეულების. აი, ეს არის ეროვნული ნიადაგი, ამაზე ვაშენებთ ევროპიულ ცივილიზაციას. თუ ეს ნიადაგი დავკარგეთ, გვეკარგვის ხალხოსნობა, კულტურა, თავისი „მე“, თუ ევროპის ცივილიზაცია არ შევითვისებთ, ვრჩებით დაუძღვრებელი, სუსტი, მზათ გადასაშენებლათ. ორივე წინადადებას ჩვენი გაქრობა მოსდევს. ქართველმა ხალხმა ეს კითხვა უკვე გადაჭრა, ის ახალ გზაზე ორ-პირი მახვილით გამოვიდა: ერთი ქრის იმათ, ვინც მის პირადობას ეხება, მეორე იმათ, ვინც იმედს უწყვეტს. ვერ გავევროპიელდე-

ბიო. **ქართველობა და ევროპიელობა**—აი, რა სწერია მის დროშაზე. ჩვენი წინ-სვლა ამ დროშის თან-და-თან გაშლას მოასწავებს. ჩვენში გავფრობიელების სურვილი ძლიერია, ისე ძლიერი, რომ ხალხში კრიზისს იწვევს. ეს კრიზისი ეხება გავფრობიელების დედა-ძარღვს — ეკონომიურ განვითარებას. ფულის საჭიროებამ უცებ შესძრა სოფელი. გამრავლდა სხვა-და-სხვა მოთხოვნილება, რის დასაკმაყოფილებად აუცილებლად ფულია საჭირო. სოფელი შრომობს, ოფლს ღვრის, იქნება ორი გროში ვიშოვნოვო. მას არა გააჩნია-რა გარდა გასაყიდი სამეურნეო ნაწარმოებისა. ის ამით ვაჭრობს. წარმოიდგინეთ, უმუშტრო ვაჭრის მდგომარეობა. სწორედ ჩვენი სოფლის დიდი უმრავლესობა ასეთი უმუშტრო ვაჭარია. ის, დაშორებული ქალაქებს, დაშორებულია ბაზარსაც, უფულოთ ცხოვრება კი არ შეუძლია. აი, აქ არის ჩარჩოთა და მოვახშეთა სარბიელი. სოფლის ნაწარმოებს რომ ბაზარი არ ჰქონდეს, აღარც ჩარჩი გაჩნდებოდა და, თუ ის არსებობს, ცხადია, სადღაც შორს ბაზარი მიეგულება. მაშასადამე, სოფლის პირდაპირი კითხვაა მისი ბაზართან დაახლოვება, რაც ხდება სწრაფი მიმოსვლით და სხვა ასოციაციური საშუალებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მეურნეს გამოიყენოს იაფი კრედიტი და სხვა სამეურნეო დაწესებულებანი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მეურნეობის აღორძინება და ინტენსიური კულტურის დაწყება (როგორც ეს ევროპაშია). სოფლის ასეთი ცვლილება ნიშნავს მას გაქალაქებას ცხოვრებით, შეხედულე-

ბით. ერთი სიტყვით, კულტურულად. ასეთ პირობებში ისპობა, როგორც ჩარჩები, ისე მატყუარა „აბლაკატები“, მარჩიელები, „მოსე მწერლები“ და სხ. \*). „ივერიის“ რეცეპტით ამავების ამომკვეთი ინტელიგენციაა, მას ჰგონია, ყველა ესენი შემთხვევით არიან სოფელში, საკმარისია ინტელიგენტის გამოჩენა, რომ ეს მოუპატივებელი სტუმრები მიიფანტ-მოიფანტონო. ნეტარ არიან მორწმუნენი! „ივერია“ ასეთ წამალს იძლევა სოფლის წყალულის განსაკურნებლად: კაპიტალიზმი ვერ დამკვიდრდება ხოლო ევროპაში ადრე თუ გვიან სამართლიანი ეკონომიური ფორმა დამყარდება და „ჩვენი ერი შეგნებული ინტელიგენციის დახმარებით ადვილად შეითვისებს“. მანამდის კი ჩვენი ეკონომიური მოღვაწეობა უნდა გამოიხატოს შემდეგში: „ჩვენი დღევანდელი სიმდიდრის და ერთად-ერთის განძის დაცვისათვის და ამ სიმდიდრის წესიერი მოხმარებით ჩვენი ეკონომიური წარმატებისათვის (ეკონომიური წარმატება უკაპიტალიზმით! კარგია ვიცოდეთ, რა წარმატებაა ეს) ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ. ეს სიმდიდრე მიწაა. (იქ, სადაც კაპიტალიზმი არ არის, მიწის ღირებულობა მცირეა). ეს განძი ხელიდან რომ არ გაგვეცალოს, საჭიროა მოგროვდეს იგი იმათ ხელში, ვისაც მოვლა-პატრონობა შეუძლია. საჭი-

\*) ჩვენს მწერლობაში ერთად-ერთ წერილს შევხვდი, სადაც ეს კითხვა ქეშმარიტად იყო დასმული. გააუმჯობესე მეურნის საზოგადო პირობები და გაუმჯობესდება მეურნეობაო—სწერდა ავტორი. იხ. „მეურნე და მეურნეობა“ გასული წლის „მოამბეში“.

როა მიწამ იმდენი ხეირი მისცეს მომვლელს, რამდენიც საკმარისია ნივთიერ და სულიერ დღევანდელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“ (№ 34). ამ პატარა რეცეპტში არ არის არც ერთი წინადადება, რომელიც არ არღვევდეს მეორეს და არ ირღვევდეს თავის-თავს. რა ნაირად შეიძლება მეურნის მოთხოვნილებანი საკმარისათ იქნას დაკმაყოფილებული? მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ საჭიროა ფული. მაშასადამე, მეურნემ ნაშრომი ბაზარზე უნდა გაიტანოს, გაანაღდოს. სად არის ბაზარი? პატრიარქალურ წყობილებაში ბაზარი არ არსებობს, შრომის განაწილება მცირეა, ყიდვა-გაყიდვა არ სწარმოებს, ფული არ ტრიალებს. ბაზარი ჩნდება მაშინ, როცა ერში ხდება შრომის დიდი განაწილება: ქალაქი სცილდება სოფელს და ჩაღდება ქალაქური ცხოვრება. ეს ფებს იღვამს ალებ-მიცემობის, მრეწველობის, მიმოსვლის ე. ი. კაპიტალიზმის განვითარების წყალობით. აშკარაა, კაპიტალიზმი ჰქმნის მეურნეთათვის ბაზარს, როგორც შიგნით, ისე საზღვარ-გარეთ. „ივერია“ ამტკიცებს, კაპიტალიზმი არ არსებობს და ვერც იხეირებსო, ბაზარი არა გვაქვსო და ამავე დროს სოფელს შეტრფის, ტკბილი სიტყვებით ვაღერსება: შენს ცხოვრებას ჩინებულად მოვაწყობო. აქ ამათ შორის საინტერესო საუბარი იპართვის:

— შენ, თუ შეგიძლია ჩემი საზოგადო პირობები გააუმჯობესო, ბაზართან დამახლოვე, საშუალება მომეცი ნაშრომი გავყიდო, ცხოვრების მოწყობა უშენოთაც შემიძლია, ეუბნება სოფელი

— ეს შეუძლებელია, ბაზარი საიდან გავიჩინო, საზღვარ-გარეთ მოწინავე ერთ ვერ შევეცილებით, შიგნით კი ყველა მეურნენი ვართ. შრომის განაწილება არ არის და არც ბაზარი არსებობს, მასწავლებლის კილოთი უპასუხებს „ივერია“.

— მაშ, შენი დარიგება შენტვის შეინახე, ჩემთვის არ არის გამოსადეგი, დეე, ისევ მე გავიწალდავ ეკლიან გზას. მოსაუბრენი შორდებიან ერთმანეთს.

ამნაირათ, ეს ორი ელემენტი, ცხოვრება და მწერლობა ერთმანეთს დაშორებიან და გან-განზე მიემგზავრებიან; იმათ ერთი-მეორის არა ესმით-რა. მწერლობა მხოლოდ ოცნებობს. ოცნება ორნაირია, პროგრესიული, ე. ი. ჩინებული შინაარსი და რეგრესიული, ე. ი. ასეთ ჩინებულობას მოკლებული. ცხოვრებასთან კი არც ერთს არა აქვს კავშირი. ოცნება იმისთვის არის ოცნება, რომ რეალურ საფუძველზე არ დგას. აქ ყველაფერი ნატვრაზეა აგებული. „ივერია“ სოფელს უნატრის: მიწა-ადგილებს, ყველა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და „შეგნებული ინტელიგენციის“ სარდლობით ერთიანათ გაბედნიერებას. „მოამბე“ თავად-აზნაურობას შეტრფის და მის აღდგენას მეცადინეობს. როგორც ჰხედავთ, ეს ორივე სხვა-და-სხვა სახისაა. პირველი გვაჩიანთი ლამაზია, მეორე გვაჩიანთი მახინჯია. მიუხედავად ამისა, ორივე ერთ და იმავეს აპობს: მოქალაქობრივი წყობილება ჩვენში ვერ მკვიდრდებაო. ამ შემთხვევაში, უფრო ლოდიკურია თავად-აზნაურთა ტრფიალი, ვინემ „ტეტიათა“; პატრიარქალურ ხანაში

„ტეტია“ ქლამნის როლს ასრულებს. ესენი ერთ წუთშიაც რომ დარწმუნდენ, ჩვენ გავფროპიელების გზაზე მივექანებითო, მაშინვე ირღვევა ოცნება და სიზმრიდან გამორკვეულნი დედამიწაზე ეშვებიან. ევროპიელობისაგან ძლიერ შორს დგას როგორც აზნაურობის აღდგენა, ისე „ტეტიათა“ მიწა-ადგილებით გამდიდრება. აქ ყველაფერს ფული—კაპიტალი ასწორებს. ამ მწარე სინამდვილის დანახვა არ მოსწონთ და ოცნებას ეძლევიან. დეე, იოცნებონ, პლანები დააწყონ, ილაპარაკონ, გაერთონ, ვის რა დააკლდება? ცხოვრება კი ახალ გზაზე მიდის და მიექანება. მას არავითარი რეცეპტი არ სწამს. „შეგნებული ინტელიგენცია“ (ე. ი. „ივერია“) ეუბნება: ჩვენ, პატარა ერს, სად შეგვიძლია ვეებერთელა ერთ შევეჯიბროთ და ნაწარმოებს ბაზარი ვუშოვოთ, ისევ ჩვენს ქერქში დავეტოთო (მეველემ ეს მართივით გამოსთქვა: „ახირებული იქნება ასეთი პრეტენზია დიდ-კაცობაზე პატარისაგანო“). ეს „პატარა კაცი“ მაინც თავისას არ იშლის, ასე გასინჯეთ, „დიდ-კაცს ეჯიბრება, მას გააქვს რუსეთში და საზღვარ-გარეთ: ნავთი, ქვა-გუნდი, სიმინდი, ხე-ტყე და სხ. აკეთებს გზებს, ამრავლებს ქალაქებს, ერთი სიტყვით, მის პატარა კანში ველარ ეტევა, დიდი უნდა გახდეს. „ივერია“ ქვეყანას „ნანი-ნას“ უგალობს. ქვეყანას კი მაინც არ სძინავს, ვითომ არც კი ესმის. ქვეყანა—ივერია—გაზეთ „ივეროიას“ გაურბის. ესენი ცალ-ცალკე მიდიან და ჩვენც გზა დავულოცოთ. შეიძლება ოდესმე ერთად შეიყარონ!..

ყველა ზემო ნათქვამიდან ჩვენ გავაკეთებთ მოკლე დასკვნას. ჩვენს უმთავრეს აზრებს თავს მოუყრით რამდენიმე ტუხისში და მოწინააღმდეგეთ წარვუდგენთ დასარღვევათ:

I ცხოვრება წარმოადგენს ერთ დიდ პროცესს, განვითარებას, ყველა მისი მოვლენა უნდა განიხილოს ერთი-მეორის ურთი-ერთობაში და განვითარებაში.

II. ეროვნული განვითარება ნიშნავს—ეკონომიურ განვითარებას. ეს იხატება შემდეგში: ძველი პატრიარქალური წარმოება ირღვევა და მის ალღას დგება კაპიტალისტური. კაპიტალი გროვდება ერის გულში სხვა-და-სხვა ხერხით, მოტყუებით, ძალ-მომრეობით, უკანონო კანონიერობით, ეს ფული გადადის წარმოებაში და იზრდება მუშის ძალ-ღონით, სრულიათ კანონიერათ. ამას წინ ეღობება ძველი პოლიტიკური წყობილება.

III. ეკონომიური განვითარება ერს ყოფს დასებათ და ახდენს პოლიტიკურ ცვლილებას. ახალი პოლიტიკური ფორმა თავის მხრივ აძლიერებს ეკონომიურ წარმატებას და ამწვავებს დასთა ბრძოლას.

შენიშ.—ვერც ერთი ხალხი ვერ ევროპიელდება გონებით, პოლიტიკურათ, თუ ის ვერ ევროპიელდება ცხოვრებით, ეკონომიურათ.

IV. მოწინავე ქვეყნებში (ინგლის-საფრანგეთში) ამ ცვლილების ინიციატორი იყო ბურჟუაზია. უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში კი მუშა ხალხია, ხოლო ინტელიგენცია არასოდეს.



შენიშ.—ხალხის ცხოვრების შეცვლა-გაუმჯობესობა შეუძლია მხოლოდ ხალხს და არა მის მალლა მდგომ ინტელიგენციას.

V. ეს ახალი ხანა ერთიანად აშენებულია ქალაქურ ცხოვრებაზე. ეს მოქალაქეობრივი ხანაა. სოფელი ქალაქდება.

VI. ამისთვის ერის ყოველგვარ აღორძინებაში პირველ როლს ქალაქი თამაშობს. რამდენათ რაიმე საერო საქმეს ქალაქი მეთაურობს, ის ძირ-მომხაზრებული და ცნობიერია. სოფელი ქალაქს მისდევს.

VII. ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქეობრივ ხანაში. ეს იხატება პატრიარქალურ წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრებაში. ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდება.

VIII. გავეოპიელდება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა—აი რა წერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა—ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა.

„ივერიამ“ ან უნდა დაარღვიოს ეს ტეზისები და ან ლოდიკაში ჩადგეს. უკანასკნელ შემთხვევაში მას რჩება ორში ერთი: ან უნდა უარყოს თავისი პოლიტიკურ-ეროვნული ლტოლვილებანი და თანახმად ეკონომიურ მოძღვრებისა სრულიად გაკონსერვატორდეს; ან და უარყოს თავისი ეკონომიური მოძღვრება და თანახმად პოლიტიკურ ლტოლვილებისა სრულიად გაპროგრესისტდეს. რომელ გზას დაადგება „ივერია“? პირველს თუ მეორეს, Da ist die Frage.

# კრიტიკის კრიტიკა

(ფაქტორები ისტორიული პროგრესისა ფხასი.

„კვალი“ №№ 49—52 1894 წ.)

(1895 წ.)

„კვალის“ მე-49—52 ნომრებში ბ. ფხამ დაბე-  
ჭდა ერთი წერილი ასეთი სათაურით: „ფაქტორები  
ისტორიული პროგრესისა“. რის შესახებ არის აქ  
ლაპარაკი? რას გვასწავლის ავტორი? ბევრ რასმეს,  
მკითხველო, მაგრამ განსაკუთრებით ნაკლულევანე-  
ბას ესრეთ წოდებული „თეორიის ეკონომიური მა-  
ტერიალიზმისას“; ამას მოსდევს უარისყოფა ისტო-  
რიისა და ისტორიული კანონებისა. ეს ახალმოდის  
კრიტიკა მარტივიც არის და რთულიც, ადვილიც  
და ძნელიც, როგორც გსურთ, რა მხრითაც შეხე-  
დავთ. თუ მოფიქრება, მოაზრება გინდათ, მაშინ  
ამისთანა ადვილი არა არის რა, ხოლო თუ განხო-  
რციელებას მოჰკიდეთ ხელი, ის მაშინ ძნელია,  
უკან იწევთ, ვერ ბედავთ. რაში მდგომარეობს ეს  
კრიტიკა? აი, რაში: გასარჩევი აზრები მოიყვანეთ  
არა ისე, როგორც არის წარმოთქმული მოწინააღ-  
მდეგის მიერ, არამედ თქვენვე შეთხზეთ, გამოიგო-  
ნეთ და ზედ ბუქნა გამართეთ, ბრძოლა გამოუ-  
ცხადეთ, აი, ადვილი და სადა გზა. ამის საშუალებით  
საითყენაც გსურთ იქით წახვალთ, მარჯვნივ, გინდ

მარცხნივ, წინ, გინდ უკან, საზღვარი არ არსებობს. შეიძლება სთქვათ: ეს რა კრიტიკაა, ეს თავის თავთან ბრძოლააო. თუ გნებავთ ეს ასეა, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ მეზობელი ამას არ გრძნობს. როცა ნეტარ-ხსენებულ დონ-კიხოტმა ცხვრის ფარას ომი გამოაღწახადა, ის დარწმუნებული იყო, — აი ესენია ჩემი ნამდვილი მტრებიო. მართალია ქვეყანა დასცინოდა, მაგრამ აღმოჩნდა ერთი კაცი — სანჩო-პანჩო, რომელმაც მისი თანამგზავრობა იკისრა. ჩვენ, მეცხრამეტე საუკუნის შვილთ, ისიც კი აღარ გვინდა, რომ ახლანდელ დონ-კიხოტებს თითო სანჩო-პანჩო მაინც ჰყავდეთ მათ სასურველად და გასამხნეველათ. აი, რა გულცივი და შეუბრალებელი ვართ! ასე გაშინჯეთ აღარც მე მსურს, რომ „კვალის“ მკითხველთა შორის აღმოჩნდეს ერთიც, რომელმაც ბ-ნ ფხას დაუჯეროს და სთქვას, აი, თურმე რა საძაგელი რამ ყოფილა ეს რაღაც ეკონომიური მატერიალიზმიაო. არა, ნუ ჩქარობთ. ბ-ნ ფხას მიერ „მოკლეთ“ მოყვანილი ეკონომიური მატერიალიზმი საკუთარი მისი ეკონომიური მატერიალიზმია. ამას არავითარი კავშირი არა აქვს იმ ისტორიულ ფილოსოფიასთან, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შემოიტენეს სოციოლოგიაში. საკვირველი ის არის, რომ ბ-ნი ფხა თავის მიერ მოგონილ თეორიასაც ველარ არღვევს, მაშ ჩვენ დავარღვიოთ.

ავტორი სწერს:

1) „თეორია ეკონომიურის მატერიალიზმისა ჰგონებს, რომ ყოველ-გვარ ისტორიულ მოვლენა-

ზე ზედ-მოქმედება და გავლენა მხოლოდ\*) ეკონომიურ ინტერესსა, კუჭის მოთხოვნილებას აქვს“. მართალია ეს? განა უთქვამთ ეკონომიურ მატერიალიზმის დამაარსებელთ ისტორიულ მოვლენაზე, მხოლოდ ეკონომიურ ინტერესს აქვს გავლენაო? ეს ხომ ამის თქმა იქნებოდა: რადგანაც ქვეყნიერობა ემორჩილება კანონს საერთო მიმზიდველობისას, ამისათვის ბუნების მოვლენაზე მხოლოდ ამას აქვს გავლენაო. ან კიდევ: რადგანაც სითბო, ფერი, სინათლე, ელექტრონი და სხვა ბუნების მოვლენანი წარმოადგენენ მხოლოდ მატერიის მოძრაობას, ამისათვის ყველა ეს მოვლენა ერთი და იგივეაო. როგორც ვიცით ფიზიკა ასე არ გვასწავლის. მეორედ, ეკონომიური მატერიალიზმი ისტორიას მართლა კუჭის მოთხოვნილებად ხსნის? სრულიადაც არა. ისტორიული განვითარება სწარმოებს არა თუ თანახმად კუჭის მოთხოვნილებისა, არამედ მის წინააღმდეგაც. საშუალო საუკუნოებში ევროპის მშრომელი ხალხი ხორციით და პურიით იკვებებოდა, დღეს კი კართოფლით იკვებება. (იხ. ამის შესახებ ტენის თხზულება „L'origine de la France contemporaine“). მე-XIV და მე-XV საუკ. მუშა მეტ დღის ქირას იღებდა, ცხოვრების ღირებულებასთან შედარებით, ვინემ დღეს. (იხ. „Histoire des classes ouvrières par m. Levasseur, membre de l'institut. P.) გურიაში ამ 15—20 წლის წინად ყველგან ჩხავრის ღვინოს აყენებდნენ, დღეს კი მისი ადგილი იზაბე-

\*) კურსივი ყოველგან ჩვენია.

ლამ დაიჭირა. ნუ თუ ასეთი ცვლილება კუჭმა გამოიწვია? კუჭისთვის კართოფილს ხომ ხორცი სჯობს. იზაბელას ჩხავერი. ერთი სიტყვით ეკონომიური მატერიალიზმი სრულიად არ „ჰგონებს“ იმას, რასაც ბ-ნი ფხა „ჰგონებს“. განვაგრძოთ.

2) „ეკონომიურმა ინტერესმა და სარგებლობამ აიძულა, ადამიანს შეედგინა საზოგადოება და ამ უკანასკნელის მოთხოვნილებანი ხშირათ პიროვნებისათვის ხელის შემბოჭველი მიაღებინა და თავს მოახვია“. ნეტავ ვიცოდეთ, სად ამოიკითხა ეს ავტორმა? რომელი მატერიალიზმი ამბობს ასეთ ფრაზებს? მართალია, ეს სიმართლეს სრულიად არ არის მოკლებული. მაგრამ ამით არაფერი არ იხსნება, არ გვიჩვენებს, თუ რატომ განვითარდა საზოგადოება ასე თუ ისე. მეორე მხრით, ეს აზრი ცალმხრივია. პირვანდელი საზოგადოება ექვემდებარებოდა გამრავლებითი მოთხოვნილებას, ოჯახურ წყობილებას, ე. ი. ჯგუფი დგებოდა თანახმად სისხლის ნათესაობის და კავშირისა. აქ ეკონომიურ პირობებს მცირე ალაგი უპყრია, ვინაიდან ის ხელის შემბოჭველი ნივთიერი მოთხოვნილებანი, რომელნიც შემდეგ განვითარდენ, მაშინ არ არსებობდენ. ველური კაცი არ არის დამოკიდებული ეკონომიურ წყობილებისაგან, რადგანაც ეს წყობილება ჯერ კიდევ არ არსებობს, ის თავისუფალია თავისუფალ ბუნებაში. მხოლოდ რამდენად ვითარდება შრომა, შრომის იარაღი, ჩნდება კერძო საკუთრება და ფებს იკიდებს მტკიცე ეკონომიური ორგანიზაცია, იმდენათ ჰკარგავს სისხლითი ჩამომავლობა თავის შემაერთებელ მნიშვნელობას და ადგილს უთმობს

ახალ საზოგადოებას, რომლის შემაკავშირებელი ძალა არის არა სისხლი, გვარი, არამედ ეკონომიური მოთხოვნილება. ასე ლაპარაკობს ეკონომიური მატერიალიზმის მამამთავარი — ფრიდრიხ ენგელსი (იხ. „l'origine de la Famille, de la Propriété privée et de l'état“ P. 1893 გვ. v).

3) „საზოგადოებასა და ისტორიაში თუ რაიმე ცვლილება ხდება, ეს ცვლილებაა ეკონომიურის ურთიერთობისა: ჯერ ეს უკანასკნელი ძირფულათ უნდა შეიცვალოს, რათა შემდეგ თანაბრივი ცვლილება მოხდეს პოლიტიკურ განწყობილებაში“. ჩვენ ვიტყვით, რომ ძლიერ ბევრი ცვლილება ხდება ისტორიაში ეკონომიური ვითარების შეუცვლელად, შორს ნუ წავალთ, ავიღოთ ჩვენი ისტორია. აქ ვხედავთ, რომ დღეს ერთი მეფე განაგებს სამეფოს, ხვალ მეორე სხვა წესით, სხვა ჩვეულებით. საქართველო ხან დამოუკიდებლად სცხოვრობს, ხან სპარსოსმალთა გავლენას ქვეშ იმყოფება. ჩვენ ვიცით საქართველო გაერთიანებული ერთი მეფის წინამძღოლობით, — შემდეგ ეს ერთობა ირღვევა და ბოლოს სრულიად ჰკარგავს თვით-არსებობას. ყველა ეს ცვლილება სწარმოებს ისტორიაში და პოლიტიკაში, თუმცა ეკონომიური ურთიერთება ერთი და იგივე რჩება. მიუხედავად ამისა ყველა ეს ცვლილება თანაბარ ეკონომიურ ყოფა-მდგომარეობაზეა აშენებული და გამაგრებული. ამ საძირკველზე სხვანაირი მოვლენა ვერ აშენდებოდა. ამის შესახებ ჩვენ ვრცლად მოვილაპარაკეთ და მკითხველსაც იქ მივუთითებთ. („ეკონომიური წარმატება და ეროვნება, „მოამბე“ № 5).

4) „პოლიტიკურ ძალასა და ფორმას არავითარი დამოუკიდებელი გავლენა და ზედმოქმედება არ აქვს ცხოვრებასა და ისტორიაში, იგი შენობის ზედა სართულს წარმოადგენს მხოლოდ, მეტს არაფერს“. ასე ხატავს ავტორი მატერიალიზმის მოძღვრებას. მეორე გვერდზე ეს დაუვიწყრია და სხვა-ნაირათსწერს: „ევოლიუციონერების მოძღვრების ერთი დასკვნათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ძალა, ანუ გავლენა, რომელიც არ იყო წინად დამოუკიდებელი, და სხვა ძალისა და მოვლენის ზეგავლენას ემორჩილებოდა, შემდეგ როცა გამოირკვევა, დამოუკიდებელი გახდება, სხვა მოვლენაზე თვითონ იქონიებს გავლენას, ზედმოქმედებას“. რომელი ფხა ლაპარაკობს მართალს? პირველი, თუ მეორე? ან შეიძლება ეკონომიური მატერიალისტი ევოლიუციონერი არ ჰგონია?\*) თუმცა ორივე ფხა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ მართალი კი არც ერთი არ არის. ქვა-კუთხედი ეკონომიური მატერიალიზმისა მდგომარეობს იმ მოსაზრებაში, რომ მიზეზი და შედეგი მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი. მიზეზი ხშირათ შედეგათ ხდება და შედეგი მიზეზათ. ესენი ერთმანეთის ადგილს იჭერენ. ბუნებრივს ან ისტორიულ პროცესს საერთოდ თუ გავშინჯავთ, — მიზეზს და შედეგს ვერც კი გამოვიცნობთ. ყველა მოვლენა ერთი მეორეზეა გადაბმულ-გადმობმული, ერთი მეორეს

\*) მათ შორის ის უმთავრესი განსხვავებაა, რომ ევოლიუციონერი უარ-ჰყოფს რევოლუციას, მაშინ როდესაც ევოლიუციის დასკვნა რევოლუციაა (ბუნებაში და ისტორიაში).

აკავებენ და ძირს უმაგრებენ. თუ ერთი ამათგანი ირღვევა, დანარჩენებიც მას მისდევენ. მაგ. ფეოდალური წყობილების ვერც ერთი მხარე ვერ გაქრებოდა ისე, რომ მთელი წყობილება არ გამქრალიყო. ასეთ მდგომარეობაშია კაპიტალიზმიც. როცა ბურჟუაზია სიმდიდრეს იძენს, პოლიტიკურ უფლებასაც ხელთ იგდებს. ეს პირველის შედეგია, მხოლოდ ამ ახალ-შეძენით ის უფლებას ხმარობს ეკონომიურათ გაძლიერებისათვის. ამ სახით ეკონომია ხდება მიზეზათ პოლიტიკის, პოლიტიკა კი ეკონომიის\*). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს მუშა-ხალხი ასე თავ-განწირვით იბრძვის პოლიტიკური უფლებებისათვის. მას სურს პოლიტიკური უფლების საშუალებით ეკონომიური პირობები შეცვალოს.

მ) „მაგრამ თვით ეს ეკონომიური ურთიერთობა როგორ და რით იცვლება? ეს იცვლება თავის-თავად, აუცილებლად და სტიქიურად ხდება“. სამი სიტყვა სამივე შეცდომაა! განა სტიქიურია ის, რაც შეგნებით არის გაშუქებული? ამა თუ იმ საზო-

\*) ამ მოსაზრებას ეწოდება დიალექტიური შეხედულება, წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, რომლის შეხედულებით, მიზეზი მუდამ მიზეზათ რჩება, შედეგი შედეგად. უკანასკნელს არ აქვს გავლენა პირველზე, პირველი დამოუკიდებელია მეორისაგან. ამაზე იყო აშენებული მე XVIII ს. მატერიალიზმი. ამ მეტაფიზიკურ მატერიალიზმს ეწინააღმდეგება თანამედროვე დიალექტიური მატერიალიზმი, რასაც შეცდომით უწოდებენ ეკონომიურ მატერიალიზმს, ეს შეცდომაა. ჩვენ ვხმარობთ ამ ტერმინს იმიტომ, რომ ჩვენს მწერლობაში უკვე შემოიტანეს, ხოლო ამ ახსნის შემდეგ ვიხმართ მის ნამდვილ სახელს.



გადოებრივ ცვლილებებისთვის ადამიანი შეგნებულა  
 მოქმედებს. ვისაც გაჰყავს გზები, ვინც აწარმოებს,  
 ვაჭრობს, მაშინებს იგონებს და სხ. შეგნებულა მო-  
 მქმედიც არ არის? განა მას არა აქვს რაიმე მიზანი  
 და ლტოლვილება? განა ამით ის სცვლის და ავი-  
 თარებს ნივთიერ ურთიერთობას? მეტყვეით მათი მო-  
 ღვაწეობა აუცილებელია, ამას მათი მოთხოვნილება  
 მოითხოვსო. ეს ასეა, მაგრამ აუცილებლობის ფარ-  
 გალში შეგნება—ცნობიერება არის მოთავსებული,  
 ხოლო სტიქიასთან არავითარი კავშირი არა აქვს  
 ამას. ეკონომიური ურთიერთობა—ეს ადამიანთა ურ-  
 თიერთობაა. მაშასადამე ამ ურთიერთობაში ადამიანი  
 ღებულობს მონაწილეობას. მას აქვს მიზანი და სახ-  
 სარი მიზნის განსახორციელებლათ. აქ ის ცნობი-  
 ერათ მოღვაწეობს. მისი მოღვაწეობა ერთიანათ აშე-  
 ნებულა იმ ეკონომიურ ურთიერთობაზე, რომელიც  
 მეფობს მისგან დამოუკიდებლათ მის ქვეყანაზე გა-  
 ჩენამდის. მაგ. საშუალო საუკუნის მცხოვრების მიზანი  
 ვერ იქნებოდა ფულის შექმნა, ალებ-მიცემობა და  
 სხვა. ესენი განვითარდენ შემდეგ. მაშინ საჭირო იყო  
 პური, ღვინო, პირუტყვი, ხმალი და სხვ. თუ ეს  
 ჰქონდა, ფული ცალი კაპეიკიც რომ არ ჰქონებოდა,  
 მაინც მდიდარი იყო. დღეს ყველა ესენი რომ გქო-  
 ნდეს, თუ ფული არ გაქვს, ღარიბი ხარ. დღევანდელი  
 მიზანი ფულია: შებრუნდა ეკონომიური ურთიერ-  
 თობა. ამ გვარად, ადამიანი მოქმედებს შეგნებულათ  
 თავის მიზნის მისაღწევათ. ეს მიზანი პირდაპირი შე-  
 დეგია თანამედროვე ეკონომიური პირობების, ხოლო  
 ამ მიზანთა განხორციელებას გავლენა აქვს მათ მი-

ზეზუე და იცვლება ეკონომიური წყობილება. მი-  
 ზეზი და შედეგი გადაბმულ-გადმობმულია. ახლა ვი-  
 კითხოთ, რატომ ადამიანთა მოქმედება ერთ დროს  
 არღვევს ძველ წყობილებას და მეორე დროს კი  
 არა? რატომ ვითარდება ეკონომიური ურთიერთობა?  
 ბ-ნ თხას აზრით დიალექტიური („ეკონომიური“) მატერიალიზმი ამას ასე წყვეტს: „ეს ცვლილება თავის-  
 თავად ხდება“. ცხადია, ავტორს არავითარი წარ-  
 მოდგენა არ ჰქონებია ამ საგნის შესახებ, ის შეჭებია  
 მოძღვრების დედა ძარღვს, უმთავრეს მუხლს და აქაც  
 ფეხი წაუბორკებია, თავისი აზრი მოწინააღმდეგის  
 აზრად მიუღია. მართლაც, რატომ ხდება ეს ცვლი-  
 ლება, რატომ ვითარდება ისტორია, კაცობრიობა,  
 რთულდება საზოგადოება? დიალექტიური მატერია-  
 ლიზმი ამაზე ასეთ პასუხს იძლევა: კაცმა თავის საც-  
 ხოვრებლათ და მოდგმის გასაგრძელებლათ უნდა შე-  
 ებრძოლოს გარეშე ბუნებას და რაიმე ნაყოფი გა-  
 მოსტაცოს. რადგანაც ყველა ამავე ბუნებას ებრძვის,  
 ცხადია ადამიანთა შორის ვარდება ქიშპობა, მოცი-  
 ლეობა, ბრძოლა არსებობისთვის. ამგვარად ჩვენ  
 გვაქვს: ბრძოლა ბუნებასთან და შემდეგ ბრძოლა  
 ადამიანთან. რით უნდა იბრძოლოს ადამიანმა? თავისი  
 ბუნებრივი იარაღებით: ხელები, ფეხები, კვანგები,  
 კბილები, და სხვა? ამ შემთხვევაში ბრძოლა იქნე-  
 ბოდა ბუნებრივი და საზოგადოებაც დაზინის კანონს  
 დაექვემდებარებოდა. ბუნებრივ შერჩევაში, მძლავრის,  
 ღონიერის გადარჩენა, რასაც ცხოველთა განვითარება  
 ემორჩილება, საზოგადოებაშიც პირველ ალავს დაი-  
 ჭერდა. ისტორიული ცხოვრების მაგიერ გვექნებოდა

ბიოლოგიური. მაგრამ, როგორც ვიცით, ადამიანმა ცხოველებზე მალა აიწია, მათთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა და ბუნება, სრულიად თუ არა, საკმარისად დაიმორჩილა. რატომ? რის საშუალებით? მეორე მხრით ადამიანთა ერთი ჯგუფი თავს ესხმის მეორე ჯგუფს. მას ამარცხებს, სპობს და მის ალაგს იჭერს. გამარჯვებული ვითარდება. დამარცხებული სამუდამოდ ჰქრება. რატომ? რის საშუალებით? ბუნებრივი ორგანოების საშუალებით ეს შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანი მხეცსაც ვერ გაუძლებდა და გაჰქრებოდა. აშკარაა, მან უნდა შეიძინოს იმისთანა რამ, რაც მის მოპირდაპირეს არა აქვს, ეს არის ბრძოლის, ანუ შრომის იარაღი: შვილდი, ისარი, ცული, თოხი, ხმალი და სხ. ერთი სიტყვით ყველა ის ხელოვნური იარაღები, რომელიც კი გამოსაყენებელია ცხოვრებაში. აი, აქ ბიოლოგიიდან — სოციოლოგიაში გადმოვდივართ, ცხოველებისაგან — საზოგადოებაში. დარვინის კანონებმა დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა. რომელი ხალხიც კარგი იარაღებით არის აღჭურვილი, ის ბატონია; ბრძოლაში როგორც ბუნებასთან აგრედვე მის თანამგზავრთან გამარჯვებულია. რამდენად ის ავითარებს შრომის იარაღებს ე. ი. სამოქმედო, საწარმოვო ძალას, იმდენად თვითონ ვითარდება, ძველი წყობილება ირღვევა, ახალი მყარდება. მე-XIX საუკუნე იმიტომ განიჩქარა ასე გავლილ საუკუნოებისაგან, რომ აქ ისეთი იარაღები განვითარდნენ, რაც წინეთ არც კი მოსიზმრებიათ. მანქანები, რკინის-გზები, ტელეფონ-ტელეგრაფები და სხ. და სხ. აი, რამ შეძრა კაცო-

მრიობა, დასცა ძველი ურთიერთობა და დაედვა საფუძვლად ცივილიზაციას. ამნაირად ისტორიული განვითარების საფუძველი საწარმოვო ძალის განვითარებაა. ევროპიელის საწარმოვო ძალა მეტია, ვინემ აზიელის, აზიელის მეტია, ვინემ აფრიკელი მკვიდრის, ამის კიდევ მეტია, ვინემ ცხოველების. თვითონ ევროპაში პირველი ალაგი უკავია ინგლისელს, მეორე ფრანგს, მესამე გერმანელს, უკანასკნელი რუსეთს და სათათრეთს. რამდენად უკან ჩამორჩენილი ხალხიც თავის საწარმოვო ძალას ავითარებს, იმდენათ ის ევროპიელდება, როგორც ცხოვრებით, ისე პოლიტიკური წყობილებით. ვისაც ევროპის წყობილება არ სურს, მან საწარმოვო ძალაც აღარ უნდა განავითაროს. ხოლო ამ შემთხვევაში ის ვარდება ჩინეთის მდგომარეობაში, რომელიც იძულებულია პატარა იაპონიას ემუდაროს: ნუ მომკლავ, სული შემარჩინეო. ვისაც ცხოვრება სურს, ევროპის გზას უნდა დაადგეს, ვისაც არა და ჩინეთის. აი, დიალექტური მატერიალიზმის დედა-ბოძი, რაც ვერც ერთ კრიტიკოსს ვერ შეუწყევია. ბ-ნ ფხასთვის ეს წყვდიადით ყოფილა გარემოცული, კრიტიკას კი ხელს კიდებს\*).

\*) მოვავონებთ მკითხველს, რომ ჩემი პირდაპირი მიზანი აქ დიალექტური მატერიალიზმის პოპულარიზაცია არ არის. ამ საგანს იმდენად ვეხები, რამდენადაც ეს საჭიროა ბ. ფხას წერილების გასარჩევად. რუსულის მცოდნე მკითხველს სიამოვნებით მიუთითებ ერთ წიგნზე, რომელიც ახლა ხან დაიბეჭდა რუსეთში. აქ ის გაიცნობს კარლ-მარქსის ისტორიულ მოძღვრებას. Н. Бельтовъ. „Къ вопросу о монетическомъ взглядѣ въ Исторіи“.

6) „აღაძიანთა საზოგადოება ჯერ ერთნაირს ეკონომიურს ურთიერთობასა და განწყობილებებს ექვემდებარება, ამას შემდეგ მეორენაირი უსათუოდ მოსდევს, მეორეს მესამე, და ამ რიგათ, უნდა თუ არა, საზოგადოება მაინც ვერ ასცდება ამ სხვა-და-სხვა სტადიებს (საფეხურებს) ეკონომიური განვითარებისას. საზოგადოებამ ეს სტადიები აუცილებლად უნდა განვლოს ასე მორიგად“. კარგია გვეტყოდეთ, ვინ დაუწესა საზოგადოებას გინდა თუ არა ეს საფეხურები გაიარო, და რამდენია ეს საფეხურები? ნუ თუ ეს დიალექტური მატერიალიზმის მოძღვრება გგონიათ? ბევრი საზოგადოება ყოფილა და არის, რომელიც პირველ სტადიასაც არ გასცილებია. საზოგადოება ვითარდება იმდენად, რამდენად ის ანვითარებს თავის საწარმოვო ძალას; თუ ვერ განავითარა, ის მუდამ ერთგვარ მდგომარეობაში რჩება. ეს გრძელდება მანამდის, სანამ უფრო განვითარებულნი უცხოელნი მას არ აღგვიან დედამიწის ზურგიდან, ან და არ გამოიყვანენ პროგრესის გზაზე.

• СПБ. აგრეთვე მეორე წიგნს. II. Струве. „Критическія замѣтки къ вопросу объ экономическомъ развитіи Россіи“. СПБ. ამ უკანასკნელი წიგნის ავტორს ერთი დიდი შეცდომა შეპარვია, ლისტის მოძღვრებით გატაცებულს კაპიტალიზმის ცუდი, რეგრესიული მხარეები ჩრდილში დაუტოვებია; აქებს კაპიტალიზმს, მაშინ როდესაც ნამდვილი გაგებული მარქსისტი არც აქებს, არც აძაგებს, ის მასში, როგორც ყოველ მოვლენაში, ხედავს ორ მხარეს: პროგრესულს და რეგრესიულს. როცა ესენი უმაღლესად განვითარდებიან, ერთმანეთს უარყოფენ და ინგრევა თვით მოვლენა.

7) „დიდბუნებოვანი და დიდებული ადამიანები ფიქციაა, მეტი არაფერი! მათ იმდენივე მნიშვნელობა და ზე-გავლენა აქვთ ისტორიაში, რამდენიც თვით უკანასკნელ კატუნას—სიკვდილის სულ უბრალო შვილს, არც მეტი, არც ნაკლები“. ესეც ავტორის ფანტაზიაა. მარქსი ბ. ლალს უდრისო, მოდით და ნუ გაიცინებთ. ღვთის მადლით, ეს ასე არ არის და არც მარქსისტები ამბობენ ამას. ეს თქვენი გამოგონილია და თქვენთვის დაგვიტოპია.

ბ-ნი ფხა ამ სიტყვებით ათავენს დიალექტიური მატერიალიზმის მოთხრობას: „აი ეს არის მოკლედ (!) დედა-აზრი (?) იმ თეორიისა, რომლის შესახებაც გვაქვს ამ ხანად ბაასი“, მაგრამ, როგორც ზევით დავინახეთ, ეს მის მიერ „მოკლედ“ ნაამბობი „დედა-აზრი“ ერთიანად ყალბია; ამ სიყალბეზე აგებული წერილი რაღა უნდა იყოს? შემდეგ კიდევ ტყუილები მოსდევს. ავტორის აზრით დიალექტიური მატერიალიზმი გამოირკვა მაშინ, როცა ბიოლოგიაში „უპიროვნო ევოლიუციის“ მოძღვრება დამყარდა. ნამდვილად კი მარქსმა და ენგელსმა გამოთქვეს თავისი ისტორიული თეორია 1844—1848 წ. წ. ე. ი. მაშინ, როცა ბიოლოგიაში კიუვეს და აგასისის თეორიები მეფობდნენ და უპიროვნო ევოლიუციის ხსენებაც კი არ იყო (ლამარკის მოძღვრებას არავითარი ადგილი არ ჰქონდა მაშინდელ ბუნების-მეტყველებაში).

ამგვარად ბ-ნი ფხას მოუწადინებია დიალექტიური („ეკონომიური“) მატერიალიზმის კრიტიკის ქვეშ გატარება. სურვილი ჩინებულობა, მაგრამ, სამ-

წუხაროდ, ის კი აღარ სცოდნია, თუ რას შეიცავს ეს თეორია, რაში მდგომარეობს გასარჩევი საგანი. ამიტომ ავტორი არა სანატრელ ყოფაში ჩავარდნილა: თავისი ან განზე გაგონილი აზრი მიზანში ამოულია და თავის-თავთან ბრძოლა დაუწყია, თანაც გვარწმუნებს, მტერს ვებრძვიო. აი, კრიტიკა! ამასთანავე არც ერთი ის არგუმენტი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ მის მიერ შეთხზულ მატერიალიზმის წინააღმდეგ, მას არ მოუყვანია. აი, ბრძოლა!

ნუ თუ საქიროა, მკითხველო, ავტორს ქვევით გავყვეთ კიდევ და მის ასე საწინააღმდეგო კრიტიკას თქვენი ყურადღება მივაპყრა? ღირს კი ამად? მართალია, მისი წერილის გარჩევისათვის დიდი შრომა არ დაგვჭირდება, რადგანაც ის თავის-თავს არჩევს, რასაც ერთის ხელით აშენებს, იმას მეორეთი არღვევს, ეს შენება-ნგრევა ერთობ სასიერო სანახავია და თუ სეირის მაღაზე ხართ, ეს საარაკო წერილიც გავიცნოთ. მაშ დავიწყოთ თავიდან.

ბ-ნ ფხას უფიქრია, თეორია „ეკონომიურის“ მატერიალიზმისა დაფუძნებულია ადამიანის კვების მოთხოვნილებაზე, მაშინ როდესაც კიდევ არის მისი მოთხოვნილება, მოდი მე ოთხივეს მივიღებ მხედველობაში და ამ თეორიასავით ცალ-მხრივი არ იქნება ჩემი თეორიაო. ამისათვის ის ასე იწყებს თავის წერილს: „სულიერ არსებათა ერთ ჯგუფს აქვს მხოლოდ სამგვარი უმთავრესი მოთხოვნილება. საზრდოობისა, თავის დაცვისა და მრავლობისა“. მკენარეებს განა არ აქვს ეს სამი მოთხოვნილება? რა-

ტომ სულიერ არსებათ მიუსაკუთრა და არა მთელ ორგანიულ ქეყანას?

ევოლიუციონერის კიბის მაღალ საფეხურზე მდიდურად დგანან მეორე ჯგუფის წარმომადგენლები — განაგრძობს ავტორი. მათ მეოთხე მოთხოვნილება აქვთ, — მოთხოვნილება თამაშობისა, დროს გატარებისა, ადამიანიც ამ მეორე ჯგუფის ცხოველებს ეკუთვნის. სულიერი მოთხოვნილება ადამიანისა, მხოლოდ მეოთხე მხარეს წარმოადგენს უკანასკნელის (თამაშობის) მოვლენისა“. ამნაირად, ახლა ჩვენ ვიცით შემდეგი, ადამიანს ოთხი მოთხოვნილება აქვს; კვების, თავის დაცვის, გამრავლების და თამაშობის, ხოლო სულიერი მოთხოვნილება თამაშობის რიგს ეკუთვნის ე. ი. გონებრივი განვითარება, მეცნიერება, ხელოვნება და სხ. თამაშობას წარმოადგენსო. რა დამოკიდებულობა არსებობს ამათ შორის? ავტორის აზრით, პირველი ალაგი უჭირავს კვებას, მეორე თავის დაცვას, მესამე გამრავლებას. „თუ პირველი დაკმაყოფილება დაუკმაყოფილებელი და მოსპობილია, მეორეც მოკვეთილია და მისი ხსენებაც არ არის“, ასე ემართება მესამესაც. „მაგრამ არც ის არის სახეირო, რომ ამ მოთხოვნილებას შეაჩერდე; საქმე ის არის, რომ თუ ვნებიანი მოთხოვნილებას, მოთხოვნილებას თამაშობისას, დროს გატარებისას მიიხსობ და აღმოიფხვრი, იმ შემთხვევაში დარწმუნებული უნდა იყო, ზედა საფეხურიდან ქვედაზე ჩამოხტები“. აი, როგორ იერარქიულათ არის აკიბული, ადამიანის მოთხოვნილებანი! თავს



იკვებავს უბრძოლველათ, თავის-თავის დაუცველათ, ხოლო როცა გაძეხი, თავს იცავ. სულ-ბოლოს, როცა გაძეხი და თავი დაიფარე, გამრავლებას წყებულობ, მაგრამ არც ერთ ამ საქმეში გონება არ ურევია, ვინაიდან გონების მოთხოვნილება თამაშობის მოთხოვნილებაა. ამისათვის ავტორი გვიჩვენებს „სახეირო არ არის“ კვების მოთხოვნილება დაიკმაყოფილო და გონების კი არაო. ცხადია, ცხოვრება შესაძლებელი ყოფილა გონების დაუხმარებლად. გონება ცხოვრების გარეთ სდგას, ის თამაშობის რიგს ეკუთვნის.\*) ამგვარად, ბ-ნმა ფხამ ადამიანი დაჰყო ოთხ ნაწილად, რომლის თითოეული ნაწილი იერარქიულ, უმცროს-უფროსობის წესს ემორჩილება, ე. ი. ავტორს ადამიანი კანცელარიად მიუღია. გარჩევა იმაშია, რომ ნამდვილ კანცელარიაში გონებით მუშაობენ, რომ იცხოვრონ, ბ-ნ ფხას კანცელარიაში კი გონება მეოთხე პირია, ყველაზე უსარგებლო და ხშირად მისი გარეთ გაგდებაც კი შეიძლება. აქ მხოლოდ სქამენ, იბრძვიან, მრავლობენ, გონებას ადგილი არა აქვს, ის თამაშობის რიცხვშია გადარიცხული. ყველგან ბატონ-ყმობა, ყველგან მორჩილება, ცხოვრებაში, ადამიანის ბუნებაში! თუმცა ეს ასეა, მაგრამ ბ-ნ ფხას ცოტა ქვევით აღარ მოსწონებია და ძირიანათ არღვევს: „ღირსია (!) აღნი-

\*) ამ აზრს ავტორი არღვევს თავის წერილის ბოლოში ამ სიტყვებით: „მიზანი თვით ეს ადამიანური ცხოვრებაა, ყოველივე დანარჩენი კი—მეცნიერება, ლიტერატურა და სხვა. მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს, რათა ადამიანმა ადამიანური ცხოვრება მოიპოვოს“.

შენისა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ამ მოთხოვნილებათა მთელი რიგი მჭიდროთ არის ერთმანეთზე დამოკიდებული. ერთი მოთხოვნილება მეორეს გამოიწვევს ხოლმე და ერთმანეთზე გავლენა აქვთო“. ახლა ჩვენ მეორე ამბავი გავიგეთ. თურმე თავის დაცვის და გამრავლების მოთხოვნილება გამოიწვევს კვების მოთხოვნილებას; თამაშობის, გონების მოთხოვნილებას გავლენა ჰქონია დანარჩენზე. აირია. წესები, უმცროსი უფროსს აღარ ემორჩილება. ზევით სასტიკი მორჩილება იყო გაჩაღებული, აქ კი რევოლიუცია ამტყდარა: ოთხივე მოთხოვნილება ერთმანეთს შეგახებიათ. აბა, ვინ ვის აჯობებსო და ისე დატრიალებულა საქმე, რომ ყბად-აღებულ გონებას გამარჯვება დარჩენია სრულიად თუ არა, სანახევროდ მაინც. ასე გვაჯერებს ამ არეულობის მეთაური—ბ-ნი ფხა: „რადგან დღეს ფრიად საძნელო შეიქმნა ოთხივე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება, ამიტომ თანამედროვე კაცობრიობის ბევრი განათლებული წევრი დაუკმაყოფილებლად სტოვებს წარმოშობის, გამრავლების მოთხოვნილებას, მის მაგიერ გონებითს და სულიერ მოთხოვნილებას იკმაყოფილებსო“. ასე გახლავს, წინანი უკანო, უკანანი წინო. გონებას ერთი ძირითადი მოთხოვნილება აღმოუფხვრია. უცოლო მეცნიერები დამახინჯებულან, წარმოშობის მოთხოვნილება აღარ ჰქონებიათ! სწორეთ ძლიერ ფხიანი უნდა იყოს ასეთი მარგალიტების აღმოჩენი!

ასე თუ ისე ბ-ნმა ფხამ დაარღვია თავისი პირველი მოსაზრება. ლოლიკა აღარც აქ ჩერდება, ის

კიდევ ქვევით მიდის. თუმცა ავტორი ზევით გვეუბნება „მოთხოვნებიანი მჭიდროდ არიან ერთმანეთზე დამოკიდებულიო“, მაგრამ ქვევით გვეტყვის; ეს ასე არ არისო. აი, მისი სიტყვები: „ეკონომიურ“ მატერიალიზმს „რომ დავუჯეროთ, მაშინ იძულებული ვართ მივიღოთ პოლიტიკური ინტეგრაცია (გაერთიანება), შედეგი საზრდოობის მოთხოვნილების, (რათ ცრუობთ, ეგ ხომ თქვენი შეთხზულია), მაგრამ ეს ასე არ არის. პოლიტიკური ინტეგრაცია გამოიწვია და დაბადა საზოგადოებათა შორის ატეხილმა ბრძოლამ, მაშასადამე იგი შედეგია თავის დაცვის მოთხოვნილების“. ასე და ამა პირსა ზედა, თავის დაცვის საქმეს, საზრდოობის მოთხოვნილება არ ეხება, მათ შორის არავითარი დამოკიდებულება არ არსებობს. ერთი თავისთვისაა, მეორე თავისთვის. ამას „ასაბუთებს“ მეორე მაგალითით: ერთა წოდებრივი განაწილება ომიანობამ გამოიწვია და არა ეკონომიურ ვითარებამო. „მაშასადამე იგი თავის დაცვის მოთხოვნილებამ წარმოშობა და აწარმოვა“. ბ-ნ ფხას ერთ ჯიბეში თავის დაცვის მოთხოვნილება ჩაუდვია, მეორეში საზრდოობის მოთხოვნილება, ხან ერთს მოგვაჩვენებს და ხან მეორეს. დაანაწილარა ასე გასაშტერებლად ადამიანი, ბ-ნ ფხას თავის თავიც დაუნაწილებია, ის გასამებულა. ფხას პირველ ნათქვამს მეორე ანგრევს, მეორისას — მესამე. ერთი სიტყვით „რასაც ერთი იმოქმედებს, მეორისგან აძევს ზრახი“. რომელ ფხას მივცეთ პასუხი, აღარ ვიცით. აი, თუ გნებავთ, მესამე ფხას გამოვესაუბროთ. თუ პირველ ორმა ლოლიკას ფეხი გადააბი-

ჯა, მესამემ ამას ისტორიაც დაურთო. ამას ჰგონია ერთა პოლიტიკური გაერთიანება ომის შედეგია. ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩვენისთანა ბედნიერი ქვეყანაზე არავინ იქნებოდა. ოც-და-ერთი საუკუნის ჩვენი ისტორიული ცხოვრება—ომს წარმოადგენს, მაგრამ, სამწუხაროდ პოლიტიკურ ერთიანობას ვერ ველირსეთ. ამდენი ხნის განმავლობაში, მხოლოდ ორას წელიწადს ვცხოვრობდით ერთ ნაციონალურ პოლიტიკის საფარველ ქვეშ, და ისიც რაღაც ნაძალადევი გამოდგა. ევროპის ერთა გაერთიანება დაიწყო მაშინ, როცა ვაქრობა აღებ-მიცემობამ ფეხი აიღვა და ომიანობამ იკლო (XIV ს.)\*) არც წოდებათა აღორძინების მიზეზათ ჩაითვლება ომიანობა. წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ ველურ ხალხებში არ არის წოდებები? წოდება ნიშნავს შრომის განაწილებას: ერთი მხედარია, მეორე მუშა, პირველი მეორეს იფარავს, მეორე პირველს არჩენს, ე. ი. საზოგადოების ერთი ნაწილია საკმარისი, რომ მთელი საზოგადოება დაცულ იქმნას, მაშინ როდესაც წინათ იმავე მიზნის მისაღწევათ საჭირო იყო მთელი საზოგადოების ამხედრება (ველური მდგომარეობა). ცხადია, ერთი მეომარი იმდენსავე აკეთებს, რამდენსაც წინანდელი ორი და სამი. მაშასადამე სამოქმედოდ ძალა გაძლიერებულა ახალი იარაღების და სხვა საშუალებების წყალობით. მეორე მხრით, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ყველა რომ არჩინოს, სა-

\*) რა გავლენა აქვს ომიანობას ხალხთა ერთობაზე იხ. ზემოდ მოხსენებულ ჩვენს წერილებში.

ქირა თითო მუშამ მოიმუშაოს ორის, ან მეტის საყოფი, რაც დამოკიდებულია იგივე სამოქმედო (ანუ საწარმოვო, სულ ერთია) ძალის აღორძინებისაგან. თორემ, რამდენიც უნდა იომა, თუ ასეთი ეკონომიური განვითარება არ მოხდა, არასოდეს შრომის განაწილება არ მოხდება. ბ-ნ ფხასთვის ისტორია—მეფეთა ტახტზე ასვლა-ჩამოსვლა ყოფილა. აქ გამეფდა ცეზარი, იქ ნაპოლეონიო, რის გამო ძირითადი ცვლილებები დატრიალებულა. ერთი სიტყვით ხელში აუღია ილოვანისკის ისტორიის სახელმძღვანელო და ფაქტებს გვითვლის. მას რომ „ეკონომიური“ (დიალექტიური) მატერიალიზმი შეესწავლა და ისტორიაც უყურადღებოდ არ დაეტოვებია (ილოვანისკი არ კმარა) გაიგებდა, რომ რომის ისტორია—ეს პლებეების და პატრიცების შეჯახების ისტორიაა; ამ საუკუნის საფრანგეთის ისტორია წარმოადგენს ბურჟუაზიის ბრძოლას, წინააღმდეგ თავად-აზნაურობისა ერთი მხრით და მუშა ხალხისა მეორე მხრით. ამათი ნაყოფია ცეზარიც და ნაპოლეონიც. ბ-ნი ფხა ასეთ დასკვნამდი მისულა: „ყველა ეს ისტორიული ფაქტებია, — შეგვეძლო მათი რიცხვი გაგვემრავლებინა, — (ილოვანისკი მთლათ უნდა გადმოგეწერათ) უტყუვრათ გვეჩვენებინა (მაშ რალათ ლაპარაკობდით ამდენს, თუ კიდევ საჩვენებელი გაქვთ), რომ პოლიტიკურს ძალასა და წყობილებას საგრძნობელი (მეტი არა?) გავლენა და ზედმოქმედება ჰქონია საზოგადოებასა და ისტორიაში მომხდარ მოვლენაზე“. ეს დასკვნა თანამედროვე მატერიალიზმის წინააღმდეგ, იმ მატერია-

ლიზმის, რომელიც პოლიტიკურ ძალას სთვლის ეკონომიურ ცვლილებების იარაღად და ეკონომიურ ძალას პოლიტიკურ უფლებების ბურჯათ. ყოველივე ეკონომიური (კლასისიური) ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური—ამბობს მარქსი. ბ-ნი ფხაკია აკეთებს ამდენ ლოდიკურ და ისტორიულ ნახტომებს, რომ ეთქვა პოლიტიკურ ძალას „საგრძობელი“ გავლენა აქვს ისტორიაშიო. აი, სწორეთ ამას ჰქვია წყლის ნაყვა.

ბ-ნი ფხაკია გვარწმუნებს, რომ დიალექტიური მატერიალიზმისთვის „აუცილებელ საჭიროებას (!) წარმოადგენს აგრეთვე ის შეხედულება, რომ დიდებულ გვამთა მნიშვნელობა და მათი გავლენა ისტორიულ მოვლენაზე არ აღემატებოდეს ბრბოს მნიშვნელობას“. შექმნა ასეთი სუსტი მოწინააღმდეგე და მერმე არღვევს. მისი საბუთები ძრიელ უბრალო და სადაა. ორი ადამიანი ერთმანეთს არ გვანან ნიკით და სხვა ბუნებრივი თვისებებითო, ვითომ ვინმე ამტკიცებდეს ადამიანები ერთმანეთისაგან არ განირჩევიანო! განვაგრძოთ. „ასე უბრალო თეორიაა (როგორც თეორია ბუნებრივი შერჩევისა—დარვინიზმი) საჭირო, რათა საზოგადოებრივი მოვლენანი ავხსნათ“. ეს მართლაც უბრალო თეორიაა, რასაც დიდი ფიქრი და კვლევა არ უნდა და რაც მიხაილოვსკიმ და ტარდმა უწყალობა ბ. ფხაკს, გახლავს: „პრინციპი ინოვენციის (განახლების) და პრინციპი მიმბაძველობის“. ამ „ორი უმთავრესი პრინციპით შეგვიძლია ავხსნათ ყველაფერი მოვლენაო“. ზევით საზოგადოებრივ მოვლენას თავის დაცვის და სხვა

ბიოლოგიური პრინციპებით ხსნის. ახლა კი სოციოლოგიისთვის წაუტანებია ხელი და აქაც მიხაილოვსკის და ტარდის მეტი ვერავინ უნახავს\*). პირველი პრინციპი გვეუბნებაო—განაგრძობს ავტორი, რომ გენიოსი\*\*\*) „რასმე ახალს შეამჩნევს მოვლენასა და ფაქტში (კარგათ დაიხსომეთ „შეამჩნევსო“). შემდეგ ეს გენიოსის მიერ გამოგონილი და შემჩნეული ახალი რამე გავრცელდება ხოლმე ბრბოში „მიმბაძველობით“, პირველ წინადადებაში მხოლოდ შეამჩნევდა, მეორეში—კიდევაც იგონებს, უთუოდ ისე როგორც ბ. ფხა იგონებს მატერიალიზმს. რაკი გენიოსი ასე სასწაულ-მომკმედი ყოფილა, უეჭველია ის იშვიათი მოვლენა უნდა იყოს. მართლაც „გე-

\*) კარგია ბ-ნი ფხა ჰკითხავდეს თავის მასწავლებლებს —მიხაილოვსკი—ტარდს—რატომ გმირ დონკიხოტს არავინ წაბაძა და პირიქით კიდევაც დასცინოდენ? თუმცა ორი სამი საუკუნის წინ რაინდთა ცხოვრება იგივე დონკიხოტობა იყო. ცხადია საზოგადოება ისე განვითარებულა, რომ მის ძველ საყვარელ გმირს დღეს სასაცილოთ იღებს. ჩვენი ცხოვრებაც ისე აწეულა ძალდა, რომ ძველი, ყველას მიერ საქები და პატივცემული პირები მწერლობაში გამოგვყავს და დავციხით, (მაგ. ლუარსაბ თათქარიძე, ხანუმა, ტარიელ მკლავაძე და სხ.). ცხადია, მიბაძვა შეიძლება მხოლოდ იმის, რასაც ნიადაგი აქვს; რაც უნდა გენიოსი იყოს, თუ თქვენს მოქმედებას არავითარი ნიადაგი არა აქვს, ვერავინ ვერ მოგბაძავს. ხოლო ნიადაგის შეცვლა-განვითარება ნიშნავს ცხოვრების შეცვლა-განვითარებას, რომლის დედა-ძარღვი მარხია საწარმოვო ძალის განვითარებაში. იხ. ზევით.

\*\*) მიხაილოვსკი ლაპარაკობს გმირის და არა გენიოსის შესახებ.

ნიოსი, დიდებული გვამი, შემთხვევით მოვლენას  
 წარმოადგენს. მაგრამ ეს შემთხვევითი მოვლენა მთელს  
 რევოლიუციას ახდენს საზოგადოებასა და კერძო  
 ადამიანში. ამნაირად ბ. ფხას შეჩედულებით „ყო-  
 ველ გვარი“ სოციალური მოვლენა აიხსნება „გან-  
 ხლების და მიმბაძველობის პრინციპით“. ეს არის  
 მისი ტეზისი, ხოლო ამ ორი მოვლენის მიზეზია  
 გენიოსი, გენიოსის გამოჩენა კი შემთხვევითია. ეს  
 არის ტეზისის დასაბუთება. (საბუთი ტეზისად ღირს!)  
 აქედან ჩვენ გამოვიყვანთ დასკვნებს: „ყოველგვარი“  
 მოვლენის ახსნა „შემთხვევითი მოვლენით“ ყოფილა  
 შესაძლებელი, შემთხვევითი მოვლენა შობს „ყოველ-  
 —გვარ“ მოვლენას, ergo, ყოველ-გვარი მოვლენა  
 (სოციალური) „შემთხვევით მოვლენას“ წარმო-  
 ადგენს. რევოლიუცია, ევოლიუცია, ისტორია, მე-  
 ცნიერება და სხვ. და სხ. შემთხვევითი რამ არის,  
 ცხოვრების განვითარება არავითარ წეს-რიგს, კანონ-  
 ნიერებას არ ექვემდებარება. ისტორიული კანონები  
 სისულელეა, ფანტაზიაა. ყველაფერი შემთხვევაზეა  
 დამოკიდებული. ამით ბ. ფხა უარჰყოფს ისტორიას,  
 ლოდიკას, მეცნიერებას და ამასთანავე ყველა ამებში  
 თავს დებს, ერთ გრძელ წერილს სწერს, რომ დაგვი-  
 მტკიცოს, თუ რა არის მის მიერ ყბად აღებული  
 ისტორია, ლოდიკა, მეცნიერება. მაშ რალაზე არის  
 აშენებული მისი წერილი? შემთხვევაზე? დიახ, შემ-  
 თხვევაზე, ესე იგი ლოდიკურ, ისტორიულ და მეც-  
 ნიერულ უწეს-რიგობაზე. ვალაპარაკოთ კიდევ ყველა-  
 ფრის უარ-ყოფელი ავტორი: „ახალი მიზნის და  
 მისწრაფების შემოქმედი და წარმომშობელი დიდე-



ბული გვამი, გენიოსია“. ცოტა ქვევით ამას არღვევს ლეონტიევიჩის პირით: „საქმე ის არის, რომ ადამიანს შექმნა კი არ შეუძლია რისამე, არამედ გაიგოს და შეისწავლოს“. თუ ეს „სამართლიანი სიტყვებია“, როგორც ბ-ნი ფხა გვეუბნება. მაშ მისი სიტყვები უსამართლო ყოფილა. მოდით და გაიგეთ, ბ-ნო ფხა! ეს კიდევ არაფერი. ის ასეთ დამაძინებელ ქადაგებასაც მოჰყოლია. „ბრბო მხოლოდ მქონეა დახმარებითი ძალისა. ერთია ინიციატორი, მმართველი (ე. ი. გენიოსიო), გამგებელი და შეგნებულად მომქმედი, მეორე კი გამგონე და მორჩილათ აღმასრულებელი“, ამგვარათ ხალხს ჩამოართვა შეგნება, ცნობიერება და უფროსებს მიუჩინა, ამათი მორჩილი იყავიო. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როცა იქავე არღვევს ამ აზრს ამ სიტყვებით: „საზოგადოდ ცნობიერებასა და შეგნებას ყოველივე მნიშვნელობა ჩამოერთვა ახლანდელს დროში, მაგრამ ეს ფრიად შემცდარი აზრია“. ბ. ფხამ უმრავლესობას ჩამოართვა ცნობიერება და თვითონვე იძახის სხვებმა ჩამოართვაო და ეს შეცდომააო.

ამდენ წინააღმდეგობათა წინააღმდეგობებით აღჭურვილი ბ-ნი ფხა ჩვენს წერილებსაც არჩევს და თავისებური კრიტიკით გააქვს და გამოაქვს. („ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ „მოამბე“ № 5—6). ჩვენი წერილების დასაცველათ დიდ შრომას არ გავწევთ, მეტადრე ბ-ნ ფხას საპასუხოდ. ბ-ნმა ფხამ თავისი კრიტიკა დაიწყო სხვისი აზრის გადამახინჯებით და ათავებს ასეთივე გადამახინჯებით. იმისთანა აზრს ვვწამებს, რაც არას დროს

არ გამოგვითქვამს. ის ამბობს: „ქორდანია ცდი-  
 ლობს დაგვიმტკიცოს, რომ ადამიანთ შეკრებილება  
 მხოლოდ მაშინ გახდება ერი, ნაცია, როცა მასში  
 შრომის განაწილება და აღებ-მიცემობა-ვაჭრობა  
 მოიკიდებს ფეხს და გამტკიცდება. სხვა ძალას, რა თვი-  
 სებისა და ხასიათისაც უნდა იყოს იგი, ან ფრიად  
 მცირე, ან არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ერის  
 გაჩენისა და გამორკვევის საქმეში“. საიდან ამოკ-  
 რითა ეს ავტორმა? განა ჩვენს წერილებში ერთი  
 კონტრაც დაგვიძრავს ერის გაჩენის შესახებ? ერის  
 გაჩენის კითხვა რასის (გვარტომობის) კითხვაა, რა-  
 იცა იკვლევთ ანტროპოლოგიის და ლინგვისტიკის  
 მიერ. აქ სოციოლოგია და ისტორია ვერ მიწვდება,  
 ვინაიდან ერი ე. ი. ადამიანთა კრებული ერთი გვარ-  
 ტომობის, ერთ ენაზე მოლაპარაკე, გამოირკვა ის-  
 ტორიის წინა დროს. მაშ მე რანაირათ ვიტყვით  
 ამ ისტორიის წინა დროის მოვლენის მიზეზი ვაჭ-  
 რობაა-მეთქი? ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ერის შეგნე-  
 ბულათ გაერთიანებაზე და არა ერის გაჩენაზე.  
 ჩვენ ვიკვლევთ ამ გაერთიანების ფაქტორებს. ჩვენ  
 ვამბობდით: „ომის და ბუნების წყალობით ერნი  
 გაერთიანებულან, მაგრამ ეს ერთობა სუსტი და  
 ხანმოკლე შეიქმნა. არასოდეს ეროვნული გაერთი-  
 ანება არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც მოხ-  
 და აღებ-მიცემობის წყალობით თანამედროვე ევრო-  
 პაში. აი, ჩვენი ტეზისი (იხ. „მოამბე“ № 5 102—  
 106 გვ.) საიდან გამოახტუნა ბ-ნმა ფხამ თავისი  
 ქორი? ბ-ნი ფხა გვარწმუნებს, ვითომ ჩვენ ერის  
 გამოცნობის ნიშნად ვაჭრობა მიგვედოს: „შრო-

მის განაწილება და აღორძინება ალებ-მიცემობისა რომ სარჩულად და საფუძვლათ დაუდვით ჩვენს გამოკვლევას, რათა გავიგოთ, რომელი ხალხია, რომ ერს, ნაციას წარმოადგენს, და რომელი არა, იმ შემთხვევაში სადამდე მივალთ?“ განა ამას ვამტკიცებთ? ამის შესახებ ჩვენ წერილებში ნათლათ არის გამოთქმული და მიკვირს, ავტორს კორი რატომ დასჭირვებია. მე ვამბობდი: „ენა არის უპირველესი ნიშანი ეროვნებისა, ამით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომელი ხალხი რომელ ერს ეკუთვნის“. ნუ თუ ეს ბნელია, ბ. ფხა? მოვიყვანთ კიდევ ერთს მაგალითს. ბ. ფხა წერს: „რაც შეეხება საფრანგეთის ერის გაერთიანებას ზნითა, ჩვეულებით, მოქმედებით და სხ.—ეს ისე მართალი არ არის, როგორც ბ. ჟორდანია ფიქრობს“. \*) ან კი როდის ვიფიქრეთ ასე? ჩვენ ვწერდით: „საფრანგეთი, გაერთიანებული ნივთიერათ, გაერთიანებულია იდეებითაც, ყველას სურს განავითაროს ეროვნული შრომა, გააღონიეროს ერი“ და სხ. ბ. ფხამ კი ჩვეულებრივით გადაამახინჯა. შეიძლება კიდევ გსურთ ასეთი მაგალითები? მაშინ საჭირო იქნება მთელი მისი წერილის ამოწერა. აი, კიდევ ერთი. ჩვენ ვხმარობთ „შრომის განაწილება“. მას კი ეს ასე შეუცვლია „შრომის დეტალური (რთული) განაწილება“, მაშინ როდესაც ამათ შორის დიდი გარჩე-

\*) ბ. ფხას მიერ გენეკენის წიგნიდან მოყვანილი ცნობა, ვითომ მარსელელს და ლალელს შორის ეროვნული განსხვავება იყოს, ყოველივე სიმართლეს მოკლებულია.

ვაა. უკანასკნელი წარმოებს მხოლოდ ქარხნებში, პირველი კი ყველგან, ერის ნაწილთა შორისაც. ერთი სიტყვით ბ. ფხას წერილი ასეთი გადამახინჯებით სულდგმულობს, მეტი საფუძველი არა აქვსრა, ამას მიუმატეთ სრულიად ყალბი ცნობები საბერძნეთის და საქართველოს ისტორიის შესახებ, უცოდინარობა საფრანგეთის პოლიტიკური დასების და სხ. და სხ. და თქვენ მიიღებთ ბ. ფხას საკადრის კრიტიკას. აბა, რაღა საპასუხოა ასეთი ავტორი? რაც ვთქვით ისიც ბევრია, რისთვისაც ბოდინშ ვიხდი მკითხველის წინაშე. ბ. ფხასთვის პასუხის გაცემა არც კი გვინდოდა, და თუ გავეცით, ეს იმიტომ, რომ იგი შეეხო და ერთიანად დაამახინჯა თანამედროვე ისტორიული მატერიალიზმი. ეს თეორია მეცნიერებაში უკვე დამკვიდრდა. ხოლო ამ ჟამათ რუსეთის „სუბიექტივისტებმა“ გამოილაშქრეს მის წინააღმდეგ და ამით მხარს უჭერენ კამაყოფილთ ამა სოფლისა. ჩვენს მწერლობაში პირველად ბ. ფხა შეეხო და საზოგადოებას სრულიად შეცვლილად უჩვენა. ჩვენ გვწამს, რომ კრიტიკოსს შესწავლილი უნდა ჰქონდეს საკრიტიკო საგანი. ასეთ მოწინააღმდეგესთან კამათი ყველასთვის სასარგებლო და სასიამოვნოა. თუ ვინმე ასეთი კრიტიკოსი შეეხება მარქსის მიერ დამყარებულ ისტორიულ თეორიას, ჩვენ მზათ ვართ პასუხი გავცეთ. ხოლო ბ. ფხა კი გააფრთხილეთ: მწერალს, გარდა წერის სურვილისა, სხვაც რამე უნდათქო.

# „მოამბის“ პუბლიცისტიკა

(წერილი შორეული ქვეყნიდან)

1894 წ.

\* \* \*

№ 1 და 2

ამ სათაურით გვსურს მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი შენიშვნები ჟურნალ „მოამბის“ შესახებ. ჩვენი ყურადღება მიქცეული იქმნება მხოლოდ პუბლიცისტიკურ ნაწილისაკენ და აღვნიშნავთ უმთავრეს კითხვებს, რომელიც კი წამოყენებულია და ღირსია გარჩევისა; ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ დებატთან, რაზედაც დაყრდნობით გამაგრებულია ეს თუ ის გასარჩევი წერილები. მკითხველი ნუ დაგვემდურება, თუ ჩვენი შენიშვნები მოკლედ მოჭრილი და დაწვრილებით განუმარტებელი დარჩეს.

წერილში „მოამბის პროგრამის გამო“ ვკითხულობთ: ჩვენ საზოგადოებაში ფეხი მოიკიდა დასთაბრძოლამ, გაჩნდა ორი პარტია; უეჭველია ერთი უფრო მართალია, მეორე მტყუანი, მაგრამ „ვერც ერთ, ვერც მეორე პარტიაში ჩვენ ვერ ჩავდგებით“. რათა? იმიტომ რომ „პარტიის დისციპლინამ თავისუფალი ხელი არ შეგვიკრას და პირუთვნელი ნიჟარა არ გამოგვაცალოს იმ დროს, როცა ჩვენი მიუ-

დგომელი სიტყვა უნდა ვსთქვათ“... ამგვარად, „მოამბე“ ძალიან უფრთხის პარტიობას: იმას სურს ყოველსავე პარტიას გარეშე დადგეს და თავისი მართლმსჯელობა „თავისუფლად“ წაჩმოსთქვას. ძნელი მისახვედრია, თუ რა დასებზეა აქ ლაპარაკი, მაგრამ დავიჯეროთ ეს და დავდგეთ იმავე საფუძველზე, რასაც ჟურნალი გვიჩვენებს და ვიკითხოთ: რანაირად შეიძლება ამ მიზნის მიღწევა? ან ორივე დასის მოძღვრებას უარი უნდა ეყოს, ან და ორივედან ქეშმარიტება გამოიკრიბოს და ერთად ჩამოისხას. როცა უაჩს ყოფენ, უთუოთ მეორე რასმე ამტკიცებენ. ამ შემთხვევაში საზოგადოებაც ემხრობა ამას თუ იმას, დგება ახალი დასი, ირკვევა ახალი პრინციპი და ორგანოც ამ დროს სულის ჩამღვებელია. რაკი „მოამბე“ არც ერთ დასს არ ემხრობა, აშკარაა რაიმე ახალი უნდა თქვას, ორივე დასი აწონ-დაწონოს და შესაფერი საწყაო მიუზომოს. მხოლოდ ამისათვის საჭიროა ჰქონდეს თავისი შეხედულება, შემუშავებული და გამორკვეული დედა-აზრი. აი, ეს ედება სარჩულად ყოველივე მის ნაწარმოებს და ხდება გზის მანათობელ ვარსკვლავად. მკითხველების ერთი ნაწილი ითვისებს ახალ თეორიას, იკრიბება რედაქციის გარეშემო და მკვიდრდება დასი. ასე თუ ისე „მოამბეს“ ძალა-უნებურათ აყოყმანებს დასის შედგენა და მეთაურობა. მაგრამ ის წინდაწინ გვაფრთხილებს: ჩვენ დასის მოყვარული არ გახლავართ, ჩვენზე ხელით თავის თავს არ ვიჭირავთო. მაშ რანაირად მოეწყოს ეს საქმე? თუ რამე ახალი აღიარა, დასი დგება, რომელიც მას ასე აფრთხოვს, თუ არა და

სად არის ხსნა? აქ ერთად ერთი შველაა: „მოამბემ“ უნდა თქვას იმისთანა რამე, რაც ყველა დასს, ყველა პირს და ყველა წოდებას დააკმაყოფილებს ე. ი. არც მწვადი დაწვას და არც შამფური. ამ შემთხვევაში მართლაც ვერავითარი დასი ვერ შედგება, რადგანაც მკითხველს გზა აებნევა, იდეალი ეკარგება. თანახმად ამისა ქურნალის შეხედულება სწორედ საუცხოვოა: „ყოველ საგანს და ყოველ მოვლენას, რომელიც შეეხება ქართველ საზოგადოებას ჩვენ გავესჯით და დავაფასებთ ქართველი საზოგადოების კეთილ-დღეობის და სარგებლობის მიხედვით, ეს სარგებლობა იქნება ჩვენი თვალთა ხედვის ისარი“ (გვ. 106). ამის თქმაც საჭირო ყოფილა! ქართული ქურნალი ქართულ ინტერესებს იცავს! არ გიკვირთ? ერთი მიბძანეთ, რომელი ერის მწერლობა იქადის: ჩვენ ჩვენს სამშობლოს ვემსახურებითო? ამნაირად, რედაქცია ცდილობს უთუოდ საზოგადო ფრაზებით გაგვისტუმროს, სწორედ ისე, როგორც ძველ ბერძნებს პითია (გულთმისანი) გაისტუმრებდა ხოლმე. რაკი ამ გზას დაადგა, რასაკვირველია, განსაზღვრულ რასმე ველარ უნდა მოველოდეთ.

ავიღოთ მეორე მაგალითი: „იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ნივთიერი ყოფა-მდგომარეობა თანდათან მცირდება და კლებულობს, რომ მამა-პაპის ქონება ხელიდან გვეცლება... ჩვენი თავად-აზნაურობა და მთლად ჩვენი საზოგადოება საგონებელში ჩააგდო“ (შინაური მიმოხილვა). მოდით და გაიგეთ ეს? ნეტავ ვისი სახელით ლაპარაკობს ავტორი? საქართველოს? ჩვენ კი გვეგონა, რომ საქართველოს სიმდიდრე დღი-

თი დღე იზრდება და მატულობს. თურმე ნუ იტყვით! უკან, ალა-მაჰმად-ხანისკენ, წავსულვართ. დავუჯეროთ ესეც მექრონიკეს? რას უწოდებს ის ერის სიმდიდრეს? განა ამ 10—14 წლის წინად იყო ჩვენში აღებ-მიცემობა შავი-ქვის, ნავთის, ქვა-ნახშირის და სხვა ვაჭრობა და მრეწველობა? რკინის გზა და ფოსტა-ტელეგრაფი ამ უკანასკნელ ხანში არ გაიძარტა? განა წინათ უფრო ბევრი სიმდიდრე ტრიალებდა ჩვენში? ლუარსაბ თათქაჩიძის დროს უფრო კარგად სცხოვრობდნენ? მაგრამ არა. მაგიერათ ის მეორე ალაგას სულ სხვას გვეუბნება: „ჩვენის ბედის, ჩვენის მომავლის იმედი დამყარებულია მხოლოდ ქართველის ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე (აღებ-მიცემობაში) გამოიჩინს თავს“ (105). რანაირად შევარჩევთ ეს ორი სხვა-და სხვა აზრი? ქართველობა აღებ-მიცემობის სარბიელზე ამ ბოლოს დროს გამოვიდა, მაშასადამე სიმდიდრეც აღორძინებულია. შეიძლება რედაქცია თავად-აზნაურობის სახელით ღალატდებდეს. მართალია ჩვენს „ბრწყინვალე“ წოდებას ბატონ-ყმობის დროს თავის დედულ-მამული უკლებლად ჰქონდა დაცული, ახლა კი თანდათან ეცლება ხელიდან. მაშ ბატონ-ყმობის დროს უნდა დავუბრუნდეთ? ან ერთი წოდების დაწვრილმანება მთელი ერის სიღარიბეს მოასწავებს? თუ საფრანგეთში თავად-აზნაურობა განადგურდა, ქვეყანაც უნდა დაქვეითებულიყო? ამას ხომ მექრონიკეც უარს ყოფს. „საფრანგეთი და ინგლისი ეს ორი ქვეყანაზე ფულით და სარჩოთი და განათლებით უმდიდრესი ხალხია“ (152). ამისთანა აყვავებულ საფრანგეთში



თავად-აზნაურობა არ არსებობს. როგორ მოვითავსოთ ერთად ეს მოუთავსებელი წინადადებანი? აი, რანაირ უთავბოლოებაში შესტოპა რედაქციამ. საზოგადო ფრაზებით ლაპარაკმა ასე იცის. იგივე მექრონიკე. გვიჩვენებს: რადგანაც საუკუნოთა განმავლობაში ჩვენ მიწას ვებლაუქებოდით და მტერი მით ვძლიეთ, ამისათვის ახლაც ნუ გავუშვებთ ხელიდან, შევიძინოთ სამეურნეო ცოდნა და შევიმუშავოთ მამულიო. (113—119) შეურყეველი საბუთია, შენმა მხემ. სოფელში რომ შემშლილით კუჭი გიხმებოდეს, არსად არ დაიძრა ლუკმა პურისათვის, თორემ ეს მამა-პაპათა ანდერძის შელახვა იქნება. რომელ ერმა არ დაიცვა სისხლით სამშობლო? რომელ ქვეყანაში მცხოვრებთა და მათ მიწას შუა არ სუფევდა ერთობა? განა ესეც დასაკვებია? მაგრამ აუარებელ ხალხმა დასტოვა თავისი მიწა-წყალი და ქალაქებს მიაწყდა (იხილეთ ამის შესახებ ბ-ნ იოსელიანის წერილი „მეურნე და მეურნეობა“ იმავე „მოამბის“ ნომერში). ეს კიდევ არაფერი, მრავალმა სრულებით დასტოვა სისხლით მოწყული სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა. ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და სხ. ევროპიელებით დასახლდა. ცხადია მამა-პაპეულ ანდერძს აქ ადგილი არა აქვს; აქ უფრო რთული და ძლიერი მოვლენა მუშაობს, რომელიც გამოკვლევას და ახსნას თხოულობს და არა მექრონიკეებურ მამა-შვილურ დარიგებას. სჯობს ამის შესახებ ვალაპარაკოთ თვით რედაქცია: „უამისოდ (ე. ი. უაღებმიცემობით) ვერც წასული მოღვაწეობა და ღირსება მამა-პაპათა, ვერც კეთილ-შობილური სისხლი და

ვერც ჩინებული მემკვიდრეობა ვერ გვიხსნის დალუპვისაგან“ (105). რას ნიშნავს ეს? ერთ გვერდზე გვეუბნებიან: უნდა გამოხვიდეთ ალებ-მიცემობის სარბიელზე ე. ი. დაიმართოს ქარხნები, ~~ზავლები~~ (საშენებელნი), გზები და სხვა, დაიძრას სოფლის ხალხი, გაშენდეს ქალაქები, გაჩაღდეს ვაჭრობა და სხვა; მეორე გვერდზე კი გვიქადაგებენ: არა, მაგრად იჯექით თქვენ-თქვენ ბუდეში, ღმერთი არ გაგიწყრესთ და ხელიდან არ გაუშვათ მამულ-დედულიო. აქ არის ხსნა, ამას ჩაებლაუქეთო. ერთ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენის აზრით ქართველი ვერ დარჩება და არც უნდა დარჩეს მხოლოდ სოფლად და მიწის მომქმედად, იგი ქალაქშიაც უნდა დამკვიდრდეს“.. (106), მეორეში: „ხელში ისეთი ფარ-ხმალი უნდა ავიღოთ, რომ ჩვენი ადგილ-მამული, სამშობლო, შეგვარჩინოს; ეს ფარ-ხმალი, სხვათა შორის, სამეურნეო სწავლა-ცოდნაა, ურომლისოდაც ყოველად შეუძლებელია ქვეყანას შესაფერი სიმდიდრე გამოვადებინოთ და კეთილდღეობა დავიმკვიდროთ“ (119). ხოლო, რამდენად შეუძლია სამეურნეო სწავლას ადგილ-მამულის შენახვა, ამას ცხადად გვეუბნება ბ-ნ ეგ. იოსელიანი იმავე ნომერში: „დასავლეთ ევროპის მეურნე ქართველ მეურნესთან შედარებით ბევრით უფრო განათლებულია, ამასთანავე იმასაც ნუ დავიფიწყებთ-რომ ევროპიულ მეურნეს უფრო რიგიანად აქვს მოწყობილი თავისი მამული, ვიდრე ქართველ მეურნეს... ერთი სიტყვით დასავლეთ ევროპის მეურნეს ხელთა აქვს და, თუ არა აქვს, შეუძლია ადვილად და თავათ მოიპოვოს ყოველივე

ის, რასაც კი შეუძლია გააუმჯობესოს მისი შრომა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ვინც კი დასავლეთ მეურნეობას თვალ-ყურს ადევნებს, შენიშნავდა, რომ იქაური გლეხი მეურნე თანდათან უფრო ღარიბდება, ვალში ვარდება და იძულებული ხდება თავი დაანებოს მიწას და გადავიდეს ქარხანაში დღიურ მუშად“.

(25) რა მოჩვენებაა ეს? ამდენი ერთი მეორის მოწინააღმდეგე აზრები ერთ და იმავე ქუჩაში, ერთ და იმავე რედაქციაში! უბრალო აღმანახშიაც ვერ შეხვდებით ასეთ არეგ-დარეგას, პრინციპის აბუჩად აგდებას. რა არის ამის მიზეზი? რედაქცია უფრო ხის დასობას, ამისათვის განსაზღვრულს ვერას გვეუბნება, პრინციპი დაჰკარგვია: მისი ალაგი ფრაზებს დაუჭერია. რედაქცია ამბობს: „... ურომლისოდაც (ე. ი. სამეურნეო სწავლა-ცოდნის უქონლობისა გამო) ყოვლად შეუძლებელია ქვეყანას სიმდიდრე გამოვალეზინოთ და კეთილ-დღეობა დავიმკვიდროთ“. კიდევ ვიკითხავთ: ვისი სახელით ლაპარაკობს რედაქცია? მთელ საქართველოს? მაგრამ მთელ საქართველოს რომ კეთილ-დღეობა სამეურნეო სწავლა-ცოდნით არ დაუმკვიდრდება, ამას გვიმტკიცებს ბ-ნი იოსელიანი. გლეხი იძულებულია დასტოვოს თავისი მიწა და სხვაგან წავიდეს: ცხადია, ვინმე ისაკუთრებს მის ადგილ-მაჩულოს. ვინ? რასაკვირველია, შეძლებული, მდიდარი, რომელსაც მაშინების ყიდვაც შეუძლია და აგრონომის ყოლაც. ამ შემთხვევაში მართლაც ქვეყანას სიმდიდრეს „გამოვალეზინებს“, მაგრამ თავის სასარგებლოდ და არა გაქცეული გლეხისა. აქედან ცხადია, „მოამბეც“ შექლებულთა სახელით გველა-

პარაკება და არა მთელის ქვეყნის სახელით. ამ სახით სრული აზრთა წინააღმდეგობა სუფევს რედაქციასა და მის თანამშრომლის ბ-ნ იოსელიანის ნაწერებს შორის. თუმცა საქმით ასეთი სრული არედარება სხვა-და-სხვა მიმართულებისა და შეხედულებისა, მაგრამ სიტყვით კი სხვას გვეუბნება რედაქცია: „ჟურნალს უნდა ჰქონდეს თავის პროგრამა და მიმართულება, რომელთაც უნდა ეთანხმებოდეს ჟურნალში მოთავსებული თითოეული წერილი და თითოეული იქ გამოთქმული აზრიც“ (102. კურსივი ჩემია). მაგრამ ეს ჭეშმარიტება რედაქციას, როგორც სჩანს, წამოსცდენია მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ არ აასრულოს.

ახლა გადავიდეთ უცხოეთის მიმოხილვაზე. აქ სწორედ ნამდვილი მარგალიტებია ჩაყრილი. უცხოეთის ქრონიკა უფრო ბავშურ ტიტინს ჰგავს, ვიდრე ჭკუა-დამჯდარ მსჯელობას; მაგ. როცა ბავშს რისამე თქმა სურს, მოგიყვება ცის, ბარის ამბავს და ბოლოს ისევ იქ მივა, საიდანაც დაიწყო. ჩვენი ავტორიც მოსდებია ლობე-ყორეს, გადმოულაგებია მეცნიერება, ქრისტიანობა, სათნოება და სხ. მხოლოდ იმიტომ, რომ ეთქვა: რუსეთი საფრანგეთთან შეერთებული იხსნის დღევანდელ ცივილიზაციასო. საბრალო ევროპა!?! იმედია, ცოტახანს შემდეგ ევროპა ჩინეთს მიმართავს: გვიხსენი, თორემ ერთმანეთს დავგლეჯთო. დალოცვილი ავტორი ამისთვის რაღას იწყებდა ადამიდან? ამ ჭეშმარიტებას განა „Гражданинъ“ და „Московскія Вѣдомости“-დან ვერ გადმოსწერდა? ბ-ნ მექრონიკეს მთელი

ქვეყანა ორად გაუყვია: საქრისტიანო და არა-საქრისტიანო. ქრისტიანობრივი კავშირი „ისე მტკიცეაო, რომ უცხო სარწმუნოების ერმა რომ ერთ-ერთს ზემოხსენებულ ერს (რუს, ფრანგს, სომეხს“ ბერძენს და სხ.) გამოუცხადოს ომი, თითქმის მთელი დანაწიენი საქრისტიანო ერობა ვალდებულიათ რაცხს თავის თავს ხმალ-ამოღებულმა დაიცვას თანამორწმუნე ძმა-ერიო“ (147). აი, უკანასკნელი სიტყვა პოლიტიკისა! სად არის ინგლისი, რომ ამდენხანს ჩვენი მექრონიკის ფილოსოფია ვერ შეუგნია? მაშინ ხომ სათათრეთს დახმაზების მაგიერ „ბღღვირს“ აადენდა. ერთი ვკითხოთ ჩვენს პოლიტიკოსს: მიგვითითოს ერთ რომელსამე ისტორიულ მაგალითზე იმის დასამტკიცებლად, რომ მხოლოდ სარწმუნოების გულისთვის დაეფაროს ერთი ერი მეორეს. სხვა თუ არა, ჩვენი ისტორია გადაათვალიეროს და გაიგებს ქეშმარიტებას. მაგრამ ავტორი ამას არ დაგიდევს: მას სურს მკითხველს განუზიაროს თავის დიაკვნური შეხედულება ისტორიაზე და ამისთვის ვინ იცის, რას არ ეჭიდება. მისი აზრით საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ქრისტიანობა განამტკიცა (გვ. 149). თუმცა ჩვენ კარგათ ვიცით, რომ დიდმა რევოლიუციამ ქრისტიანობის იერარქიის წინააღმდეგ გაილაშქრა: „დაიკეტა ეკლესიები, მონასტრები, განიდევნა ბერები სამშობლოდან და სხ., შეჩერდა ნათვლა, ზიარება და სხვა. ძლივს ნაპოლეონმა აღადგინა ქრისტიანული წესები. მაგრამ ამისთანა შეხედულობისათვის რა საჭიროა ისტორია? ერთ ალაგას ერთს იტყვის, მეორე ალაგას—მეორეს.

იგივე ავტორი ქრონიკის ბოლოში ამბობს: ახლანდელ ევროპის მწერლობამ ღმერთი დაჰკარგა, მატერიალური მიმართულება მიიღო და სხვ. თავში გვარწმუნებს ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდაო, ბოლოს იქახის სარწმუნოება შეირყაო. რომელია მართალი? ავტორისთვის ორივე ჭეშმარიტია, რადგანაც მისი თეორია ამას მოითხოვს; ისტორია კი გვიჩვენებს, რომ დიდ რევოლუციას შემდეგ საფრანგეთი სისხლის ღვრით ებრძვის ცალკე ეკლესიას და ცალკე პოლიტიკურ და კაპიტალისტურ მტარვლებს. სახელოვანმა გამბეტამ მთელი თავისი პოლიტიკა ეკლესიასთან ბრძოლაზე დაამყარა, „ეკლესია—აი, ჩვენი მტერიო“ (L' Eglisevoila l'ennemie) დაიგრგვინა მან პარლამენტში. არც ერთი ეს „მოამბის“ შექრონიკეს არ გაეგება. ავტორის აზრით გადაქარზებული სმა-ჭამა, ქეიფი და ლაზღანდარობა, უზნეობა და გარყვნილობა შედგება მატერიალიზმისა. მისთვის ახალი ხილია ის მატერიალისტურ-ეკონომიური ფილოსოფია, რომელიც მარქსმა და ენგელსმა შემოიტანეს სოციოლოგიაში. ამისათვის ის გარბის ტოლსტოისაკენ, რომელიც ქადაგებს: ყოველ ძალმომრეობას და ბოროტებას დაემორჩილეთო. აი, საითკენ მიისწრაფვის „მოამბის“ შექრონიკის. აზრები და ჩვენც გზა დავულოცოთო...

ჩვენ მოკლედ მოვსჯერით წერილების განხილვა, მაგრამ აქედანაც ცხადია, რომ არავითარი ცხოველ-მყოფელი აზრი, ზნეობრივი იდეალი არ არის შემოტანილი ახალ დაბადებულ ჟურნალში. განმეორება იმის, რაც ათი-ათასჯერ თქმულა, ესეც á la მე-

ველე—აი, რა შეადგენს სარედაქციო წერილების შინაარსს. ეტყობა, რედაქციას ჯერ თავისებური საკუთარი სახელმძღვანელო პრინციპი არ შეუმუშავებია.

„მოამბის“ პირველ ნომერში მოთავსებულია ბ-ნ ნიკოლაძის ქრონიკა ქალაქის არჩევანების შესახებ. ავტორის უმთავრესი მიზანია გამოიკვლიოს ქართველების დამარცხება წარსულ წლის არჩევანებზე. ეს მიზეზი ბ-ნ ნიკოლაძეს აღმოუჩენია „ოპოზიციის“ მოქმედებაში (საბჭოში). ამისათვის ჩვენც გავიგოთ, თუ რას წარმოადგენდა „ოპოზიცია“, ანუ ქართველ ხმოსნების რაზმი (თუმცა სომხებიც ერიენ მათ). ამ სამი წლის წინად ქ. ტბილისმა 20 ქართველი ხმოსანი გაგზავნა საბჭოში. ეს ამბავი ყველას ეუცხოვა; დაიწყეს მითქმა-მოთქმა, კვლევა-ძიება, მწერლობამ თითქმის ერთნაირი აზრი გამოთქვა: ქართველებმა გაიღვიძეს და დაამარცხეს სომხებიო. მხოლოდ გაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა ერთი მოწინავე წერილი (ხელმოუწერელი), რომელშიაც ეს გამოუხსნელი კვანძი აღვილად გახსნა. ავტორი ამბობდა: აქამდინ ქალაქის საქმეს პატრონობდა მოქალაქეთა შეძლებული ნაწილი, წელს კი სარბიელზე გამოვიდა ღარიბი ხალხი და მეტოქეობა დაუწყო შეძლებულთა რაზმს. ქართველი ხმოსნების არჩევა დაბალ ხალხის გამოფხიზლება, დემოკრატიის გამარჯვება იყო, მეტი არაფერიო. მართლაც, ეს რომ ეროვნული ბრძოლა ყოფილიყო, „ოპოზიცია“ ვერ შედგებოდა, რადგანაც ტფილისში სომეხთა რიცხვი მეტია, ვინემ ქართველებისა (იხილეთ სტატისტიკა). სომეხი სო-

მეხს გაათეთრებდა და არა ქართველს. მეორე მხრით, „ოპოზიცია“ მოინათლა ქართველობის სახელით, იმიტომ რომ ღარიბი, შეუძლო ნაწილის უმრავლესობა ქართველობაა, ამას მისდევს მცირე ნაწილი სომხობისა და სხვა ხალხების. შეძლებულთა დიდს უმრავლესობას სომხობა შეადგენს. ცხადია, 1890 წ. ამომრჩევლები დაიყო ორად, თანახმად სიმდიდრესილარიზისა და არა ქართველ-სომხობისა, და, აი, სწორედ მესამე რიგის ამომრჩევლებმა (მაშინ სამ-რიგად იყო გაყოფილი: მდიდარი, შუათანა შეძლებისა და ღარიბი) ე. ი. დაბალ ხალხმა გაათეთრა „ოპოზიციის“ კანდიდატები“. ამას თვით ბ-ნ ნიკოლაძეც გვეუბნება თავის წერილში, ამომრჩევლებმა დაგვაბარაო; „რომ ეს ჩვენი თბილის-ქალაქი მარტო მდიდრებისათვის კი არ უნდა ზრუნავდეს, საწყალ ხალხსაც უნდა შეელოდეს“-ო (135). ამგვარად, აშკარაა ის, რომ „ოპოზიცია“ არჩეულ იქმნა ღარიბი ხალხის მიერ დემოკრატიულის პროგრამით. მას უნდა დაეცვა სარგებლობა და ინტერესები თვისი ამომრჩევლებისა წინააღმდეგ შეძლებულ მოქალაქეთ წარმომადგენლებისაგან. აქ ეროვნება არაფერი მოსატანია.

აი, ამ გარემოებაში მარხია მიზეზი „ოპოზიციის“ გამარჯვებისა“ 1890 წ. ახლა ვიკითხოთ: სად მარხია მიზეზი მისი დამარცხებისა (1893 წ.)?

გასულ წელს გაუთავდა ძველ საბჭოს ვადა და უნდა განახლებულიყო. „ოპოზიცია“ უნდა წამდგარიყო თავის ამომრჩევლების წინაშე, სამი წლის მოქმედების ანგარიში მიეცა და ეთხოვა ხელ-ახლავე



არჩევა. აი, აქ ტყდება ხიდი: „ოპოზიციის“ ამომ-  
 რჩევლები ხელ-ფეხ შებოქვილი და ენა-ჩაფარდნილი  
 დარჩა. ახალი დებულების წყალობით ღარიბ ხალხს  
 ჩამოერთვა არჩევანის უფლება და ქალაქის თვით-  
 მართველობა მდიდრებს ჩაბარდა. ამით „ოპოზი-  
 ციას“ გამოეცალა ნიადაგი, მეთაურმა დაჰკარგა სა-  
 მოქმედო ასპარეზი, მწყემსი დარჩა უსამწყსოთ, ეს  
 ნათელია დღესავე. ამას თუმცა გაკვრით, ორი სი-  
 ტყვით, იხსენიებს ბ-ნი ნიკოლაძე, მაგრამ არავი-  
 თარ მნიშვნელობას არ აძლევს, მაშინ, როდესაც  
 სწორედ აქ იხსნება კვანძი და საქმესაც ნათელი ეფი-  
 ნება. ბ-ნი ნიკოლაძე ამბობს: „თვითმმართველობის  
 საქმე, ეხლანდელის კანონის ძალით, უფრო შემ-  
 ძლე მოქალაქეთ აბარია“, მაგრამ ეს „უპირატესობა  
 ავალებდა იმათ (შეძლებულთ)—მათი საკუთარი ინ-  
 ტერესებისთვის—(?) საქმე ისე წაეყვანათ, რომ მათ  
 საქმეს, მათ მომავალ ინტერესს მოეგოს და არა წაე-  
 გოს“ (იქ.). მეორე ალაგას ვკითხულობთ: „ჩვენმა  
 მძლეველებმა შარშან ჭკუა წააგესო“ (129). აქ ბ-ნი  
 ნიკოლაძე უსაყვედურებს ოპოზიციის გამშავებელთ:  
 თუმცა ჩვენ თქვენი მტერი ვიყავით, მაგრამ ჩვენც  
 უნდა ამოგერჩიეთ, რადგანაც ჩვენს ამომრჩევლებს  
 ამორჩევის უფლება ჩამოერთვათო (132). ამით, რა-  
 საკვირველია, ბრძოლის ყოველივე წეს-რიგი ირ-  
 ლვევა და მის ალაგს იჭერს მათხოვრული ხელის  
 გაშვრა: განმიკითხე და შემიწყალეო. ეს იმას ჰგავს,  
 რომ იქ, სადაც მუშა-დემოკრატიას კენჭის უფლე-  
 ბა არა აქვს, ბურჟუათათვის რომ მიემართა, ჩვენი  
 კანდიდატები გაათეთრეთო. მაგრამ, როგორც

ვიცი, ეს ასე არ ჰდებდა. ავსტრიაში შარშან და ბოლგარიაში ამ ორი წლის წინ დაბალმა ხალხმა მანიფესტაციები და არეულობა მოახდინა: ჩვენც მოგვეცით ამომრჩევლების უფლებათ. იმათი მოთავე რომ ბ-ნი ნიკოლაძე ყოფილიყო, ურჩევდა: მაგას თავი დაანებეთ, ჩვენთვის მდიდრებიც კარგათ იზრუნებნო. არა, ბ-ნო ნიკოლაძე პოლიტიკაში საქმე ასე არ კეთდება, ეს ხალხის და ინტელიგენციის თვალის ახვევაა, სხვა არაფერი.

გასაკვირელი ის არის, რომ თვითონ ბ-ნი ნიკოლაძე გვეუბნება: პოლიტიკაში, საერო საქმეებში „მეზობლობა, ზნეობრივი ვალი... სრულიად უღონო ძალაა, უნდა დავეფუძნოთ მარტო ანგარიშს და სარგებლობას“-ო (128—129) და ცოტა ქვევით ტფილისის მაღალ ბურჟუაზიას უქადაგებს: ყველა თქვენი კაცი კი არ უნდა ამოგერჩიათ ხმოსნათ, ჩვენც უნდა გვრგებოდა რამეო (132). რატომ? განა მათი სარგებლობა ამას მოითხოვს? აშკარაა, რომ არა. მტრის გვერდით ამოჯენა სადაური ანგარიშია? მართალია, ბ-ნი ნიკოლაძე გვარწმუნებს, მათი ინტერესები მოითხოვდა ჩვენი კაცის ამორჩევასო, წინააღმდეგ შემთხვევაში თავიანთ გარეშემო შური და მტრობა დათესესო. (130) ახირებულია შენმა მზემ! სად და რომელ ქვეყანაში ერთი დასის გამარჯვება არ აძლიერებს მათ მოწინააღმდეგეებში შურს? როცა, მაგ. საფრანგეთში, რადიკალი ამარცხებს ოპორტუნისტს, უეჭველია, ეს უკანასკნელი მტრად უბდება პირველს; მაგრამ არასდროს ოპორტუნისტი ზვეწნა-მუდარებით არ გამოვა რადიკალთა კომიტე-

ტის წინაშე: რატომ თქვენ კანდიდატებს ათეთრებთ, მე გამათეთრეთო. სად და რომელ ქვეყანაში არ იცის ბურჟუაზიამ (მოქალაქობამ), რომ მისი გამარჯვება იწვევს მტრობას დაბალ ხალხში? მიუხედავად ამისა ის ყოველთვის ცდილობს მხოლოდ მან გაიმარჯვოს. ეს პირდაპირი მისი სარგებლობაა. ან, შეიძლება ბ-ნ ნიკოლაძეს სურდეს ამ ორი ნაწილის ინტერესების მოთანხმებ-მორიგება. დასავლეთ ევროპაში ეს გენიოსებმაც ვერ შეძლეს. შეიძლება ბ-ნ ნიკოლაძემ მოახერხოს? მაგრამ ვაი, შენს მტერს!.. ცხადია, ისმაილოვის დასს უფრო კარგად ჰქონებია შეგნებული ბრძოლის ვითარება, ვინემ ნიკოლაძისას\*).

რამდენიც უნდა გვარწმუნოს ბ-ნ ნიკოლაძემ და გზა-კვალი გვიბნოს, ჩვენ მაინც მკითხველს მივუთითებთ იმ სინამდვილეზე, რომ „ოპოზიციის“ დამარცხების მიზეზი იყო დაბალი ხალხის განდევნა ქალაქის თვით-მმართველობისაგან. ამას რუსეთის ინტელიგენციამ პროტესტი გამოუცხადა იმით, რომ მრავალ ქალაქებში ხმოსანთა არჩევანებში მონაწილეობა არ მიიღო და ალაგ-ალაგ კანდიდატთა საკმარისი რიცხვიც ვერ იშოვეს. (იხ. 1891—1893 წ.წ. „Русская Жизнь“ და „Русскія Вѣдомости“).

„მოამბის“ მეორე ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ნიკოლაძის წერილი „ბანკის კრება“. ავტორი გვე-

\*) ბ-ნი ნიკოლაძე საბჭოს უყურებს ისე, როგორც გლახა მეცხენოსნე სავარჯიშო მოედანს. ამის შესახებ იხ. „კვალის“ № 6, სადაც ბ-ნი მაზაკვალი ერთობ სამართლიანად სჯის. აქ ჩვენ არ ვეხებით იმ კითხვებს, რომელნიც ბ-ნ მაზაკვალის მიერ უკვე გარჩეულია.

საუბრება ქუთაისის „თავად-აზნაურობის“ (რიცხვით 48 წევრი ყოფილა. იხ. „ივერია“ № 24), გადაწყვეტილების შესახებ: მოისპოს ბანკის საქმეებში წევრთა პირდაპირი მონაწილეობა და მის მაგიერ შემოღებულ იქნას წარმომადგენლობა. დღეს ჩვენ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაა იმაზე, თუ რომელი სჯობს: ძველი წესი, თუ ახალი. ჩვენ ვიცით, როგორ გადასჭრეს ეს ქუთაისის ინტელიგენციამ და გახ. „ივერიაში“. ორივემ დასტური დაჰკრა, ახალი სჯობსო. (იხ. „ივერია“, № 11, 24 და 25). ბ-ნი ნიკოლაძე ამ საკითხავს განზე გახტომია, პირდაპირი პასუხი არ მოუცია. მისი აზრით წესი, რომელიც იყოს, სულ ერთია, ოღონდ „გულ-წრფელობა და პატიოსნება“ იქნას შეტანილი. ბ-ნი ნიკოლაძეს რომ ვკითხოთ: რომელი სჯობს, ქალაქის საბჭოს ხმოსნები ყველა მოქალაქეთაგან ირჩეოდეს, თუ წარმომადგენლებისაგანო, უთუოდ მოგიგებს: ეგ სულ ერთია, მხოლოდ გულ-წრფელი და პატიოსანი პირები კი იყვნენ არჩეულნიო: ბ-ნი ნიკოლაძეს რომ ვკითხოთ: გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი პირდაპირ ხალხის მიერ ირჩეოდეს, თუ მისი (ხალხის) წარმომადგენლების მიერ? უეჭველია, გვიპასუხებს: ეგ სულ ერთია, ოღონდ გულწრფელობა და პატიოსნება კი იყოს დაცულიო; ბ-ნი ნიკოლაძეს რომ ვკითხოთ: საფრანგეთის პრეზიდენტი მემკვიდრეობით უნდა იქნას დაყენებული, თუ არჩევანითო? რასაკვირველია, გეტყვის: ეგ სულ ერთია, ოღონდ გულწრფელი და პატიოსანი კაცი კი იყოსო. ერთი სიტყვით, ეგ ორი სიტყვა თუ გაქვს კარგად გაზეპი-

რებული, საქმე გაჩაღებულია, წამალი ნაპოვნია, თხა და მგელი ერთად იძოვსო. ყველაფერი პატიოსნებაზე და გულწრფელობაზე არის დამოკიდებული, სხვა არა არის რაო. მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რას შეიცავს ეგ პატიოსნება და გულწრფელობა? განა პატიოსნებით და გულწრფელობით არ იქცევა ქუთაისის „თავად-აზნაურობა“ და მისი ინტელიგენცია, როცა ისინი მთავრობას ემუდარებიან: დალუპაკალისტრატე ჩიკვაძემ ქუთაისის თავად-აზნაურობა, მოგვეშველეთ რამენაირად, ხელ-ფეხი შეუბოქეთ ამ თავად-აზნაურობასო? განა გულ-წრფელი და პატიოსანი არ იყო სოლომონ მეფე, როცა ის სათათრეთს ეხვეწებოდა, მომაშველეთ ჯარიო? განა რუსეთის პუბლიცისტი კატკოვი გულ-წრფელი და პატიოსანი არ იყო, როცა ის ამტკიცებდა, არავითარი დასავლეთური რეფორმები საქირო არ არის, ძლიერ კარგი წყობილება გვაქვსო? ცხადია, ეს გულ-წრფელობა და პატიოსნება ორ-პირი მახვილია, ორივე მხრით მჭრელია; ერთის ხელში ბრუნდად სჭრის, მეორის ხელში—სწორედ. მაშასადამე, ეგ ვერ არის ვნება-სარგებლობის საწყაო. ამ იარაღით ზოგს ზიანი მოაქვს, ზოგს სარგებლობა. იმისი თქმა, რომ „იყავ გულ-წრფელი და პატიოსანი“, ნიშნავს არაფრის თქმას. ბ-ნ ნიკოლაძეს ეკითხებიან, რომელი სისტემა საუკეთესოა ბანკისათვის, ძველი თუ ახალიო? ის კი პასუხის მაგივრად დარიგებას იძლევა: იყავ უმანკო, ვითარცა მტრედიო. ეს ბ-ნ ნიკოლაძის ჩვეულებრივი განზე გახტომაა.

პატივცემული პუბლიცისტი ამასაც არ სჯერდება; იმას „საზოგადოებრივი მეცნიერების“ ფარხმალი ხელში დაუჭერია და რიხიანად გვასწავლის: „ორივე წესს თავ-თავისი ავიც აქვს და კარგიცაო; გონიერი თუ ვიქნებით, ჭკვიანად თუ მოვიხმართ, ახალი წარმომადგენელობის წესი **ჩინებულად გამოგვადგება**“ (112. კურსივი ჩემია). მაშასადამე ბ-ნი ნიკოლაძესაც სასწორი თავის მსჯელობისა ახალი სისტემისაკენ გადაუხრია. ამისათვის ჩვენც გამოვარკვიოთ, რამდენად არის ეს ჭეშმარიტება.

ბ-ნი ნიკოლაძე გვეუბნება: ბანკის კრებაზე ორი-ათასსზე მეტი წევრი იკრიბებოდა და ამ სიმრავლისათვის დაუბრალეზიათ არეულობაო. როდესაც ორი-ათასი ორასს გამოგზავნის, საქმე რიგიანად წავაო. მაგრამ ავტორი ამ რიცხვითაც არ არის კმაყოფილი. ორასი ძალიან ბევრიაო. რაღაც მიუწოდებელი მოსაზრებით ჩვენი პუბლიცისტიც იმ აზრს დასდგომია, რომ რაც ნაკლებ კაცის ხელში იქნება ბანკის საქმეების ჩხრეკა, მით უკეთესიაო. ამ გზას თუ გავყვებით, ბოლოს იქამდის მივალთ, რომ წარმომადგენელობასაც მოვსპობთ და „საქართველოს საერო საქმეს“ (?) რამდენსამე პირს ჩავაბარებთ. ბ-ნი ნიკოლაძეც ამის წინააღმდეგს ვერას გვეტყვის: მისივე აზრით, წესი, რომელიც იყოს, სულ ერთია, და მეორედ, რაც ნაკლებ რიცხვთა ხელში იქნება საქმე, მით უფრო სასარგებლოა. რაკი ამდენზე მივიდა საქმე, ის არა სჯობია, რომ რამდენიმე კაცი დაგვინიშნონ და გვიბძანონ: ესენი გულ-წრფელი და პატიოსანი ხალხია და თქვენც ავაშენებენო. უქვე-

ლია, ბ-ნი ნიკოლაძე „ვაშას“ ძახილით მიეგებება „საერო საქმის ასე კარგად მოწყობას. ჩვენ გვეუბნებიან: რადგანაც ქუთაისის თავად-აზნაურობას თავისი საქმე წესიერად ვერ მიყავს, ამისთვის ჩამოერთვას უფლება პირდაპირი მონაწილეობის მიღებისა და წარმომადგენლები აირჩიონო. რატომ? იმიტომ რომ თუ ხე ძირში დამპალია, მისი შტოები და წვერი უთუოდ სალი იქნებაო. თუ მთელ თავად-აზნაურობას დაუკარგავს წესი და რიგი, უთუოდ ეს ურიგონი რიგიან კაცებს აირჩევენო. საოცარი ლოდიკაა! რაკი ამ ოთხი წლის წინად საფრანგეთის მრავალ-დეპარტამენტებმა ბულანჯეს ხვა მისცა, პუბლიცისტთა და მოღვაწეთ უნდა ეყვირათ: დავილუბეთ, ხალხი ვერ ხმარობს კენჭს, ჩამოერთვას არჩევნის უფლებაო. რაკი პარიჟის პარლამენტში დეპუტატთა უმრავლესობა ბურჟუები მუშა-ხალხის მტერნი არიან, მაშ სოციალისტები უნდა ჰქადაგობდნენ: ხალხი ვერ არჩევს მტერ-მოყვარეს და კენჭიც უნდა ჩამოერთვასო. მაგრამ, როგორც უწყის ბ-ნი ნიკოლაძემ, ასე არ იქცევიან. დამარცხებულნი იმავე ხალხში ავრცელებენ თავიანთ მოძღვრებას, უხსნიან, უმტკიცებენ, აერთებენ და სხ. ერთი სიტყვით მოქმედებენ. ბ-ნი ნიკოლაძეს და მის თანამოაზრეებს ამ ნაირი ბრძოლა განზე გადუგდიათ, ფესვების წამლობის მაგიერ წვერში დაუწყიათ ცქერა და აქედან გამოელიან მანანას.

კიდევ ვკითხავთ ბ-ნი ნიკოლაძეს: რატომ უნდა გვჯეროდეს, რომ ორი-ათასი ურიგო წვერი, ორას რიგიანს წარმომადგენელს აირჩევს? რატომ უნდა იყოს ასი და ორასი წარმომადგენელის შესყიდვა და გადაბირება ორი-ათას კაცზე უფრო ძნელი?...

ჩვენ აქ ვანებებთ თავს ბ-ნ ნიკოლაძის წერილების გარჩევას: ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ უმთავრესი აზრები, გამოვარკვიეთ მისი თვალთა ხედვის ისარი. ორივე წერილს ერთი სარჩული უდევს, ერთ და იმავე დედა-ბოძხეა გამაგრებული, აი, ეს დედა ბოძი: **უძრავობა, უმოქმედობა, სხვის ხელში შეცქერა, სხვისი იმედით ცხოვრება.** კმარა. ჩვენ კვალში არ ჩავუდგებით იმ ურიცხვ ერთიმეორის მოწინააღმდეგე აზრებს, რომლითაც ასე სავსეა მისი წერილები.

„მოამბის“ მეორე ნომრის სარედაქციო წერილები ჩვენ აღარ მოგვიხსენებია იმიტომ, რომ აჩაფერი მოსახსენებელია; ის ამბები, რაც ჩვენ გაზეთებში იყო დაბეჭდილი, რედაქციას გადმოუბეჭდია. არც მეტი, არც ნაკლები; ცოტა რამ უცხოეთიდანაც გადმოუქართულებია და ქრონიკები შეხანხლულა. ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ერთი გარემოება: ჟურნალს სასტატისტიკო განყოფილება არა აქვს. რედაქციის აღსარებაში (№ 1) ვკითხულობთ: ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა უნდა გამოვიკვლიოთო. ნეტავ რა ნაირად ჰსურს რედაქციას ამის განხორციელება უსტატისტიკოდ?

\* \*  
\*

№ 3 და 4.

„მოამბის“ მესამე ნომერში მოთავსებულია წერილი „მთავრობის მონაწილეობა სამეურნეო საქმე-



ში“ ნიკ. კავკასიძისა და „კრიტიკა“ ნ. ნიკოლაძისა. დავიწყოთ პირველიდან.

სწორედ გასაკვირელია ერთი გარემოება. აგერ რამდენი ხანია რუსეთის და საქართველოს მწერლობა დაუცხრომლად ღალატებს მეურნეობის და სამეურნეო განათლების მნიშვნელობის შესახებ. სამეურნეო ცოდნა—აი, სად არის ხსნა, ერთხმად გაიძახის ყველა. მიუხედავად ამისა ხალხი თან-და-თან ღარიბდება, შიმშილობა ვარდება, თავის მიწა-წყალს თავს ანებებს და სხ. რას ნიშნავს ეს? მეურნეს ეუბნებიან: შენს ხელობას არ მოეშვა, ეს არის დაუშრეტელი წყარო შენი კეთილ-დღეობისაო. მას კი თვალი განზე უჭირავს, ეს მოძღვრება ცხოვრებაში ვერ გამოუყენებია და გაჭირვება სულს უხუთავს. ან ამ გვარ დარიგებებს ნიადაგი არა აქვთ, ან განსახორციელებელი პირობები არ არსებობენ და მით უნაყოფოდ რჩებიან, ან და მეურნეს თავისი პირდაპირი სარგებლობა ვერ შეუგნია, „ქეშმარიტება“ ვერ შეუთვისებია. რომელია მართალი? ამის გასაგებად განვიხილოთ ბ-ნი კავკასიძის წერილი.

ბ-ნი კავკასიძის წერილი შემდეგ ყალბ დედაზრებზე არის დაფუძნებული: 1) შესაძლებელია სამუშაო იარაღების შეცვლა-განვითარება დამოუკიდებლად ცხოვრების სხვა მხარეების შეცვლა-განვითარებისა. თუ მაგ. უატმა ამ საუკუნის დასაწყისში მოიგონა ორთქლის სამუშაო მაშინა და მითმელი წარმოება გადაიქმნა, ეს უბრალო შემთხვევის ბრალი იყო, ასეთივე შემთხვევით შეიძლება იგივე მანქანა საშუალო საუკუნოებში მოეგონათ.

და ცხოვრებაც ერთბაშად ახალ გზას დაადგებოდა; 2) საკმარისია მხოლოდ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაირვას ტექნიკური სწავლა-ცოდნა, რომ იგივე ნაყოფი გამოიღოს; 3) შესაძლებელია აღორძინდეს ეროვნული შრომის ერთი დარგი (მეურნეობა), დანარჩენი კი პირველ ყოფაში დარჩეს.

ავტორი გვეუბნება: ბელგიაში ერთ დღიურ მიწაზე 64 ფუთი ხორბალი მოდის, რუსეთში კი— 25 ფ. (72 გვ.); რა უნდა ვიღონოთ, რომ ეს ოცდახუთი სამოც-და-ოთხათ გავხადოთ? ბელგიაში თუ ამოდენა მოსავალი მოყავთ, ამის მიზეზი ის არის, რომ „სამეურნეო ტექნიკა უმაღლეს წერტილამდე არის ასული“ (იქ.). მაშასადამე საჭიროა მთავრობამ „გააძლიეროს სამეურნეო სწავლა-განათლება რუსეთში; ეცადოს აგრეთვე, რომ ვისაც ასეთი სწავლა-ცოდნა აქვს, მისცეს ღონე დაკვირვებისა და გამოცდილების შემწეობით დაადგეს პრაქტიკულ მეურნეობას. ხოლო ვიდრე გავრცელდებოდეს ხალხში სამეურნეო სწავლა-განათლება, საჭიროა, მთავრობამ იზრუნოს, რომ, ვინც დღეს უკვე მომზადებულია და ამისთანა სწავლა-განათლება უკვე შეუძენია, მათ გამოიყენონ იგი სწავლა-ცოდნა პრაქტიკულის აგრონომიისათვის. აი, ამ დღევანდელი არსებითის საჭიროებისათვის უნდა დაარსებულ იქმნას მთავრობის მიერ მრავლად სამეურნეო სადგურნი“. (77) ამით შეიცვლება „ძირეული წესი და ტექნიკა გლეხ-კაცობის მეურნეობისა“ (74). თანახმა ვართ, სამეურნეო ტექნიკა ძლიერ განვითარებულია დასავლეთ ევროპაში საზოგადოდ, და ბელ-

გიაში კერძოდ, მაგრამ ერთი ვიკითხოთ: რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ის, რომ მოისურვეს, შეიგნეს სარგებლობა და ისიც გაჩნდა? მაშ საკმარისაა ჩვენში ავტორმა მოინატროს რამე, რომ მაშინვე ხელთ იგდოს. თუ არა და უნდა არსებობდენ რაიმე პირობები, რომელნიც ხელს უწყობენ და აძულებენ მეურნეობის და სამეურნეო ტექნიკის აყვავებას, როცა ეს პირობები გამოირკვევა, შემდეგ უნდა აიხსნას: მოიპოვება ჩვენში ამნაირივე პირობები, თუ არა? ბ-ნი კავკასიძე ამის შესახებ არას გვეუბნება, უფრო ადვილი გზა აუჩჩევია, უებარი წამალი უპოვია: გამართეთ სამეურნეო სადგურები და საქმეც გაიჩაღებებაო. მოდი და ნუ გაგიკვარდება ასეთი გულუბრყვილო მოსაზრება. ვითომ და ერის ცხოვრება ისე უგზო-უკვლოდ დაეხეტება, რომ ვინც გინდა მიაბრუნ-მოაბრუნებს; თავს ბოლოში უზამს და ბოლოს თავში. ჩვენ კი ფფიქრობთ, ნივთიერი განვითარება რაიმე კანონს ექვემდებარება და არა ზოგიერთთა თვითნებობას.

ავსხნათ ჩვენი აზრი მოკლედ. მასალად ბ-ნი კავკასიძის იგივე წერილი გამოგვადგება.

რუსეთში მეურნეობას მისდევს 80<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ამერიკაში—50<sup>0</sup>/<sub>0</sub>, ე. ი. რუსეთში ას მცხოვრებში 80 მიწას მუშაობს, ამერიკაში კი მხოლოდ ორმოცდაათი (72). თუ კი რუსეთში გაცილებით მეტი რიცხვი შრომობს პურის, ქერის და სხ. მოსაყვანად, ვინემ ამერიკაში, ცხადია მოსავალიც უფრო ბევრი უნდა მოვიდეს. ნამდვილათ კი ასე არ არის. 1878 წლიდან „რუსეთმა საქვეყნო პურის ვაჭრობაში თა-

ვისი პირველი ადგილი დაუთმო ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებს“ (65 გვ.) გაგონილა? 50 მუშას მეტი ნამუშევარი მოყავს, ვინემ 80! ეს იმიტომ რომ ამერიკაში მაშინებით მუშაობენო, მოგვიგებს ბ-ნი კავკასიძე. ამაზე ვკითხოთ: რატომ 50 კაცს შეუძლია მაშინების შექმნა და 80 კი არა? უკანასკნელი რიცხვი პირველზედ მეტი არ არის? ავიღოთ ბელგია. ას სულში 45,05 შეადგენს ქალაქის მცხოვრებთ, 54.95 სოფლისას\*). ამ 54 კაცს ერთ დღიურზე 64 ფუთი ხორბალი მოყავს, რუსეთის 80 მეურნეს იმავე სივრცეზე 25 ფ.; საფრანგეთში 1851 წ. ას მცხოვრებში: ქალაქები შეადგენდნენ 25,52, სოფლელები 74,48; 1872 წ. ქალაქელები 31,12, სოფლელები 68.88: 1882 წ. 33,50 და 66,50 \*\*). რაკი სოფელი ასე იცლება, მამულს სტოვებენ, მოსალოდნელი იყო მოსავალის ნაკლებობა და მიწის სიიაფე. ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგს: ერთ ჰექტარ მიწაში მოიჯარადრე პატრონს აძლევს 1867 წ. 63 ფრანკს და 02, 1872 წ. 72 ფრანკს 76; 1876 წ. 73 ფრ. 50\*\*\*). ამერიკაში 50 მეურნე ას კაცს კვებავს (თავიანთ თავს და ქალაქში მცხოვრებთ) და კიდევ საზღვარ გარეთ გააქვს, რუსეთში 80 მეურნეს იმდენი ვერ მოყავს, რომ კუჭი გამოიძლოს (თუმცა საზღვარ გარეთ კი გააქვთ). რას გვასწავლის ეს ციფირები? აი, რას:

\*) იხ. „La vie des sociétés“ par Bordier 1819 P.

\*\*\*) ibid.

\*\*\*) „Cours D'economie rurale“ par. Ed. Lecouteux, tom I 1889, P.

1) ყოველივე ნაყოფი ადამიანის შრომისა მაშინ მრავლდება და ვითარდება, როცა მისი მოთხოვნილება, ფართო ბაზარი არსებობს.

2) სამეურნეო ნაწარმოებს დიდი ბაზარი ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა ერი ორად იყოფა: ერთი ნაწილი მისდევს მეურნეობას და რჩება სოფლად, მეორე ნაწილი ხელს კიდებს ვაჭრობას, მრეწველობას და სხ. და ბინავდება ქალაქში (შრომის განაწილება); ამისათვის:

3) მეურნეობის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების და აღებ-მიცემობის განვითარებისაგან; რამდენად ძლიერდება უკანასკნელი, იმდენად წინ მიდის პირველი.

ბ-ნ კავკასიისთვის ეს, რასაკვირველია, მიუწვდენელი აზრია. მისი აზრით საკმარისია ბძანება მალლიდან, რომ ყოველივე გადაიქმნას ქვევით. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ავტორის მიერ მოწონებულ ამერიკაში სამეურნეო სამინისტრო დაარსებულა 1889 წ., ე. ი. მაშინ, როცა ქვეყნის მეურნეობამ უკვე გაშალა თავისი ძლიერი ფრთა და პირველობა დაიჭირა მთელს ხმელეთზე (იხ. 65 გვ.) მაშასადამე მეურნეობის აღორძინების მიზეზი სამინისტრო არ ყოფილა, არამედ, როგორც ბ-ნი კავკასიძე გვეუბნება, კერძო თაოსნობა (77), თავისუფლება პიროვნების მოქმედებისა. იქ სახელმწიფო პოლიტიკა მხოლოდ ეხმარება ადამიანთათვის-მოქმედებას და არა თვითონ იჭერს მის ალაგს; ასეა ყველგან დასავლეთ ევროპაში. მიეცით გზა ადამიანს, გაუხსენით შებოჰვილი ხელ-ფეხი, მოა-

ცილეთ სულის შემხუთველი მონობა და ჩვენი „სამეურნეო“ მწერლებიც დაბლა დაიხედვენ, ცხოვრებას მიუახლოვდებიან და ამოკანასაც გამოიცილებენ, თვალი რამდენიც უნდა ეკადოთ, ბნო კავკასიძე, დანაკლთა ბოქკას მაინც ვერ გაავსებთ, იმიტომ რომ ძირი არა აქვს. ჯერ ეს ძირი გაუკეთეთ და შემდეგ მოგვეცით დაჩიგება „სამეურნეო ტექნიკისა“ და „სამეურნეო ეკონომიის“ შესახებ. მანამდე კი ხმა თქვენი რჩება ხმად მლალადებელისა უდაბნოსა შინა.

ცოტა რამ ბ-ნ კავკასიძის ქადაგებისაგან: მართო ბრძანებისა და მიწერ-მოწერის წყალობით არ აღორძინდება დაქვეითებული მეურნეობა“. მაშ როგორ? „საჭიროა ამასთანავე აღვილობრივი მუშაობა, საჭიროა ოფლის ჩაღვრა დედა-მიწაში (თითქოს ოფლის ჩაუღვრელად კი შეიძლებოდეს მუშაობა), საჭიროა სწავლა-განათლების საქმეში გამოყენება“... (81). რა ნაირად უნდა განხორციელდეს ეს ლამაზი სიტყვები? დაჩიგება სამინისტროსი, გამართვა სადგურებისა, დაყოფა თითოეული მაზრისა სააგრონომიო ნაწილებად ისე, რომ „თითო აგრონომს 1,000 კომლზე მეტი არ შეიძლება ჩაბარდეს“ (76), ე. ი. იმავე მიწერ—მოწერით, რადგანაც, როგორც ვიცით, ქვევით არაფერი კეთდება, თუ ბრძანება არ მოვიდა მაღლიდან; ეს ამდენი ჩინოვნიკ-აგრონომები, რომელნიც ხალხს კისრად აწვეებიან, კიდევ ზედ მეტი.

მეორე მაჩვალატი: „ქვეყნის სამეურნეო საქმე კი ისეთი ბუნებისაა, რომ მის წარმატებასა და

აღორძინებაში უპირატესი მნიშვნელობა ადგილობრივ დაწესებულებათა აქვთ, იმ დაწესებულებათა, რომელნიც პირდაპირ იმოქმედებენ მოსავლის სიუხვე-გამრავლებაზე“ (81). ბარემ, ბატონო, მთელი ქვეყანა დაწესებულებებით აქციეთ და მეურნეონიკ ჩინოვნიკებით დანიშნეთ, მაშინ უფრო ახლო იქნებით იდეალთან. არა, რალაცას მოუჯადოებია ჩვენი ქვეყანა, თორემ რალაი მარტო ჩვენში აღარაფერი კეთდება უდაწესებულებოთ.

ახლა პოლიტიკური ეკონომიიდან: „ამ სახით ერთი უპირველესი საგანი **გონივრულის** (ავტორის კურსივია) მეურნეობისა ის არის, რომ, რამდენათაც შეიძლება, მეტი მოსავალი მიიღოს ყოველ იმ მცენარეთა თესვით, რომელიც უკვე გავრცელებულია“ (70), ე. ი. მეტი შემოსავალი სჯობს ნაკლებსო! ამის ქადაგებაც საჭირო ყოფილა! ვითომ და თუ კი ესეც არ გაეგება ხალხს, რალა გააგონიერებს დაწესებულებასა და წკებლებს გარდა?!

ახლა გადავათვალიეროთ ბ-ნ ნიკოლაძის კრიტიკა, რომელიც შეეხება ბ-ნ გ. წერეთლის თხზულებებს (პირველი ტომი).

ბატონ ნიკოლაძეს ახირებული აზრი შეუდგენია ბელეტრისტიკის და კრიტიკის დანიშნულებაზე. „ზოგიერთ სხვა გაშლილ ქვეყნებსავით ერთგვარი და ერთფეროვანი კი არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ბუნება და ცხოვრება, რომ მთელ ხალხს ერთნაირი ხასიათი, ერთნაირი ზნე, ჩვეულება, თვისება და მისწრაფება ჰქონოდა. ჩვენში თითოეული ხეობა, თავისი განცალკევებული, მიტოვებული ცხოვრუ-

ბით ატარებდა თავის სიცოცხლეს მთელი საუკუნოების განმავლობაში. ამის გამო ზემო-მხრელის ხასიათი ვაკელისას არ ჩამოგავს და ზღვის-პირელისა — მთიულისას... ამ გარემოებამ დაბადა ჩვენში მეტი-მეტი მრავალ-ფერობა ხასიათისა, ზნისა, მიდრეკილებისა, ჩვეულებისა და თვით ენისაც, ~~ასე~~ <sup>ესე</sup> გასინჯეთ: ამდენი სხვა-და-სხვანაირი ხასიათის კაცი ტრიალებს ჩვენს ცხოვრებაში და ბელეტრისტიკამაც ამათი შესწავლა და დახატვა უნდა დაისვას თავის მოვალეობად“. (146—147). მართალია ჩვენში ბუნება უფრო მრავალ-ფეროვანი იყო და არის, ვინემ გაშლილ ქვეყნებში, მაგრამ ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ცხოვრებაც რთული და მრავალ-ფერი იყო? ნუ თუ ერთ-გვარი ბუნება სადა და მარტივ ცხოვრებას ბადებს? მაშინ ინგლისის და საფრანგეთის ცხოვრება გაცილებით უფრო მარტივი უნდა იყოს, ვინემ ჩვენი? ხასიათი, მიდრეკილება და სხვა პირადი თვისებებიც მიღეულ-მისუსტებული იქნება ამ განათლებულ ქვეყნებში. რა ვუყოთ, რომ ძველად თითოეული ხეობა კარჩაკეტილი იყო? განა ეს მარტო ჩვენი ისტორიის საკუთრებაა? ეს ხომ შედეგია ფეოდალური წყობილების, რაც ევროპამ თავის დროზე გაიარა, ჩვენ კი შიგ მოგველო ბოლო. აქ გარჩევა მხოლოდ დროშია და არა ცხოვრების თავისებურობაში. პირვანდელ გაუტეხელ ბუნებაში ადამიანის პირადი თვისებები რთული, მრავალ-გვარი იყოვო, გვარწმუნებს ბ-ნი ნიკოლაძე. აქედან ცხადია, როცა ეს ბუნება ადამიანმა შელახა, გააერთგვარა, სისას-



ტიკე და ძლიერება დაუკარგა, პიროვნებაც უნდა დაწვრილმანებულებოდა, გაერთ-ფერებულებოდა და საზოგადოებაც რთული ცხოვრებიდან მარტავზე უნდა გადასულიყო. ნუ თუ მართლა ასე მოხდა ეს? რასაკვირველია, არა. წინააღმდეგ ბ-ნ ნიკოლაძის მოსაზრებისა ისტორია ჩვენ გვიჩვენებს: როცა ერი დახურდავებულია, თითოეული მისი ნაწილი საკუთრად ცხოვრობს, მაშინ ცხოვრებაც სადაა. პირადობა განუვითარებელია, ერთის „მე“ დიდად არ განიჩქევა მეორისაგან, აქ არის ბრბო და ბრბო პიროვნება; ხოლო როცა ერი ერთდება, საერთო უღელს ეწევა, ცხოვრებაც რთულდება, პიროვნებაც ვითარდება, ხასიათი მრავალ-ფერდება, აქ არის პიროვნება, შეგნებული მოქალაქე და არა ბრბო. ამის გამო ისეთ ერთგვარ ბუნებაში, როგორსაც ევროპა წარმოადგენს, საშინელი რთული და სხვადა-სხვა მოვლინებებით შეზავებული ცხოვრება ტრიალებს.

შეიძლება ბ-ნ ნიკოლაძე რასიულ (ტომობითს) თვისებებზე ლაპარაკობს. მაგ. გურული ფიცხია, ქართლელი დინჯი და სხ. ამ შემთხვევაში მწერლობის დანიშნულებაც რასიული ტიპის დასურათ-ხატება, ტემპერამენტების აწერილობა ყოფილა. ავიღოთ, მაგ. ბ-ნ გ. წერეთლის მიერ შექმნილი ტიპი „კუდაბზიკა“. რა მხრით არის ეს საინტერესო ბ-ნ ნიკოლაძისთვის? მნთ, რომ ის იმერელია, იმერული ხასიათისაა და არა ქართლელი, ანუ ქიზიყელი? ჩვენის აზრით, გ. წერეთელი გვიხატავს „კუდაბზიკას“ არა როგორც რასიულ ტიპს, არამედ როგორც სოცია-

ლოგიურ ტიპს, რომელიც შესაძლებელია მოიპოვებოდეს მთელ საქართველოში და არა მარტო ერთ-კუთხეში. „კუდაბზიკას“ დასახასიათებლად ბ-ნი ნიკოლაძეს მოჰყავს გ. წერეთლის თხზულებიდან, სხვათა შორის შემდეგი: „მე იმ კაცს გვერდში რავა ამოუღებო, ვისაც ყაზახურად აცვია... რომ ვინმე შეგვეყაროს, მეც ყაზახს არ დამიძახებს?—ამბობს „კუდაბზიკა“. რა არის აქ, სალაპარაკო კილოს გარდა, განსაკუთრებით, იმერული? რატომ ქართლელი, ან კახელი არ იქნება ამ გვარივე შეხედულობის? აი, მეორე გმირი „ბაკურა“ (ბ-ნი ნიკოლაძე იმას არ იხსენებს). კუდაბზიკას და ბაკურას შორის მომხდარი ბაასი (რაც ჩქარა ჩხუბად გადაიქცა) ბატონ-ყმობის შესახებ სამაგალითოდ არის დასურათებული (გ. წერეთლის თხზულებანი გვ. 75—77). აქ ვხედავთ ერთი მხრით შეგნებულად მომქმედ აზნაურ ბაკურას, მეორე მხრით სხვის ფეხის ამყოლს, სხვისი სიტყვების (ჩიკოლიკის) შეუგნებლად მროშავს აზნაურს კუდაბზიკას. ეს ორი პირი წარმომადგენელია მაშინდელი მიმდინარეობისა: ძველებურის, ბატონ-ყმობის (ბაკურა) და ახალის, ჩინოვნიკურის (კუდაბზიკა). აი, ამ მხრით არიან საანტერესო ეს ტიპები და არა მათი სიჟიცხით, თუ სხვა რასიული თვისებებით. „გიორგი სვანი ძალიან თავისუფლების მოყვარე კაცია—ლიმილით წამოიძახა ჩიკოლიკმა—მაგას გლებებზე გული ტკივა, რადგანაც თვითონაც თავისუფალია თავის ქვეყანაში“. (73, იქ). ნუ თუ ამისთვის გიორგი სვანი რასიული ტიპია? სვანეთში თავისუფლება ყოფილა, რატომ სხვაგან არ შეიძლება

ასეთივე თავისუფლება. თავისუფლება ხომ სოციალოგიური მოვლენაა. ერთი სიტყვით ბუნებას და ადამიანს შუა არის მთელი სამეფო, ეს ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა: პიროვნებაც თავისი ხასიათით, მიდრეკილებით, ზნე-ჩვეულებით და სხ. ღვიძლი შვილია ამ ურთიერთობისა. ბელეტრისტიკაც აქ, მხოლოდ აქ, უნდა იღებდეს მასალას თავისი შემოქმედებისას.

ბ-ნ ნიკოლაძეს თავისი შემცდარი დედა აზრიდან ლოლიკური დასკვნაც შემცდარი გამოუყვანია. ადამიანის ტემპერამენტი, რასიული თვისებები, საზოგადოდ მუდმივი და უცვლელი რჩებიან. რაკი ამ მხრით გადავხედავთ საზოგადოებას, ცხადია, ცხოვრებაც უცვლელად და ერთ ალაგას გაჩერებულად გამოგვიჩნდება, ბელეტრისტებსაც ადვილი საქმე აქვთ: დახატვა იმ მხარისა, რაც მის წინამორბედს გაუშვია. სწორეთ ისე, როგორც, მაგალითად, მხატვარი რამე შესანიშნავ შენობას დაგვიხატავს ხოლმე: ერთი გადმოიღებს მხოლოდ იმ კუთხეს, რომელიც მას მოეწონა, მეორე, რაკი ეცოდინება, რომ ეს კუთხე უკვე გადაღებულია, მეორეს მიჰყოფს ხელს. ასეთია ბ-ნ ნიკოლაძის შეხედულობა ბელეტრისტიკის შესახებაც. არ გჯერათ? აი, მისი სიტყვები: „მწერლობამ ცხოვრება უნდა დაგვიხატოსო, აგვიხსნასო, რომ ამბობენ, ნუ თუ მხატვარმა არ უნდა იცოდეს, ამ ცხოვრების რომელი მხარეა დახატული და რომელი დასახატი?“ (139). კი ბატონო, კი უნდა იცოდეს, მაგრამ ეს არ კმარა. ცხოვრება დაუცხრომელ დუღილშია მუდამ დღლავს და მოძრაობს, ვითარდება

და იცვლება, ბატონ-ყმობის დრო დღევანდელს არ ჰგავს, მერმისიც დღევანდელს არ ემსგავსება. რა ნაირად გავაჩეროთ ეს მოძრავი არსება, რომ ბ-ნ ნიკოლაძის პლანისამებრ აიწეროს? თუ არა და მწერალმაც მუდამ განახლებული ცხოვრება უნდა გვიხატოს, ხოლო ამისთვის საჭიროა იცოდეს, არა მარტო ის, რაც უკვე დაუხატავთ, არამედ თვით დასახატი საგანი როგორ შეცვლილა, რა განვითარების გზას დასდგომა. თანახმად ამისა მწერლობაც მოძრაობა-შია, ცხოვრებას ფეხ-და-ფეხ მისდევს და ნამდვილ დახმარებას უჩენს.

ბ-ნ ნიკოლაძეს კრიტიკა მწერლობიდან გამოურიცხავს. მისთვის ისეთი როლი მიუნიჭებია, როგორითაც მსაჯულია აღჭურვილი ერთის გასამტყუნებლად და მეორის გასამართლებლად. იმ გონების მოძრაობას, რომელმაც თანამედროვე ჩვენი მწერლობის შრომა გამოიწვია, ჯერაც არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა (?). თვითონ ეს შრომა ერთობ ახლოა ჩვენზე, მას ნაყოფი ჯერ საკმარისად არ „გამოუღია“. ერთი სიტყვით ამ დროის პერიოდი ჩვენი მწერლობისა არ დაბოლოებულა და არც ახალი სხვა პერიოდის წინამორბედნი გამოჩენილან. ეს ყველაფერი უშლის კრიტიკას, სრული და მარტივი მსჯელობა შეადგინოს ახლანდელ მწერლობაზე“ (140). ძნელი გასაგებია, რას უწოდებს პატივცემული ავტორი მწერლობის უკანასკნელ სიტყვას. განა მწერლობას და განსაკუთრებით ბელეტრისტიკას შეუძლია თქვას უკანასკნელი სიტყვა?

მწერლობა ხომ ცხოვრების გამომხატველია. თუ ცხოვრება ერთ წერტილზე გაყინულა, როგორც ფიქრობს ბ-ნი ნიკოლაძე, მაშინ მართლაც როცა ყოველმხრივ დაასურათებენ, ჩვენი ავტორის დარიგებისამებრ, მწერლობასაც უკანასკნელი სიტყვა ნათქვამი ექნება. მაგრამ, როგორც ვიცით, ცხოვრება შეუჩერებლად მოძრაობს, ის, რაც დღეს უკანასკნელი სიტყვა ჰგონია, ხვალ დაძველებულ-დახავსებული წარმოდგება თქვენს წინაშე. ის მწერალი, რომელიც დარწმუნებულია, აი, ახლა ვსთქვი უკანასკნელი სიტყვა ჩვენი ცხოვრების შესახებო, ამტიკებს მხოლოდ თავის თავის უსუსურობას, უკან ჩამორჩენას, გონებრივ სიკოტრეს და მეტს არაფერს. მეორედ, ბ-ნი ნიკოლაძის აზრით ჩვენს მწერლობას ჯერ პირველი პერიოდიც არ დაუსრულებია. არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობს ავტორი პერიოდების განსაზღვრა განსხვავებაში. ჩვენ კი სალიტერატურო მოძრაობის ფოსოლოებს ცხოვრებაში ვეძებთ. ნუ თუ ჩვენს ცხოვრებაში ამ 30 წლის განმავლობაში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა? ბ-ნი ნიკოლაძის შეხედულებით ცხოვრება გაჩერებულია, მაშასადამე პერიოდიც ვერ დაბოლოვდებოდა. ჩვენი შეხედულებით კი ცხოვრება მოძრაობს და უთუოთ პერიოდიც უნდა ჰქონდეს: ხანა დიდის რეფორმებისა და ხანა განახლებულა ცხოვრებისა. (ამ გვარი ხანების განსაზღვრა წლებით იციან, მაგრამ ეს ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანს). პირველ ხანაში მწერლობა ბატონყმობის გარეშემო ტრიალებს, ებრძვის ძველ წყო-

ბილებას და ახალ რეფორმებს ნიადაგს უმზადებს. აქ პირველ ალაგს იჭერენ ილ. ჭავჭავაძის ნაწერები. მეორე ხანაში ჰხდება ცხოვრების რყევა, ეკონომიური ურთიერთობა ახალ გზაზე გამოდის, გუშინდელი ძლიერი ამა სოფლისა უკვებ ქვევით ვარდება, მის ალაგზე სკუპდება ვიღაც სრულიად უცნობი. ლუარსაბ თათქარიძეს თანდათან ეკარგება ძალა და მნიშვნელობა, სამაგიეროდ მოედანზე გამოდიან ერთის მხრით იერემია წარბა და დავით დროიძე, მეორეს მხრით ბახვა ფულავა\*) და მოსე მწერალი\*\*) (ეს კუდაბზიკის შთამომავლობაა). ამათ რჩებათ ბურთი და მოედანი. აქ უპირველეს ალაგს ეგ. ნინოშვილის ნაწერები იჭერენ. ამ ხანას ჩვენ მივყევართ განვითარების უმაღლეს საფეხურზე, რომლის ახლოს უკვე მივედით, მხოლოდ ფეხი კიდევ ჯერ ვერ მოვიმაგრეთ ზედ. ეს არის ხანა წარმოებისა. ამას ჩვენი მწერლობა ჯერ არ შეხებია. ამ გვარად საქართველომ უკვე გადათელა ორი პერიოდი და მესამეს მიუახლოვდა, ბ-ნი ნიკოლაძე კი გვარწმუნებს, ჯერ პირველსაც არ დავცილებივართო. ახალი პერიოდის (მეორის) წინამორბედნი კაი ხანია გამოჩნდნენ და თუ ბ-ნი ნიკოლაძეს არ დაუნახავს, რა მათი ბრალია.

თუ გნებავთ ერთ წუთში დავეთანხმებით ბ-ნი ნიკოლაძეს და ვკითხავთ: რატომ კრიტიკა პერიოდს.

\*) იხილე რომანი „პირველი ნაბიჯი“ „ცდა“ 1890, 1892 წ.

\*\*) იხ, ეგ. ნინოშვილის „სიმონა“ და „მოამბის“ № 1 „მოსე მწერალი“

უთუოდ ბოლოში უნდა მოეხდინა და არა თავიდან გამოეყვანა? კრიტიკოსი რატომ მსაჯული უნდა იყოს და არა ცხოვრების გაუმჯობესობისათვის მებრძოლი? განა კრიტიკამ წინდაწინ არ უნდა გაუკვლიოს გზა მწერლობას, მისცეს მიმართულება აზრთა მიმდინარეობას, გამოიყვანოს ახალ-გაზრდობა სამოქმედო ასპარეზზე, თუ კრიტიკოსი უბრალო განჩინების დამწერია, როგორც მომრიგებელი მოსამართლე მომჩივან-მოპასუხისა?

ამ სახით ჩვენ გავაჩივებ ბ-ნი ნიკოლაძის კრიტიკა და გამოგვყავს შემდეგი დასკვნა: ბ-ნი ნიკოლაძის აზრით ბელეტრისტიკამ უნდა ხატოს რასიული ტიპი, პროვინციალური თვისებებით და განსაკუთრებით ტემპერამენტით აღჭურვილი, ჩვენის აზრით კი—სოციალოგიური ტიპი; ბ-ნი ნიკოლაძის აზრით ცხოვრება ერთ დონეზე დგას, გაჩერებულია, ჩვენის აზრით კი—მუდამ მღელვარებს და ვითარდება; ბ-ნი ნიკოლაძის აზრით ქართულ ცხოვრებას და მწერლობას ერთი პერიოდიც არ გაუვლია; ჩვენის აზრით კი მესამესთანაც მივსულვართ; ბ-ნი ნიკოლაძის აზრით კრიტიკა უბრალო მაჩანჩალაა, ბოლოში მობმული კუდი, მწერლობის და ცხოვრების გარეშე მდგომი მსაჯული, ჩვენის აზრით კი იგია მწერლობის გზის მაჩვენებელი, ამხსნელი და გამრკვეველი, ცხოვრების წინ-სვლის საუკეთესო იარაღი.

ჩვენი პატივცემული პუბლიცისტი თავის კრიტიკის ბოლოში ერთნაირ ფილოსოფიას გვიქადაგებს. მერე იცით რას? ფილოსოფიას ზომიერ-

ბისას. (ვითომ ბევრს რასმე ვაკეთებთ), უჩქარებლობისას (ნამეტანს კი ვიჩქარით, აი!), მოთმინებისას, უკაცრავად, გაჩერებისას. ის უსაყვედურებს ბ-ნ გ. წერეთელს, ძლიერ ცხარობდი, სხვის საქმეში ფრეოდი, მე კი ისე ვაკეთებდი საქმეს. რომ დაბადებული კაცი ვერ გებულობდაო. როდის აღმოჩენილა ეს სიბრძნე? 1863 წ. ე. ი. მაშინ, როცა ქვეყანა ცხარობდა, ქვეყანა მოძრაობაში მიდიოდა. აი, ფილოსოფიაც: „კიბეზე ასასვლელად, ასამალღებლად, კაცმა და ერმა ჯერ პირველ ნაბიჯზე უნდა მოიმაგროს ფეხი, მერე მეორეზე და აგრეთვე სხვებზე“ (ეს კი გასაშტერებელია, თურმე ბ-ნ ნიკოლაძეს სწამს ცხოვრების მოძრაობა, მხოლოდ უეჭველად თავისებურად, ე. ი. თითოეული საფეხური იმოდენა რამ არის, რომ იმის გადავლა ადამიანს არ მოესწრება, თორემ რაღა ისე წახდა მთელი საქართველო, რომ პირველ საფეხურზედაც ამდენ ხანს ფეხი ვერ მოიმაგრა). ნეტავ ბ-ნ ნიკოლაძის კიბეზე ამსვლელს რაიმე მიზანი აქვს, თუ აღის იმიტომ, რომ ავიღეს. ე. ი. ტყუილად, მუხლების სავარჯიშოდ? თუ მიზანი აქვს, უთუოდ პირველ საფეხურზედაც ახსოვს, მეორეზედაც და შემდეგ ბოლომდის. არა თუ ახსოვს, არამედ აქედან იღებს ცხოველ-მყოფელ ძალას, ეს არის მისი მუჯღლუგუნის წამკვრელი და გამამხნევებელი, მიმართულების მიმცემი. მაგრამ ბ-ნ ნიკოლაძის ფილოსოფიას სულ სხვა ნაირი სარჩული უდევს; ეს არის ფილოსოფია **შეჩერებისა, ბალი-აღობისა, თავ-კანჩურობისა** (გაიხსენეთ შჩედრინის „Голопяты“). და ეს რომ



ნამდვილია, ამას გავივებთ მისი მეორე წერილიდან, რომელიც მოთავსებულია „მოამბის“ მე-IV ნომერში სახელწოდებით „უცხოეთის ქრონიკა“.

რა და რა ამბები არ ხდება ხოლმე ქვეყანაზე\*)-ოში, არეულობა, ძალ-მოძრეობა და სხვა ამისთანეებით სავსეა ისტორია. აი, მაგ. მას ეამსა შინა საქართველოს შემოესიენ სელჯუკები და ბატონებად გაუხდენ; დიდ ხანს ითმინა ერმა და ბოლოს ველარ გაუძლო, დავით აღმაშენებელის წინამძღოლობით გარეკა მტერი სამშობლოდან. ერთი ამ გვარი დაუპატიებელი სტუმარი რუსეთსაც ეწვია, მონგოლებმა ორას წელიწადს ჯიჯგნეს რუსეთი, ბოლოს ხალხი მოთმინებიდან გამოსული შეებრძოლა და განაძევა თავის ქვეყნიდან. აღმოჩნდა ახალი ქვეყანა—ამერიკა და ინგლისმა ჩაიგდო ხელში. ამერიკელები ვაშინგტონის მეთაურობით აუჯანყდენ გაბატონებულ ინგლისს და კიდევაც გაიმარჯვეს. ამ საუკუნეში იტალია განუდგა თავის მფლობელ ავსტრიას. გარიბალდომ ამოიღო ხმალი და სამშობლო განათავისუფლა. მაგრამ მოხდა ერთი ამბავი, ისტორიას ცალი ფეხი გადაუბრუნდა, კოკამ წყალი ყოველთვის ვერ მოიტანა. ჰუნგრელებმა თქვეს: ჩვენ რაღა ჯაბანი ვართ, რომ თავის-თავი ვერ ვმართოთ, რათ ჩამოვრჩებით უკან ჩვენ ბატონ ავსტრიას. მაშ ძირს ჩამოვაგდოთ ავსტრიის ბატონობა, გაუმარჯოს თავისუფლებასო და კოშუტის წინამძღოლობით შეებრძოლენ მტერს.

\*) ვთხოვთ მკითხველთ ამ წერილის წაკითხვამდის ბ-ნ ნიკოლაძის წერილი წაკითხონ („მოამბა“ № 4 უცხოეთის ქრონიკა)

კოშუტი ორი სახელმწიფოს მიერ (ავსტრია-რუსეთი) ძლევული იქმნა და ჰუნგრეთიც დაამშვიდეს. მერე რა გამოვიდა აქედან? რას გვასწავლის ეს მოვლენა? რას და, თუ კოკამ წყალი ერთხელ ვერ მოიტანა, ვერასოდეს ვერ მოიტანსო. შეიძლება ეს დასკვნა გაგიკვირდეთ. მეც-კი მიკვირს, მაგრამ ეს ასე ყოფილა. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ბ-ნ ნიკოლაძეს და ის დაგარწმუნებს; თუ აღარც მის სიტყვას ენდოთ, მაშინ მისი ნაწერი წაიკითხეთ „მოამბის“ მე-4 ნომერში დასტამბული. მაშინაც თუ აღარ შეისმენთ, საექვო, დაუდგარი კაცის სახელს დაიმახურებთ და მშვიდობით; ბ-ნი ნიკოლაძე გეტყვის, როგორ კოშუტივით ცხარობ, იყავ ერთგული, უმანკო და ყველაფერი თითონ მოვაო (147 გვ.). ჯერ ვიკითხოთ: ვინ არის ეგ, ნიკოლაძის მიერ ასე ათვალწუნებული, კოშუტი? ბ-ნ ნიკოლაძის წერილი ასე მოგვითხრობს: კოშუტი ერთი ვიღაც გადარეული კაცი ყოფილა, რომელსაც დაბადებიდან ჩხუბისა და სისხლის ღვრის ქაველი ატეხია, დაუჟინია, უთუოდ ავსტრიას ომი აუტეხოთ, ისე არაფერი რეფორმები არ გვინდაო. ჰუნგრეთის ხალხიც გაბრიყვებულა, კოშუტის ფეხის ხმას აყოლია, დაუწყია ომი და წაუგია. მატყუარა კოშუტი გაქცევია სამშობლოს და ბევრი მის მიერ გაბრიყვებული ჩამოურჩვიათ. კოშუტს კი ისე გატეხია ხალხში სახელი, რომ უნგრელთა გვარის სიიდანაც ამორიცხვა მოუწადინებიათ. აი, ეს არის კოშუტის, გვარწმუნებს ავტორი. ეს არის ის კოშუტი, რომლის გადაცვალებას მთელი კაცობრიობა დასტიროდა? ეს არის

ის კოშუტი, რომლის სიკვდილმა გლოვით და შაძით შემოსა მთელი უნგრეთის ერი? ორში ერთი: ან მთელი ქვეყანა გაგიყებულა, ან ბ-ნ ნიკოლაძის მიერ წარმოდგენილი კოშუტი, კოშუტი არ არის. მაშ გავიცნოთ ნამდვილი კოშუტი. აი, მოკლეთ მისი ცხოვრება.

კოშუტი (1806—1894) იყო ჩამომავლობით კროატი, შვილი გაღარიბებული აზნაურის, ხელობით ნაფიცი ვეჩილისა, პროგრესიული აზრებით გამსჭვალული და ნიჭიერი ორატორი. პირველად „საერო კრების გაზეთის“ (ვენგ. Gazette de la diète). ფურცლებიდან გაისმა ძლიერი ხმა ახალგაზრდა კოშუტისა თავისუფლების და ადამიანური უფლებების შესახებ. „ეს გაზეთი—ამბობს ერთი ბიოგრაფი—იყო პირველი გამოცემა, რომელიც აგებიებდა საზოგადოებას „საერო კრების“ (ანუ სეიმის) ბჭობას და გადაწყვეტილებებს, აგრეთვე შეიქმნა მიზეზათ გონებრივი მოძრაობისა ჰუნგრეთში“. შეშინებულმა მთავრობამ აკრძალა გაზეთის გამოცემა. კოშუტმა ამას ყურადღებაც არ მიაქცია და განაგრძო გაზეთის ბეჭდვა. მაშინ დააპატიმრეს და ოთხი წლით ციხე გადაუწყვიტეს. ამ ამბავმა ისე ააღელვა ხალხი, რომ იგივე მთავრობა იძულებული შეიქმნა თავის განაჩენი გაეუქმებია. პროგრესიულმა დასმა განთავისუფლებულს კოშუტს ხელის მოწერით 10,000 ფლორინი შეუგროვა და ისიც (კოშუტი) შეუდგა აგიტაციას წერით, თუ სიტყვით მთელს უნგრეთში. 1847 წ. არჩეულ იქმნა „კრების“ დეპუტატათ და გამოსცა თავისი საპოლიტიკო პროგრამა: გლეხების

განთავისუფლება, მწერლობის თავისუფლება, გატყუ-  
 მება გლეხთა მუქთი მუშაობისა ბატონის თუ სახელ-  
 მწიფოს სასარგებლოდ. იმავე პროგრამაში ნათქვა-  
 მია: წევრნი ოპოზიციისა არასოდეს არ დაივიწყე-  
 ბენ ავსტრიას და უნგრეთს შორის მშვიდობიანო-  
 ბას და განწყობილებას, თანახმად 1790 წ. კანო-  
 ნისა, მხოლოდ ვერასოდეს ვერ დათანხმდებიან ავს-  
 ტრიის ინტერესები თავის სამშობლოს ზევით დაა-  
 ყენონ. არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა, რომ თავ-  
 ვისუფლების მქადაგებლად არ გამოსულიყო. 1848  
 წ. ნაპერწკალი საფრანგეთის რევოლიუციისა დავარ-  
 და გერმანიის და ავსტრიის ნიადაგზე, სადაც დაუ-  
 ყონებლივ აღგზნებული იფეთქა. კოშუტმა, გარე-  
 მოცულმა რევოლიუციური ატმოსფერით, საჩქაროთ  
 მოსთხოვა ავსტრიის მთავრობას არა თუ სრული  
 კონსტიტუცია, არამედ უნგრეთის თვითმმართველო-  
 ბაც. მაშინვე შესდგა თავისუფალი ეროვნული მი-  
 ლიცია და კოშუტის მეთაურობით შევიდა ვენაში  
 (15 მარტს) ახალი რეფორმების მოსათხოვად\*). ხალხი  
 აღტაცებით დაუხვდა კოშუტს და დიდი ოვაციები  
 გაუმართა, როგორც თავისუფლების და ჩაგრულთა  
 მხსნელის წინამორბედს. „გაუმარჯოს კოშუტს, გაუ-  
 მარჯოს უნგრეთს“, ზარით ისმოდა ვენის ქუჩებ-  
 ში. ქალები ფანჯრებიდან კოშუტს ყვავილებს აყ-  
 რიდა. ამისთვის მეფეც იძულებული შეიქმნა კოშუ-  
 ტის თხოვნა დაეკმაყოფილებინა. 17 მარტს დაარსდა  
 უნგრეთის საკუთარი სამინისტრო, რომლის თავ-

\* ) ამ დეპუტაციას ბ-ნი ნიკოლაძე დეაკს აწერს.

მჯდომარეთ დაინიშნა მეთაური არისტოკრატიული დასისა გრაფი ბათიანი. კომუტმა მიიღო ფინანსთა სამინისტრო, დეაკმა სამართლის. მაგრამ კომუტი, მეთაური დემოკრატიული და ეროვნული დასისა, ვერ მოურიგდა არისტოკრატ ბათიანს. ამან თავის ქცევით კროატთა შორის გამოიწვია ამბოხება (უნგართა წინააღმდეგ). მეფემ კროატის მმართველად დაინიშნა იელაშიჩი. თუმცა ეს ცნობილი არ იყო უნგრეთის „საერო კრების“ მიერ, მაგრამ მაინც ხმა გაკმინდეს, შულსს და უთანხმოებას მოერიდენ; \*) მხოლოდ კროატელთ მიმართა კომუტმა: გამოაცხადეთ თქვენი სურვილი დამიზანიო. პასუხად ელაშიჩმა ბრძანება გასცა, რომლითაც კროატელთ უკრძალავდა უნგრელებთან მოლაპარაკების გამართვას. 10 ივნისს ავსტრიის მთავრობამ საიდუმლო წინადადება მისცა ელაშიჩს, უნგრეთს შეუსიე ჯარიო. ითქვა და ასრულდა. უნგრეთის სოფლები მიეცა ხმალს და ცეცხლს. მთავრობა მდუმარებს, შორიდან უცქერის. მაშინ კომუტმა მიმართა თვით მეფეს, მობრძანდით უნგრეთში და საერო კრება თქვენ გახსენითო. ამის პასუხად გამოცხადდა: მეფე არ ერევა კროატთა და უნგრელთა შორის მომხდარ ამბებშიო. ამ დროს კომუტმა დააარსა გაზეთი: „კომუტის გაზეთი“, რომლის პირველ ნომერში სწერდა: უფალო და მეფევ, შენ უნდა განამტკიცო უნგრეთის თავისუფლება, მოდი და დაუმყარე მშვი-

\*\*) ბ-ნ ნიკოლაძის აზრით ამის გამო დიდი მიწერ-მოწერა და დავიდარაბა შეიქმნა.

დობიანობა იმ ერს, რომელიც შენ მოგენდო შეილ-სავით! ცოტა ხანს შემდეგ ავსტრიის მთავრობა ნი-ლაბ-ახდილი, აშკარად აღელვებდა კროატელებს უნ-გრელთა წინააღმდეგ. ახლა კი მიხვდა მთელი ქვე-ყანა ავსტრიის პოლიტიკას და კოშუტმაც გადასწყვი-ტა იარაღით დაეცვა **კონსტიტუციის და სამშობ-ლოს** თვით-მპართველობა. 11 ივლისს, 1848 წ. კო-შუტი ავიდა საერო კრების ტრიბუნაზე და ავს-ტრიის პოლიტიკის წინააღმდეგ წარმოთქვა ვრცე-ლი სიტყვა, რომელიც ასე დააბოლოვა: „რომ სა-მინისტრომ იხსნას სამშობლო განსაცდელისაგან, საჭიროა მთელი ერის თავის დადება, მთელი მისი ძალ-ღონის მოძრაობაში მოყვანა, ამისათვის მე ვით-ხოვ 200,000 მეომარს და 42 მილიონ ფლორინს“. აქ ორატორი მეტის-მეტად აღელვებული შედგა, სიტყვა ველარ განაგრძო, დარბაზში სიჩუმე ჩამო-ვარდა; უცებ სამინისტროს წინააღმდეგი დასის მე-თაური დეპუტატი ენიარი წამოდგა და დაიძახა: „თავს დავდებთ, მოგცემთ ყოველიფერს!“! ეს სიტ-ყვები ერთხმად ამოხქდა ყველა დეპუტატის გული-დან. კოშუტი ჩამოვიდა ტრიბუნიდან, დარბაზი აღელ-და, გრძნობამ სამშობლოს სიყვარულისამ გადმოხეთ-ქა და მორწყო მთელი ქვეყანა.

ამის გამო სამინისტროს თავ-მჯდომარე არის-ტოკრატი ბათიანი სამსახურიდან გადადგა, მას გაჰყ-ვა დეაკიც. ახალი სამინისტრო მეფემ არ იცნო და ჯარი გაგზავნა იელაშიჩის წინამძღოლობით, რომელიც დამარცხებულ იქმნა ფეშტში. მაშინ კი გამოცხადდა აშკარათ განდგომა (სექტემბერი

1848) და კოშუტიც შეიქმნა მეთაური ეროვნული  
დაცვისა. „როგორც მეთაური რევოლიუციური მთავ-  
რობისა, ამბობს მეორე ბიოგრაფი, კოშუტმა უკა-  
ნასკნელ თვეებში გამოიჩინა სამაგალითო მხნეობა  
და შეუდარებელი ძლიერება. მან მოვლო თავის  
სამშობლო კუხხის კუთხემდე და ერის გულში და-  
ანთო რევოლიუციის ცეცხლი!“ შედგა ეროვნული  
ჯარი. გამოცხადდა ომი. ავსტრიის ჯარი მიადგა  
უნგრეთის დედა-ქალაქს ფეშტს, რევოლიუციურ  
მთავრობამ დატოვა ფეშტი და გადავიდა მეორე ქა-  
ლაქში. აქ გამოსცა შესანიშნავი მანიფესტი, რი-  
თაც უნგრეთი ცნობილ იქმნა დამოუკიდებელ რე-  
სპუბლიკად. კოშუტი დანიშნეს რესპუბლიკის დროე-  
ბით მმართველად. ავსტრიამ, დამარცხებულმა კო-  
შუტის ჯარის მერ, მიპართა რუსეთს შემწეობისა-  
თვის. კოშუტმა ენერგიული პროტესტი გამოაც-  
ხადა: რუსეთი ნუ ერევა ჩვენს საქმეშიო, მიმართა  
მთელ ევროპას (განსაკუთრებით ინგლისს და საფ-  
რანგეთს) კაცთ-მოყვარეობის და თავისუფლების  
სახელით, ააღელვა მთელი უნგრეთის ერი რუსეთ-  
ავსტრიის წინააღმდეგ. პირველად გამარჯვება რჩე-  
ბოდა კოშუტს, ხოლო, ბოლოს ორის სახელმწი-  
ფოს შეერთებულ ძალამ სრულებით სძლია უნგ-  
რეთს და კოშუტი იძულებული შეიქმნა გაქცეოდა  
მტერს. საინტერესოა კოშუტის წერილი ერთ პო-  
ლონელ დენერალთან მიწერილი ომის განგრძობის  
შესახებ: „ჩემთვის ომი, სწერს კოშუტი, არის არა  
მიზანი, არამედ საშუალება სამშობლოს დაფარვისა.  
თუ ვხედავ, რომ ეს საშუალება აღარ გამოდგება,  
მაშინვე დავიძახებ: არა, არ გვინდა ომი!!!“

კოშუტი გადავიდა ამერიკაში, სადაც დიდი აგიტაცია გამართა უნგრელთა სასარგებლოდ. დაბრუნდა ევროპაში და მაძინის და ლედრიუ-ლორენთან ერთად დააარსა ინტერნაციონალური დემოკრატიული საზოგადოება, რომლის მიზანი იყო რევოლუციური მოძრაობის გამოწვევა მთელს ევროპაში წინააღმდეგ მთავრობათა რეაქციისა. შემდეგ მანვე დააარსა ეგრეთ წოდებული გენუას კომიტეტი უნგრელთა, პოლონელთა და იტალიელთა შესაერთებლად საერთო ბატონის ავსტრიის წინააღმდეგ. ამით მხოლოდ იტალიამ ისარგებლა, უნგრეთი კი ჩარჩა ავსტრიის ხელქვეშ. კოშუტი ამ ბრძოლაში მოღალულ-მოქანცული, ღარიბი, სამუდამოდ დასახლდა იტალიაში. თუმცა 1868 წ. ფეშტის ხალხმა კოშუტი აირჩია პარლამენტის დეპუტატად (ბ-ნ ნიკოლაძის აზრით კი „1867 წ. აქეთ კოშუტმა თავის სამშობლოში რელიური ძალა და გავლენა თითქმის ერთიანად დაკარგა“ 159), მაგრამ მან არ მიიღო, არ შეუროგდა უნგრეთს, მონარქიულს და დამოკიდებულს.

აი, ვინ იყო კოშუტი, აი ვის დასტიროდა წკლს უნგრეთის ერი და მასთან მთელი ქვეყანა. როგორც აქედან სჩანს. კოშუტს ომიანობის ეინი არ ქირვებია, მისი პოლიტიკური აზრები უცებ არ შემუშავებულა, არამედ დროის და გარემოებათა მიხედვით თანდათან ვითარდებოდა და ფართოვდებოდა. იგი წინ აღუდგა, როგორც პატიოსანი და მამაცი მამულიშვილი, იმ პოლიტიკას, რომელსაც სურდა უნგრელები მიწასთან გაესწორებინა, მათში შფოთი და დავიდარაბა დაეთესა. ის და ბ-ნ ნიკოლაძის მიერ



ნაქები დეაკი პირველად ერთად მოქმედებდენ, ერთად  
ემსახურებოდენ სამშობლოს. მხოლოდ მაშინ, როცა  
ერმა ომი გამოუცხადა ავსტრიას, დეაკიც გაიქცა სამო-  
ქმედო ასპარეზიდან; როცა ხალხი სისხლს ღვრიდა,  
დეაკიც შორიდან გულ-ცივად შეჰყურებდა: როცა  
საუკეთესო მამულის შეილთ გამარჯვებული ავსტ-  
რია არჩობდა, დეაკი მაშინ მდუმარებდა და ბოლოს  
დიდი მოწიწებით მთავრობის მიერ მიპატიებულ  
იქმნა ვენაში (ყველა ამებს ბ-ნ ნიკოლაძე მოგვი-  
თხრობს). ამისთანა კაცს კოშუტზე მალლა აყენებს  
ბ-ნი ნიკოლაძე. კოშუტმა ომი წააგო! კოშუტმა  
გამოიწვია ომი, თუ ავსტრიის პოლიტიკამ? განა  
იგივე კოშუტი არ სთხოვდა მეფეს, მობრძანდით  
და საქმე გავაწყობთო? როცა ერმა მტერს წინააღ-  
მდეგობა გამოუცხადა, ნუ თუ კოშუტი მაშინ თა-  
ვის ერს უნდა გაქცეოდა, დეაკივით, და ფეხით გა-  
ეთელა? ნუ თუ ეს რევოლუცია უნაყოფოდ უნ-  
და ჩავლილიყო? განა ამან არ დაუმტკიცა ავსტრიის  
მთავრობას: უნგრეთი ძალაა, სრულ-წლოვანია, თუ  
ხელ-ახლა თავი წამოყო, საქმე ცუდად წავაო? „ჩემ-  
თვის უნგრეთი ჩინებული ავანგარდი, უმჯობესი  
მომხმარი და ამხანაგი იქნებო“, გაუფიქრია ავსტ-  
რიის იმპერატორს, ამისათვის განუზრახავს მასთან  
პორიგება და კიდევაც მიანიჭა თვით-მმართველობა  
(153 გვ.). რამ აფიქრებია ავსტრიას უნგრეთის  
გვერდში ამოყენება, მისი გაამხანაგება? უნგრეთს  
რომ ლაჩრობა ეჩვენებინა, თავი ჩაეჭინდრა და ხე-  
ლი გაეშვირა: როგორც გსურთ, ისე მიპატრონე-  
თო, განა ეღირსებოდა გაამხანაგებას? სახელმწი-

ფოებს სუსტს და უძლურს იამხანაგებენ, თუ იმორჩილებენ? ავსტრია და რუმუნდა უნგრელების სიძლიერეში მას შემდეგ, როცა კოშუტმა დავთარი დაუბნია, მისი ჯარები ბუზივით გარეკა და, თუ არ რუსეთი, სამუდამოდ დამარცხდებოდა. აი, საღ გამოიღო ნაყოფი უნგრეთის რევოლიუციამ, აი, რისთვის იქმნა მიღებული დეაკის წინადადება. და ამტკიცეთ, ბ-ნო ნიკოლაძე, წინააღმდეგი, დაგვისაბუთეთ, რომ ავსტრიამ კაცთ-მოყვარეობით მიანიჭა უნგრეთს თვით-მმართველობა და არა ანგარიშით, თორემ რევოლიუციების და მათი გმირების ფეხქვეშ გათელვა ვერაფერი სიბრძნეა. „აშენებულს შეეწიე, წაქცეულს შეესიე“ — ვერაფერი სივაჟ-კაცეა.

ეს კიდევ არაფერი. ბ-ნ ნიკოლაძეს შესანიშნავი კანონები აღმოუჩენია. დიალ, კანონები: ამას თითონვე გვეუბნება წინდაწინ: კოშუტის ცხოვრებას უნდა დავაკვირდეთ „გონების გასახსნელად, სწავლის და გამოცდილების შესაძენად, **ისტორიული კანონის** გასაგებად“ (135). აი, ბ-ნი ნიკოლაძის მიერ აღმოჩენილი ისტორიული კანონებიც: „მოვა დრო, და ჩვენი სიმართლე, ჩვენი ერთგულება, ჩვენი უმანკოება გასჭრის და უნგრეთი თავისას გაიტანს **ძალით კი არა სიმართლით** (კურსივი ავტორის), იმ სიმართლით, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველივე ძალა აღრე თუ გვიან უსათუოდ დაიღვეა ან შეიმუსრება“ — გვეუბნება ავტორი დეაკის სახელით და დასძენს: ამის დაფასება მარტო ბრძენს და შორს-მჭვრეტელს შეუძ-

ლიაო (147)—პირველი კანონი. ამისათვის ყოველივე თავისუფლების, ან თვითმმართველობის მოპოება შესაძლებელია არა სივაჟაკით, არამედ ფარატინა ქალადით, პირობის წერილებით—მეორე კანონი. თუ კოკამ წყალი ერთხელ ვერ მოიტანა, ვერასოდეს ვერ მოიტანს—მესამე კანონი. უკანასკნელის უსაფუძვლობა აშკარაა. ხოლო მეორე დასკვნა პირველის არის. ამიტომ ვნახოთ, რას წარმოადგენს პირველი „კანონი“. ეტყობა ავტორს არა აქვს გარკვეული სიმართლის და ძალის ურთიერთ-შორისი დამოკიდებულება. ჩვენ გავარკვევთ. ავილოთ მაგალითები. საქართველოში გაბატონდა სელჩუკები, მათ შემოიტანეს თავისი „სიმართლე“, განაწესეს ახალი უფლებები, ახალი კანონები, გამოსცეს ახალი ბრძანებები. ეს შედეგი იყო იმათი სიძლიერის და საქართველოს სისუსტის. ცოტა ხანს შემდეგ ქართველობამ ფეხი მოიმაგრა, მტერს შეებრძოლა და განდევნა. მაშინ შემოიღეს თავისი, ქართული, „სიმართლე“, ქართული წესები. მაშასადამე ძალა შეიქმნა მიზეზად ახალი სიმართლისა.

როცა რუსეთს მონგოლები ფლობდნენ, სამართალიც მონგოლური იყო, ხოლო როცა რუსეთმა ძალით განდევნა მტერი, სამართალიც რუსული დაარსდა. ავსტრიის კანონ-მდებლობა იყო სავალდებულო იტალიელთათვის, სანამ იტალია მის ხელქვეშ იმყოფებოდა, ხოლო როცა გარიბალდიმ ხმალთით გაათავისუფლა სამშობლო, სამართალიც იტალიური შემოიღეს.—საფრანგეთში 1789 წლამდე თავად-აზნაურული წყობილება არსებობდა, სამარ-

თალი და კანონიც ფეოდალური იყო. ხოლო 1789 წ. სისხლის ღვრა მოხდა, ამბოხება ასტყდა ძველი წყობილების წინააღმდეგ. მას შემდეგ კი ყველაფერი ძირეულად შეიცვალა: სამართალიც, კანონმდებლობაც, უფლებები და სხ. უნგრეთის თვით-მმართველობაც შედეგი იყო, თუმცა არა პირდაპირი, უნგართა რევოლიუციისა, სისხლის დანთხვეისა, -- როგორც მოვიხსენეთ ზევით. ერთი სიტყვით სიმართლეს ძალა მიუძღვის წინ. ამას გვიმტკიცებს მთელი წარსული ისტორია. როცა ბ-ნი ნიკოლაძე დაგვიარსებს ისეთ წყობილებას, სადაც სიმართლე თავის თავად გამეფდება, მაშინ ვირწმუნებთ და აღვიარებთ: სიმართლის აღსადგენად ძალა აღარ არის საჭირო-მეთქი. მანამდის კი ბ-ნი ნიკოლაძე ჩვენ გვერწმუნოს.

მეოთხე კანონიც: ხუთ მილიონ ერს დამოუკიდებლად ცხოვრება არ შეუძლიაო (146), ჩვენ თუმცა მოშრე ვართ ხალხთა შეერთების და კონფედერაციული ცხოვრების, მაგრამ როცა ეს ცხოვრება უმცროს-უფროსობაზე შენდება, მაშინ კი ბ-ნი ნიკოლაძისთვის დაგვითმია მისი მომხრეობა. მანამდის კი ვკითხავთ: ნეტავი თუ ყოფილა, ან არის ახლა იმისთანა ერი, რომელიც რიცხვით ხუთი მილიონი და კიდევ ნაკლებია, ხოლო პოლიტიკური ცხოვრებით კი დამოუკიდებელი?

აი, სწორეთ ამ გვარი წერილები განავითარებს ერს გონებრივად და ზნეობრივ ძალას აულოჩინებს, აი!.. იფ. დაღშვენდა თათქარიძეს აზრები და კალამი.

№ 5 და 6.

ერთი საშინელი სენი მძვინვარებს ჩვენს მწერლობაში. ვინც კი ქართული ენის წალმა-უკუღმა ტრიალში გავარჯიშებულთა და მის ნაწერსაც დღის სინათლე უნახავს, თავის თავი შეუმცდარად, სპეტაკად წარმოუდგენია. აქაო და ჩვენი გონების ნაწარმოები იბეჭდებო. საზოგადოებამ უთუოდ ბუმბერაზებად, გენიოსებად უნდა მიგვიჩინოსო. ის თხოულობს მკითხველისაგან თაყვანისცემას, გუნდრუკის კმევას, ქება-დიდებას; გინდა თუ არა, ჩემი ნიჭით გაოცდით და დატკბითო. ვაი, მისი ბრალი, ვინც გაბედავს და ეჭვს შეიტანს მის ბუმბერაზობაზე. ეს მაშინვე ერთ ალიაქოს ასტეხს: როგორ მკადრე, ვინ გგონივარ, თუ იციო. მისი შეხედულებით კრიტიკა ლანძღვა-გინებას მოასწავებს, შენიშვნები სილის გარტყმას, აზრთა სხვადასხვაობა—მომაკვდინებელ ცოდვას. აი, მაგ. „მომამის“ პირველ ნომერს კრიტიკული თვალთ შეხედეთ და სარედაქციო წერილებს შენიშვნები ვუძღვენით („კვალი № 16). საკმარისი იყო ეს, რომ ბ-ნი ნ—ლი გამოვარდნილიყო და იმავე ჟურნალის ფურცლებზე (№ 5) ყვირილი მოერთო: გაგვლანძღეს, გაგვათრიეს, თავი მოგვეჭრესო (122) გვ.). ავტორი იმას კი არ დაგიდევს, თუ რას სწერს, რა საგანს არკვევს, რა ნაირად სჯის; ოღონდ მოწინააღმდეგეს პასუხი კი გასცეს და რა პასუხიც იქნება, სულ ერთია. მისი მიზანია საზოგადოებას გაწმენდილად ეჩვენოს, უკა-

ნასკნელი სატყუა შეინარჩუნოს და ხმა-მაღლა დაი-  
 ძახოს: აჲ, რა ბუმბერაზები ვართ, რასაც პირველად  
 ვიტყვი, ის მტკიცე და შეურყეველიაო. ვინ იცის,  
 შეიძლება ნ-ლი ქვეშარიტებას ლაღადებდეს და ჩვენ,  
 ცოდვის შვილს, რახა-რუხად გვეყურებოდეს. ღმერთმა  
 ჰქნას! მაგრამ განვიხილოთ კი.

რით შეიძლება ჩვენი დაცემული მეურნეობის  
 აღდგენა? რა სახსარი ვიღონოთ ამის განსაკარგებ-  
 ლად და ასაღორძინებლად? აი, კითხვა, რომლის  
 შესახებ ლაპარაკობენ მწერლობა და საზოგადოება,  
 კერძო და საზოგადო კრებები, დიდი და პატარა.  
 მწერლობაში თითქმის ერთი და იგივე აზრი გამო-  
 ითქვა: სამეურნეო სწავლა-ცოდნა, აი, საღ არის  
 ჩვენი ხსნაო. ზოგმა ეს შეხედულება უკიდურეს წე-  
 რტილამდი მიიყვანა: ჩვენი იდეალი მებოსტნე-მება-  
 ლეები არიანო. ამის წინააღმდეგ ბევრმა გამოილაშ-  
 ქრა: ჩვენთვის საჭიროა როგორც რიგიანი მეურნე-  
 ნი, ისე რიგიანი მოხელენი, მასწავლებლები, ინჟინ-  
 რები, სამხედრო პირები და სხ., სამართლიანად ამ-  
 ბობდენ მეორენი. მხოლოდ ამათ ერთი რამ აქვთ  
 საერთო: მეურნეობის განვითარება დამოკიდებულია  
 სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებისაგანო-აღი-  
 არებდენ ორივენი. ამით საშუალებაც ნაპოვნი შეი-  
 ქნა; დააარსეთ სამეურნეო სკოლები, სადგურები და  
 სხ. და საქმეც გაიჩაღებო. ჩვენდა სასიამოვნოდ  
 გვეღირსა ქართული ჟურნალი, დაიბადა „მოამბე“,  
 რომლის პირველ ნომერში რედაქციამ თავისი „pro-  
 fession de foi“ გამოაცხადა და სამეურნეო კითხვა-  
 საც ვრცელი ადგილი დაუთმო. აქაც ეს კითხვა ძვე-

აღებურად გადაიჭრა („შინაური ქრონიკა“); ახალი  
 არა თქმულა რა. იგივე აზრი გამოითქვა იმავე ეუ-  
 რნალის მესამე ნომერში ბ-ნ კავკასიძის მიერ. ამან  
 შემთხვევა მოგვცა ამ დაუსრულებელ კითხვის შესა-  
 ხებ ჩვენი შეხედულება გამოგვეთქვა. („კვალი“ №  
 24). ჩვენ ვაპობდით: თანამედროვე ცხოვრებაში,  
 სადაც ყოველივე ფულით იზომება, მხოლოდ შრო-  
 მის ის დარგი ვითარდება, რომლის ნაყოფი თავის-  
 კენ ფულს იზიდავს, ანუ ბაზარს პოულობს. რა ჩი-  
 ნებული აგრონომიც უნდა იყოთ, თუ კი თქვენ  
 ნაწარმოებს შესაფერი ბაზარი არ დაურჩება, იძულებ-  
 ბული იქნებით ამ ხელობას თავი დაანებოთ და სხვა  
 ასპარეზი ეძიოთ. ხოლო საქონელს ბაზარი უჩნდება  
 მაშინ, როცა ერის ნაწილთა შორის გაყოფილია  
 შრომა და თითოეული ნაწილი სხვა-და-სხვა საქო-  
 ნელს ამზადებს. ამ შემთხვევაში მწარმოებლებმა უნდა  
 გაცვალონ ერთმანეთ შორის საჭირო საქონელი,  
 უამისოდ ცხოვრება არ შეუძლიათ. ამ გაცვლის ია-  
 რადი დღეს ფულია და თვით გაცვლის პროცესს  
 უწოდებენ ვაჭრობას, რაიცა ხდება ბაზარზე, მაგა-  
 ლითად ბაზარზე გამოდიან ერთი მხრით გლეხი—  
 მეურნე, მეორე მხრით—მეწაღე. უკანასკნელი ყიდუ-  
 ლობს პირველისაგან პურს, ღვინოს და სხ. აქედან  
 აღებული ფულით მეურნე მიდის და ყიდულობს  
 წაღას, ტანისამოსს და სხ. ესენი ორივე ვაჭარია, ანუ  
 აღებ-მიცემია, ამ გვარად, აღებ-მიცემობაში შედის  
 შრომის ყველა დარგი, რომლის ნაყოფი კი ყიდვა-  
 გაყიდვას ექვემდებარება. თანამედროვე ხანა იმით  
 განირჩევა ყველა გავლილ ხანისაგან, რომ დღეს ყო-

ველივე ნაწარმოები ბაზარზე უნდა გამოვიდეს, ფულად უნდა იქცეს. ეს ხანა ალებ-მიცემობის ხანაა. რამ გამოიწვია ეს? ევროპის ყველა ხალხი ამ რამდენიმე საუკუნის წინ მარტო მეურნეობას მისდევდა. ინგლისში პირველად მოხდა შრომის განაწილება, წარმოებაჲ ფეხი აიდგა და განვითარდა. მაშინ საფრანგეთი თავის თავს სამეურნეო ქვეყნად აღიარებდა. ამან გამოიწვია სკოლა ფიზიოკრატთა (საუკეთესო წარმომადგენელი არის კესნაი XVIII საუკ.), რომელნიც ამტკიცებდნენ, მხოლოდ მეურნეობის ნაწარმოებს აქვს ღირებულება და მაშასადამე ქვეყნის სიმდიდრეც მეურნეობააო. მაგრამ წინააღმდეგ ამისა საფრანგეთიც ინგლისის მიერ ვაკვალულ გზას გაჰყვა, მეურნეობის ქვეყანა მრეწველობის ქვეყნად გადაიქცა. ახლა გერმანიაზე მიდგა ჯერი. ამ ორმოცი წლის წინად ფრანგები და ინგლისელები საშინლად დასცინოდნენ გერმანიას, გერმანელის ვაჭრობა ვის გაუგონია, იმან მიწა უნდა იმუშაოს და ფილოსოფიას გაეჩთოსო. გერმანელსაც ასე სჯეროდა: ჩვენ მეურნენი ვართ, ინგლისს პურს ვუგზავნით და მის ოქრო-ვერცხლს ჩვენ წამოვიღებთო. სანამ გერმანია ასე ფიქრობდა. მანამდის წელში გატეხილი იყო როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. ისტორიამ კი მაინც თავისი გაიტანა. გერმანიაც შეუმჩნევლად ჩადგა მოწინავე ერთა ფერხულში; მეურნეობის ქვეყანა მრეწველობის ქვეყნად გადაიქცა. დაეცა ამითი მეურნეობა? სრულებითაც არა. დღეს სამეურნეო ნაწარმოები გაცილებით მეტი მოდის, ვინემ წინად. სამეურნეო ტექნიკა და ცოდნა აღორძინებულია. ამ ნაი-



რად ხალხის ნივთიერი განვითარება ექვემდებარება ამ კანონს: ხანა მეურნეობისა, ხანა წარმოებისა. პირველში არ სჩანს წარმოება, დაცემულია მეურნეობა, მეორეში ცხოვრების დედა-ძარღვს წარმოება შეადგენს, აყვავებულია მეურნეობაც. ცხადია, **მეურნეობის განვითარება წარმოების განვითარებისაგან ყოფილა დამოკიდებული.** რატომ? იმიტომ რომ „სამეურნეო ნაწარმოებს დიდი ბაზარი ეძლევა მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ორად იყოფა: ერთი ნაწილი მისდევს მეურნეობას და რჩება სოფლად. მეორე ნაწილი ხელს ჰკიდებს ვაჭრობას, მრეწველობას და სხ. და ბინავდება ქალაქში\*) (რასაკვირველია, სამრეწველო ცენტრი სოფელშიაც შეიძლება იყოს, და სხ.).

ამ სახით, ჩვენს მწერლობაში ორი აზრი გამოითქვა. თანახმად პირველისა მეურნეობის განვითარება დამოკიდებულია სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებისაგან, თანახმად მეორისა—წარმოების განვითარებისაგან. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ პირველი აზრის მომხრენი უარს ჰყოფდნენ წარმოებას და მეორესი—მეურნეობას და სამეურნეო განათლებას. განსხვავება იმაშია, რომ პირველი პირველხარისხოვან კითხვას მეორე-ხარისხოვნად სთვლიან და მით, საფრანგეთის ქრონოლოგიით, მეთვრამეტე საუკუნეში დგანან, ფიზიოკრატ კენაის თანამოაზრენი არიან, ხოლო მეორენი წინ აყენებენ იმას, რაც უნდა იდგეს და ნამდვილად დგას. ესენი არა-

\*) ib.

ფერს არ იგონებენ, ამბობენ მხოლოდ იმას, რაც უკვე არსებობს ცხოვრებაში და მით თანამედროვე ევროპიულ ცხოვრებას და მეცნიერებას გვერდში უდგანან. ერთი სიტყვით, პირველნი ხ/რებს ურემში უკან ბოლოზე უბმენ და ისე ერეკებიან, მეორენი—ურმის წინ, თავის ადგილას.

„მოამბის“ პირველ ნომერში დაბეჭდილია წერილი: „მოამბის“ პროგრამის გამო“, რომელშიაც ვკითხულობთ:

„ჩვენის აზრით ქართველი ვერ დარჩება და არც უნდა დარჩეს მხოლოდ სოფლად ღ მიწის მომქმედად... სხვა-და-სხვა ერთა შორის საშინელი ბრძოლაა გამართული ეკონომიურს ნიადაგზე... აქ გამარჯვება იმისია, ვინც უფრო ბლომად და უკეთეს ნაწარმოებს გამოიტანს ქვეყნიერების ბაზარში... უნდა ვეცადოთ შევიაჩაღდეთ აწინდელი სწავლა-ცოდნით და ჭკრე შეიაჩაღებულნი შევუდგეთ შრომას, რომლის წყალობით მხოლოდ გვექნება ადგილი აწინდელი ბრძოლის ველზე, ესე იგი **ეკონომიურ ურთიერთობის სარბიელზე**. ჩვენის ბედის, ჩვენის მომავალის იმედი დამყარებულია **მხოლოდ** ქართველის ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე გამოიჩენს თავს“...

აი, ეს არის ცოტად, თუ ბევრად სამართლიანი შეხედულება ახლანდელ ცხოვრებაზე. ჩვენ ეს გადმოვიწერეთ და დავუპირდაპირეთ იმ აზრს, რომელიც გამოთქმულია იმავე ნომერში მოთავსებულ „შინაურ ქრონიკაში“, იმავე კითხვის შესახებ („კვალი“ № 16). როგორც მაშინ ვთქვით და ახლაც ვამბობთ, ეს ორი სხვა-და-სხვა შეხედულებაა. ბ-ნი ნ—ლი გვიმტკი-

ცებს, ვერ გაგიგია, თორემ ეგ ერთი და იგივეაო. მაშ განვიხილოთ ხელმეორეთ. ჯერ გავიგოთ, რას შეიცავს ზემოთ მოყვანილი პ'როგრამა, ანუ თვალ-თა-ხედვის ისარი რედაქტორისა?

რას ნიშნავს „ეკონომიური ურთიერთობის სარბიელი?“ ამის მაგიერად ჩვენ ვიხმარეთ ალებ-მიცემობა, რადგანაც ასე გავიგეთ, ბ-ნი ნ—ლი გარისხებულა და რედაქციის აზრის გადამახინჯებას გვიკიჟინებს. მისი აზრით, „ბ-ნ პეტრიძეს არ გახსენებია, ეკონომიური ურთიერთობა უფრო ვრცელი შემეცნებაა, ვინემ ალებ-მიცემობა, რომ ეკონომიური ურთიერთობა შეიცავს მიწათ-მოქმედებას, მრეწველობას, ხელოსნობას, ვაჭრობას და სხვა-და-სხვა და არა მარტო ალებ-მიცემობას“ („სალიტერატურო შენიშვნები“). მერე ქეშმარიტია ეს? ნუ თუ მართლა აწინდელი ეკონომიური ურთიერთობა ალებ-მიცემობას არ მოასწავებს? ბ-ნი ნ—ლი რომ თანამედროვე ცხოვრებას დააკვირდებოდეს, თავის გარეშემო მიიხედ-მოიხედავდეს, ადვალად შეამჩნევს, რომ დღეს შრომის არც ერთი დარგი არ რჩება ალებ-მიცემობის გარეშე. ყოველივე ნაწარმოები ბაზარზე გამოდის გასასყიდად. მეურნე, მექარხნე, ხელოსანი ვერ იცხოვრებენ ისე, რომ თავისი ნაშრომი არ გაყიდონ და სხვისი არ იყიდონ. ალებ-მიცემობა ნიშნავს ყიდვა-გაყიდვას. თუ კი ყველა ჰყიდის და ჰყიდულობს, ცხადია, ყველა ალებ-მიმცემი ყოფილა. დედა ძარღვი აწინდელი ვითარებისა ამაში მაჩნია. როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ამით განიჩქევა დღევანდელი ხანა ყველა გავლილ ხანისაგან. ბ-ნი ნ—

ლი კი მაინც თავისას გაიძახის: ეკონომიური ურთიერთობა ალღე-მიცემობას არ მოასწავებსო. თუ ავტორი წარსულ ცხოვრების შესახებ ლაპარაკობს, მართალია, საშუალო საუკუნოებში ალღე-მიცემობა არ იყო. მაგრამ ამით ის ლოღიკურ შეცდომებში ჩავარდნილა. ბ-ნი ნ—ლი გვეუბნება „ეკონომიური ურთიერთობის სარბიელზე უნდა გამოვიდეთო“, მაშინ, როდესაც ამ სარბიელზე გამოსული ვართ მას აქეთ, რაც ქართველობა არსებობს. რომელი ხალხი არ ყოფილა და არ არის ნივთიერ ურთიერთობის სარბიელზე გამოსული? იმათ, რომელნიც ნადირობით, მწყემსობით თუ ხვნა-თესვით ირჩენენ თავს, ნივთიერი ურთიერთობა არ აქვთ ერთმანეთ-შორის? ამ გვარად, ბ-ნი ნ—ლს არ სცოდნია ერთი მხრით ის, რომ დღევანდელი მეურნე ალღე-მიმცემია და მიწად-მოქმედებაც ალღე-მიცემობაში შედის\*), მეორე მხრით დავიწყებია, რომ ჩვენ დიდი ხანია გამოსული ვართ ეკონომიური ურთიერთობის სარბიელზე და მხოლოდ ახლა გვიქადაგებს: არიქა, ჩქარა გამოვიდეთ ამ სარბიელზეო.

ავტორი „მოამბის პროგრამის გამო“ ნათლად გვეუბნება, იგი ეკონომიური ურთიერთობის სარბიელი, რომელიც მას აქვს მხედველობაში, აწინდელი ბრძოლის ველია და არა წარსულისა. ხოლო ამ ველზე ყველა მებრძოლი ალღე-მიმცემია. ალღე-მიცემობა გამოიწვია შრომის განაწილებამ, წარმოების აღორძინებამ.

\*) ევროპიულ მწერლობაში ეს აზრი ამ საუკუნის დასაწყისში გაიჩქვა (მაგ. სენ-სიმონი, ა. ბლანკი დას.). ბ-ნი ნ—ლამდის კი ჯერაც არ მიღწეულა!

აშკარაა, ალებ-მიცემობა ანუ ეკონომიური ურთი-  
 ერთობა სრულიად დამყარებული ყოფილა წარმო-  
 ებაზე. გამოაცალეთ ეს უკანასკნელი და ყველაზედ  
 აბაზგული ეკონომიური და პოლიტიკური წყობი-  
 ლება დაირღვევა. ამისათვის, როცა წერილში „მო-  
 ამბის პროგრამის გამო“ ვკითხულობთ, ჩვენი ბედი  
 დაფუძნებულია მხოლოდ ერის იმ ნაწილზე, რო-  
 მელიც თავს გამოიჩენს ეკონომიურ ურთიერთობის  
 სარბიელზე, ანუ ალებ-მიცემობაშიო, ჩვენ აქ უნდა  
 ვიგულისხმეთ წარმოება, ვინაიდან დედა-ბოძი ეკო-  
 ნომიური ურთი-ერთობისა წარმოებაა. თუ კი ასე  
 არ ესმის თვით ავტორს, არ სცოდნია, როგორც ბ-ნ  
 ნა—ლს, ნივთიერი განვითარების ანბანი. მაგრამ ამ  
 უვიცობას თავზე ძალად ვერ მოვახვევთ, რადგანაც  
 ეს თავისი შეხედულება არ გაურკვევია და არ აუ-  
 ხსნია, მე ასე მესმის და არა ისეო.

ვიმეორებ, ავტორი „მომამბის პროგრამის გამო“  
 აღიარებს, რომ პროგრესიული მოვლენა, ცხოვრების  
 წინ-წამწევი ალებ-მიცემობააო. აქ მეურნეობას იმ-  
 დენი ალაგი უჭირავს, რამდენად ის ალებ-მიცემობის  
 კალაპოტში ჩადგა. ე. ი. მეურნე მყიდველი და გა-  
 მყიდველია. ასეთი განვითარება კი დამოკიდებულია  
 შრომის განაწილებაზე, რაიცა ხდება წარმოების  
 წყალობით.

ახლა ვნახოთ, როგორ არის ეს აზრი გატარე-  
 ბული „შინაურ ქრონიკაში“. აქ გვიწერენ:

„საუკეთესო ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ  
 კარგად სცნა, რომ ისეთი სწავლა-ცოდნაც არის  
 საჭირო, რომელმაც ხელიდან ადგილ-მამული არ

გაგვაშვებინოს (?!!), რომელმაც ორი და სამი ამდენი სიმდიდრე უნდა გამოაღებინოს ქვეყანას, ბუნებას, ერთი სიტყვით ვცანით, რომ დროისა და ვითარების შესაფერი სწავლაა საჭირო. კარგა ხანია, რაც ეგ აზრი ჩვენმა მწერლობამ აიჩემა კიდეც“.

რაზედ არის აქ ლაპარაკი? რასაკვირველია მეურნეობაზე, ვინაიდან ჩვენმა მწერლობამ ეს აიჩემა. ჩაუყვეთ ქვევით: აქ რილასთვისაც ისტორიაზე გვითითებს მექრონიკე, წარსულში მტერი იმიტომ ვძლიეთ, რომ მიწას და ჩვენ შორის ერთობა იყო, „ფეხი მტკიცებთ გვედგა ზედო“ (ახსნაც ასეთი უნდა!). რისთვის დასჭირვებია ამ ძველი საბუთის გამონახვა? თავის აზრის დასამტკიცებლად, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნა შეგვარჩინს მამულსო: აი, სიტყვებიც: ...ხელში ისეთი ფარ-ხმალი უნდა ავიღოთ, რომ ჩვენი ადგილ-მამული, სამშობლო შეგვარჩინოს. ეს ფარ-ხმალი, სხვათა შორის, ხომ სამეურნეო სწავლა-ცოდნაა, ურომლოდაც ყოვლად შეუძლებელია ქვეყანას შესაფერი სიმდიდრე გამოვალბინოთ და კეთილდღეობა დავიმკვიდროთ. შემდეგ ამისა დასასაბუთებლად ჩამოთვლილია სამეურნეო სკოლები (117—119). ჩვენ, როგორც მაშინ, ისე ახლა, აქედან ის გამოგვყავს, რომ თქვენ ამტკიცებთ უსამეურნეო სწავლა-ცოდნით „ყოვლად შეუძლებელია“ კეთილდღეობის დამკვიდრება. ბ-ნი ნ—ლი კი გვიკიჟინებს: მექრონიკეს ასე არ უთქვამს და თქვენ, ე. ი. მე, გადაახვადფრეთო. საბუთად მოჰყავს ზემოთ ამოწერილი სიტყვები:—ეს ფარ-ხმალი სხვათა შორის, ხომ

სამეურნეო სწავლა-ცოდნაა, ურომლისოდაც ყოვ-  
 ლად შეუძლებელია და სხ...“ და თავ-გამოდებით  
 გაიძახის: „ურომლოდაც“ მარტო სამეურნეო-სწავლა-  
 ცოდნას არ ეკუთვნის და „სხვათა შორის“ და „შესა-  
 ფერი“ სად გამოსტოვეთო? მაგ. ჩვენ რომ ვთქვათ:  
 გველიჩსა ქართული ყოველ-თვიური ჟურნალი, ურომ-  
 ლოდაც ყოვლად შეუძლებელია მწერლობის წარ-  
 მატება, უეჭველია, ამით იმ აზრს ვხატავთ, რომ  
 თუმცა სხვა ორგანოებიც გვაქვს, მაგრამ უჟურნალოდ  
 შეუძლებელია მწერლობის აღორძინება. ცხადია, მი-  
 ზეზად მწერლობის განვითარებისა ჟურნალს აღვი-  
 არებ და არა გაზეთს. ბ-ნი ნ—ლი, რასაკვირველია,  
 ამას ასე არ გაიგებს; „ურომლოდაც“ ეკუთვნის არა  
 მარტო „ყოველ თვიურ ჟურნალს“, არამედ „სხვათა-  
 შორისაც“-ო, თამამად მოგვიგებს ბ-ნი ნა—ლი. ქარ-  
 თული ენის ცოდნაც ასე უნდა! ამ გვარად, ავტორი  
 „შინაური ქრონიკისა“ ამბობს: კეთილდღეობის დასამ-  
 კვიდრებლად ბევრ-ნაირი ფარ-ხმალია, მაგრამ ამათში  
 უპირველესი ალაგი უჭირავს სამეურნეო სწავლა-  
 ცოდნას, „ურომლოდაც ყოვლად შეუძლებელია  
 კეთილ-დღეობის დამკვიდრება“, (რამდენად მართა-  
 ლია ეს, ქვევით დავინახავთ ეგ. იოსელიანის მოწმო-  
 ბით). თუ ბ-ნი ნ—ლი გვეტყვის, რომ მექრონიკე  
 სამეურნეო სწავლა-ცოდნას, ყველა ფარ-ხმალთა შო-  
 რის, პირველობას არ ანიჭებსო, მიულოცავთ: მად-  
 ლობა ღმერთს, ჩვენი აზრის თანამოზიარე გამხდარ-  
 ხართ-მეთქი. ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ჩვენი  
 მწერლები წარმოებას არ ჰყოფენ უარს, მხოლოდ  
 მეურნეობასთან შედარებით მეორე ხარისხიან კით-

ხვად სთვლიან. მექრონიკეც ასე მოქცეულა. „დაამტკიცა“ რა სამეურნეო სწავლა-ცოდნის ყოვლად ძლიერება, წერილის ბოლოში, რამდენიმე სტრიქონით აღნიშნავს ფაქტს შავი-ქვის წარმოებისას. ეს არის და ეს \*).

ამ სახით წერილში „მოამბის პროგრამის გამო“ გამოთქმულია ის დედა-აზრი, რომ ცხოვრების განმაახლებელი განმავითარებელი ძალა აღებმიცემობაა და „ჩვენი იმედიც დამყარებულია მხოლოდ ქართველის ერის იმ ნაწილზე, რომელმაც ამ სარბიელზე გამოიჩინეს თავს“. ავტორს „შინაური ქრონიკებისას“ ეს სარევოლიუციო პრინციპი კუთხეში მიუგდია და ძველი სიმღერისთვის მიუმართავს: გაავრცელეთ სამეურნეო სწავლა-ცოდნა და კეთილ-

\*) მექრონიკეს მოხსენებული აქვს სამეურნეო კრედიტი. ბ-ნი ნ—ლი გვისაყვედურებს, რატომ არ იხსენიებთო. ვითომ და რაო, ეს კრედიტი სამეურნეოა, თუ სამრეწველო? ნაბეჭდიც ველარ ამოუკითხავს. ეს არაფერი. კრედიტის ამღებმა ხომ სამეურნეო ნაწარმოები უნდა გაყიდოს და ვალი გადაიხადოს. თუ კი მას ბაზარი არ ექნება, საიდან შეუძლია ვალის გადახდა. აქ არის ერთი იმ მიზეზთაგანი, რის გამოც მსესხებელ მეურნეს ბანკში თავის დროზე ვერ შეაქვს ხვედრი ფული და მამული ეყიდება. რა უნდა ჰქნას, მამულის შემოსავალი კუთხეში უწყვია და მოსთქვამს: დავიღუპე, ფასი დაეცა და მუქთად როგორ გადავაგდოვო. აქ ჩარჩი პოულობს თავის საკბილოს. რასაც ბანკი აკლებს, იმას ჩარჩი ათავებს. მაგ ამ ქამად გურიაში ექვს შაურად არის ფუთი სიპინდი, ლეჩუმში კი ორ-მანეთად. („ივერია“ № 142). ევროპაში ამ ნაირი მდგომარეობა ყოვლად შეუძლებელია. გასაყიდი თუ კი გაქვს, ფულიც გაქვს.



დღეობას დაიმკვიდრებთო. ხოლო რამდენად სამეურნეო სწავლას ადგილ-მამულის შერჩენა და კეთილდღეობის დამკვიდრება შეუძლია, ცხადად გვეუბნება ბ-ნი ეგნატე იოსელიანი ჟურნალის იმავე ნომერში („მეურნე და მეურნეობა“). აქ იძულებული ვართ განვიმეოროთ ის, რასაც მაშინ ვწერდით და რაც ბ-ნი — ლს განგებ არ გაუგია.

„დასავლეთი ევროპის მეურნე, ამბობს ბ-ნი იოსელიანი, ქართველ მეურნესთან შედარებით ბევრით უფრო განათლებულია, ამასთანავე ნუ დავიწყებთ, რომ ევროპიულ მეურნეს უფრო რიგიანად აქვს მოწყობილი თავისი მამული, ვიდრე ქართველ მეურნეს... ერთი სიტყვით დასავლეთ ევროპის მეურნეს ხელთ აქვს და, თუ არ აქვს, შეუძლია ადვილად და თავად მოიპოვოს ყოველივე ის, რასაც კი შეუძლია გააუმჯობესოს მისი შრომა. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ვინც კი დასავლეთ მეურნეობას თვალ-ყურს ადევნებს, შენიშნავდა, რომ იქაური გლეხი-მეურნე თანდათან უფრო ღარიბდება, ვალში ვარდება და იძულებული ხდება თავი დაანებოს მიწას და გადავიდეს ქარხანაში მუშად“ (95).

აი, ეს ამოვწერეთ „კვალის“ № 16-ში და ვთქვით: ბ-ნი იოსელიანის მოწმობით სამეურნეო სწავლა-ცოდნა მეურნეთა უმრავლესობას კეთილდღეობას ვერ დაუმკვიდრებს, როგორც ჰგონია „ქრონიკის“ პატრონს-მეთქი. რა პასუხი მოგვცა ამაზე ბ-ნი — ლმა? რადგანიც ბ-ნი — ლი ყოველგან თანხმობას ეძებს, აქაც მოუწადინია ბ-ნი

იოსელიანის და მექრონიკის აზრების შეთანხმება. მერე იცით რა იარაღი აუღია ხელში ამისთვის? უშვერი ცილისწამება.

„აი, აქედან (ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან) ბ-ნ პეტრიძეს ის აზრი დაუსკვნია, ვითომ ბ-ნი იოსელიანი უარჰყოფს სამეურნეო სწავლა-ცოდნას, ვითარცა ძლიერ ფაქტორს ეკონომიურის წარმატებისას“.

უსირცხვილოთ ცილს გვწამებს ბ-ნი ნ—ლი (136). საიდან მოგეჩვენათ, ბ-ნი ნ—ლო, ეს? რატომ ჩვენი წერილიდან ერთი წინადადებაც არ ამოსწერეთ ამის დასამტკიცებლად? რომელ წერილში დაწვამეთ ბ-ნ იოსელიანს ეგ თქვენ მიერ მოჰორილი შეხედულობა? წინააღმდეგ ამისა ჩვენ ვწერდით: თუ გლები იძულებულია, ბ-ნ იოსელიანის თქმით, თავ-ს მიწა დასტოვოს; ვინმე უნდა ისაკუთრებდეს. ვინ? „რასაკვირველია მდიდარი, შეძლებული, რომელსაც მანქანების ყიდვაც და აგრონომის ყოლაც შეუძლია. ამ შემთხვევაში მართლაც ქვეყანას სიმდიდრეს „გამოაღებინებს“, მაგრამ თავის სასარგებლოდ და არა გაქცეულის გლებისა. ცხადია, „მოამბეც“ შეძლებულთა სახელით გველაპარაკება და არა მთელი ქვეყნის“. აქედან აშკარა არ არის, რომ სამეურნეო განათლებას ჩვენ უარს არ ვჰყოფთ? ბ-ნი ნ—ლს რომ უთხრათ მეცნიერთა მიერ გამოგონილი მანქანები მუშას სამუშაოს ართმევს და ულოკმა-პუროთ სტოვებსო, ის მაშინვე გოდებას მორთავს: მაშ მეცნიერებას უარ-ჰყოფთო! რაკი ვთქვით, რომ სამეურნეო სწავლა-ცოდნა უმრავლესობას კე-

თილ-დღეობას ვერ დაუმკვიდრებსო \*), ბ-ნ ნ—ლომა შეპყვირა: მაშ სწავლა-ცოდნას (ე. ი. ტეხნიკას, მექანიკას და სხ.) უარს ჰყოფთო. ასეთია ბ-ნ ნ-ლის მსჯელობა! ასეთია მისი „გონებრივი ავლა-დიდება“! (ამ სიტყვას უკანვე უბრუნებთ მას).

დასკვნა. ჩვენ ვამბობთ: დედა-ძარღვი დღევან-დელი ვითარებისა მდგომარეობს ალებ-მიცემობაში, რომელიც სრულიად დამყარებულია წარმოების აღორძინებაზე. არავითარი ეკონომიური ურთიერთობა არ შეიძლება ყიდვა-გაყიდვის, ანუ ალებ-მიცემობის გარეშე \*\*). ამისათვის ალებ-მიცემობა მეცნიერულად გაგებულ იქნას შეიცავს მრეწველობას, მიწათ-მოქმედე-

\*) როგორც ვიცით, ჩვენი „სამეურნეო“ მწერლება მეურნეობის დაქვეითების მიზეზად მეურნეთა უვიცობას აღიარებენ, სამეურნეო სწავლა-ცოდნა არ აქვსო. აი, ამის შესახებ რას სწერს ბ-ნი იოსელიანი ზემოთ მოხსენებულ მის წერილში: „რძე-ნაწყენს რომ კარგად ჰქონდეს შეგნებული ხასიათი ტეხნიკისა, მაშინ იგი როდიღა იტყოდა, რომ მეურნეობა იმისთვის არის დაქვეითებული, რომ გლეხმა მეურნემ ახალი სისტემის იარაღის მოხმარება არ იცის თავის უვიცობითაო“ (100). „რძე-ნაწყენი ვაებატონი... მეურნეობის დაქვეითებას გლეხის უვიცობას და გაუნათლებლობას დააბრალებს“... (98). იმ გარემოებიდან, რომ ევროპიელი მეურნე-გლეხი იძულებულია თავის მიწას თავი დაანებოს, „ცხადადა სჩანს, რომ სწავლასა და მხნეობას ყოველთვის არ შეუძლია ადამიანის დაკმაყოფილება“ (95). „მარტო საზოგადო მიზეზებს შეუძლიათ შეაფერხონ, დააქვეითონ ხალხის მეურნეობა“ (97). ჩაუფიქრდით, ბ-ნო ნ—ლო ამას.

\*\*\*) ეს უფრო აშკარაა დასავლეთ ევროპაში, ვინემ ჩვენში. ჩვენ მხოლოდ ახლა შევდექით ამ გზაზე.

ბას, ხელოსნობას და სხვა დარგს ადამიანის შრომისას. ცხოვრების სარეველოლიუციო ძალას შეადგენს წარმოება, რომელიც ძირეულად არღვევს ძველს ეკონომიურ, იურიდიულ და პოლიტიკურ წყობილებას და ჰქმნის სრულიად ახალ ქვეყანას. ამას თან მოსდევს მეურნეობის განვითარება და სამეურნეო სწავლა-ცოდნის შესაფერად გამოყენება. ხოლო როგორც წარმოების, ისე მეურნეობის, განვითარება, ხდება უმცირესობის სასარგებლოდ. უმრავლესობის ერთი ნაწილი რჩება მოქირავე მუშად, მეორე ნაწილი-მცირე მესაკუთრედ (გლეხობა).

აი, ჩვენი საბუთები, ბ-ნო ნ—ლო. აწი თქვენ იცით.

ჩვენ თუმცა ძლიერ გვეჩოთირება პოლემიკაში სხვის მაგიერ პასუხის გაცემა და ამას არც ვკისრულობთ, მაგრამ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ზოგი შენიშვნა ბ-ნ ნა—ლისა ბ-ნ მაზაკვალის შესახებ. ბ-ნი ნა—ლი, სანამ მისი მოწყალე თვალებით გადმოგვხედავდა, ბ-ნ მაზაკვალს მივარდა და ისეთი თავ-აშვებით და მედიდურობით დაუწყო ბღვერა, გეგონებოდათ ბატონი უჯავრდება თავის შინა-ყმასო. მას აქ კამათობის ყოველივე წესრიგი გვერდზე მიუგდია, ეს მეტი ბარგია, ხელს შემოშლისო და ამაყად დაუწყია ნაფარდობა. ბ-ნ მაზაკვალის სინიღისი, პსევდონიმის საიდუმლოება და სხვა მისი პირადი თვისებები ბ-ნ ნა—ლს ფეხ-ქვეშ ჩაუგდია, ზედ ბუქნა გაუმართავს და თანაც „მე ვარ კაცის“ კილოზე არხეინად დამღერის. როგორ ესმის ბ-ნ ნა—ლს სხვა-და-სხვა საზოგადო კიბხვები, ზე-

ვით დაფინანსებთ, მაგრამ ეს მონაგონადაც არ გამოდგება შედარებით იმასთან, რასაც ქვევით ვნახავთ.

ბ-ნმა მახაკვალმა გააარჩია „მოამბის“ (№ 1) შინაური ქრონიკა და სხვათაშორის განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ერთ დღევანდელ საჭირ-ბოროტო კითხვას, რომელიც აღძრული იყო გასაჩჩევ წერილში. ეს არის მიზეზები ავაზაკობისა, ძარცვა-გლეჯისა. რით უნდა აიხსნას ასეთი ხშირი ავაზაკური მოქმედება ჩვენში? ბ-ნმა მახაკვალმა ვერ სცნო საფუძვლიანად მექრონიკის მოსაზრება იმის შესახებ და თავისი შეხედულობა წაჰმოადგინა (იხ. კვალი № 20). ავტორი ამბობდა, ამ მოვლენის ასახსნელად საჭიროა მხედველობაში მივიღოთ პოლიტიკური მიზეზები, ერის იურიდიული შეხედულება საკუთრებაზეო. ამის პასუხად ბ-ნი ნა—ლი აცხადებს, მოვლენათა საქვეყნოდ მიზეზის ძებნა ვის გაუგონია, ან და რა მიზეზი უნდა მოუნახოთ მაგ. ტარიელ მკლავაძის („ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ე. ნინოშვილისა) მოქმედებას, მის დაუსრულებელ ჩხუბს და უზუნეო საქციელს, ქეიფს და ლაზღანდარობას?\*)

\*) ბ-ნი ნა—ლი მკითხველთა თვალის ასაბნევად „მაზეზთა-მიზეზს“ ხმარობს. ავტორს არ სცოდნია, რომ მეცნიერებამ ამგვარი ტერმინი არ იცის. ერთი რომელიმე მოვლენის მიზეზი მრავალია, და ყველა ეს მიზეზები ისეა გადაბმულ-გადმობმული, რომ მათი დანაწილება და მწკრივ-მწკრივად დაწყობა შეუძლებელია. ბ-ნი ნა—ლი ფიქრობს ერთ მოვლენას ერთი უახლოესი მიზეზი აქვს, ამ უახლოეს მიზეზს კიდევ ერთი უახლოესი მიზეზი აქვს და ასე ბოლომდის. ამგვარად მეტათეზიკაში ჩავარდნილა.

(132—133), ხოლო უახლოესი მიზეზი (?) ავაზაკობისა და ალაც აღნიშნული ჰქონდა მექრონიკეს. შემდეგ მოჰყავს ეს საუცხოვო „მიზეზები“. სულ სამია და სამივე ერთიანად გასაშტერებელი და გასაოცარი. პირველი: ქურდობენ და ავკაცობენ იმიტომ, რომ „თავისას არ სჯერდებიან“. არ გიკვირთ? ქურდი თურმე თავისას არ სჯერდება! რა ჭეშმარიტება აღმოჩენილა! იურისპრუდენციამ ერთი უებარი კანონი შეიძინა! შეიძლება რომელიმე თომა ურწმუნომ ამ სამაგალითო აღმოჩენას ეჭვის თვალთ შეხედოს: ეს არათუ მეცნიერულ-ისტორიულად, არამედ იურიდიულათაც გროშად არ ღირს, რადგანაც ამით ყოველ-გვარი დანაშაულობა ერთი და იგივე ზომით უნდა გაიზომოს და მაშასადამე ერთი და იგივე სასჯელი მიეზღოს. არა, ბატონებო, ამნაირ შენიშენას ნუ მისცემთ ბ-ნ ნა—ლს, თორემ გაგვირისხდება და ისეთი ამაყური სიტყვებით მოგვემართავს, რომლითაც ბ-ნ მაზაკვალს მიმართა. „გესმით თუ არა, რა გრძნობით და აზრით არიან აღჭურვილნი თანამედროვე ტარიელები და სხვთა შორის რაა იმის მიზეზი, რომ დეჟულ-მამული ხელიდან ეცლებათ?“ ნება მოგვეცით, ბ-ნო ნ—ლო, თვითონ თქვენ გკითხოთ, გესმით ეს მიზეზი? ამაზე ის მოგვიგებს: როგორ არ მესმის, მიზეზი ის არის, რომ „შრომის და გარჯის უნარი არ მისდევთ“, ზარმაცები არიანო. ეს გახლავს მეორე აღმოჩენილი მიზეზი. ამ გვარად თავად-აზნაურობის დაქვეითების მიზეზი არა თუ მარტო ჩვენში, არამედ რუსეთში და ევროპაშიაც სიზარმაცეს გამოუწვევია.

ცხადია, ეს სიზარმაცე რომ არ შეპარებოდათ, დღეს ყველგან თავად-აზნაურობა იქნება „ერის ცხოვრების სათავეში და მისი (ერის) ღირსების დამცველი“. ჰოი, გულ-უბრყვილობავ ბ-ნ ნა—ლისა! მსოფლიო მოვლენის ახსნაც ასე უნდა. ამისთანა „მიზეზის“ აღმოჩენი სხვას უკიეინებს, გესმის თუ არაო. იმას კი აღარ კითხულობს, თითონ ესმის თუ არა ის საგანი, რის შესახებაც ასე მედიდურათ ლაპარაკობს.

მკითხველის გვეხათრება, თორემ მესამე და უკანასკნელ „მიზეზსაც“ მოვიყვანდი. ეს „მიზეზი“ ისეთი იშვიათი აღმოჩენაა, რომ მთელი საქართველო და მასთან მთელი ქვეყანა ავტორებს ქება-დიდებას უნდა ასხამდეს. როგორც ვიცით ყველგან, როგორც ჩვენში, ისე ევროპაში, უმრავლესობა სიღარიბეს უჩივის. ამას უჩიოდა წინაუ ევროპის აზნაურობა, ამას ჩივის დღეს ჩვენი აზნაურობა. მე რე იცით, რა ყოფილა ამის მიზეზი? სულ უბრალო... ის, რომ ამ საბრალო მომჩივნებს „მოთხოვნილებების და ქონების აწონ-დაწონვა, შეთანხმება, ერთი მეორის შეფერება არ ძალუძთ“, ე. ი, ხარჯის წესი, ჩოთქი არ სცოდნიათ. ეს რომ არ აკლდეთ, იმათ ბედნიერებას საზღვარი არ ექნებოდა. მაშასადამე იმათ უნდა ისწავლონ ეკონომია, ანგარიში, თუ როგორ შეუთანასწორონ ერთმანეთს შემოსავალ-გასავალი და სიღარიბეც მოისპობა. მოდით და ნუ განცვიფრდებით ჩვენი პუბლიცისტების ძლევამოსილობით, გენიოსობით. ის, რასაც მთელი ქვეყანა დაეძებს და ვერ აღმოუჩენია, „მოამბის“

მექრონიკეს იანვარში აღმოუჩენია, ბ-ნ ნ—ლს მისში ბეჭედი დაუსვამს და დაუმტკიცებია. აბა, ვის რალა ეთქმის წინააღმდეგ. ამისათვის არის, რომ ბ-ნი ნ—ლი გაკვირვებით ამბობს: „ამ მიზეზებს ბ-ნი მაზაკვალი არ სჯერდება“. ოღონდაც! ამ გვარი მიზეზების გამოკვლევა თქვენთვის დაგვითმია. რაკი ერთხელ აიჩემა ბ-ნმა ნ—ლმა—მოვლენათა ფესვების ჩხრეკა-ძიება, მიზეზების ახსნა-გათვალისწინება პუბლიცისტისთვის მეტი ბარგიაო, მაშინ, რასაკვირველია, ყველაფერი ადვილად გასაგები ხდება; ის, რაც ძლიერ რთული და თავსამტკვრეია მეცნიერებისათვის, ბ-ნ ნ—ლისთვის აშკარა და ნათელია. ამის ნიმუშები ზევით დავინახეთ.

„მოამბის“ მექრონიკე და მისი ვეჭილი ბ-ნი ნ—ლი თავიანთ თავს აღიარებენ თავად-აზნაურობის და მთელი ერის დამცველად. ისინი ამბობენ: „ამ შემაძრწუნებელი ამბების ჩამდენი რამდენიმე თავზე ხელ-აღებული ახალგაზრდაა და ამიტომ უფლება არ გვაქვს მათი საქციელი მთელს საზოგადოებას, წოდებას თავზე მოვახვიოთ და პასუხი ვაგებინოთ. ასე ვფიქრობთ ჩვენ, ხოლო სხვაფრივ სჯიან ისინი, ვისაც ჩვენს ავსა და კარგზე თვალ-ყური უჭირავთ: ისინი მთელ ერს სთვლიან დამნაშავედო!!“

„ფიცი მრწამს, მაგრამ ბოლო მაკვირებსო“ სწორედ ამაზე არის ნათქვამი. ბ-ნ ნ—ლს სიტყვით სწამს მთელი წოდება და ერის პატიოსნება, ხოლო მის ლოლიკას თუ გავყევით, პირდაპირ იმ დასკვნას მივადგებით, რასაც ის ჩვენი ქვეყნის ორგულებს უსაყვედურებს. შეიძლება გაიკვიროთ ეს, მაგრამ



ნამდვილად კი ასეა. როგორც ვიცით, ბ-ნი ნ—ლის აზრით ავაზაკობენ იმისთვის, რომ „თავისას რა სჯერდებიან“, ე. ი. მეტის შეძენის სურვილი არის მიზეზი ავაზაკობისო. ამნაირი სურვილი, თავის ქონების უკმარობა, საშინლად გაძლიერებულა მაგ. ევროპის ხალხთა შორის. აქ ხშირათ ასობით და ათასობით რჩებიან ულუკმა-პუროდ, იბრძვიან თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ყველას სურს ნაკლები გაისარჯოს და მეტი აიღოს, მაგრამ ავაზაკობას და სხვის ძარცვა-გლეჯას არ მისდევენ და ამით თავს არ ირჩინენ. ერთგვარ მიზეზებს მოსდევენ ერთგვარი შედეგები. თუ ბ-ნი ნ—ლის მიერ ნაჩვენები „მიზეზი“ ქეშმარიტია, რატომ ჩვენში თავის ქონების უკმარობა ავაზაკებს ჰქმნის და ევროპაში პატიოსან მოქალაქეს? ბ-ნი ნ—ლი ამას არ ეხება იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ამ გვარ კვლევას „მიზეზთა მიზეზის“ ძებნას უწოდებს, რაც სავალდებულო არ არის პუბლიცისტიკისათვის (131) (არც პუბლიცისტიკობაა, ბ-ნი ნ—ლო, სავალდებულო). რადგანაც ჩვენი მწერლობა ამ გვარ კითხვებს უფრთხის მაშინ, როდესაც აქ არის გამონასკული ყველა ძაფები ჩვენი ახლანდელი ცხოვრებისა, ცხადია გარეშენი არ გამოარკვევენ და მზა-მზარეულად ლამბაქზე არ დაგვიდებენ. პირ-იქით ესენი ისე ფიქრობენ, როგორც სასარგებლოა იმათთვის. ვინ არის წინააღმდეგი, ამხსნელა? ბ-ნი ნ—ლისთანა მკვლევარი კიდევაც ეხმარება იმათ. მართლაც თუ კი სხვაგან „თავისას არ სჯერდებიან“, მაგრამ მაინც არ ავაზაკობენ, აშკარა არ არის, რომ ჩვენი

ხალხი უფრო ავაზაკობისკენ ყოფილა მიდრეკილი, ვინემ მოქალაქობისაკენ? უკმარობა თავის მდგომარეობისა მუდმივია, მაშასადამე ავაზაკობასაც ბოლო არ ექნება. ამ შემთხვევაში რაღა გვეთქმის ჩვენი ორგულების წინააღმდეგ. მაგრამ მადლობა ღმერთს, ბ-ნ ნ—ლის ლოდიკას მოკლე ფეხები აქვს, მიზეზად ავკაცობისა სრულიად სხვა პირობებია, რომელნიც დროებითი და წარმავალია; თუმცა ის, რასაც ბ-ნ ნა—ლი ასახელებს (თავისას არ სჯერდებოდა) განუწყვეტლივ არის და იქნება.

ბ-ნი მაზაკვალი სხვათაშორის ამბობდა: ავაზაკობის მიზეზის მკვლეველმა მხედველობაში უნდა მიიღოს ერის შეხედულება საზოგადოებრივსა და კერძო ქონებაზე, რა მიაჩნია პირად და საქვეყნო საკუთრებადო; ამასთანავე ერთი ისტორიული მაგალითიც მოიყვანა: მეთვრამეტე საუკუნეში კახეთში მთავრობდა სპარსეთის მიერ დაყენებული მთავარი. მისი ხაზინა ერევნიდან წამოდებული გაძარცვეს კახელებმაო და ეს ქვეყანამ სიყოჩაღეში ჩამოართვაო. ბ-ნ ნა—ლს, ყველგან თანხმობის და წესიერების მეძიებელს, ეს შენიშვნა არაფრათ ეპიტნავა და პასუხის მიცემის მაგიერ გაიძახის: „არა, ბ-ნო მაზაკვალო, რაც უნდა მიზეზი უპოვოთ ამა თუ იმ ავაზაკობას, რაც უნდა სარჩული დაატანოთ, ამ მიზეზის კვლევა-ძიებაში ისეთი ისტორიკოს-არქეოლოგოსი მიიშველოთ, როგორც „კვალის“ თანამშრომელი ბ-ნ გ. წერეთელი ბრძანდება (ესეც ბ-ნ ნა—ლის ლიტერატურული ზრდილობაა), იმას მაინც ვერ დაგვიმტკიცებთ, ვითომ ჩვენი ერი დანაშაულობად

არ სთვლიდეს უცხო მგზავრის მოკვლას, ფოსტაზე  
 თუ რკინის-გზის მატარებელზე თავ-დასხმას!! . ეს  
 არის ბ-ნ ნა—ლის ლოდიკა. მისი აზრით, ვინც კი  
 მოვლენის მიზეზს იკვლევს, ის უთუოდ ამართლებს  
 თვით მოვლენას. რაკი ბ-ნმა მაზაკვალმა თქვა, ავა-  
 ზაკობას ღრმა მიზეზები აქვს და საჭიროა ამის ცო-  
 დნაო, ბ-ნ ნა—ლს მოეჩვენა, ვითომ მაზაკვალი  
 ამტკიცებდეს ჩვენი ხალხი ამართლებს ავკაცობასო.  
 საიდან გამოიყვანა ეს დასკვნა? ალლახმა უწყის.  
 ბ-ნი ნა—ლი რომ აკავშირებდეს აწმყოს წარსულ-  
 თან, მაშინ კარგათ გაიგებდა ბ-ნ მაზაკვალის აზრს,  
 მიხვდებოდა, რომ ამ საუკუნეში დიდი ნახტომი გა-  
 ვაკეთეთ და ნორმალური მიმდინარეობა აირია. ამის  
 ნაყოფს კარგა ხანია ვმკით. ბ-ნ ნა—ლი ხომ ამ ის-  
 ტორიულ მოვლენას ხელს აფარებს, აქ არაფერიო,  
 ვერ წარმოუდგენია, თუ რა გავლენა უნდა ჰქონ-  
 დეს ამ ფაქტს ავ-კაცობაზე. ალ. ყაზბეგი მთელი  
 თავის სიცოცხლეში ამას არკვევდა, მისი მქვერ-მე-  
 ტყველური თხზულებები სავსეა ყაჩაღებით, რომელ-  
 ნიც ნაყოფი არიან გარეშე უცხო ძალადობისა. მა-  
 ვრამ რა გამოვიდა? კარგს მთქმელს კარგი გამგო-  
 ნე უნდა. განსვენებულ ყაზბეგს უეჭველად ეგონა,  
 ქვეყანას მოვფინე ჩემი მოქღვრებაო. თურმე, ნუ  
 იტყვიოთ, მწერლებსაც არ შეუგნიათ\*). ესენი აღია-  
 რებენ თავის თავს ერის ღირსების დამცველად! აი,

\*) ახალ მწერლობაში იხილე ნინოშვილის „სიმო-  
 ნა“, სადაც ჩინებულად არის შეზავებული ორი ფაქტო-  
 რი: სოციალური და პოლიტიკური, როგორც მიზეზნი  
 ყაჩაღობისა. აგრეთვე მოთხრობა „ყაჩაღი“, „კვალში“.

ამათ შესახებ ლაპარაკობს ჩვენი პოეტი აკაკი:

„მელა მექათმეთ დამდგარა,  
 მწყემსობას ჩემობს მეგლიო,  
 ეშმაკი ეშმაკს პატიუობს  
 „სასუფეველში გელიო“...“

კიდევ ორი სიტყვა ბ-ნ ნა—ლის შესახებ. ყველაზე უფრო ბ-ნ მაზაკვალის წერილში ჩვენი მოკამათე ერთ სიტყვას დაუფრთხია, ეს არის ევოლიუცია. აი, მაზაკვალის სიტყვები: „უეჭველათ აქ ხდება მსოფლიო ევოლიუცია, სადაც თითოეული კაცის შრომა, განვითარება, ძალა და ღონე ამოავერას გახდება... ამაზე შეშინებული ბ-ნი ნა—ლი კითხულობს: „ეს რომელი ევოლიუციაა, სადაც თითოეული კაცის შრომა, განვითარება, ძალა და ღონე ამოავერას გახდება“... რომელი? თვალწინ **გაქვთ** და თუ ვერ ხედავთ, ვისი ბრალია. აი, მაგალ. ჩვენი მწერლობა, საზოგადოება, მთავრობა იმის ზრუნვაშია, რომ რამე ნაირად თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, აღადგინოს. მიუხედავად ამისა იგი წოდება დღითიდღე ნივთიერად ეცემა და წერილმანდება. ცხადია, აქ არის ისეთი ევოლიუცია, სადაც ყოველივე ძალა და შრომა ამოავ.—ჩვენ ცხოვრებაში უცებ შემოვარდა ფულის საჭიროება, ამის შესაფერად მოვნის სახსარი, ანუ შრომა, არ განვითარებულა. ფული გჭირია, უნდა იშოვო, თუ კანონიერად არ შეიძლება შეძენა, სიყალბე იხმარე, მოიპარე. ასეთია ცხოვრების პირობები. ხოლო ფული რომ საჭირო შეიქმნა, ამის მიზეზი ჩვენ არა ვართ. აი, აქ მოქმედობს თქვენი საფრთხობი მსო-

ფლიო ევოლიუცია, რომლის წინაშე ვერავითარი ქადაგება, ჩოთქი ისწავლეთ და თავისას დასჯერდითო, ვერ გასჭრის, ყოველივე თქვენი ოხვრა-გოდება უნაყოფოა. საფრანგეთში მე-XVI საუკუნიდან დაწყებული სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო იმისაკენ, რომ თავად-აზნაურობა ყოფილიყო ქვეყნის სათავეში და პირველობა ჰქონებოდა. წინააღმდეგ ამისა არა თუ აზნაურობა, მისი მფარველი შეფობაც კი მოისპო. აშკარაა, ისეთი ევოლიუცია ყოფილა, სადაც თითოეული კაცის შრომა (და ისიც გვირგვინოსანისა), ძალა და ღონე ამოა, ვერას გახდება. ეს ყველამ იცის ბნ ნა—ლის მეტმა. ბნ ნა—ლი მაზაკვალის მოსაზრებას უწოდებს ახირებულ ფილოსოფიას, რასაკვირველია, იმისთვის, ვინც ყოველგან თანხმობას ეძებს და წესიერებას ამყარებს, ამ გვარი ფილოსოფია ახირებულია.

ბ-ნი ნა—ლი თავის წერილის ბოლოში ამბობს: „პეტრიძეს ბატონ-ყმობის აჩრდილი მოჩვენებიაო“. ბ-ნი ნა-ლი რომ ყოველგან თანხმობას და წესიერებას არ ეძებდეს, მის გარეშემო ადვილად დაინახავდა იმ მიდრეკილებას, რომელიც ვითომ-და ჩვენ მოგვჩვენებია. მწერლობა დღე-მუდამ ბატონ-ყმურ აზრებს ჰქადაგებს და ბ-ნი ნა-ლისთვის ეს მოჩვენება ყოფილა. მიუტევეთ ბ-ნი ნა-ლს, ვინაიდან არა უწყის, რასა იქმს. შორს რომ არ წავიდეთ ავილოთ „მოამბის“ ის ნომერი, სადაც ბ-ნი ნა-ლის წერილია მოთავსებული. სწორედ ამ წერილის ბოლოში იწყება ბ-ნი ნიკოლაძის „შინაური მიმოხილვა“, ერთიანად ბატონ-ყმური გრძნობებით გაჟღენთილი.

ბ-ნ ნიკოლაძის მოწმობით ბატონ-ყმობის გაუქმება აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა, მაგრამ მთავრობამ „თავად-აზნაურობის სარგებლობა კი მიივიწყა“. გათავისუფლებული გლეხი წელში გამაგრდა, მისი ნაბატონარი ჩამოქვეითდა. ხალხი გამოფხიზლდა, გამოიღვიძა და ზოგან უწესოებაც მოახდინა. ამით. ისარგებლეს ბატონ-ყმობის მომხრეებმა (რუსეთში) და ჩააგონეს, ვისაც ჯერ იყო, უწესოების მიზეზი ბატონ-ყმობის მოსპობა, თავისუფლება არისო. ამ გზას დაადგა რუსეთის მწერლობის ერთი ნაწილი. აზნაურობისათვის ყმების ხელახლა დაბრუნება შეუძლებელი საქმეა. „ამას მართლაც აღარავინ ფიქრობს, მაგრამ ამას გარდა რაც კი მოხერხდება, ნატრობენ და ცდილობენ აზნაურობის ნივთიერი მდგომიროება და გავლენა გააუმჯობესონ: ვალები შეუმსუბუქეს, იაფი კრედიტი დაუარსეს, პოლიტიკური გავლენა მოუმატეს, ადგილობრივი პოლიცია ერთიანად მას ჩააბარეს და სხ.“ (143—144). ამ მიმართულებას რუსეთის მოწინავე მწერლობა წინააღმდეგა და ბატონ-ყმური მიმართულება უწოდა. ბ-ნ ნიკოლაძე ამ მიმართულებას მიჰყვებოდა და თავს იმით იმართლებს, რომ ჩვენში აზნაურობის რიცხვი დიდია, რუსეთში კი ცოტააო, ამისათვის იქ „ქეშმარიტებას ლაღადებენ მოწინავე მწერლები: მთელ ხალხს, მთელ ერს რა მოუხდება—ამაზე უნდა იყოს მიქცეული მწერლობის და ქვეყნის ყურადღება და მეცადინეობაო. ერთი განკერძოებული წოდების საქმე განა მთელი ერის საქმეაო?“ (145) აი, რა ნაირად სურს ბ-ნ ნიკოლაძეს

წყლიდან მშრალად ამოსვლა. რუსეთში მთელი ერი-  
 თვის უნდა ზრუნავდენ, ჩვენში კი ერთი წოდე-  
 ბისთვისო. იქ პროგრესისტი უნდა იყო, აქ კონსერ-  
 ვატორიო. ამაზე იტყვიან ფრანგები; „deux poids  
 et deux mesures“.

მივუბრუნდეთ ბ-ნ ნიკოლაძის საბუთებს. ჩვენში  
 ათ და ზოგან რვა ადამიანზე ერთი აზნაური ითვლე-  
 ბა; ამდენ აზნაურობას ერის ცხოვრებაზე დიდი გავ-  
 ლენა აქვს. ეს „ერთობ მძიმე, აუტანელი ტვირთია  
 ხალხისათვის“). ვისაც ამ ხალხის სვე აწუხებს, ვისაც  
 მისი დახმარება სურს, იმას ჩვენში არ შეუძლია აზ-  
 ნაურობის მდგომარეობას არ მიაქციოს ყურადღება  
 და აზნაურობის ბედის გაუმჯობესობაზე არ იმეცადი-  
 ნოს“... (746) ხალხის მომხრეც ასეთი უნდა! ხა-  
 ლხის სარგებლობა მოითხოვს აზნაურობას პოლი-  
 ცია ჩააბარო და რვა გლესს ერთი აზნაური—პოლი-  
 ციელი მიუჩინოვო. ბ-ნ ნა—ლს რომ ჰკითხოთ, ეს  
 ბატონ-ყმობას არ მოასწავებს, ჩვენის აზრით კი, უა-  
 რესიც არის და, აი, რათა? ბატონ-ყმობის დროს  
 ბატონს თავის ყმების შესახებ თვითონ უნდა ეზრუნა,  
 ყმის სიკვდილი ბატონის ზარალი იყო. ბ-ნ ნიკო-

\*) რადგანაც ბ-ნ ნა-ლი ყოველგან თანხმობას ეძებს  
 და წესიერებას ამყარებს, ამისათვის ერთ კითხვას მივ-  
 ცემთ: შეარიგეთ ზემო მოყვანილი აზრი ბ-ნ ნიკოლაძისა  
 იმ აზრთან, რომელიც გამოთქმულია „მთამბეში“ დაბე-  
 კდილ წერილში: „ეკონომიური წარმატება და ერო-  
 ვნება“. აქ ავტორი ამბობს: ჩვენი ერი იყოფა ორად.  
 ერთი მხრით არის მდიდარი თავად-აზნაური და გამდი-  
 დრებული გლეხობა, მეორე მხრით გაღარიბებული თავ-  
 ვად-აზნაურობა და ღარიბი გლეხობა.

ლადის პროექტით აზნაურს ისეთი ყმა უჩნდება, რომლის სიკვდილ-სიცოცხლეზე, საქმელ-სასმელზე არავითარი ზრუნვა არ არის საჭირო. იმის მაგიერ რომ ხალხი გონებრივად და ნივთიერად აღორძინდეს, მონურ გრძნობებისაგან გათავისუფლდეს და სამოქალაქო ასპარეზზე გამოვიდეს, ჩვენი „გამოჩენილი პუბლიცისტი“ თხოულობს ამოდენა აზნაურობა პოლიციურ უფლებით აღჭურვილი მის (ხალხის) კისერზე დააჯინონ\*\*). მადლობა ღმერთს, რომ ასეთი სათავად-აზნაურო პოლიცია ჩვენში ჯერ არ არსებობს. ბ-ნი ნიკოლაძე კი ჯერ ამაზე ძალიან სწუხს, რიგიანი პატრონი არ გვყავდა; თორემ ასეთი „მარცხი არ დავგემართებოდა“, ეს სანატრელი უფლება აზნაურობამ ვერ შეიძინა თავის დროზე, „შემთხვევა ხელიდან გაუშვაო“ (147). თუ ბ-ნი ნიკოლაძეს მთელ ერზე სტკივა გული, რიღასთვის უმორჩილებს უმრავლესობას უმცირესობას? ცხადია, ერი, ხალხი სიტყვის მასალაა, მკითხველის თვალის ასაბნევეა. ამას გარდა ბ-ნი ნიკოლაძე თხოულობს თავად-აზნაურობას ვალი შეუმსუბუქდეს. კარგი და პატიოსანი. ჩვენ ძლიერ მოხარული ვართ, თუ ღარიბ კაცს, აზნაური იქნება, თუ გლეხი, ცხოვრების ტვირთს შეუმსუბუქებენ; მაგრამ საქმე იმაშია, მართლა ღარიბნი ისარგებლებენ ამით? კარგია სწორეთ, შეძლებულ

\*\*\*) მაშასადამე ხალხის ტვირთს შეადგენს არა მთელი თავად-აზნაურობა, არამედ მისი შეძლებული ნაწილი. წვრილი აზნაურობა (უმრავლესობა) ისეთივე დაჩაგრულია, როგორც გლეხობა, მაშასადამე ამათ ორივეს ერთნაირი წამლობა უნდა...



თავად-აზნაურობამ მამული აგირაოს, აღებული ფული აქეთ-იქით ფანტოს და ბოლოს მთავრობას დაუჩოქოს, მომეხმარე, ვალი შემიმსუბუქეო. ეს ხომ მუქთა-ყოფნობის, უშრომლობის წახალისება იქნება. ბ-ნი ნიკოლაძე ამბობს, მთავრობა ფულს გარდა არაფერს არ ზოგავს თავად-აზნაურობის ასადგენათო (143). ვალების შემსუბუქება იგივე ფულის მიცემა არ არის? ჩემ მაგიერ თუ სხვა გადაიხდის, ეს ნამდვილად ფულის მიცემაა. მართალია, შეიძლება ბრძანება გამოვიდეს: ამა და ამ მსესხებელს მაგ., თავნი გადაახდევინეთ და სარგებელი აპატივეთო. მაგრამ ეს ხომ გამსესხებელის, ანუ ბანკის ჯიბეს აკლდება, თუ ბანკი სათავად-აზნაუროა, მაშინ ეს წოდება ჰკარგავს იმას, რაც საზოგადო საჭიროებას უნდა მოხმარდეს და არა ერთი მსესხებელისას. თუ ბანკი სახელმწიფოა, ხაზინა ზარალობს და, რადგანაც ხაზინა ხალხის გადასახადისაგან შესდგება, ცხადია ეს გადასხდელი ზარალობს.

ბ-ნ ნიკოლაძის აზრით „აზნაურობისთვის ერთად-ერთი უტყუარი, საყოველთაო საშუალება მართო შრომაა, მაგრამ საუკუნოების მემკვიდრეობას (ე. ი. უშრომლობასო) ასე მალე ვერავინ შესცვლის... მეტადრე თუ შრომას არავინ შეაჩვევს, შრომის იარაღს არავინ უშოვის“... (146). რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, როცა ვალებს შეუმსუბუქებენ, უშრომელი აზნაურობა შრომას მიჰყოფს ხელს? იმ აზნაურებს, რომელთაც ბ-ნ ნ —ლის მოწმობით, „შრომის და გარჯის უნარი არ მოსდევთ“ (რასაკვირველია

ჩვენი პუბლიცისტები ცილს სწამებენ მთელ წოდებას, წვრილი აზნაურობა დიალაც (შრომობს), რა ნაირად გადაახალისებს „მთავრობისაგან ხელის გაწყობა?“ ტარიელ მკლავაძეს რომ დაგირავებული მამული დაუხსნა, მშვიდ და მშრომელ მოქალაქეთ გადაიქცევა? მეორე დღეს ხელ-ახლა არ დააგირავებს? „ნეტარ არიან მორწმუნენი!“

ამ გვარად, ჩვენი „გამოჩენილი“ პუბლიცისტი იმის მაგიერ, რომ ერს და თავად-აზნაურობას თვით-მოქმედებას, თავის ძალ-ღონეზე დამყარებას უქადაგებდეს, —მათხოვრობას, ხელის გაშვერას, სხვისი იმედით ცხოვრებას ურჩევს. ამ აზრით იყვენ გამსჯელულნი ამ საუკუნის დამდეგს ჩვენი შეძლებული თავად-აზნაურნი, რომელნიც ჯილდოს და მოწყალების მეტს არას დაგიღვედენ...

ვინ ქადაგობს ადამიანის ამ გვარ გამათახსირებელ, ეროვნული და პიროვნული თავმოყვარეობის დამამცირებელ აზრებს? —წარმომადგენელი იმ თაობისა, რომელიც ამ ოც-და-ხუთი წლის წინათ გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე „ახალი აზრით აღჭურვილი, ახალი სინათლის მომფენი, ახალი სიმართლის მეძიებელი, ახალი წესის დასაარსებლად მეომარი... ამ დროს მოწინააღმდეგეთ დაუხვდა მთელი რაზმი ძველი თაობისა, ბრძოლა უზოგავი ატყდა ორივე მხრითა; მაგრამ ყველა გრძნობდა და ხედავდა, რომ აქ ორი მიმართულება, ორი რწმენა, ორი ეპოქა ედავება ერთი მეორეს, ედავება იმის თაობაზე, რომ წინ გაიტაცოს, ან უკან დაჰხიოს „ქვე-

უნის ბედი“. პირადი არაფერი ერია ამ აღმტაც ბრძო-  
 ლაში, რომელმაც ხალხის მოქმედების ასპარეზიც გაა-  
 ფართოვა, მისი წინ-მსვლელობის გზა და კვალი გა-  
 მოიკვლია და ბევრი ახალი დაწესებულებაც შე-  
 კქმნა“... ამას გვეუბნება თვით ბ-ნი ნიკოლაძე (იხ.  
 „მოამბე“ № 6 „შინაური მიმოხილვა“) \*). ჩვენ ეს

\*) ამ წერილში ბევრი სადავო აზრებია გამოთქმუ-  
 ლი, მაგრამ უადგილობის გამო აღარ ვეხებით. სხვათა  
 შორის ავტორი ამბობს: ინტელიგენციის წინააღმდეგ  
 ქადაგებენო, მადლობა ღმერთს ჩვენი ხალხი აზრს უყუ-  
 რებს და არა ჩოხასო. ვინ ჰყავს სახეში ავტორს, ძნელი  
 გასაგებია, რადგანაც მწერლობაში არ შეგვხვედრია ამის  
 მოქადაგენი. მხოლოდ მეორე წინადადებით ბ-ნი ნიკო-  
 ლაძე ჩვენს პროეტს აკაკის გადაკრავს, რომლის „კრელ-  
 მა ფიქრებმა“ ჩოხოსნებ-ფრაკოსნების შესახებ ერთი აღია.  
 ქოთი ასტეხა მწერლობაში. აკაკი ამბობდა: საჭიროა  
 ჩვენი წვრილი აზნაურობა გამოფხიზლდეს; წავიდ-წამო-  
 ვიდეს, თვალი გაახილოს და ბანკის საქმეს მარტო შეძ-  
 ლებულ აზნაურობას (ე. ი. ფრაკოსნებს) ნუ უგდებენ  
 ხელშიო. აი, ეს არ მოეწონათ იმათ, რომელნიც ბანკი-  
 დან ჯამაგირის აღებას და საერო საქმეს ერთნაირად  
 სთვლიან. კითომ და რატომ ესიამოვნებოდათ წვრილ-ფეხა  
 აზნაურობის წელში გამართვა. ეს ხომ საჯაროდ იქნა  
 აღსარებული მათი მთავარ-სარდლის მიერ. როგორც ვი-  
 ცით, ბანკის კრებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი: ბანკის იმ  
 წევრთ-დამფუძნებელთ, რომელთაც მცირე თანხა აქვთ  
 ბანკში, თითო ხმანუ ექნებათო, და დასცინოდენ ათშაუ-  
 რიან წევრს, დამფუძნებელს თავად-აზნაურთაგანს. რად-  
 განაც ამ რიგს ეკუთვნის წვრილი აზნაურობა, ანუ ჩო-  
 ხოსნები, ცხადია ამათ წინააღმდეგ გამოილაშქრა შეძლე-  
 ბულმა ფრაკოსანმა. ეს ნათელია დღესავეთ. აკაკიმ პროე-  
 ტური აღლოთი იგრძნო წინდაწინ, რაც უნდა მომხდა-  
 რიყო. ამიტომ ასე ლაზვარივით მოხვდა აკაკის სიტყვები  
 ჩვენ ბანკ—„ეროვნების“ დარაჯთ...

სიტყვები ღრმად გვწამს, დიდათ ვაფასებთ იმ თაობას, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდვა მთელ საქართველოს. შეგვიქმნა მწერლობა, შეგვიმუშავა სალიტერატურო ენა, შეებრძოლა ძველ წესებს და ჩაგრულთა მომხრეთ გამოვიდა. ერთი სიტყვით ეს თაობა იბრძოდა წინსვლის, პროგრესისათვის და თვით ეს ბრძოლა გულ-წრფელი, უანგარო იყო... მაგრამ ნება მოგვეცით, ამავე თაობის დღევანდელ მოქმედებაში ეჭვი შევიტანოთ. ეს თაობა (უკეთ ვთქვათ, ძველი დასი) დღევანდელ ცხოვრებასაც მესამოცე წლების სათვალეებით უცქერის, მაშინ როდესაც თვით ცხოვრება საშინლად შეიცვალა, დაიბადენ ახალი პირობები, აღმოცენდენ ახალი კითხვები. აი, აქ იწყება ამ დროის უკანდახვევა, ჩამორჩენა და განზე გადახვევა. ეს უკანუკან სიარული იმ წერტილამდის მივიდა, რომ ერთი ამ დასის წარმომადგენელთაგანი (აგრეთვე ბევრი სხვებიც), ბ-ნ ნიკოლაძე, იმათ ქსელში ჩავარდნილა, რომლის დაუძინებელი მტერი თვითონ იყო წინად. ეს თაობა დღეს წინად მოხვეჭილი სახელით სარგებლობს სწორეთ ისე, როგორც მოვანზე ერთხელ შეძენილი ფულის პროცენტით სცხოვრობს. ეს გარემოება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიწვევს სამოქმედო ასპარეზზე ახალ მოღვაწეთ, იმ მოღვაწეთ, რომელნიც განაგრძობენ ძველი დროის დაწყებულს, მაგრამ მიტოვებულ საქმეს, თანახმად ახალი ცხოვრებისა და მისი მოთხოვნილებებისა...



# დამატებანი

## გიგლიოგრაფიული შენიშვნა.

პირველი წერილი — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ — დაწერილია 1892 წ. შემოდგომაზე და სახელად ერქვა „რა ვაკეთოთ“. 1893 წ. იანვარში თფილისში მოხდა ახალგაზრდა მარქსისტთა კრება, რაც იყო გაგრძელება ყვირილაში მოწვეულ კრებისა, სადაც დაესწრენ — ნ. ჟორდანი, კარლო ჩხეიძე, ს. ჯიბლაძე, ეგნატე ინგოროყვა, მიხა ცხაკაია და სხვებიც, — სულ შვიდი თუ რვა კაცი. აქ, მიხა ცხაკაიას ბინაზე (მიხაილოვის ქ., სარდაფში), წაკითხულ იქნა ეს წერილი და მუხლობრივ გარჩეული. შიგ ზოგი ცვლილებების შეტანა მიენდო ავტორს; ცვლილება, ანუ უკეთ დამატება, ეხებოდა ეკონომიური არგუმენტაციის გაძლიერებას და შესაფერ ისტორიული მაგალითებით შევსებას. ამ მიზნით ავტორი დარჩა თფილისში რამდენიმე დროს, მასალები მოაგროვა და წერილი ლანჩხუთში სავსებით დაამთავრა. მაისში ის წავიდა საზღვარ-გარეთ და რადგან „ივერიაში“ ეს წერილი არ დაიბეჭდა — ავტორმა თან წაიღო ევროპაში. ამ დროს გამოცხადდა ჟურნალი „მოამბის“ გამოცემა 1894 წლიდან. ავტორმა ეს წერილი 1893 წელს ზაფხულშივე შევიცარიიდან გამოუგზავნა „მოამბეს“ იმ სათაურით, რომელიც დღეს აქვს. „მოამბის“ რედაქციაში ალ. ჟყონიამ წერილს ვერაფერი გაუკვლია, ვერ მიხვდა რაში იყო საქმე, და მსჯავრის დასადებად გაუგზავნა ქუთაისში ზდანოვიჩს. მანაც დიდხანს ატრიალა და ბოლოს დასაბეჭდად მოიწონა, მხოლოდ მას რამდენიმე ადგილი გამოეკლო წერილიდან, მიმატებით კი ერთი სიტყვაც არ მიემატებია. ამოშლილი

იყო განსაკუთრებით ეკონომიური არგუმენტაციები, დაახლოვებით ერთი მეხუთედა. ძნელია იმის თქმა, თუ რით ხელმძღვანელობდა ზღანოვიჩი ამ დროს, შეიძლება იმით რომ ისედაც საკმაო საბუთებიანო, ან უბრალო შემოკლების სურვილით, რაც ბევრ რედაქტორს ჩვეულებად აქვს. ახლა, რასაკვირველია, ამ შემოკლებულის აღდგენა შეუძლებელია, რადგანაც არც დედანია და არც შავი. წერილი დაიბეჭდა 1894 წ. ივნისის და ივლისის ნომრებში, ე. ი. ერთი წლის შემდეგ შევიცარიიდან გამოგზავნისა, ხოლო დაწერიდან წლინახევრის შემდეგ. აქედან დაინახავთ, თუ რა ძნელი იყო იმ დროს რამის დაბეჭდვა. ცენზორს წერილში სიტყვაც არ წაეშალა, თუმცა მაშინდელი ცენზორი ქართველი კათოლიკე ისარლოვი ითვლებოდა უსასტიკეს ცენზორად. მაგრამ იმ დროს ცენზორის მთელი ყურადღება იყო მიქცეული პატრიოტული ლექსების და ნაწერებისაკენ, რასაც სასტიკად სდევნიდა; მთავრობაც მხოლოდ ამგვარ ცირკულიარებს უგზავნიდა ცენზურას და ამიტომ მარქსისტული ნაწერები სახიფათოდ არ მიაჩნდათ ჩვენში.

მაშინდელ მკითხველებში წერილმა დიდი გაუგებრობა გამოიწვია, რაც აიხსნება იმით, რომ ის გარდა მარქისტებისა არავის არ ესმოდა. „ივერიამ“ ვერ გამოარკვია თავისი დამოკიდებულება წერილში გამოთქმულ პრინციპებთან, ამიტომ წინააღმდეგ თავისი ჩვეულებისა არჩია გაჩუკება. მის წინააღმდეგ გამოილაშქრა მხოლოდ ფხამ (ი. ფანცხავამ), კვალის თანამშრომელმა, და დაბეჭდა მთელი რიგი წერილებისა ამავე გაზეთში. პასუხად გამოქვეყნდა ნ. ჟორდანიას „კრიტიკის კრიტიკა“, რამაც გამოიწვია ფხას „კვალიდან“ გასვლა.

## პარბა ხნის წინაღ (მოგონება)

...მამებმა შვილებს დაუთმეს ადგილი. პირველი უმადურობა მამაშვილობაში „ცისკარშივე“ ასტყდა, იმ „ცისკარში“, რომელიც უფრო ჯოჯოხეთის კარია, ვიდრე ცისაო“, როგორცა სთქვა შვილების მაშინდელმა ერთ-ერთმა ლიდერმა.

გავიდა ხანი და სამუდამოდ დამარცხებული მამები მიჩუმდნენ. ახალმა, ნორჩმა თავისი გაიტანა. ასეთია წესი ბუნებისა. ისტორიას უკუღმა ვერავინ შეაბრუნებს.

შვილებმა „დროება“ და „ივერია“ გაიჩინეს. მათ გარშემო შემოკრბა, საცა ვის უცემდა გული სამშობლო ქვეყნისათვის, ვისაც გულ-წრფელად უნდოდა საზოგადოებრივი მსახურება.

გარემოებამაც ხელი შეუწყო შვილებს. ბატონ-ყმობა გადავარდნილი იყო. შვილთა ლაშკარი დღითი დღე მატულობდა და ახალ აზრები, ახალნი მოძღვრებანი სამოციანის წლებისა, ნელ-ნელა, მაგრამ საკმაოდ ბეჯითად ვრცელდებოდა საქართველოში. ბატონ-ყმობისაგან დაჩაგრული ხალხი, ახლა პირადის თავისუფლებით შემოისლი, ნელ-ნელა ერკვეოდა ძილისაგან, ნელ-ნელა ისწორებდა ფრთებს და ლამობდა საასპარეზოდ გამოსვლას.



მალე რუს-ოსმალთ ომიც გათავდა და ბათო-  
 მი რუსეთმა შემოიერთა. ომმა და ბათომმა დიდად  
 აამუშავა ქვეყნის ეკონომიურნი და საწარმოვო ძალნი.  
 გონებრივი და ლიტერატურული შემოქმედებაც  
 გაძლიერდა.

შვილები ზეიმობდნენ. მაგრამ მათს ზეიმს, მათს  
 სიხარულს რაღაცა ბინდ-ბუნდი ჩრდილავდა. ჰგრძნობ-  
 დნენ, რომ დიდი ვეშაპი, რუსეთის ცარიზმის სა-  
 ხით, თავს აწვა მათს „მშვენიერს, მაგრამ უბედურს“  
 საქართველოს და ძალ-ღონე არ ჰქონდა მის დასა-  
 ძლევად.

ამ დროს გაისმა შვილი-შვილების ხმა:

ვინა სთქვა საქართველოზედ,  
 ეს არის ლომი ჰკვდებაო!...

ღიად, ბევრს ეგონა ველარა იხსნის-რა საქა-  
 რთველოსაო, მაგრამ ეს იმას ეგონა, ვინც ცხოვ-  
 რებას ღრმად არ აკვირდებოდა, მის სიღრმეში დიდს  
 დუღილს ვერ ამჩნევდა, ან არ უნდოდა შეემჩნია.

ჩნდებოდა ახალი ძალა, ძალა დემოკრატიისა, სა-  
 ასპარეზოდ ეპირებოდნენ გამოსვლას „გვირისტიით  
 შეკერილნი და არა ბამბის ძაფით დაბლანდულნი“.  
 იბადებოდა მღვევი, იღვიძებდა ხალხი, ძლევა-მოსი-  
 ლი დემოკრატია.

შვილი-შვილების დასი, ესრეთ-წოდებული მე-  
 სამე დასი მაშინ ჯერ ისევ რიცხვ-მცირე იყო. მათ  
 მოიყარეს თავი გიორგი წერეთლის „კვალში“. ჯერ  
 გაუბედავად, კანტი კუნტად გაისმა მისი ხმა, სულ  
 სხვა ჰანგზედ აგებული. მერე დასმა თან-და-თან ლო-

ნე მოიკრიბა და უფრო მედგრად შეეჭიდა ცხოვრებასა და ლიტერატურაში გაბატონებულს მოძღვრებათა კომპლექსს.

იმ დასში იყვნენ დღევანდელნი ჩვენი ნაცნობნი ახალ გაზდანი. ამ დასის მეთაური და თეორეტიკოსი იყო ნოე ჟორდანია.

მან თავისი პირველი პროგრამული წერილი „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ „ივერიაში“ მოგვიტანა. ალბათ იმიტომ, რომ დიდი იყო და კვირეული გაზეთ „კვალში“ დიდხანს მოუნდებოდენ მის ბეჭდვას.

პირადად მე ჭკუაში დამიჯდა წერილი ავტორისა, შეხედულობა მისი წარსულზედა და, თუმცა სავსებით არ ვიზიარებდი ყოველ მის აზრსა და დებულებას, უმთავრეს პრინციპს მაინც თანაგრძნობით მოვეყიდე და მზად ვიყავ დამებეჭდა. მაგრამ მარტო ჩემით არა იქნებოდა-რა. წერილი პუბლიცისტური იყო, პროგრამული, თითქმის ისეთივე, როგორც ცოტა წინად დაბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ (1882 წ.) განსვენებულმა გ. მაიაშვილმა (ზდანოვიჩმა). შეეხებოდა ისეთ მძიმე და პასუხსაგებ საგანს, როგორც არის გამორკვევა მაშინდელის ჩვენის ვითარებისა, გამორკვევა იმისი, თუ რას გვასწავებდა წარსული, რას გვეუბნებოდა ჩვენი ისტორია და რა გზას უნდა დავსდგომოდით შემდეგში. ასეთი წერილი კი მარტო მე არ შემიძლო განმეხილა და დამეძლო მსჯავრი, დაიბეჭდოს თუ არა. ფორმალურადაც-კი არა მქონდა ამისი ნება.

ამიტომ წერილი რედაქტორს მივართვი. რედაქტორმა წაიკითხა და გადაჭრით მითხრა, ვერ დაბეჭდავო. ცხადია, ილია ქავჭავაძე ვერ დაჰბეჭდავდა იმ წერილს, რომლის უმთავრეს, ძირითადს აზრს დიდხანს ებრძოდა შემდეგ, „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით, როცა დასვლები წელში გასწორდნენ, მეტი ძალა იგრძნეს, და საჭიროდ დაინახეს ამხედრებულიყვნენ არა მარტო ილიას დროშის, არამედ თვით მისის ავტორიტეტის საწინააღმდეგოდაც, რათა ეს ახალის პატრიოტიზმის მამაც ისე დამარცხებულიყო, როგორც დამარცხდნენ ილიას იერიშებით ძველებურის პატრიოტიზმის ლიდერები: გრ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი და სხვა მათი მიმდევარი...

მას შემდეგ დიდხანს აღარ დავრჩენვილვარ „ივერიის“ რედაქციაში წამოვედი იქიდან მაგრამ პროფესია მაინც ვერ გამოვიცვალე. ახლა სხვა რედაქციაში ამოვყავ თავი. ის იყო ახლად დაარსდა ჟურნალი „მოამბე“ და იქაც მდივნობის თანამდებობა ჩამბარდა. სწორედ ის ხელნაწერი, რომელიც ილიამ არ დაჰბეჭდა, რითაც მე ცოტა არ იყოს გულ-ნაკლული ვიყავ, ახლა კვლავ ჩემს ხელში იყო. „მოამბის“ რედაქტორს განსვ. აღ. ჭყონიას ნება დავართო, დაიბეჭდოსო. ადვილად წარმოსადგენია, რა სიამოვნებით ვიკისრებდი, ვითა მდივანი, იმ ჩემ ნაცნობ ტრაქტატის დაბეჭდვას. \*)

ღიად, ბედმა ასე განაგო და ისევ მე მხვდა წილად იმ საყურადღებო და საპროგრამო წერილის დაბეჭვდა, რომელიც წინ გაიმძღვარეს შემდეგ მესამე დასვლებმა და დაიწყეს თვისი საქმიანობა.

გრ. ყიფშიძე.

\*) როგორც ზემოდ, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში არის აღნიშნული, წერილი დაბეჭდვის წინ გადაცემული ჰქონდა მსჯავრის დასადებად გ. ზდანოვიჩს. რედ.

# „კვალ“ და მესამე დასის მწერლები.

(ჩვენი ლიტერატურული ილლიუზია)\*).

(1895 წ.)

წერილი პირველი

Тетеравамъ не летать по деревьямъ.

შვიდ მაისს გასულ წლისას გაუმადლარმა დედამიწამ მიიბარა თავის ცივ მკერდში გაცივებული გვამი ახალგაზდა ბელეტრისტის ეგ. წინოშვილისა. აგრე უცბად დაკარგვამ სალიტერატურო ასპარეზზე ახლად გამოსული მწერლისა გამოიწვია, როგორც მოსა-

\*) სარედაქციო კოლეგიამ, თინახმად ჩვენი ავტორის სურვილისა, საჭიროდ დაინახა ამ ტომის დამატებაში მოგვეთავსებინა საპოლემიკო წერილები—ს. ჯიბლაძისა და ყაიბისა, რომლებიც შეეხებიან იმავე საკამათო საგანს, რასაც ჩვენი ავტორის საპოლემიკო წერილები. ეს წერილები, ვფიქრობთ, გაუადვილებს მკითხველს უფრო ნათლად წარმოიდგინოს ის პირობები, რომელშიაც უხდებოდათ მუშაობა მესამე დასის პირველ მოღვაწეებს.— უნდა აღვნიშნოთ, რომ თითონ წერილის ავტორები, როცა დავეთახმდნენ მათი სჯატიების ამ გამოცემაში მოთავსებას, ერთნაირ უხერხულობას გრძნობდნენ იმ ზოგჯერ გადაჭარბებულ მწვავე ტონისათვის, რასაც ადგილი აქვს მათს სადებიუტო წერილებში. მაგრამ ასეთი გადაჭარბება ხომ ყოველ ახალ დასს ახასიათებს, როცა იგი, ახალი იდეებით გატაცებული პირველად გამოდის სამოქმედო ასპარეზზე. წერილები იბეჭდება უცვლელად, რადგან სწორედ ის, რაც ეხლა შეიძლება ნაკლად ჩაითვალოს, ახასიათებს მათ. როგორც ერთნაირ ისტორიულ დოკუმენტებს.





ნელოვანი არ არის, რამდენათაც მისი ორგანიზატორული მოქმედება. რამდენადაც დრო მიდის, იმდენად უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს ადამიანი შემკული ყოფილა დიდი ბუნებრივი ნიჭითა და ზნეობის ძლიერებით. ჩვენ ამით არ გვინდა, რასაკვირველია, ვთქვათ, რომ ნინოშვილს თავისი ნიჭის შესაფერი განვითარება ჰქონოდა. ამისთვის დრო იყო საჭირო. მკითხველმა კი კარგად იცის ეგნატე ნინოშვილის მწარე ბედი, იცის რა გვიან გამოფონა მან ცხოვრების კუპრის მორევიდან, — რა გვიან მიჰყო ხელი თვით-განვითარებას. ძალა ნინოშვილის ბუნებრივი ნიჭისა მასში გამოიხატა, რომ რის ამოკითხვაც ვერ მოასწრო მან წიგნებიდან, ამოიკითხა ცხოვრების სიღრმიდან, მისი ცოცხალი ფაქტებიდან, ამ საიმედო და უტყუარი წიგნიდან. ერთი მხრით ამ გარემოებაში და მეორე მხრით ნინოშვილის ზნეობრივ ძლიერებაში უნდა ვეძებდეთ მიზეზს მისი ზე-გავლენისას მასზე ბევრათ ნაკითხსა და განვითარებულ ირებზე. საქმე კიდევ იმაშია, რომ ნინოშვილი თავის-ბელლეტრისტულ ნიჭს ძალიან ეჭვის თვალით უცქეროდა. ამისთვის მისი მოთხოვნები თითქმის ყველა გამოწვეულია უფრო შემთხვევით, ვინემ წინდაწინ მოსაზრებით. ის ხედავს რაიმე გულ-შემშარავ საზოგადოებრივ მოვლენას, მაგ. მოსე მწერლის უნამუსო გაიძვერაობას, მის ზნეობრივ გახრწნილებას, ძალა უნებურად ხელში კალამს იღებს, უბრალო ფელეტონის დაწერა უნდა, მაგრამ მის უნებურად მოთხოვნა გამოდის. აი, სად მარხია მიზეზი იმ მწერლობაში საუცხოვო მოვლენისა, რომ არც ერთი

პირი არც ერთ მის მოთხოვნაში არ არის ნაკოფი უქმი ფანტაზიისა. მის მოთხოვნებში დასურათ-ხატებულნი ტიპნი—ყველა ცოცხალი პირებია, ყველას მათ პირადად იცნობდა ჩვენი ძვირფასი ეგნატე. რომ კიდევ ვგრძნო სავსებით თავისი ბელლეტრისტული ნიჭი, ე. ნინოშვილი მაშინაც ვერ მიაქცევდა უმთავრეს ყურადღებას მწერლობითი მოქმედებას. როგორც იცის მკითხველმა, ის მეტეორივით გამოცურდა ჩვენი ცხოვრების პორიზონტზე, გამოცურდა იმდენად სუსტი ხორციით, რამდენადაც ძლიერი იყო სულით. ქკუიანი ადამიანი, ის კარგად ხედავდა ამ დისონანსს ამ ორ ნაწილთა შორის, ხედავდა, რომ მისი დაქლეჩებული ხორცი დიდხანს ვერ ატარებდა მის ლონიერ სულს. ამისთვის გაორკეცებული ენერგიით მიეზიდებოდა ის ცოცხალი, პრაქტიკული მოქმედებისაკენ ახალგაზღაათა შორის, თითქოს ნდომოდეს თავისი სულისათვის ახალი ბინის მომზადება. ეგნატეს დაუშრეტელმა შრომამ და მაგნიტურმა მიზიდულობამ მისდავე შეუმჩნევლად შექმნა კიდევ ახალგაზღობის საუკეთესო ელემენტებისაგან სიმპატიური მიმართულებების წრე, რომლის ცენტრს ის შეადგენდა. ნინოშვილი მოკვდა, მაგრამ მისგან დაარსებული ნორჩი ორგანიზაცია არ შერყეულა. რათა? იმიტომ, რომ მოკვდა მხოლოდ ხორცი, სული კი დამყარდა ახალს უფრო ლონიერს და საიმედო ბინაში.

აი, რას ვუწოდებ ჩვენ ხორც-შესხმულობა ეგნატეს ნათელი სულისა. აი, რა მოვლენა დაურჩათ შეუმჩნევლად ჩვენს ვითომ და საზოგადო მოღვაწეებს, რომელნიც საზოგადო აზრების ნილაბ-ქვეშ

სუსტათ მალვენ სათაკილო ქვენა გრძნობებს. ეს საყურადღებო საზოგადოებრივი მოვლენა არ გამოპარვია მხოლოდ „კვალს“, რომელიც ყოველთვის ღირსეულათ აფასებდა ნინოშვილის ნიჭს. მის წარმომადგენელი დაკარგულის მწერლის დასაფლავებას გულწრფელი გლოვითა და ტირილით შეეგება, მაგრამ სიხარულით გამოეთხოვა. ბ. „დამსწრემ“ ნათლათ შეამჩნია დასაფლავება ეგნატეს ხორცისა და არა სულისა, რომელიც გარს შემორტყმოდა კუბოს და უძრავი გვამის წინაშე ფიცს სდებდა...

ღრმა და სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ამ ფაქტმა „დამსწრეზე“. მან გაუზიარა თავის შთაბეჭდილება „კვალის“ მკითხველებს. აი, რამი იხატება „კვალის“ საზოგადოთ, და „დამსწრეს“, კერძოთ, დანაშაულობა ჩვენი ვითომ და მოღვაწეების წინაშე. ჩვენ ყოველთვის მოველოდით, რომ მოხუცებული „ივერია“ და ახალგაზდა მოხუცებული „მოამბე“ არასოდეს არ აპატიებდნენ თავის განდევნილ მეტოქეს ამ დანაშაულობას. ჩვენი მოლოდინიც ასრულდა. პირველად აღჭურვა განიზრახა „ივერიაში“. — მაგრამ, რადგანაც საჭურველი ვერ იშოვა, მიჰყო ხელი პითიასებრივ ბოდვას — ამ უძლურების იარაღს. ბ-ნ კაერემენის ბოდვას არ ჩაუვლია უნაყოფოდ. მან სავსებით გამოაშკარავა „ივერიის“ მთელი შინაარსი, მისი სიბეჩავე, მისი სითახსირე (№ 72 \*). „ივერიის“ თავისთავათ დამარცხებამ „მე-

\*) ბ-ნ კაერემენის ბოდვაზე ჩვენ აქ არას ვიტყვი-ბ-ნ ყარბმა სწორეთ მოსახდენი აბი გადააყლაპა ამ აჭი. ბაჭიას და ვნახოთ. დაუკლებს თუ არა სიცხეს. არას ვიტყვით აგრეთვე ბბ. ვ. წ-ზე და ლ. ლევანიძეზე, რადგან მათი აზრები არაფრით ჩამოუოჩება უკან ბ-ნ კაერემენის ბოდვას. ამ შემთხვევაში ესენი წარმოადგენენ „ერთ სულს და ერთ ხორცს“.



სამე დასთან “ ბრძოლაში აცქვევთია ყური მის ახალ-გაზდა მოძმეს; ტკბილმა გრძობამ გაურბინა გულში „მომამბეს“, სასიამოვნო ვარდით მოფენილ პერსპექტივა დაესურათ-ხატა წინ: „ივერია“ აღარ მალავს, —სიამოვნებით იფიქრა მან—თავის სიუძღურეს. დავგვრჩა „კვალი“—ეს თხელ-კანჭიანი „ყიზილარი, რომლის დასამარცხებლათ საკმაოა ერთი ჩვენი ლაზათიანი სარმა; მასზე რომ გავიმარჯვებთ, შემდეგ კი თავისუფლათ შეგვიძლია დავესკუბოთ ამ ორივე გიჟმაე ძმების მამულ-დედულზეო“. მიზანი კეთილი და პატიოსანია, ყოველ შემთხვევაში ახალგაზდა „ლუარსაბის“ შესაფერი. მაგრამ... მაგრამ საშუალებამ უმტყუნა ჩვენს „ქაბუკს“, და რაღაც მოულოდნელი შემთხვევით გაიშხლარტა ბრძოლის ველზე მთელი თავის სისქით და სიგძით. ნა—ლმა უღალა ჯა, მკითხველო, ნალ—მა! სწორეთ რომ სამწუხარო და სავალალო მოვლენაა. მაგრამ გლოვა-ტირილს და მწუხარებას ვისთვის, ან როდის უშველია, რომ მივმართოთ ამ გულ-უბრყვილო საშუალებას. ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ თვით ამ მოვლენის მიზეზი. აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც განვიხილოთ ჩვენი ლიტერატურის მიმართულება. ეს მით უფრო საჭიროა, რომ უკეთ გამოვარკვიოთ, რად დაარქვა „კვალმა“ ამ ახალ დასს „მესამე“.

ჩვენ გვაქვს ლაპარაკი ჩვენი ლიტერატურის სამს ორგანოზე. ჩვენი გამჭრიახი „ახალგაზდა მოხუცი“ გაგვისწრებს წინ და დამცინავი ირონიის კილოთი მოგვმართავს: ვიცით, ვიცით, რის თქმაც გინდათ—

„ივერია“ ორგანო პირველისა, „მოამბე“—შეორისა.  
 და „კვალი“—მესამე დასისა!“ ტყუილი ფიქრია.  
 ყოველ შემთხვევაში ჩვენ სულ სხვა აზრისა ვართ.

„ივერია“ და „მოამბე“, რასაკვირველია, ორი  
 ორგანოა, მაგრამ ორივეს, ავად თუ კარგად, ასულ-  
 დგმულებს ორი გუნდი ერთი და იმავე დასისა; ორი-  
 ვე, საზოგადოდ, ერთი და იმავე მიმართულებისაა,  
 ორივეს დროშაზე ერთი და იგივე დევიზია წაწე-  
 რილი: პატრიარქალური კარ-ჩაკეტილობა, ახალი  
 ფორმის ბატონ-ყმობის აღდგენა, მისი დამკვიდრება.  
 ისინი უცქეჩიან საზოგადო პროგრესს, საზოგადო-  
 ინტერესებს, უკვე დაობებულ პრინციპის თვალით.  
 რასაკვირველია, განსხვავებაც არის მათ შორის. მა-  
 გრამ ეს განსხვავება შეეხება უფრო გარეგანს, ვი-  
 ნემ შინაგან მხარეს. მათი მიმართულება ჩვენს ლი-  
 ტერატურაში უნდა აღინიშნოს სიტყვით „რეაქცია“.

ასეთი მიმართულება არ შეადგენს მარტო ჩვე-  
 ნი ცხოვრების ავლა-დიდებას. რეაქცია ლოლიკური  
 შედეგია ისტორიულ მიმდინარეობისა. უკან მოჩან-  
 ჩაღეთა ჯგუფს ყველა ისტორიულ ერთა შორის  
 ვხედავთ, ვხედავთ აწინდელ დაწინაურებულ სახელ-  
 მწიფოებშიაც, მხოლოდ იქ რეაქციონერებს აქვთ  
 თავისი მტკიცე ორგანიზაცია, ორგანიზაციას—სა-  
 კუთარი ორგანო, რომელსაც ასულდგმულებენ ერთ-  
 და-იმავე მიმართულების წარმომადგენელი. მათი  
 მიზანი და საშუალება, ტეორიული და პრაქტიკული  
 მოქმედებანი ყველასთვის ცხადი და აშკარაა. მათმა  
 მოწინააღმდეგებმა კარგათ იციან, ვისთან აქვთ საქმე.

ჩვენში კი სულ სხვანაირათ დაჭრილდა საქმე. ჩვენი კულტურულად უკან ჩამორჩენა გამოიხატა ჩვენ რევაციონერთა ხასიათშიაც. მართალია მათ აქვთ ჩვენშიაც თავისი ორგანოები, მაგრამ ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩაჰბეროს მათ თავისი რევაციონური სული უფრო გამორკვეულად და ნათლად, — მათ არა აქვთ — არა აქვთ მტკიცე ორგანიზაცია, ეს გარემოება საკვირვლათ ახასიათებს ჩვენი რევაციონერების ზნეობას. ჩვენი რევაციონერები უფრო ოცნებით რევაციონერობენ, ვინემ შეგნებული პროგრამით და ცოცხალი მოქმედებით. რატომ? იმიტომ, მკითხველო, რომ ისინი არიან, „ლუარსაბის“ მახლობელნი ნათესავნი და „ლუარსაბი“, ხომ იცით, ვინ იყო? აქედან უნდა აიხსნას ის საოცარი თავბრუ და მხვევი ხაოსი, ის დომხალივით არევ-დარევა, რაიც გამეფებულა მათ ორგანოებში. მიუხედავათ ამისა, ამ კალენდოსკოპურ სხვა-და-სხვაობის ცენტრში აღვივლათ შეგიძლიათ გააჩიოთ ტახტზე წამოწოლილი ლუარსაბი და მის გარეშემო მისი ახალგაზდა დარაჯნი, რომელნიც მხდალი მანეობით კიჟინობენ: „თქვენ, ჰეი, ვინ იმალეებით მანდ! სანამ ჩვენზე იერიშს მოიტანდეთ, საჭიროა მეცნიერების ანბანი გაიხეპიროთო!“.

ამ დარაჯთა შორის შენიშნავთ ისეთებსაც, რომელნიც ორგულად ეკიდებიან თავიანთ საქმეს, სკეპტიკური თვლით უცქერენ თავიანთ სადარაჯო საგანს, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ, როგორ უნდა დაახწიონ თავი ამ არა სასურველ თანამდებობას. ეს კიდევ არაფერი. ჩვენი ყარაულის კედელი შეუნგრევია

ვიღაც სულ უცნობს, სულ უცხო ტიპის მუშაკს, რომელიც საოცარი ტაქტიკით შესდგომია ამ ძველი კერპის დამსხვრევას. საბრალო გარეთ მაცქერალი მცველები კი ვერ ამჩნევენ, რა ხდება მათ კედელს შიგნით.

ამ ნაირად ჩვენი აწინდელი, სულიერად გაკოტრებული ინტელიგენცია წარმოადგენს სრულს კონტრასტს მესამოცე წლების ინტელიგენციისას. ამის მიზეზი იმალება ჩვენს მაშინდელ და აწინდელ ცხოვრების სიღრმეში. ავხსნათ.

ორმოც-და-ათ და მესამოცე წლებში ძველი წეს-წყობილების უძღურებამ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. ამ მობერებულის და დაზავსებულის წეს-წყობილების კანში მოთავსება ცხოვრების ახალ მიმდინარეობისა შეუძლებელი შეიქნა. ამ უკანასკნელმა მოითხოვა უფრო ფართო კალაპოტი. ფართო ასპარეზი. შეურიგებელი წინააღმდეგობა ამ ორ ისტორიულ მოვლენათა შორის თვალსაჩინო შეიქმნა, ძველი და ახალი დაუპირდაპირდენ ერთმანეთს. ჩვენი ცხოვრების განვითარების პროცესმა მიაღწია აქ იმ წერტილამდის, როცა საიდუმლოება ისტორიისა დროებით ხორცს იხამს, ყველასთვის შესაძინევ სახეს ღებულობს. ყოყმანი: ვისი მხარე დავიჭირო, ძველისა თუ ახლისა—აქ ნიშნავს ჭკუა-გონების სრულს სილატაკეს. კაცობრიობასთან ერთათ დაბადებული, მაგრამ დაუძველებელი საკითხი— „რა ვაკეთოთ?“—აქ უკან დგება და ადგილს უთმობს დროებით მეორეს, აგრეთვე დაუძველებელ

საკითხს: „როგორ ვაკეთოთ“?—რატომ? იმიტომ, რომ ქეშმარიტება ცხოვრების ასეთ მომენტში გამომძვარალია ბნელეთის ბურუსიდან. ჩვენი მესამოცე წლების ინტელიგენტები ამ მხრივ ბედნიერნი იყვნენ.

აი, სად მარხია სათავე მაშინდელ საზოგადო მოღვაწეთა ურთიერთობრივ ნაყოფიერ მოქმედებისა. იმათ დაუჭირეს მხარი ისტორიას, გაუწიეს ბებიაობა ცხოვრების ახალ მიმდინარეობას, მათ შესრულეს თავიანთი ისტორიული მისია. ამას შემდეგ ისტორიამ დიდი უღმობელოება, დიდი უმადურობა გამოიჩინა მათ წინაშე. თავის ახალშობილს მან ისევ გადაათარა თავის საიდუმლოების კალთა და მით დაუკარგა თავის მხნე და უანგარო მოსაჩილეებს გზის მაჩვენებელი ნიშანი. უცნობ და ბნელ სივრცეში წინ თეხის გადადგმა საშიშარი შეიქმნა. მათ დაჰყარეს ნიჩბები და მიენდვენ ნავს. სწორედ ოდესე ის დღე დაადგათ ჩვენ მენავეებს. ბევრ ტანჯვა-ვაების შემდეგ ისინი დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში. სადაც ნაცვლად სიცოცხლისა, მათ იპოვეს მისი კანი, მისი ქეჩხო. ამოდ იწყეს შთაბერვა ამ ქეჩხოში სულისა, რომელიც მათივე მეოხებით ამოხდა მას.

აი, ამას ვუწოდებთ ჩვენ რეაქციას. აქ არის ბინაც პატივცემულ „ივერიელებისა“.

ახლა ვიკითხოთ, რა გზას დაადგა შემდეგი თაობის ინტელიგენცია, რომელიც დღემდის მეფობს და ყოყოჩობს ლიტერატურაში და რომელსაც უნ-

და ვუწოდოთ აწინდელი ყოყოჩა ინტელიგენცია?

დიდი მუხანათობა გაუწია ცხოვრებამ ამ ინტელიგენციას, ცუდს და უხერხულ დროს გამოაცურა ის საზოგადო მოქმედების ასპარეზზე. ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი ვითარების ჰორიზონტი ყოველი მხრით მოცული იყო ბნელეთით. ჩვენს ინტელიგენციას აებნა დავთარი, დაეკარგა გზაკვალი. აქედან რა გასაკვირია, რომ ამ ინტელიგენციის მოქმედებაში ვერ იპოვოთ ვერავითარი ნიშანი ისეთი იდეალისა, რომელიც უნათებდა გზასმესამოცვე წლების მოღვაწეებს,—საშუალებისა, რომელსაც უკანასკნელნი ხმარობდნენ თავიანთი გამორკვეული მიზნის მისაღწევად. აქ სუფევს რალაც საშინელი ჯოჯოხეთური ხაოსი. ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ გიდგებათ აჩრდილი ერთ და იმავე დონკიხოტისა მისი განუშორებელი სანჩოთი. ამ გაუვალ ბნელეთით თავ-ზარ დაცემული ინტელიგენცია შიშითა და ძრწოლით წადგამს ერთ ფეხს წინ მისთვის, რომ ორი და სამი უკან გადადგას, თითქოს მის დასახასიათებლათ შეეთხზას დიდებულ რუსის სატირიკოსს თავისი ფორმულა პროგრესისა: „Прогрессъ значитъ идти впередъ, дѣлая шагъ назадъ.“

ასეთი საბრალო დონ-კიხოტური მდგომარეობა აუტანელი შეიქნა ჩვენი ყოყოჩა ინტელიგენციისათვის. მან მოიკრიფა უკანასკნელი ღონე ამ მოჯადოებულ წრიდან განსათავისუფლებლათ. მაგრამ აქ იარაღი იყო საჭირია. ესეც აღმოჩნდა: „მოამბე“-ა

მისი სახელი. იარაღს ოსტატი, გამოცდილი მომხმარე ეჭირვება. არც აქ შეხვედრიათ დაბრკოლება: ჩვენმა ახალგაზრდა ბებრებმა მოიყიდეს ძველი თაობის ღონიერი და ყველასაგან კარგად ცნობილი წარმომადგენელი; მეთაურობა დიდის ამბითა და ნადიმითა, პარაკლისის გადახდითა და ქართული ღვინით დაულოცეს მას, თან მიიკრეს „ნა—ლი“. დაიძრა ეტლი. შიგ მსხდომმა ინტელიგენციამ მორთო ყოყოჩით თავისი „მრავალ-ქამიერ!“ ბოლოს ეტლი მიგორდა.—სად? მიხვდება მკითხველი—სწორეთ იმ ქეჩხოსთან, რასაც კარგი ხანია კრუხივით აზის „ივერია“. აქ გამარჯვებულმა ინტელიგენციამ ისკუბა და დაიჭირა საიმედო ალაგი მაჩვენებელი საიმედო მეზობლისა. ხანგრძლივი ბრძოლით დაქანცულმა თავისუფლად ამოისუნთქა. შემდეგ მოწყალების თვალთ გადახედა არე-მარეს და აგრეთვე მოწყალებიანი და ნაზი ხმით იწყო ლაღადი: „აქ მოდით თქვენ, ტვირთ-მძიმენო და მაშვრალნო, ჩვენთან არს ღმერთი!“.

მეთაურმა ჩვენს „ГОЛОВОШЯТ-ებს“ მოქმედების პროგრამაც გაუჩაღა: „იმის ფიქრს კი ნურავინ შეუშვებს თავში, ვითომ აზნაურობის საქმე ჩვენს ქვეყანაში ნამდვილ საერო, სოციალურ კითხვას არ შეადგენდეს. ამიტომაც ამ კითხვის ახსნა ჩვენი ცხოვრების ერთ უდიდეს საჭიროებად უნდა ითვლებოდეს. საითკენაც უნდა მიიყვანოს ქართველობამ თავისი ბედის გასაუმჯობესებლათ, რა გზასაც უნდა დაადგეს, სულ ერთია, ყველგან, ყოველ ნაბიჯზე

მას ეს სუნიქსი დახვდება მისი საშიში მუქარით:  
„ამხსენ, თორემ შთაგნთქამო“!.\*)

ამ ნაირათ ჩვენი ინტელიგენცია ცდადგა ძველი  
თაობის გზას. მისი მიზანია მოიგდოს ხელში ტარი  
ისტორიული ჩარხისა და უკან ატრიალოს ამ—პირ-  
ველი დასის სრულს მოწინააღმდეგე ძალას შეად-  
გენს ახალ-დაბადებული—დღეს მესამედ წოდებული  
დასი. ამ დასმა შეიგნო ახალი ისტორიული ძალა  
და ამოუდგა გვერდში. ეს ის ცხოველ-მყოფელი  
ძალაა, რომელიც გამოძვრა იმ ხოკოდან, რასაც  
დღეს ასეთი ერთგულებით იცავს ჩვენი რეაქციო-  
ნური დასი. შუათანა დასის ვაკანსიას დასცქერიან  
პრავალი ღონიერი კანდიდატები: ეს გახლავთ ბურჟუა-  
ლიბერალები. ისინი ნხოლოდ შემთხვევას უცდიან,  
რომ თავისი ფაქტიური ძალა თეორიულად განამ-  
ტკიცონ. ისინი, ცხადია, მალე შექმნიან ღონიერ  
ორგანიზაციას. ვფიქრობ, ჩვენი შეხედულობა ამ  
დასთა მომავალ ბედზე ერთობ არ უნდა იყოს ქეშმა-  
რიტებაზე დაშორებული: მოსალოდნელია, ჩვენის  
აზრით, მესამე და მეორე დასი მომავალში დაუ-  
ახლოვდენ ერთმანეთს დროებით, ჩაუნგრიონ ბუდე  
რეაქციონერებს, შემდეგ ერთი მეორის წინააღმდეგ  
მოიღებონ ყელი საბრძოლველათ. მაშინ ჩვენს ცხო-  
ვრებაში დამყარდება ორი სამკედრო-სასიცოცხლოდ  
მეომარი დასი—პროგრესიული—დღეს „მესამედ“ წო-  
დებული და კონსერვატიული დასი. ვინ გაიმარჯვებს  
ამ ბრძოლაში? ჩვენ ვფიქრობთ პირველი. რატომ?  
იმიტომ, რომ ის მიღის წინ ცხოვრების მიმდინა-

\*) „მოამბე“ № 9, შინაური მიმოხ. გვ. 126, აგრე-  
თვე № 5.



რეობასთან ხელ-ხელს გაყრილი. ამით გათავდება ისტორიული დანიშნულება დღევანდელ ახალგაზდა დასისა. როცა ეს ახალი დახი შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას, ვინ იცის, იქნება, მასაც იგივე ბედი ეწიოს, რა ბედიც ეწია ჩვენს ძველ დასს. ასეთი მაგალითებით სავსეა ისტორია. მისი განვითარების ულმობელი ლოლაკა ამას თხოულობს. დღეს ის თავისი სიყვარულით ასაჩუქრებს და ეფერება ერთს იმიტომ, რომ ხვალ მას ზურგი შეაქციოს და თავისი მშობლიური ალერსი მეორეზე გადიტანოს.



მკითხველს, როგორც სკეპტიკურის თვალთ უყურებს ჩვენს საზოგადო შენიშვნებს ჩვენს ლიტერატურაზე, ვთხოვთ გადაათვალიეროს „კვალში“ პუბლიცისტიკური წერილები პ. პეტრიძისა. ჩვენ კი ვისარგებლებთ აქ იმ მშვენიერი მასალით, რომელსაც გვიძღვნის თვით „მოამბე“ თავის სალიტერატურო შენიშვნებში (№ 10). „მესამე დასის“ აღმოჩენით „კვალმა“ საშინლათ განარისხა „მოამბე“. ჩვენ არ ვამართლებთ „კვალს“. თავისი პოლიტიკით მან დიდა და შეუწყნარებელი ულმობელობა გამოიჩინა განრისხებული მეზობლის წინააღმდეგ: „კვალმა“ არ ანუსხა სათითაოდ ახალი დასის წარმომადგენელი და მათ ჩააგდო თავის შურიანი მოძმე იმ სასაცალო „circulus virtiosus-ში, საიდანაც სამოწყალო კილოთი გამოიძახის: „განა ჩვენი თავმოყვარეობა აიტანდა ამ გვარ კადნიერებას — უჩვენოდ რაღაც“ მესამე დასის აღმოჩენას?! ამისთვის „რაც მის ახალ დასის“ შესახებ დაწერილია

და რაც მის—წარმოამდგენელთ დღემდე უმო-  
ძღვრიათ, დიდის გულმოდგინებით (sic) გადავიკი-  
თხეთ და, ჩვენდა სამწუხაროდ (კურსივი ჩვენი)  
იმის მეტი ვერა შევიტყვეთ რა, რომ ამ ახალ თა-  
ობას „მესავე დასი“ რქვევია“. \*\*)

სრული მონაწილე ვართ „მოამბის“ და მისი  
ღირსეული ვეკილის ნ—ლის მწუხარებისა. ვეცდე-  
ბით კიდევაც, ეს მწუხარება შეუმჩატოთ და რაც  
მათ „სამწუხაროდ“ ვერ უპოვნიათ, ვაპოვნინოთ.  
აქ ისევ ე. ნინოშვილიდან უნდა დავიწყოთ.

ჩვენი პირადი დაახლოვება ე. ნინოშვილთან  
იწყება სკოლიდან. აქვე, სამწუხაროდ, გაგვაშორა  
ერთჰანეთს უბედურმა შემთხვევამ. უღმობელმა  
ცხოვრებამ დასცა თავში პატარა ეგნატეს თავისი  
მძიმე ჩაქუჩი და მოიმწყვდია ნორჩი ქმნილება თა-  
ვას მორევის უფსკრულში. შემდეგ კი გარემოებამ  
ხელი მოგვიმართა და ისევ დაგვაახლოვა. ეს ის  
დრო იყო, როცა ცხოვრებასთან ბრძოლაში გამა-  
რჯვებული ეგნატე—ე. ნინოშვილად გადაქცეუ-  
ლიყო, როცა მის ბუნებრივ ნიქს, მუხთალ ცხოვ-  
რების უკუღმართობით დიდხანს დამარხულს,—  
ფრთები გაეშალა და როცა ის შედგომოდა იმ წმი-  
და წარუშლელის საქმის განხორციელებას, რასაც  
ჩემი სული და გულიც თანაუგრძნობდა და რასაც  
აგრე უეხტიბროთ დასცინის ჩვენი ცრუ ინტელი-  
გენცია. აქედან პირუთვნელი მკითხველი ადვილათ  
წარმოიდგენს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახ-

\*\*) იხ. სალიტერ. შენიშვნები, „მოამბე“ № X.

დინა ჩემზე—როგორც სხვა ყველა მის მეგობრებზე,  
 —ნინოშვილის უდროოთ დაკარგვამ. ჩვენმა მწუ-  
 ხარებამ არ იკმარა მარტო მდულარე ცრემლთა  
 ფრქვევა, და ჩვენდა უნებურად სამუდამოთ დაკარ-  
 გულ მეგობრის ჯერ კიდევ გაუციებელ ნეშთის წი-  
 ნაზე გადმოგვადებინა მცირე ნაწილი ჩვენი დაგუ-  
 ბებულ წმინდა მეგობრულ გრძნობათა. ბ-ნ ნ—ლს,  
 რომლის გაყინულ გულში ეტყობა კარგა ხანია გა-  
 მქრალია უკანასკნელი ნაპერწკალი წმინდა მეგო-  
 ბრული გრძნობისა, თავ-მომწონე ნა—ლს, რომე-  
 ლიც ენის წვერზე რიტორიკულათ მოკაზმულ და  
 შეკერილ ლამაზ ფრაზებში, და არა გულის წმი-  
 დათა წმიდაში, ეძებს სათავეს მქვერ-მეტყველობი-  
 სას,—რა თქმა უნდა, არაფრად ექაშნიკებოდა ჩვენ  
 მიერ გამომჟღავნებული მეგობრული გრძნობა...  
 ვერაფერი სამსახური გაუწიეთ, ძვირფასო მეგობა-  
 რო, შენს სახელს მით, ჩვენს გრძნობას ვერ მივა-  
 ყოლეთ ფარისევლური ჭიკჭიკი... როგორც იცის  
 მკითხველმა, ბ-ნ „დასწრემ“ გადილო „კვალის“  
 ფურცლებზე მის მიერ ნახულა ფაქტები ნინოშვი-  
 ლის დასაფლავებაზე. ახალ თაობას, რომელმაც წარ-  
 მშობსთქვა დედა აზრი თავისი მიმართულებებისა თა-  
 ვის მასწავლებლის უკვდავი გვამის წინაშე, მან ახა-  
 ლი სახელი დაარქვა. \*) „კვალის“ შეუწყნარებელ-

\*) ნინოშვილის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვათა  
 შორის- ზოგში ბევრად უფრო გარკვეულად და ვრცლად  
 იყო დახატული ეგნატეს მიმართულება, მაგრამ ამ სიტ-  
 ყვებში თუ მარტო ჩემი სიტყვა დაიბეჭდა, ამის მიზეზი  
 სხვა-და-სხვა იყო, რაზედაც აქ ლაპარაკს ალაგი არა  
 აქვს.

მა თავხედობამ გამოიყვანა ჩვენი პატიოსანი ინტელიგენცია საღათას ძილისაგან. ყურები ააცქვეტი-  
 ნა, ააყაყან-ააბრაზუნა. „სად „კვალი“, სად რალაც  
 მესამე დასის“ აღმოჩენაო—იწყო კიჟინი—ვინ ნი-  
 ნოშვილი, ვინ „მესამე დასის“ მეთაურობაო! მას  
 თუ ნიჟი ეტყობოდა, ეს მარტო ბელეტრისტუ-  
 ლიო“. ამ ყაყანს ბანი მიცა ჩვენმა დინჯმა „მო-  
 ამბემ“. მან მომართა კიდევაც ისარი თავისი ნაფი-  
 ცი ვეჭილის ბ-ნ ნ—ლის ხელით „კვალის“ და ნი-  
 ნოშვილის წინააღმდეგ\*), ჩვენ კი მხოლოდ საფა-  
 რად გვიხმარა. მაგრამ აქ მოხდა ერთი სასწაული:  
 გასროლილი ისარი რალაც საოცრად შეტრიალდა  
 ჰაერში, ბოლოს პირი იბრუნა უკან და შიგ გულ-  
 ში დაეჭვრა თვით „მოამბეს“. აქ ჩვენი ახალგაზდა  
 მოხუცი, რომელსაც ძალიან ეხერხება კვალში ჩა-  
 დგომა, „მეცნიერების და ლოდიკის საძირკველის  
 გასინჯვა“, თავის მეცნიერული სიდინჯით გადმო-  
 გვქახებს: „განა შესაწყნარებელია მეცხრამეტე საუ-  
 კუნის მიწურულში ასეთ ცრუ-მორწმუნეობაზე და  
 რალაცა სასწაულზე თუთიყუშით ბოდვა? განა  
 საფიქრებელია უკან დაბრუნდეს განზე გასრო-  
 ლილი ისარი?“—დიახ ჩვენც ასე ვფიქრობდით,  
 მაგრამ თითონ თქვენმა სასწაულთ-მოქმედებამ შეგვი-

\*) ჩვენ ასე გვენმის სწორედ „მოამბის“ საქციელი.  
 თუ ჩვენ იმდენად უნიჟო ვართ, რომ ნინოშვილის მიმა-  
 რთულება ვერ გავიგეთ, მაშინ რად უნდოდით ჩვენ  
 ნინოშვილს, ან ის რად გვინდოდა ჩვენ შეგობრად. ბარ-  
 ბაროსები, რომელთაც ერთმანთის არა ესმით-რა, არ  
 კავშირდებიან, ვგონებ, მტკიცე, შეგობრული კავშირით-

ცვალა ეს ფიქრი. რომ იცოდეთ, რა სასწაულებს თქვენ ჰქმნით, ვფიქრობთ, არც ერთს წუთს არ დაიცდით ამ ჩვენს ცოდვილ ქვეყანაში—სადაც შორს, შორს, თუ გინდ აფრიკაში გადაფრინდებით, რადგანაც იქ თურმე მეტი ფასი აქვს სასწაულებს!

მკითხველი, ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენი წარსული წლის ჟურნალ-გაზეთებისათვის, მიხვდება, რაშია საქმე.

ნინოშვილის დასაფლავებას, თითქო განზრახ, თან მოჰყვა „მოამბის“ მეხუთე და მეექვსე ნომრებში წერილები: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, რომელიც დამოკლის მახვილით დასცქერის, როგორც თვით „მოამბეს“, ისე მთელი ჩვენი ყოყოჩა ინტელიგენციის მიმართულებას. ამ სტატიაში, რომლითაც იწყება ჩვენი აზრით ახალი ხანა ჩვენს ლიტერატურაში, საკმაოდ გამოსჭვივის პროგრამა ჩვენი ახლის—დღეს „მესამე დასად“ წოდებულის—თაობისა. ამ სტატიის ავტორი არის, როგორც იცის მკითხველმა, ნიჭიერი წარმომადგენელი ამ ახლის დასისა. ეს ევროპაული მეცნიერებით შეიარაღებული ჯერ სულ ნორჩი ახალგაზრდა, ნინოშვილის უახლოესი მეგობარია. გადაშალეთ, მკითხველო, „ველის“ მე-ოცდა-ოთხე ნომერი, გადაათვალიერეთ. ნ. ჟორდანიას წერილი „დაკარგულ მეგობრისადმი“, —ეს მეგობარულ გრძნობათა ანკარა ზღვა, გადმოხეთქილი ნორჩ გულის წმიდათა წმიდიდან და გაიგებთ, ვინ იყო და რა

გავლენა ჰქონდა ნინოშვილს ახალ თაობაზე. გვ-  
 დაიკითხეთ ხელმეორეთ ბ-ნ პეტრიძის პუბლიცის-  
 ტური წერილები („კვალი“ №№ 16, 17, 24, 25,  
 33, 34, 35) და ჩვენი ბედკრული „სიტყვა“ (კვა-  
 ლი“ № 22), გაისარჯეთ და შეადარეთ ისინი „ეკონ-  
 ნომიური წარმატება და ეროვნება“-ს. განა აზრის  
 მათ შორის რაიმე წინააღმდეგობა? ფეიქრობთ, დიო-  
 გენის ფანრითაც რომ ეძებოს ნ—ლმა, ვერავითარ  
 წინააღმდეგობა მათში ვერ იპოვოს—ახლა ვი-  
 კითხოთ: 1) მაშ რად უნდა ჩეთვალოს „კვალს“  
 ცოდვად ისეთი აზრის მოთავსება თავის ფურცლე-  
 ბზე, როგორსაც საპატიო ალაგი უჭირავს „მოამ-  
 ბეში“? 2) როგორ უნდა „მოამბეს“ შეუჩივოს  
 „ეკონომიურ წარმატებას და ეროვნებას“ თავისი  
 პროგრამა: „ეჟურნალს უნდა ჰქონდეს თავის პრო-  
 გრამა და მიმართულება, რომელთაც უნდა ეთან-  
 ხმებოდეს ეჟურნალში მოთავსებული თითოეული  
 წერილი და თითოეული იქ გამოთქმული აზრიც“?  
 ეს „მოამბის“ რომელ ნომერშია ისეთი წერილი,  
 რომელიც ეთანხმება „ეკონომიურ წარმატებას და  
 ეროვნებას“? რატომ ვერ გაიგო „მოამბემ“, რომ  
 „კვალის“ წინააღმდეგ მიმართული ისარი უკან და-  
 ბრუნდებოდა და გულში ეძგერებოდა? 3) როგორ  
 მოუვიდა „მოამბეს, რომ მთელი ნახევარი წლის გან-  
 მავლობაში ახალ დასს „კვალი უშინჯა“, მაგ-  
 რამ მისი ნიჭიერი წარმომადგენელნი, რომლებმაც  
 უკვე აღნიშნეს ჩვენს ლიტერატურაში პროგრამა  
 —მეცნიერულათ შემუშავებული,— მაინც ვერ შე-  
 ნიშნეს, და ჩვენ ჩავკვიდებია,—ჩვენ, რომელიც

არც გამოვსულვართ და ფიქრადაც არ მოგვსვლია სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა? მაშ „მესამე დასის“ რომელი მწერალი გყავთ, ბ-ნო ნა—ლო, სახეში, როცა ამბობთ: „გონებრივი ავლა-დიდება მეტის-მეტად ნაკლები აქვთ და თუთიყუშივით იმეორებენ, რაც აქა-იქ ყურში სმენიათ და შეთვისებით კი ვერ შეუთვისებიათ“... „რომ უმეცრება, კადნიერება და მედიდურობა, რომელსაც „მესამე დასის“ მწერალნი იჩენენ, მწერლობაში ყოველად შეუწყნარებელია“.

დღე, ყველა ეს მკითხველმა გასაჯოს. ჩვენ კი უნდა შევნიშნოთ აქ მხოლოდ ის, რომ „მოამბის“ და ნა—ლის ასეთი საქციელი გვაგონებს იმ ადამიანს, რომელიც თავის სახლობის ზნეობრივ ნაკლს კალთას აფარებს და სხვისი სახლის ჯუჯრუტანაში დარაჯობს, რომ მეზობლის ზნეობას ჩირქი წაცხოს.

ახლა კი გადავიდეთ ბ-ნ ნ—ლის პოლიტიკურ—ეკონომიურს მეცნიერებაზე.

### წერილი მეორე

მრეწველობის მხრით განკითარებული ქვეყანა წარმოუდგენს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს მხოლოდ სერვისით მათი საკუთარი მომავლისას.

ბ. მარქსი

„განა შესაწყნარებელია ის აზრი, ვითომ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს?“

ქართველი მარქსი \*)

თითოეულ დიდ ისტორიულ ხანას, როგორც მაგ. მონობას, ბატონ-ყმობას, ახასიათებენ განსა-

\*) იხ. სალიტერატ. შენიშვნები „მოამბე“ № X.

კუთრებული ცხოვრების მიერ შეთვისებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, და განსაკუთრებული ნივთიერი პირობები, ამ ორ მოვლენათა შორის მტკიცე კავშირია, სრული დამოკიდებულებაა. შეიწყენ და შეიცვალენ ეკონომიური პირობები, ირყევიან და იცვლებიან მათი შედეგებიც—საზოგადოებრივი ურთიერთობა და წეს-წყობილება. ასე ამბობენ მეცნიერნი, არა ნა—ლნი. ახლა ვიკითხოთ, რა სცვლის და არღვევს თვით ნივთიერ პირობებს? ისტორიას ჰქმნის, როგორც უნდა იყოს, ადამიანი, რომელიც თავის მოქმედებაში ექვემდებარება ბუნებრივს კანონს განვითარებისას; მკვიდრთა რაოდენობა ამ კანონის ძალით თანდათან იზდება, იზდებიან და ვითარდებიან მათი ნივთიერი მოთხოვნილებანი და საჭიროებანიც; მათი არსებობა დამყარებულია ამ მოთხოვნილებათა, ასე თუ ისე, დაკმაყოფილებაზე. არსებული ეკონომიური პირობები და წეს-წყობილებანი ცოცხლობენ შეურყევლათ, თუ ისინი არ ეღობებიან გზაზე, არ ეწინააღმდეგებიან ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რა წამშიაც ეს წინააღმდეგობა თავს იჩენს, ცხოვრებაში იწყება ორი სხვა-და-სხვა თვისების პროცესი: დეზორგანიზაცია—დარღვევა ძველისა, ჩასახვა და განვითარება ახალი მომდინარეობის პირობებისა და წეს-წყობილებისა. ძველი წეს-წყობილების თანდათანობითი და რაოდენობითი ცვლილების პროცესს თავისი დასასრული, თავისი საზღვარი აქვს. აქ, ამ საზღვარზე ის ჩერდება და უთმობს თავის ალაგს მეორეს, ახალ თვისების პროცესს, ქიმიური რეაქციის მსგავსს. აქ



ისტორია აკეთებს, როგორც ამბობს ერთი მეცნიერი, ნახტომს: ძველი, დანგრეული წეს-წყობილების ელემენტებისაგან შენდება ახალი. ისტორიაში იწყება ახალი ხანა. სწორეთ ამგვარი თვისების პროცესს — ძველის, საშუალო საუკუნეთა ფეოდალურ წეს-წყობილების დანგრევისას და ახლის დამყარებისას — ევროპაში ჰქონდა ალაგი გასულ საუკუნის ბოლოს, ჩვენში კი მდგომარე საუკუნის მესამოცე წლებში. იქ, ევროპაში, ეს მოვლენა აღინიშნა დიდი რევოლიუციით, ჩვენში კი რევოლიუციას დაასწრო ზევით პოლიტიკაში მომხდარმა რეფორმამ.

ამნაირათ ჩვენი ცხოვრებაც დაადგა წარმატების ახალ გზას, მან მოიმაგრა კიდევ ფეხი ამ გზაზე, მაგრამ ცხოვრების ახალ ვითარებას, აუცილებლათ ახალი განსაკუთრებული თვისება და მიდრეკილებაც უნდა ჰქონდეს — უამისოდ როგორ უნდა გაირჩეს ახალი დაძველებულ-დახავსებულისაგან, ცოცხალი მკვდრისაგან? რა საშუალება, რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ შევიგნოთ: რა თვისებისა, ხასიათისა და მიდრეკილებისაა ჩვენი ცხოვრების ახალი ვითარება?

ეს საკითხი და მისი ასე თუ ისე გადაჭრა ჩვენ მიგვაჩნია აუცილებელ საჭიროებად. რატომ? იმიტომ, ვფიქრობთ ჩვენ ცოდვის შეილები, რომ ცხოვრების ვითარება დაყრდნობილია შეურყეველ ბუნებრივს კანონებზე. ამ კანონის და აქედან საზოგადოებრივ მოვლენათა დამორჩილება, მათი მიდრეკილების თავისი სურვილისამებრ რყევა-დრეკა, ამბობენ მეცნი-

ერნი, აღმატება ადამიანის ძალ-ღონეს. ამისთვის უოველი შეგნებული საზოგადო მოღვაწე თვით ემორჩილება ამ კანონს, იკვლევს მის ბუნებას და ხასიათს და ამის დაგვარად მოქმედობს თავისი მიზნის მისაღწევათ. უამისოდ უოველი შრომა ადამიანისა, როგორც უნდა იყოს მისი იდეალი და სურვილი, საშუალება და ენერჯია, უნაყოფოდ ჩაივლის, მიზანს ვერ მიაღწევს. ახლა ვიკითხოთ: თუ კი განათლებულ ევროპიელ ერთა ამ ბოლო დრომდის ვერ შეიგნეს ეს ცხოვრების კანონი და აქედან თავიანთი ყოფაცხოვრების მიდრეკილება, შეგვიძლია ჩვენ თუ არა, ჩვენი საკუთარი ძალ-ღონით, სხვის დაუხმარებლად, შევიგნოთ, —საითკენ აქვს მოღერილი ყელი ჩვენი ცხოვრების ახალ მიმდინარეობას, როცა მისი პროცესი ჯერ არ დამთავრებულა? — „არა, არ შეგვიძლია!“ —კადნიერება აქვს იფიქროს ახალგაზდობის იმ ნაწილს, რომლის საუკეთესო წარმომადგენელიც იყო ეგ. ნინოშვილი, რითაც წაუშლელ ცოდვას სჩადის ეს ახალგაზდობა ჩვენი ბრმა პატრიოტების წინაშე.

ამ თაობის წარმომადგენელთ კარგათ იციან, რომ თითოეული ერის ცხოვრება ექვემდებარება საზოგადო კანონს ისტორიული განვითარებისას. ისიც იციან და ნათლად ხედვენ, თუ როგორ ირღვევა ჩვენი ძველი პატრიარქალური კარ ჩაკეტილობა, როგორ შემოკლდა სივრცე, დაფუძნდა მტკიცე კავშირი და ურთიერთური ზე-გავლენა სხვა-და-სხვა ერთა შორის. ეს იყო მიზეზი, თუ რად გაპყურებდა ეგ. ნინო-

შვილი დასავლეთ განათლებულ სახელმწიფოთა ყოფა-  
 ცხოვრების ახალ-მიმდინარეობას. მას კარგათ ესმოდა,  
 რომ ჩვენისთანა პაწაწინა ერი ვერ ასცდება დიდ  
 ერთა შორის მოვლენილ ცვლილებათა და მიმდინა-  
 რეობათა ნაშხეფს. მან შეუგნო კიდეც თავი ამ მიმდი-  
 ნარეობის ერთს ნაწყვეტს, რომელიც ჩუმად, თითქოს,  
 ფარულათ დგამს ფეხს ჩვენს ცხოვრებაში“ („კვალი“  
 № 22). დიახ, ეგნატეს კარგათ ესმოდა ეს, ამ ჭეშმა-  
 რიტებამდის ის მიიყვანა ჩვენი და ევროპის ცხოვრების  
 უტყუარ ფაქტების შესწავლამ, რასაც აგრე უხერ-  
 ხულათ გაუბრუნებინებდა თბილი ოთახიდან გამომცქერალი  
 ნა—ლი. ამ ფაქტების შესწავლას შემდეგ ნინო-  
 შვილმა მიმართა ეგრეთ წოდებულს „შედარებითი  
 მეთოდს“ თავის მიზნის მისაღწევით—ზემოთ და-  
 სმული საკითხავების გადასაჭრელათ. რას გვეუბნება,  
 —დასვა მან ახალ საკითხად—ეს ფაქტები? ნუ თუ  
 ჩვენ და ევროპიელთა ცხოვრების მიმდინარეობათა  
 შორის არა არის რა საერთო? და თუ კია, რაში  
 უნდა ვეძებდეთ ამ ერთობას? ამ საშუალებამ დაანახვა  
 ნინოშვილს ეს ერთობა ერთ და იმავე თვისებისა.  
 და მიდრეკილების ნივთიერ პირობებში და მათგან  
 გამოწვეულ ეკონომიურ ურთიერთობაში. მართლაც,  
 მარტო სიბრძნევს შეუძლია არ დაგვანახოს ის ჭეშმა-  
 რიტება, რომ ჩვენი ცხოვრებაც იმავე გზას დაადგა,  
 რომელიც უკვე გათელეს დაწინაურებულმა ერებმა.  
 „აქ, როგორც ამბობს მაქსი—უმაღლეს და უმ-  
 დაბლეს განვითარების ხარისხზე კი არ არის საქ-  
 მეთა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოების ბუნებ-  
 რივ კანონებისაგან წარმოდგებიანო, საქმე თვით ამ

კანონებშია, მათ მიმართვაშია, რომელიც რკინის გულსავით შეუბრალებლათ მოქმედებენო“. აი, ეს **ტენდენცია**, ეს თვისება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობისა გვქონდა ჩვენ მხედველობაში და არა მისი განვითარების რაოდენობა: ევროპაში კარგი ხანია ერის ახალი ვითარების პირობებმა მოიმაგრეს ფეხი, ჩვენში კი, როგორც ზევითაც ვთქვით, ბევრად გვიან; ამისთვის იქ—ევროპაში, ამ ვითარების პროცესშია ზოგ ადგილას კიდევ დაათავა ზრდა, ჩვენში კი ახალი ფეხ-ადგმულია. ეს შეხედულობა ჩვენ საკმაოდ გვქონდა გატარებული ჩვენს ბედ-კრულ „სიტყვაში“. იქ ვამბობდით: „ამ ახალმა ბატონ-ყმობამ, კარგა ხანია, დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ახალი დაბადებულია, ბავშია, მაგრამ ეს ბავში საუცხოვო თვისებისაა, — შესანიშნავი სისწრაფით იცის ზრდა...“

რათ არ შეეხეთ, ბ-ნო ნა—ლო, ამ ადგილს? თუ აქ გამოთქმულ აზრს არ ეთანხმება ჩვენი დასკვნა, რომელსაც აგრე მოწიწებით ჩაფრენიხართ თქვენი თავმოყვარე კბილებით, რატომ არ გამოაშკარავეთ ეგ ლოლიკური წინააღმდეგობა? პირველად იმიტომ, რომ თქვენ, როგორც ერთგულმა დარაჯმა ძველი ბატონ-ყმობისა, ვერ შენიშნეთ მესამე დასის შემოპარვა თქვენს სამწყსოში, — როგორ მოიმაგრა ფეხი მის—ძველ ბატონ-ყმობის—ნანგრევზე ახალმა წეს-წყობილებამ, ახალმა ბატონ-ყმობამ. ამ შემთხვევაში, მერწმუნეთ, ვერაფერი კრიტიკის სა-

ხელს დაიმსახურებთ ჩვენს საზოგიდოებაში, რომელიც კარგად ამჩნევს ამ ახალ მოვლენას. მესამე მიზეზიც შეიძლება აქ ვიგულისხმოთ:—შეიძლება თქვენც ამჩნევდეთ ამ ახალ ფეხ-ადგმულ მოვლენას, ამ „ბავშს“, მაგრამ რუსების ეგრედ წოდებული „ნაროდნიკებისავით“ ფიქრობდეთ: „ეს ბავში სულ სხვა გზას დაადგებაო“. აქ, ბ-ნო ნა—ლო, თქვენ იძულებული იქნებით იმოძღვროთ: „ბავში სულ სხვა ბუნების და ტიპისაა, ვინემ ზრდა-დამთავრებული, ე. ი.—შედარებით რომ ვთქვათ—პატარა ვანო სულ სხვა ტიპისა და ბუნებისაა, ვინემ ზრდა-დამთავრებული ივანე. ასეთი ლოლიკური წინააღმდეგობის ძეძვში გაგტყორცათ თქვენ თქვენმა \* უმართებულო ჩვეულებამ, —ნაწერიდან უკავშიროთ ამოგლეჯამ ფრაზებისამ, მაგრამ ვნახოთ ეს თქვენგანით დაწიწკნილი ფრაზებიც.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი მიხედება, რა გვქონდა ჩვენ მხედველობაში, როცა ვამბობდით: „ამნაირად ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით—ვიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორე მხრით მუქთა ხორა ბურჟუა—კაპიტალისტები, პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. აი, სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან კი, კარგა ხანია, ჩატეხილიცაა“...

ჩვენ გვინდოდა ამით გვეთქვა ის, რასაც ასე მკვერ-მეტყველურად ამბობენ ცოცხალი ფაქტები

ჩვენი ცხოვრებისა, რაც აგრე ვრცლად და მეცნიერულათ აქვს გამოორკვეული ბ-ნ ნ. ჟორდანიას („მოამბე“ № 5, 6) და ბ. პეტრიძეს „კვალში“. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ ეს 20—25 წელიწადია შედგა ფეხი ახალ ხანაში, რომ ჩვენმა ერმა, როგორც ამბობს ბ-ნ ჟორდანია, „უკვე გაჰყო თავი კაპიტალიზმის ქახრაკში“, რომ ამ ახალ ხანას ახასიათებს ახალი შინაარსისა და ფორმის ეკონომიური ურთიერთობა. რაში იხატება ეს ურთიერთობა, ან რა სახელი ჰქვია მას?—ეკითხება ბ-ნ ნა—ლს მესამე დასის წარმომადგენელი („კვალი“ № 33). „ეკონომიურ ურთიერთობაში ეკონომიური ურთიერთობაა“,—უპასუხებს ნა—ლი („მოამბე“, № 5, 10) და მით აუწყებს ქვეყნიერებას: „მოდით, მნახეთ, რა უმეცარი მეცნიერი ვარო“. მაგრამ სულგძელი პეტრიძე—შეურიგებელი მტერი უმეცრებისა—შაინც არ კარგავს იმედს ნათელი ჰფინოს, უტყუარ გზაზე დააყენოს თავისი ურჩი და ჯაუტი შეგირდი. ის ხერხიანი პედაგოგიური ნიჭით უხსნის: ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეო“. ისწავლიდა მკითხველო ბ-ნი ნა—ლი თუ ვერა? პირიქით საშინელი უმადურობა გამოიჩინა თავის გულკეთილი მასწავლებლის წინააღმდეგ. როცა პეტრიძემ მეცნიერულად დაუმტკიცა თავის ჯიუტ შეგირდს ის ქეშმარიტება, რომ აწინდელი ეკონომიური ურთიერთობა აღებმიცემობას მოასწავებსო, აი, რა ზრდილობით მიუგო ნა—მა: „აქ ევროპის მაგალითი რა მოსატანი იყო, ბ-ნ პეტრიძეს რომ თუთიყუშივით არ გაეზეპირებინოს შემდეგი ფრაზა: „ერთგვარ მიზეზებს

მოდევნ ერთგვარი შედეგებიო“ („მოამბე“ № X), მაგრამ ამასაც არ სჯერდება. ნა—ლი იმდენათ დაუთვრია თავ-მოყვარეობას, რომ ასე გასინჯეთ, ლოდიკასაც კი ებლაუჭება: მოდი ერთი ჩემს ძალათ-მაცხონე პედაგოგს „ოკინკალა“ გაუკეთო, ყირამალაზე გადმოვატრიალო და შიგ ლოდიკური წინააღმდეგობის ეკლნარაში ვატუცვიო თავიო. ოჰ, sancta simplicitas!

ახლა ვიკითხოთ: რად აშინებს ბ-ნ ნა—ლს ეს კაპიტალისტური წეს-წყობილება აგრე მწარედ? რა არის ამის მიზეზი? ვფიქრობთ, იგივე გულუბრყვალა, იგივე უფიცობა ამ წეს-წყობილების „ბუნებისა“ და იმ მეცნიერებისა, რომლის ანბანის ამოკათხვას აგრე მოწყალეებიანი კილოთი ურჩევს მესამე დასს. შეიძლება ბ-ნ ნა—ლს, როგორც მადლიერს და კეთილ-შობილს შვილს თავისი კეთილ-შობილი წოდებისას, არაფრათ ეპიტნავებოდეს ეს დაუპატიებელი სტუმარი, რომელიც აგრე შეუბრალებლათ უთხრის ძირს ბრწყინვალე წოდებას; შეიძლება ფიქრობდეს ამ დაუძინებელი მტრის დათრგუნვას თავის ძლევა-მოსილი კვერთხით. დიახ, ეს საფიქრებელია, როგორც ზევითაც ვთქვით, მაგრამ მაშინ როგორ უნდა შეუჩიგოთ და შევათანხმოთ ამ გარემოებას „მოამბის“ შემდეგი ლიბერალური მოსაზრებანი, რასაც აგრე თავ-გამოდებული ესარჩლება ბ-ნი ნა—ლი: „ჩვენი ბედის, ჩვენი მომავლის იმედი დამყარებულია მხოლოდ ქართველი ერის იმ ნაწილზე, რომელიც ამ სარბიელზე (იგულისხმეთ ეკონომიური ურთიერთობა, ანუ ჩვენებურად აღებ-

მიცემობა) გამოიჩენს თავს“? („მოამბე № 1). ძალიან კარგს იქმენ „მოამბე“ და მისი ნაფიცი ვეჭილი, რომ უკანვე დაიბრუნებდენ თავიანთს „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეოს“ № (10), რადგანაც მათი რეაქციონური, კონსერვატული და ლიბერალური მოსაზრებანი ისე დომხალივით არიან ერთმანეთში აჩუღლნი, რომ თვით ეშმაქსაც კი შეუძლია დაიმტკრიოს შიგ თავისი ეშმაკური ფეხები. მაგ. ბ-ნი ნა—ლი და მისი მოსარჩლე ივერიელი ვ. წ. (№ 261. „ივერია“) არ ჰყოფენ უარს, რომ **კაპიტალიზმი** პროგრესიული მოვლენაა. ხოლო ეს ბატონი პროგრესი, მთი აზრით, შორს, სადღაც ცის სივრცეში, შეიძლება იუპიტერზე ან ნეპტუნზე დაიბადება, იქვე აიღვამს ფეხს, იქვე გაიზრდება, უზარმაზარ ქარხნათ გადიქცევა და შემდეგ... შემდეგ ყოვლად მოწყალე ზეცა გაიხსნის თავის მოწყალე მკერდს და გადმოუშვებს თავის ზრდა-დამთავრებულს შობილს—ბატონ პროგრესს—ჩვენს უძლურ სამშობლოში. ქარხანას მოჰყვება, რა თქმა უნდა, შესაფერი ბუნების „პასსაჟირებიც“—მკვდრეთით ამდგარნი, კაპიტალისტებათ გადახალისებულნი ლუარსაბნი თავიანთი ყვებით—პროლეტარიებით.

საზოგადოთ ბ-ნი ნა—ლს ძალიან **აბრუნდ-ჩაბრუნდათ** უნდა ესმოდეს კაპიტალისტური წეს-წყობილება. ჩვენის აზრით კი, ეს წეს-წყობილება მოასწავებს აწინდელ საზოგადოებრივ ურთი-ერთობას, რომელიც დაყრდნობილია საქონლის წარმოებაზე. სიტყვა კი, საქონელი ნიშნავს ყველა შრომის ნა-



ყოფს, რომელმაც უნდა გაიაროს აღებ-მიცემობის ქაზრაკში, მიუხედავად იმისა, გამოვიდა ეს ნაყოფი ქარხნის კარებიდან, თუ ტყიდან, დედა-მიწის გულიდან, თუ მისი ზედა-პირიდან. მარქსი, რომელმაც მეცნიერულად გამოიკვლია კაპიტალისტური წეს-წყობილების ჩასახვა, განვითარება და მოსპობა, ამბობს: „კაპიტალისტური წარმოება არის საქონლის წარმოება, როგორც საზოგადო ფორმა წარმოებისა“ \*). „კაპიტალიზმი“, — როგორც ამბობს ერთი რუსების მარქსისტი, — შეიცავს ორ შემეცნებას: ერთია უფრო ფართო და ნიშნავს საზოგადოდ საქონლის წარმოებას, მეორე — ვიწრო და ნიშნავს ამ წარმოების განვითარების უკანასკნელ ფაზისს, ანუ „მსხვილ წარმოებას“ (крупная промышленность).

ასე გვესმის ჩვენ კაპიტალისტური წეს-წყობილება. ახლა წავიმძღვანოთ წინ ეს შეხედულება და ვიკითხოთ: მართლა ნებტუნ-იუპიტერზე იბადება და იზრდება ჩვენთვის კაპიტალისტური წეს-წყობილება, თუ თვით ჩვენს ცოდვილ ქვეყანაშიაც იპოება მისთვის ნიადაგი?

ჩვენ ვთქვით: ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი ხანისა გამოიხატება ახალი შინაარსის ეკონომიურს ურთი-ერთობაში. ისიც ვთქვით, რომ ეს ურთიერთობა აღმოცენდა იმავე ნიადაგზე, როგორზედაც აღიზარდა და მომწიფდა ეკროპის აწინდელი წეს-წყობილება — ეს შრომის განაწილება და ახალი სა-

\*) Капиталь К Маркса т. II 83 72,

ხის წარმოება. წარმოება მარქსის აზრით (ჩვენი ივერიელი და მოამბელი მარქსები არ იფიქროთ), ის დედაბოძია, რომელიც არღვევს ძველს და მის ნანგრევებზე აშენებს ახალს ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და იურიდიულს ურთიერთობათა. ამ ძველი წეს-წყობილების დამარღვეველ და ახლის დამფუძნებელ პროცესზე ჩვენ გვქონდა ზევით ლაპარაკი. ამ პროცესმა დაანგრია, როგორც ევროპის ერთა, ისე ჩვენი პატრიარქალური კარჩაკეტილობა; გათხარა მთა-გორები, ააკივლა მაშინები, დაქსასა ტელეგრაფების მართულკები, გადააჯაქვა ეკონომიური ჯაჭვით სხვა-და-სხვა ერები, შეამოკლა სივრცე და დრო. ამ პროცესმა დაამტვრია ის ისტორიული ბორკილი, რომლის რგოლებში სულს ლაფავდა ხალხი საუკუნეთა განმავლობაში. ბატონ-ყმობა — ეს მწარე შედეგი მწარე ისტორიული მიზეზისა — გაჭრა. ისტორიის უვარგისი ნაყოფი ისტორიასვე ჩაბარდა, ხალხი განთავისუფლდა. ბნელეთის სამფლობელოდან მან ამოჰყო თავი სინათლეში. თვალები ამოიფშენიჭა, დაბრუნებული ფეხები გაიმარჯვა, ცნობიერებაში მოვიდა, სიხარულის ცრემლებმა იხეთქა და ლაწვი მობანა. მაგრამ... მაგრამ ხან-მოკლე იყო ეს სიხარული. ახალ ხანას თან დაჰყვა ახალი უცნობი კითხვები: რა ვაკეთოთ? როგორ ვაკეთოთ? ხალხისთვის ეს სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვები წინად მეტი ბარგი იყო. ის აკეთებდა მას, რასაც უბძანებდენ, ისე, როგორც უჩვენებდენ. თაოსნობა, მსჯელობა და მოფიქრება, თავისი აზრი და შეხედულება საგანზე — ეს ბატონ-

პატრონის უღადვო საკუთრება იყო; გლახს იმავე სამ-  
სახურს უწევდენ, როგორსაც დღეს ჯარის-კაცს,  
გლახი წარმოადგენდა იარაღს სხვის ხელში და არა  
შეგნებულ პიროვნებას. ახალმა ვითარებამ განათა-  
ვისუფლა ის პატრონის სულთა-მხუთავ მფარველო-  
ბისაგან, დაუბრუნა მას დაკარგული მასალა ჭკუა-  
გონების საზრდოობისა, წაუჩუროხლა ყურში მრავალ-  
მნიშვნელოვანი სიტყვები, „რაც გინდა, რო-  
გორც გინდა“—და გაუშვა ოთხ-კუთხივ.

აი, სად იმალება სათავე აწინდელი ცხოვრების  
ვითარებისა! კერძო თაოსნობა, ინდივიდუალიზმი,  
აი თანამგზავრი აწინდელი წარმოებისა—აღებ-მიცე-  
მობისა. გლახი პატრონიდან იურიდიულად განთა-  
ვისუფლებული, მაგრამ მის მამულზე დასახლებული,  
თავის ნებაზე მიშვებული, გლახი, რომლის საკუ-  
თარს მოთხოვნილებას მრავალი საზოგადოებრივი  
და სახელმწიფო, საპატრონო და სხვ. გადასახადი მო-  
ემატა, როგორ უნდა გაძლოლოდა ამ ახალ რთულ  
საქმეს? ცხოვრებამ აჩაღის, ნა—ლსაც კი არ ჰკი-  
თხა, ისე თავისებურად გადასჭრა და სჭრის ამ სა-  
კითხს. საჭიროა მხოლოდ თვალ-ყური ვადევნოთ,  
როგორ ჰკუწავს ის თავისი ბასრი ანატომიური და-  
ნით ძველს, და აშენებს ახალს. მკითხველი კარ-  
გად ხედავს ამ უღმობელი დოსტაქრის მოქმედე-  
ბის ნაყოფს, ხედავს, რა სახის ბრძოლა დაბადა მან  
თვით-არსებობისათვის. მაგრამ ბრძოლას ხომ გამარ-  
ჯვება უნდა მოჰყვეს ერთის—უფრო ღონიერის,  
და დამარცხება მეორის—სუსტისა და უძლურის.

აქედან იწყება გლახთა დიფფერენციაცია—მათი განაწილება. აქედან იჩენენ თავს ერთის მხრით „უიშვილები“ და „სიმონები“, მეორე მხრით „დროიდები“ და ხრიკიანი „მოსე მწერლები“. ერთისთვის ამ ბრძოლას დაუსვამს დამარცხების დალი, მეორე გაუჟამაყებია, ლუარსაბსავით ჩაუკურატებია, ერთი გაუმდიდრებია, მეორე გაულატაკებია. ამ სოფლის, როგორც დაბა ქალაქების ბობოლა ვაჭრებს, ჩარჩებს, რომლებმაც მრავლობით იგდეს ხელში ოქრო-ვერცხლი—ეს უუძლიერესი იარაღი აწინდელი ბრძოლისა, მამულ-დედული—არამც თუ მარტო დამარცხებული გლახებისა, თვით ბრწყინვალე წოდებასაც კი,—ჩვენ ვუწოდეთ მუქთა-ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები. ჩვენ ვფიქრობდით, და დღესაც მიუხედავად ბ-ნ ნა—ლის მუქარისა, ვფიქრობთ, რომ ცხოველ-მყოფელი ძალა ახალი ხანისა, მისი სპეციფიკური თვისება იმ გარემოებაში იხატება, რომ როგორც დაბა-ქალაქებში, ისე სოფლებშიაც იბადება სავაზშო კაპიტალი (თანხა), რომ ერთი მხრით ეს თანხა და მეორე მხრით—ლარიბი გლახის ხელიდან შრომის იარაღის, მამულის გამოცლა—შეადგენენ *conditio sine qua non* სამრეწველო თანხის წარმოშობისას, \*) რომ ეს მოვლენა ჩვენში დღე-დღეზე ვითარდება და ამით ნიადაგი ეწმინდება უმაღლესს ფაზისს კაპიტალიზმის განვითარებისას.

დიახ, ჩვენ ასე ვფიქრობდით, მაგრამ ჩვენს მარქსს არაფრათ ექაშნიკა ეს შეხედულება და გვი-

\*) იხ. „капиталъ“ ტ. I, თავი VI,

კიჟინა: „აღბად, რაღაც გაუგონიათ—შეუტყვიათ, რომ ევროპაში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, და რაკი მდიდარი და ღარიბი იპოვეს ჩვენ შორის, ჩვენშიაც იგივე წეს-წყობილება უნდა ვიგულისხმოთო“ (№ X).

სწორეთ ასეთია, ბ-ნო ნა—ლო, ჩვენი აზრი, რამდენიც უნდა იქარ-ბუქოთ, ჩვენ მაინც ჩვენსას არ მოვიშლით და პეტრიძესთან ერთათ განვიმეორებთ, რომ „ერთ გვარ მიზეზებს მოსდევენ ერთგვა, რი შედეგები“, რომ მიზეზები, რომელმაც აგრე ააყვავა ევროპაში კაპიტალისტური წეს-წყობილება, ჩვენშიაც არსებობენ, ხოლო ვიმეორებთ, მათ შედეგებს აქ ჯერ არ გაუშლია თავისი ღონიერი ფრთები. ბ-ნო ნა—ლო, ის სიმდიდრე და სიღარიბე, რომელიც, ცოტად თუ ბევრად, თქვენც კი შეგიმჩნევიათ ჩვეის ცხოვრებაში. ქთვენი კაბინეთიდან, განა შესაძლებელი იყო ბატონ-ყმობის დროს? იმ დროს, როცა გლეხების შრომა აგრე შებოროკილ-შებოჭვილი იყო, როცა ეს შრომა და მისი ნაყოფი სხვის—ბატონის საკუთრებას შეადგენდა--განა შესაძლებელი იყო მათი—გლეხების აგრე უსწორ-მასწოროთ განაწილება?—არა, პატივცემულო მეცნიერო, ეს სულ ახალი მოვლენაა—ნაყოფი ჩვენი ახალი ვითარებისა. ამისთვის ამ ახალ მოვლენას ჩვენ სახელსაც ახალს ვაძლევთ. თქვენგან სასაცილოდ აღებულმა „მესამე დასმა“ კარგა ხანია აუწყა ჩვენს საზოგადოებას ეს ქეშმარიტება. ბ-ნო რა ახლო გიძევს ეს ქეშმარიტება. მიიხედეთ, ბ-ნო ნა—ლო, იქ თქვენი საწერი მაგიდის კუთხისაკენ, მარჯენივ; მაგრამ თქვენ გაგიტაცათ, აღბათ, გარეგანმა სილამაზემ და შინაგანი სილამაზე კი დავავიწყდათ.

მკითხველმა იცის ჩვენი შეხედულება კაპიტალიზმზე—ეს საქონლის წარმოებაა—და აწინდელ ეკონომიურ წარმოებაზე—ეს ალებ-მიცემობაა.

ახლა ვიკითხოთ: რა მოქმედობს ალებ-მიცემობაში? ერთი მხრით—საქონელი, მეორე მხრით—ფული. ეს ორი ფაქტორი უპირდაპირდება ერთმანეთს ბაზარზე, სადაც ერთს გამოაქვს თავის შრომის ნაყოფი, მეორეს—ფული, ერთი ყიდის, მეორე ყიდულობს. გლახს ერთი წუთიც არ შეუძლია იცოცხლოს უბაზროთ. ბაზარი—ეს შედეგი შრომის განაწილებისა, წარმოების-აღორძინებისა—თავის მხრით მოქმედებს თვით ამ წარმოებაზე, აღორძინებს მის ამა თუ იმ დარგს. გლახი თვალყურს ადევნებს—რა საქონელს მეტი ფასი და განმავლობა აქვს—და ამის მიხედვით მოქმედებს; მაგალითად, გურიაში ამ ათი-თუთხმეტი წლის წინათ აიწია შესამჩნევად თუთუნის ფასმა (ფუთი 10—17 მან.) და ეს მხარე ამწვანდა ამ ამერიკული მცენარით. დაიკლო ფასმა (ფუთი 3—6 მან.), იკლო ამ დარგის წარმოებამაც. ნიგვზის ხეს დაედვა დიდი ფასი და ეს მცენარე გაწყვა გურიაში. გურულები ახლა თვითონ ბაზარზე ეძებენ ამ ხის ნაყოფს. „ბაზრის გავლენა, — ამბობს ერთი რუსების პოლიტიკო-ეკონომი—გლახთა მეურნეობაზე ისეთი ძლიერია, რომ მან, ბაზარმა, რომ მოითხოვოს გლახთაგან კულტურა შჩედრინის „სპარსული გვირილისა“, ისინი უთუოდ დაემორჩილებოდნენ ამ მოთხოვნის ილევას

და შეამცირობდნენ პურის თესვას“. გლეხი იძულებულია გამოიტანოს ბაზარზე არამც თუ შინ სანმარებელზე გადაჩენილი, თვით ის ნაყოფიც თავის შრომისა, რომელიც მოწეულია მისი პირდაპირი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გლეხს არ შეუძლია უფულოდ სიცოცხლე: ტან-ფეხი, ოჯახში საჭირო სხვა-და-სხვა ხორაგეულობა, მტერი და მოყვარე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი გადასახადი და სხ. და სხ. ამისთვის ის ყიდის წლის სარჩოს მოწვევისათანავე იაფ-ფასში და შემდეგ კი ისევ ყიდულობს ორ წილ ფასში. უფრო ხშირათ ვალად იღებს გულ-კეთილ ჩაჩისაგან და ამ ნაირად ვარდება მის წვეტიან კლანკებში. ამის მაგალითებით სავსეა ქართლ-კახეთის ცხოვრება. თვით ჩვენ, თქვენი უმორჩილესი მონა, არა ერთხელ ვყოფილვართ მოწამე ამ მხრივ საყურადღებო გარემოებათა. წარსულ წელში, კალოობის დროს, ჩვენ შემთხვევით წავაწყდით სოფ. შ—ში (ქართლშია) შემდეგ სურათს: ორ ახალგაზდა ნასწავლ ყმაწვილებს მოემწყვდიათ ერთ კუთხეში ერთი პირზე წამოქარხლებული ღიპიანი ჩარჩი. გულწრფელი ახალგაზდები, საშინლათ აღელვებულნი, არცხვენდნენ უსირცხვილო ბობოლას. აღმოჩნდა—ერთი გლეხის მთელი წლის პურის მოსავალს, რომელიც იქვე იყო მიწონილი, ვერ დაეკმაყოფილება გაუმადლარი მოვახზე. ის აიძულებდა გლეხს მეზობლიდან სესხად აეღო და დაეკმაყოფილებინა. კახეთში ჩვენვე გვინახამს, როგორ მუქთად იმეტებს გაჭირვებული გლეხი ჯერ კიდევ მოუწეველ ყურძენს, ისიც გვინახავს,

როგორ ჰკარგავს ვალში სამუდამოთ თავის მარჩენელ ვენახს.

ბ-ნი ნა—ლი, რასაკვირველია, ამგვარ მოვლენას არაფრად ჩააგდებს და თავისებურად მორთავს ჭიკჭიკს: „განა შესაწყნარებელია ის აზრი, ვითომ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, იმ ქვეყანაში, რომელიც იმაზე ცოტა მეტს (კურსივი ჩვენია) ნაწარმოებს იძლევა, რაც მის მკვიდრთ საკვებათ ჰყოფნის და რაც მოწვევისათანავე (?!) იხარჯება? მაგ. სიმინდს იძლევა და დიდძალი ამ ნაწარმოებისა აქვე იხარჯება... დღინოზედაც იგივე უნდა ითქვას!!.“

კარგათ დაუკვირდით, მკითხველო, დაიხედეთ აქ წინ, თორემ თუ ფეხი დაგიცდათ და ამ მეცნიერების მორევში ჩავარდით, ხსნას ნულარსად ექებთ. ჯერ ვიკითხოთ, რას ნიშნავს, ბ. ნა—ლო, ეს თქვენი „ცოტა მეტს“? ან რომელია ის ბედნიერი ქვეყანა, რომელიც ბევრად იმაზე მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მის მკვიდრთ საკვებათ ჰყოფნის? მაგ. ინგლისი, სათავე კაპიტალიზმის განვითარებამ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე. ნუ თუ ეს ქვეყანა ბევრად იმაზე მეტს ნაწარმოებს იძლევა, რაც მის მკვიდრთ—თუ მივიღებთ მხედველობაში, რასაკვირველია, მთელი ერის ვითარებას და არა თითო-ორი კაპიტალისტებისას—საკვებათ ჰყოფნის? მაგრამ ვიცი, ვიცი; თქვენი ფილოსოფიაც გავიგეთ, ბ. ნა—ლო. თქვენის აზრით კაპიტალისტური წეს-წყობილება მხოლოდ იმ ქვეყანაშია, რომელიც „დიდ ძალას თავის



ნაწარმოებისას სხვა ქვეყნებს უგზავნის და „პაწა ძა-  
 ლას“-კი თავისთვის იტოვებს. საწყალო შეერთე-  
 ბულნო შტატნო ჩრდილო-ამერიკისაო (რუსეთზე  
 აღარას ვიტყვით)! როგორ ვერა გრძნობთ ამ ჩვენი  
 მარქსის შოლტას ცემას?! ან რა უფლება გაქვთ  
 იფიქროთ, რომ თქვენმა წარმატებამ გაუსწრო ევ-  
 როპიელთა წარმატებას, როცა რომ თქვენ გზავ-  
 ნით სხვა ქვეყნებში მხოლოდ უმცირესს ნაწილს  
 თქვენის ნაწარმოებისას და, ყოველ შემთხვევაში,  
 შედარებით ყველა ევროპიელ სახელმწიფოთა ნა-  
 კლებს და იმასაც კი უმეტეს ნაწილათ იმ სახით, რა  
 სახითაც იძლევა თქვენი ბუნება! ოჰ, ნა—ლო,  
 ნა—ლო, მაგრამ არა, ო, ჩვენო ბედშაო საქართ-  
 ველოვ, ჩვენო უბადრუკო მწეწლობავ! მწუხარებით  
 გული მიღონდება, თვალები მიბნელებს, როცა ვხე-  
 დავ ამ უმეცარს, რომელიც აგრე თავ-მომწონეთ  
 ყოყოჩობს ჩვენს ერთად-ერთ ჟურნალში!

ბ. ნა—ლო, როგორ მოგივიდათ, როგორ ვერ  
 ამოიკითხეთ იმ მეცნიერებიდან, ომლის ჩაყლაპვას  
 ასე კვებულობთ, რომ აწინდელი კაპიტალისტური  
 წეს-წყობილების უმთავრესი ნიშანი იმაში კი არაა,  
 რომ ქვეყანამ გაგზავნოს საზღვარ-გარედ უმეტესი  
 ნაწილი თავის ნაწარმოებისა, არამედ იმაში, რომ  
 ქვეყნის მკვიდრთა უმრავლესობა იძულებულია უმე-  
 ტესი ნაწილი თავის ნაწარმოებისა დაუთმოს უმცი-  
 რესს ნაწილს? „დაუთმოს“ არა ყმამ, არა მონამ,  
 არამედ იურიდიულად თავისუფალმა მოქალაქემ!

მკითხველი გაიგებს ბ-ნ ნა—ლის ფილოსოფიის  
 დედა-აზრს—ეს არის „პრიკაზნი“ მხედართ-მთავრისა:

არ დავიძრათ, განვისვენოთ წიაღსა შინა პატრიარქალური წეს-წყობილებისასა, რაც მისი აზრით არ შერყეულა ჩვენში. ბ-ნ ნა—ლის აზრით, კაპიტალიზმი, ე. ი. საქონლის წარმოება ხომ შორს არის ჩვენგან, მაშასადამე შორს უნდა იყოს შრომის განაწილებაც. მაგრამ სადაც ეს უკანასკნელი არაა, იქ უთუოთ შრომის ერთგვარობა უნდა იყოს, რაც აგრე ახასიათებს პატრიარქალურ ვითარებას. ამ ნაირათ, ბ-ნ.ო ნა—ლო, თქვენ კიბოსავით უკან უკან მიჩანჩალებთ, ჩვენ კი წინ ცხოვრებასთან ერთათ. რომელი გზა სჯობია—ეს მკითხველისათვის მიგვიჩინდეთ.

დავერწმუნოთ დროებით ბ-ნ ნა—ლს, დავეთანხმოთ მის შეხედულებას, რომ კაპიტალისტური წეს-წყობილება მხოლოდ „იქ არის დამყარებული, საცა ერთი წლიდან-წლამდე თავის თავს ანდომებს **სულ მცირე ნაწილს** ბუნების შემომქმედ ძალისას (ეს სწორეთ გერაკლიდის ფილოსოფიაა), ხოლო უფროს ერთ ნაწილს კი კაპიტალების შექმნას ანდომებს, რომელთა შემწეობით სამერმისოდ სახმარებელ საქონელსა ჰქმნის“, საცა გრიალებენ ქარხნები და ფაბრიკები, ტრიალებენ მაშინები, საცა ერთის სიტყვით დუღს და სჩქეტს ის პროცესი წარმოებისა, რაც, ჩვენის აზრით, შეადგენს მხოლოდ უკანასკნელ ფაზისს კაპიტალიზმის განვითარებისას,—დავეთანხმოთ ამაში და ვკითხოთ: საიდან, ჩვენი სიტყვის რომელი ადგილიდან ამოიკითხა, სად ან ვის „ვარწმუნებთ“ ჩვენ იმ „სიტყვაში“, რომ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება დამყარებულია? ნუ თუ მუქთა-ხორა „ბურჟუა-კაპიტალისტები“ მოასწა-

ვებენ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას იმ აზრით, რა აზრითაც თქვენ გესმის ეს წყობილება? ნუ თუ „ბურჟუა-კაპიტალისტები“ არ მეფობენ იმ ქვეყნებშიაც, მაგ. რუსეთში და ჩვენში, საცა ჯერ ფეხი არ მოუმაგრებია იმ ფორმას წარმოებისას, რასაც თქვენ უწოდებთ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას, ჩვენ კი ამ წეს-წყობილების „წვეროს“? ნუ თუ ამ ქვეყნებშიაც „ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი“ ძალა-უნებურათ არ ემორჩილებიან ამ მუქთა-ხორებს? გამოვარკვიოთ.

ჩვენ აღარ დაუბრუნდებით აქ ჩვენს შეხედულებას „მუქთა-ხორა-ბურჟუაზიებზე“, რომელთა რიცხვს ეკუთვნიან არა მარტო დაბა-ქალაქების მსუქან-მსუქანი ვაჭრები და სოფლის ბობოლაები—მდიდარი უძრავ-მოძრავი ქონებით—მამულით და ფულით—სავაზ-კაპიტალით, არამედ ბევრი ადვოკატებიც, ჩინოვნიკებიც და ზოგი ლიტერატორთაგანიც კი. არას ვიტყვით იმ უმაღლეს და სხვა-და-სხვა სასწავლებელში სწავლა—დამთავრებულ ახალგაზდებზე, რომელნიც, სასო-წაჩკვეთილნი, ქუდ-მოხდილნი მოწყალებას თხოულობენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა კარებზე, რომელნიც მუხლს იდრეკენ „ბანკისა“ და „უპრავის“ წინაშე, ქარხნებისა და ფაბრიკების ბურჟუების წინაშე—ამ მწარე ქეშმარიტებას მხოლოდ ბრმა ვერ შეამჩნევს. ჩვენ გვინდა აქ გაკვირით მაინც შევეხოთ წარმოების იმ ფორმას, რომელიც აქვს მხედველობაში ბ-ნ ნა—ლს და რის გამეფებას ჩვენში ვითომ ჩვენ ემოძღვრებდეთ,—ჩვენ

ვამბობთ სამრეწველო კაპიტალზე, კაპიტალის წარმოებაში დაბანდვაზე, კაპიტალიზმის უკანასკნელ ფაზისზე.

აქ ორი უმთავრესი ფაქტორი მუშაობს: კაპიტალი და თავისუფალი მუშა. კაპიტალისტი იძენს საწარმოო მასალას და შრომის იარაღს. შემდეგ გამოდის ბაზარზე და ქირაობს მუშებს. სადაც ეს ორი პირობებია, იქ შესაძლებელია წარმოებაც. ახლა ვიკითხოთ: არის ჩვენში ეს პირობები თუ არა? პირველი პირობა—კაპიტალი რომ ამ მხრივ არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, ამაზე ჩვენ გვქონდა ლაპარაკი და, იმედია, მკითხველიც დაგვეთანხმება. საქმე მეორე პირობაში—მუშებშია, რომელთაც ან სულ, ან საკმაოდ არა აქვთ საკუთარი შრომის იარაღი.

გაკვრით ჩვენ შევცხეთ ზევით ამ პირობას, როცა გვქონდა ლაპარაკი შრომის განაწილებაზე და იმ პროცესზე, რომელმაც გამოიწვია გლებთა დიფერენციაცია—მათი ორ-მეტ ნაკლებ გაყოფა. ჩვენი გაზეთების კორრესპონდენტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იძლევიან უტყუარ ფაქტებს ამა დამარღვეველი პროცესისას. ვინც ცოტათ, თუ ბევრათ ადევნებს თვალ-ყურს ჩვენი ცხოვრების დუღილს, არ შეუძლია არ შენიშნოს, როგორ ეცლება ჩვენ მიწის მომუშავეს ნიადაგი ფეხიდან: ვინ სრულიად ჰკარგავს, ვინ სტოვებს თავის უნაყოფო და გამოფიტულ მამულს და გარბის ქირაზე დაბა-ქალაქებში, სხვა-და სხვა სამრეწველო კუთხეებში და ქვეყნებში. ავიღოთ მაგალითები.

აი, ჩრას ვკითხულობთ „მომამბეში“: „ნუ თუ კა-  
პიტალისტურ წეს-წყობილებამდე მიღწეულნი ვართ,  
როცა ჩვენმა მემამულემ, რომელსაც სივრცით საკმაო  
მამული აქვს, ლამის არის შიმშილში სული დალიოს  
და ერთი ავდარი, ან გოლვა რო ეწიოს, რამდე-  
ნისამე წლის განვალობაში წელს ვერ მოიმართავს?“  
(სალიტ. შენიშენები. № X). თუ ჩვენში მემამუ-  
ლეები „რომლებსაც სივრცით საკმაო მამულები  
აქვთ“, ამ დღეშია, რა უნდა ითქვას იმ გლეხებზე და  
არა გლეხებზე, რომლებსაც არა აქვთ საკმაო, ან სულ  
ცოტა მამული აქვთ? ამის პასუხს, სხვათა შორის,  
იძლევა „ივერიის“ კახელი კორესპონდენტი: „ივე-  
რიის“ მკითხველმა უკვე იცის, რომ კახეთის რამდე-  
ნისამე სოფლის ნაყმევმა გლეხობამ, რომელმაც კარგი  
ხანია, რაც ნაბატონებთაგან მამულები გამოიყიდა,  
მთავრობას მიმართა, ჩვენზე დარჩენილ ფულს ვერ  
შემოვიტანთ და აღარც შეყიდული მამული-და გვინ-  
დაო“. (282, 1893 წ.)

„ოც-და-ათი წელიწადი გავიდა რეფორმის შე-  
მდეგ, —ამბობს ბ-ნი ა. ფრონელი—და რას ვხედავთ?  
ისეთაც მცირე მამული გლეხისა ერთი-ორად და  
სამად შემცირდა; მამული შეიძინა საკუთრებად ტფი-  
ლისის გუბერნიაში მხოლოდ ერთმა მეთედმა დრო-  
ებით ვალდებულ გლეხობისამ, მაგრამ ისინიც, ვინც  
მამულის პატრონი შეიქნა, სინანულში არიან, რა-  
დგან მამულის დასახსნელად აღებული ვალის სარ-  
გებელი ისე დიდია და ისე ნაკლებათ შეესაბამება  
მამულის შემოსავალს, რომ ლამის ნასყიდობა ხე-

ლიდან გამოეცალოს“ <sup>1)</sup>). „წინათაც არ მისცემია გლეხს მამული საკმაოდ და დღეს ხომ მისი მამულიანობა უმამულოებას უდრის“ <sup>2)</sup>), „ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა გლეხ-კაცობაზე ნაკლებ არ არის დაცემული“ <sup>3)</sup>). „ჩვენშიაც, როგორც რუსეთში, გლეხობა ეკონომიურათ დაეცა“ <sup>4)</sup>). რას ამბობენ ეს მწარე ფაქტები? <sup>5)</sup>).

პირველად იმას, რომ მწარედ სცემენ თავში ბ-ნ ნ —ლის მსჯელობას, ამ პატრიარქალურ წეს-წყობილების ერთგულ დარაჯს; მეორედ მას, რომ გლეხების სიღრმიდან თავს ყოფს ეგრეთ წოდებული პროლეტარიატი, ეს დაუქინებელი მტერი ჩვენის დარაჯისა; მესამედ მას, რომ ჩვენი „ძველი ყმაც და ბატონიც“, როგორც ვამბობდით, უნდა იდრეკდენ მუხლს ახალი ბატონის, ფულის წინაშე, რადგანაც ფულის საჭიროება თანდათან მატულობს

<sup>1)</sup> „მოამბე“ № X. სასოფლო სამეურნეო თანხა.

<sup>2)</sup> ibid.

<sup>3)</sup> ibid.

<sup>4)</sup> ibid. აქ ბ-ნი ა. ფრონელა ძალიან ჩიხტურში ავდებს ბ-ნ ნა —ლს. ნა —ლს, როგორც იცის მკითხველმა, არ რწამს ჩვენში კაპიტალისტური წყობილება. იძულებულია ეს წეს-წყობილება უარ ჰყოს რუსეთშიაც, რადგან ჩვენი და რუსეთის ეკონომიური პირობები საზოგადოთ არაფრათ არ განსხვავდებიან, მაგრამ რას ეტყვიან ჩვენს მეცნიერს, არამც თუ რუსის მარქსისტები, „ნაროდნიკებიც“ კი.

<sup>5)</sup> ვისაც ეკოტავება მოყვანილი ფაქტები, იხილე „ეკონომიური“ „წარმატება და ეროვნება“ „მოამბე“ № 5—6.

და ამ საჭიროების დაკმაყოფილება კი თანდათან ძნელდება; მეოთხედ იმას, რომ ჩვენში არამც თუ მომზადებულია კაპიტალიზმის უმაღლეს საფეხურზე ასავალი ნივთიერი ნიადაგი, ჩვენ კიდევ ავფორთხდით ამ საფეხურზე. ამას აშკარათ გვეუბნებიან: ნავთის საწარმოებელი ქარხნები ბაქოსა და ბათუმში, სპირტის და ტყავების—ტფილისში, ჩიის მკენარის კულტურა (ჩაქვში), საუფლისწულო ზვრები წინანდლის სარღაფით (კახეთში), ქვა გუნდისა, ქვანახშირისა და ხე-ტყის ექსპლოატაცია და სხ. დიახ, ჩვენ შევეფორთხდით და—თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენ მკვიდრთა აწინდელ ვითარებას, ერთი მხრით, და ჩვენის ბუნების სხვა და-სხვაობას და მის სიმდიდრეს, მეორე მხრით, მალე ავიდგამთ და მოვიმაგრებთ ფეხს ამ საფეხურზე.

აქ განვითარება ჩვენი ერისა, მისი წინ-სვლა, მოასწავებს ამავე დროს განვითარებას საზოგადოებრივი ანტაგონიზმისას, კლასსიური წინააღმდეგობისას. ჩვენი თითოეული ფეხის ნაბიჯი წინ ამ გზაზე სთხრის ჯგურღმულს ახალ ყმათა და ბატონთა, ლატაკთა და მდიდართა შორის. ამისათვის ახალი ხანა უფრო მწვავე და ზარდამცემია ხალხისთვის, ვინემ გასული ხანები, აქ ადამიანი უკან დგება, პატრიარქალური ურთიერთობა ადგილს უცვლის ახალ ბატონს—ფულს, ამ ცივ და საზიზღარ ლითონს. ბურჟუა-კაპიტალისტები ჩვენში, როგორც ზევითაც ვთქვით, ახლაც არსებობენ, მაგრამ ჯერ მთელი ჩვენი ცხოვრება არ გადაუქმნიათ,—ეს რეჟიმი იზრდება

სწრაფად, მხოლოდ, როცა ის ზრდას დაამთავრებს, მაშინ ის იხრწნება და დაბლა ეშვება, მის ალავს სოციალიზმი იჭერს. ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიტყვი, აი, აქ თავია კაპიტალიზმის, აქ ბოლო, იმისთვის, რომ პირველ შემთხვევაში ის არეულია ძველ პატრიარქალურ ელემენტებთან, მეორე შემთხვევაში ახალ — პროგრესიულ ელემენტებთან. არც ერთი მოვლენა არ არსებობს დაოთხ-კუთხებული, გათავებული. მისი ნიშნობლივი თვისება — მოძრაობა, განვითარებაა. ამას გარეთ ის არ არის. საქმე იმაშია, გამოირკვეს, რა ეკუთვნის მომავალს და რა წარსულს. უკანასკნელთან ბრძოლა დონ-კიხოტობაა, ის უკვე მკვდარია. პირველთან ბრძოლა საჭიროა, არა მისი გამეფების წინააღმდეგ — ეს შეუძლებელია, რადგან უჩვენოთ ხდება ბუნებრივი კანონის ძალით, — არამედ იმ შედეგების წინააღმდეგ, რომლებიც ათახსირებენ ადამიანობას. ეს ჭეშმარიტება, რომელიც არა ერთხელ ვთქვით, და კარგი ხანია გამოაშკარავა ახალი დასის ნიჭიერმა წარმომადგენელმა, ვერ გაიგეს ჩვენმა კუდა-ბზიკა ლილიპუტებმა. რატომ? იმიტომ რომ ისინი თავისებური ლილიპუტური საზომით ზომვენ საზოგადოებრივ მოვლენას. მოწამლულნი იმ თავ-ბრუ დამხვევი ხაშმით, რომელიც ომხივარივით აღის ჩვენის ლიტერატურის ქაობიდან, ისინი ცდილობენ „დაანაწილონ“ ამ ხაშმით თავიანთი გულუბრყვილო მკითხველებიც. მაგრამ ამ მიზანს ვერ მიაღწევენ. ამ ქაობიდან უკვე იხეთქა ანკარა შადრევანმა. მისი დანიშნულებაა — გადარეცხოს ამ



ჭაობში გახრწნილი ელემენტები, გაასუფთაოს ნიადაგი ახალ ნაყოფიერ ყანისათვის.

დასკვნა: ჩვენ ვამბობთ: 1) ჩვენს ცხოვრებაში ეს 25—30 წელია დაიწყო ახალი ხანა. მისი ნიშნობლივი თვისება გამოიხატება განსაკუთრებულ ეკონომიურ ურთიერთობაში, რაიცა მოასწავებს აღებშიცემობას, ვაჭრობას. აქ ძველი ბატონი უთმობს თავის ალაგს ახალს—ფულს. ფული არღვევს ძველს, აშენებს ახალს. ის ჰყოფს ხალხს ორ ნაწილად, ცხოვრებაში ჩნდება ორი კლასი: მდიდარი და ღარიბი. ძველი წოდებრივი განსხვავება—ფიქციაა. აღებმაცემობა გამოწვეულია შრომის განაწილებით, საქონლის წარმოებით. საქონლის წარმოება—ეს საზოგადოდ იგივე კაპიტალიზმია. 2) კაპიტალიზმი განვითარებას აქვს რამოდენიმე მომენტი, ანუ ფაზისი. კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს შეადგენს „მსხვილი წარმოება“. ამ საფეხურზე ჩვენ შევფორთხდით, მაგრამ ფეხი ჯერ ვერ მოგვიმაგრებია. 3) თუ ჩვენში ჯერ საკმაოდ გარკვეული არ არის პროლეტარიატი და ბურჟუაზია, ეს იმას კი არ მოასწავებს, არ იყოს არც ერთი, არც მეორე. რამდენადაც ჩვენი დიდი მემამულეები მდიდრდებიან მიწის შემოსავლით—ისინი ბურჟუებია. ამას მიუმატეთ: მექარხნე, მოვახშე, მოვაჭრე და სხვა მწარმოებლები. ჩვენი პროლეტარიატი არეულ სხეულს წარმოადგენს. აქ უმეტესობას მცირე მამული აქვს, რომელიც მხოლოდ მესაკუთრის სახელს აძლევს, ნამდვილად კი გაღატაკებული ბოგანოა. ესენი მუშა ხალხია, რომლის ბედ-იღბალი დამოკიდებულია, როგორც საქონლის, ისე მუშათა ხელის ბაზარზე. ესენი სრულს გაპროლეტარიატების გზას დაადგენ. 4) ჩვენს ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა

ახალმა (მესამე) დასმა. ეს დასი წარმოადგენს სრულს წინააღმდეგობას ძველი უნიადაგო დასისას. ის პროგრესიულია, უკანასკნელი კი რეგრესიული. ბურჟუაზიას ჯერ არა აქვს ჩვენს ლიტერატურაში თავისი ორგანიზაცია, არა ყავს იქ გამომთქმელი თავისი დასი, — თუ მხედველობაში არ მივიღეთ ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მიმოხილვები „მოამბეში“. ის ბურჟუაზია მუშაობს ცხოვრებაში. რამდენადაც მისი მოქმედება არღვევს ძველს პატრიარქალურ წეს-წყობილებას, ის პროგრესიულია, რამდენათაც ალატაკებს ხალხს — რეგრესიულია. ახალი დასის დროშაზე წერია: „ცხოვრების ახალი მიმდინარეობის მეცნიერულად გამოკვლევა, და ბრძოლა, არა მისი ტენდენციის წინააღმდეგ — ეს უჩვენოდ ხდება — არამედ იმ შედეგების წინააღმდეგ, რომელნიც ათახსირებენ ადამიანს“. ბრძოლა ამ შემთხვევაში ნიშნავს დაჩაგრულთა გაცნობიერებას და მათა ინტერესებისათვის ბრძოლას. ამ ახალ მიმართულების მტერი, ამავე დროს, მტერია დაჩაგრულთა.

ეს არის ჩვენი შეხედულება ჩვენს ცხოვრებაზე საზოგადოდ და ლიტერატურაზე კერძოდ. ეს არის ჩვენი ღრმა რწმენა. ჩვენ მუხლს მოვიდრეკთ, ვინც მეცნიერულად, ფაქტიურად და ლოლიკურად დაგვიზღვრეს ამ რწმენას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერავითარი გაკრიკლებული ფრაზები, ვერავითარი მუქარა და ლანძღვა-გინება ვერ შეგვიდრეკს ამ რწმენას, რომლის განმტკიცებას უნდა შევწიროთ ჩვენი სუსტი ძალ-ღონე.

გაუმარჯოს ახალ დასს! მისია მომავალი! გაუმარჯოს ყველას, ვინც ებრძვის და თელავს სიბნელეს და მიისწრაფება სინათლისაკენ!

ს. ჯიბლაძე.

# „ივერია“ „მოამბე“ და მესამე დასი

*Handwritten signature*

(1894 წ.)

## I

საბედნიეროდ ჩვენის ერისა, ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობამ ამ ბოლო დროს ბევრი ახალი საკითხი წამოაყენა წინ; ასე წარმოიდგინეთ, მესამე დასმაც კი იჩინა თავი. ამ უკანასკნელმა კიდევ აღნიშნა რამდენიმე მუხლი თავის მომავალი მოღვაწეობისა. როცა რომელიმე დასი საასპარეზოდ ემზადება, ასეთი გამოცხადება თავის სიცოცხლის ნიშან-წყლისა ჩვეულებრივია, და თუ არ გაახარებდა ვისმე, ახალ იმედებს არ გაუღვიძებდა, წყენით მაინც არავის უნდა სწყენოდა; მაგრამ „შურმან სახლისა შენისამან, შემეჭამა მეო“, — სწორეთ აქ აღმოჩნდა.

ამ რამდენიმე თვის წინათ „ივერიის“ ფურცლებზე გამოაბტუნა თავისი ჯოხის ცხენი ვილაც კაეჩემენმა და ისეთი ფართი-ფურთით დააბრიალა ჰაერში ყავრისაგან გამოჩიკნილი ხმალი, რომ მთელს

საქართველოს მოეფინა იმისი „უღერის ხმა“. მერე არ იკითხავთ, რა ყოვლის შემძლებელი ყოფილა ეს ვაჭაბუკონი? მთელი „მესამე დასი“, საცოდავი „კვალნი“ და იმისი უფრო საცოდავი თანამშრომლები შეუბრალებლად ჩაყარა ერთ პატარა როდინში და ისე საშინლად დანაყა, რომ ლამის იმითი სერობა გადაუხადონ ფრინველთა ცისათა. ჩვენ მაშინვე გვინდოდა ფხა გაგვესინჯა ბ-ნ კაერემენის ფართი-ფურთისა და ყვირილისათვის, მაგრამ იმ დროებით ეს ერთობ ადრეულათ და უალაგოთ დავინახეთ, რადგანაც ამ ვაჭაბუკონს ზედვე ეტყობოდა, რომ ჯერ ფრთები კარგათ არ მოზრდოდა და ფრენაც არ ეხერხებოდა... „დღე ივარჯიშოს, დღეს შკოლის შეგირდებსაც ჯოხის თოფებით ასწავლიან სამხედრო ვარჯიშობას-მეთქი“. მაგრამ ვნახოთ, რომ დღეს ეს ყრმა ძალიან გათავამებულა. ის ხელ-ახლავე გამობრძანდა გაზეთის ფურცლებზე იმავე საყმაწვილო იარაღით, და წარმოიდგინეთ ამ ჯოხზე მჯდომარე რაინდს უფრო წლოვანმაც დაუჭირა მხარი, როგორც ბძანდება ცნობილი ა. ნ--ლი. ეს უკანასკნელი მიზეზი ჩვენთვის უფრო დიდ-მნიშვნელოვანია: ჰგავს, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად უარყოფილ ახალთაობას (მოიგონეთ თ. ილ. ჭავჭავაძის მოწინავე წერილი ამ საგანზე დ. ხ.-ს საპასუხოდ) უკვე მოუპოვებია ნიადაგი მოქმედებისა; მას დაუფროთხია ძილი ჩვენი ძველი დასისთვის.

ამიტომ, როცა გაზეთის ფურცლებზე მესამე დასის შესახებ დავინახეთ წერილები, ძლიერ გვესი-

ამოენა. თუმცა ზემოხსენებულმა მწერლებმა ამ თავიდანვე კარგი არაფერი დაანათლეს მას, მაგრამ მინც მოხარული ვართ! გამოჩენილი ბუმბერაზების წყრომის დამსახურებაც სასახელოა. და ეს მწერლები რომ დიდი ვინმეები ბრძანდებიან, ამის თავდებად თვით „ივერიის“ და „მოამბის“ რედაქციებიც გვეყოფა. მაგრამ ჯერ მხოლოდ „ივერიის“ რაინდს გაუსინჯოთ ძალა აზროვნებისა. რაც უნდა იყოს „მესამე დასის“ სახელს საკრიტიკოდ პირველად ვხედავთ „ივერიის“ ფურცლებზე; თუმცა ეს მესამე დასი ახლაც საცოდავად ფრჩხილებში გამოუმწყვდევიათ, მაგრამ რა გაეწყობა?.. აქამდის „ივერიას“ სულაც არ ეჯერა მესამე დასის არსებობა ჩვენში და თვითონ ამ გაზეთის მომავლანებელმა ზევსმა ლაღად ჰყო ხმითა დიდითა: რა ახალი თაობა? რის ფლავი, რის ბოზბაში? ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი გამთენებელი ლამისა, თორემ ახალი თაობა ჩვენში რა სახსენებელიაო...—ბრძანა ეს და ამით გადასწყვიტა ამ მესამე დასის ბედი.

მაგრამ წელს, უდროოდ დაკარგულიე. ნინო-შვილის საფლავზე რაღაც მანქანებით გაჩნდა ეს ზევსის მიერ უარყოფილი ახალი დასი, რომელმაც განსვენებული ბელეტრისტის საფლავზე პირველად \*)

\*) ვამბობთ „პიოველად“, რადგანაც ნიქიერა მწერლის დაკარგვამ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოუყარა თავი ახალ გუნდს, გააცნო ერთმანეთს, უწმინდესი ძმური გრძნობით დააკავშირა ეს დაქსაქსული ძალა და მისცა შემთხვევა ერთმანეთისათვის აზრების გაზიარებისა.

ავტორი.

წარმოსთქვა თავისი რამდენიმე სამოქმედო პროგრამის მუხლი და ხმა-მალლა, გულ-ახდით წამოაყენა წინ მომავალი მოქმედების საგანი. მართალია ასეთ ტრადიკულ წუთებში, როგორშიაც იყო ნინოშვილის-თანა ნიჭიერი წევრის დამკარგავი ახალგაზდობა, ვრცლად და დაწვრილებით პროგრამის გამორკვევა შეუძლებელი იყო, მაგრამ რამდენიმე ახალგაზდა კაცმა მაინც წარმოსთქვეს თავისი აზრი მომავალი მოღვაწეობის შესახებ. გაზეთ „კვალის“ რედაქციამ სიამოვნებით აღნიშნა ეს მოვლენა და ბ.ნმა დამსწრემ თავისი ნახულ-გაგონილი შემდეგი სიტყვებით გადასცა საზოგადოებას:

„ნინოშვილის საფლავზე ერთი რამ შესანიშნავი მოვლენა აღმოჩნდა,—სწერდა ბ.ნი დამსწრე „კვალის“ მე-21 №-ში,—ნინოშვილის კუბოს გარს შემოკრბა, ასე ვთქვათ, მესამე დასი ახალ-გაზდობისა, ე. ი. სულ უკანასკნელი წლების ახალი თაობა, რომელიც გამოსულა ასპარეზზე მეოთხმოცდა-ათე წლებიდან... ისინი უარს ჰყოფენ ძველს ჩვენ ინტელიგენტ-მეთაურებს და მათი მოქმედება უკვე მაგნებლად მიაჩნიათ საზოგადოების წარმატებისათვის, რადგანაც ისინი (ინტელიგენტ-მეთაურები) განხეთქილან და გაუყვიათ მთელი საზოგადოება პირადი ინტერესების გულისათვის: ებრძვიან ერთმანეთს უწმინდურის საშუალებით, დაპირებითა და ქრთამით. საგანი მათი მოქმედებისა კი არის სიმდიდრის მოხვეჭა, პირადი

სარგებლობის ძიება, და პირზე ნილაბი ქვეყნის მოღვაწეობასა ჩამოუტარებიათო. ხოლო ცხოვრებაში, გარდა პირადი კეთილ-დღეობისა, არა უჭანთ რაო და მამაცურათ მოქმედებას უარს ჰყოფენო... ამ დასმა ნინოშვილის კუბოზე პირველათ წარმოთქვა თავისი მოქმედების პროგრამა და თითქო რაზმათ დაეწყო, რომ ხალხში განათლების შუქი შეატანოს. ამ მესამე დასმა საგნად აიჩია ისეთი მოქმედება, რომ გაუნათლებელ ხალხში მოჰტინოს წერა-კითხვა, შეიტანოს მეცნიერებას მიერ გამოჩვეული ნათელი აზრები, მკვირცხლად აღევენოს თვალი მსოფლიო ცხოვრებას და არავათარი მოვლენა არ გამოეპაროს მსოფლიო ცხოვრებაში მისთანა, რაც კი სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს და წინ წამოაყენებს მის ბედ-იღბალს“. ამ დასში ყველა თავგანწირულები აჩიან, რომელთაც არავითარი სიმდიდრე არ იტაცებს და მზად აჩიან „ქაძით შემოსილი ემსახურონ ხალხს და ეცადონ მის გამოფხიზლებას“. ესენი არიან ახალგაზდები, გონებრივი ძალით სავსენი და სხვა..

აი, ეს გახლდათ მქრალი გამოხატვა იმ „მესამე დასის“ პროგრამასა, რომელმაც, ბ-ნ დამსწრეს სიტყვით, განსვენებული ნინოშვილის საფლავზე იჩინათავი. ასეთი მოვლენა ჩვენის აზრით, ყოველ პატიოსან მოღვაწეს სულს აღუფრთოვანებდა და უკეთესი მერმისის იმედებს გაუღვიძებდა. რასაკვირველია, ჩვენ ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ საზოგადოებამ

ყოველ კრიტიკაზე მაღლა უნდა დააყენოს ეს ახალი თაობის „აღფრთოვანებული სიტყვები და უზო-უკვლოდ ხეტიალი“ (კურსივი ბ. კაერემენის არის), მაგრამ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი ჭკუათა მყოფელი ადამიანი, რაც უნდა „ურწმუნო თომა“ ყოფილიყო, იმედითა და სიმოვნებით დაუწყებდა თვალ-ყურის დევნებას ამ ახალ დაბადებულ დასს, და თუ ძმურათ ხელს არ მისცემდა, მტრულათ მაინც არ დაუწყებდა მოშხამულ ისრების სროლას. ასე ვფიქრობდით, მაგრამ ძლიერ მოვტყუვდით!.. პირველი შხამიანი ისარი ამ მესამე დასის გასაგმირავათ „ივერიის“ რედაქციამ გამოისროლა. ამ რედაქციას დიდი ხანია ზნედ დასჩემდა გამოჩენისათავე ბრძოლა აუტეხოს ყოველ ახალს მიმართულელებს ჩვენში და ეცადოს ძირ-ფესვიანად მის განადგურებას. რომ აქ მკითხველებმა გადამატებული ლაპარაკი არ დაგვწამოს, სხვათა შორის მოვაგონებთ ახალგამოჩენილის „კვალის“ წინააღმდეგ უკვე ვაქცა(ცობაზე გადასულის „ივერიის“ საჩხირ-კედელაო პოლემიკას\*); მაგრამ საქმე ის არის, რომ „ივერიას“

\*) მკითხველებს ეხსომებათ, რომ ველარც კი მოასწრო გამოსვლა „კვალის“ რამდენიმე ნომერში, რომ „ივერიამ“ დაიხვია ხელზე სიტყვა „ნახატებიანი“, და მანამდი გამოუქედა ყური მკითხველებს, სანამდი მისმავე თანამშრომელმა, ბ.ნ. გრ. ვოლსკმა, არ შეფახა „ივერიელები“: რა ღმერთი გაგიწყრათ, ნუ თუ ქართული სიტყვა „ნახატებიანი“ რა არის, ისიც აღარ იცითო? თუ თქვენი მელანი და ქალაღლი არ გეზოგებათ, მკითხველები მაინც შეიბრაღეთო. ავტ.



ამ შემთხვევაში უფრო სქელმა მოძმემ „მოამბემაც“ მხარი დაუჭირა და თავისი საკვირველი ბ-ნ ნ —ლის ხელით ანდერძი აუგო ამ მესამე დასს.

„მესამე დასი დაგვებადაო—გულ-დაწყვეტილ ეუბნება ბ. კაერემენი თავის ვილაც სიმონს და შემდეგ განაგრძობს:—ვინ იცის, იქნება მართლაც მესამე იყოს, მაგრამ მარტო მესამობა როდი იძლევა ნუ-გეშს; ის როდია საკმარისი, რომ ყოველიფერი უარ ეყოთ. როდესაც ერთს ვიწუნებთ, ამის ადგილს უკეთესს ვუთმობთ. ახალმა დასმა უარ ჰყო ჩვენი ძველები, მაგრამ სამაგიეროდ რა დაჰბადა?“—კითხულობს ბ-ნი კაერემენი და თვითვე იძლევა პასუხს: „არაფერი და ვერც დაჰბადებს!“ (sic!) აფერუმ თქვენს წინასწარმეტყველობას!!

ცოტაც არ იყოს შევჩერდეთ, მკითხველო, ამ ხელის-ხელ საგოგმანებელ მარგალიტებზე და ვკითხოთ ბ-ნ კაერემენს: საიდან გამოიყვანა მან ასეთი დასკვნა? რა საბუთის ძალით დაუდგინა მან ახალ თაობას ეს მკაცრი განაჩენი? თუ ჩვენ მიერ ზემოდ „კვალიდან“ ამოწერილ ამბავს ხმარობს ის „მესამე დასის“ სიგრძე-სიგანისა და მომავალი მოღვაწეობის საზომ-საწონად, იქიდან ასეთი მკაცრი განაჩენის დადგენა რაღაც მოუხერხებლად გვეჩვენება და სხვა წყაროები კი ჯერ არაფერი აქვს ჩვენს მწერლობას ამ მესამე დასზე... საინტერესოა ვიცოდეთ: რა საბუთის ძალით ხელ-მძღვანელობდა ეს ვაჟ-ბატონი ასეთი განაჩენის დადგენის დროს...

მაგრამ, ჰო, ბ-ნ კაერემენსაც აქვს თავისი საზომი ამ ახალი დასისთვის და ეს საზომი გახლავთ

ზევის მიერ ხშირათ გამართული მდიდრული სუფრა, სადაც მთელი „მეგუნდრუკეთა“ რაზმი, კახურით შუბლ გახურებული, გადაუხსნის მოწყალე ზევსს გულსა და „ქვეყნის ბურჯათ“ აღღევრძელებს. ნუ თუ ეს საზომად არა კარა? ვინც თავის უქვეშევრდომილეს გრძნობას ასე ფებთქვეშ არ გაუშლის მამა ზევსს და იმისაგან ლოცვა-კურთხევას არ მიიღებს, იმას განა ნება აქვს საზოგადო მოღვაწეობაზე იფიქროს? კიდევ ეს იყო მიზეზი, რომ ახალმა დასმა თავისი თავხედი ქცევით დაიმსახურა მებ-მტყორცნი ზევსის წყრომა და ღირსეული სასჯელიც მიიღო: აღიხოცე პირისაგან ქვეყანისაო, ბრძანა ზევსმა, და ახალი დასიც გაჰქა!.. „არ არის კარგი ასეთი „საკენკის დაყრა“ და „მეგუნდრუკეთა“ რაზმის გამრავლება მაშინ, როდესაც ხალხსა და ქვეყანას ექიმი ექირვება; დიდი უნამუსობაა მუქთა-ხორების რჩენა საზოგადოების ოფლის მონაგარით, როცა იმავე საზოგადოებას შიმშილით ფერდი-ფერდს მიკვრია“. აი, ასეთი სიტყვებით მიმართა ახალმა დასმა თვითონ ზევსს და ღირსეული სასჯელიც მიიღო...

„ძველებს კარგად ჰქონდათ შეგნებული და გარკვეული თავისი მოქმედების საგანი და თამამად გაუმკლავდნ მტერს—ბატონ-ყმაობის ჩირქსაო“—ბრძანებს ბ-ნი კაერემენი. მე'ე რა შედეგი მოგვცა ამან?

ნუ თუ მართლა ეს იმას ნიშნავს, რომ „ჩვენი ძველი მოღვაწეები, რომელთაც კარგათ ჰქონდათ შეგნებული თავისი მოქმედების საგანი, გაუმკლავდნ ძველს, წოდებრივს ტრადიციებს და ორთა წო-

დებათა ინტერესები ერთ ფიცარზე, ერთ საფეხურზე დააყენეს“ (ჩვენ აქ უფრო ეკონომიური მხარე გვაქვს სახეში)?.. შაქარი თქვენს პირს, ბ-ნო კაერემენ, მაგრამ „ხე ნაყოფით გამოიცილობაო“ — იტყვიან ჩვენში, და ჩვენც ამ ზოგმა ჩვენმა ძლიერმა ინტელიგენტ-მეთაურების მისწრაფებამ, სურვილმა, სულ სხვა ნაყოფი მოგვცა; იმათ სულ სხვა გზას გაუტიეს. მართალია ბევრი ჩვენი ინტელიგენტ-მეთაურთაგანი ძველად კარგი მოძღვრები იყვნენ, მაგრამ დღეს იმათმა უმეტესობამ განა თვითონვე არ უღალატა თავის მოძღვრებას? მათი მოძღვრება ანგელოზივით წმინდა და უცოდველი იყო მანამდის, სანამ ზოგს როტშილდის მილიონებმა არ აუბეს თვალი, და ზოგსაც „საზოგადოების ხაქაპურებმა“. ბევრს იმათგანზე შეიძლება დღეს პოეტთან ერთად ითქვას ლექსად: „ძველი აღთქმა ქებული, აქვთ მათ დავიწყებული, და ღმერთად გაუხდიათ მხოლოდ ფული და ფული“... აბა, სანიმუშოთ ავიღოთ და გავარჩიოთ ბ-ნ ნიკოლაძის ერთი წერილის ზოგი ადგილები და დავინახავთ, თუ რაოდენათ უმკლავდება ის „ბატონ-ყმობის ჩირქს“. დიად, გავარჩიოთ წერილი იმ ნიკოლაძისა, რომელიც „ივერიის“ სიტყვით, ელექტრონის მანქანასავით ნაკერწყლივს ისვრის და სწვავს ქოსას, თუ თეთრათ გაჩირაღდნებულ ლიტერატორებს“.

აბა, ავიღოთ ბ-ნ ნიკოლაძის წერილის რამდენიმე ალაგი და ბ-ნ კაერემენის „თვალთა ხედვის“ ისრით გავზომ-გავწონოთ:

„იმ აზრით, რომელიც დღეს რუსეთში სუფევს, ყოვლად სასურველი და საჭირო საქმეა თავდაზნაურობის ფეხზე წამოყენება და გაძლიერება— ვკითხულობთ ბ.ნ ნიკოლაძის წერილში— მთავრობა ახლა არაფერს საშუალებას არ ზოგავს, ოღონდ კი როგორმე დაეხმაროს აზნაურობას.. რაც კი მოხერხდება, ნატრულობენ და ცდილობენ აზნაურობას. ნივთიერი მდგომარეობა გაუუმჯობესონ. ვალები შეუმსუბუქეს, იაფი კრედიტი დაუარსეს, პოლიტიკური გავლენა მოუმატეს, ადგილობრივი პოლიცია ერთიანათ იმას ჩააბარეს და სხვა და სხვა.. სრული მეცადინეობა იმაზეა მიქცეული, რომ აზნაურობას თავისი რჩენა მაინც შეეძლოს, თავისი შვილების გამოზნის საშუალება მაინც ჰქონდეს“ო. და ამას შემდეგ ბ.ნი ნიკოლაძე კიდევ ურჩევს თავდაზნაურობას, ყველა ამ მთავრობისაგან მინიჭებული უპირატესობით დროზე ისარგებლეთო.

ახლა შეუფარდოთ ამას, ბ.ნ-ო კაერემენ, თქვენი სიტყვები:— „ძველებს კარგათ ჰქონდათ შეგნებული, გარკვეული თავისი მოქმედების საგანი და თამამად გაუმკლავდნენ მტერს— ბატონ-ყმობის ჩირქს“.

ნუ თუ ეს ბ.ნი ნიკოლაძის მიერ ჩამოთვლილი უპირატესობა, რომელიც მთავრობას უკვე მინიჭებია თავდაზნაურობისათვის, იგივე ბატონ-ყმობა და თუ გინდათ „ბატონ-ყმობის ჩირქი“ არ არის; თუ კაპიტალი, ადმინისტრაცია, გავლენა, ვალების შემსუბუქება, იაფი კრედიტი, ყველა ეს უპირატესობა თავდაზნაურობას ექნება, გლეხი რაღა.

იქნება, თუ არა პროლეტარი, თუ არა იგივე ბატონ-  
 ყმობის მძიმე უღელ ქვეშ ქედ-მოხზილი საბატონო  
 ყმა? ნუ თუ ბ-ნ ნიკოლაძემ არ იცის, რომ ეს ერ-  
 თი წოდებისთვის მინიჭებული უპირატესობა მეორე  
 წოდებას აკლდება? ნუ თუ არ იცის, რომ ასეთი  
 ყურადღება ერთი რომელიმე წოდებისადმი, მეორე  
 წოდების დაცვას და დაქვეითებას გამოიწვევს? ნუ  
 თუ ბ-ნ ნიკოლაძემ არ იცის, რომ ერთი რომელი-  
 მე წოდების ამალგებით ირღვევა წოდებათა შორის  
 ბუნებით დადგენილი ურთიერთობა და უფრო ლა-  
 რიბი წოდება ქარწყლდება?

დიად, ბ-ნო კაერემენ, პატივცემულმა პუბლი-  
 ცისტმა ჩვენზე კარგად იცის ეს, იცის რომ ყოვე-  
 ლი ეს უპირატესობა იგივე თქვენ მიერ „ბატონ-  
 ყმობის ჩირქათ“ აღსარებული მოვლენა გახლავთ,  
 მაგრამ გამკლავების მაგიერად ის კიდევ ქადაგებს  
 „ისარგებლეთ, სანამ დრონი თქვენია, თვარა ეს უპი-  
 რატესობა დღეს თუ არა, ხვალ ხელიდან გაგიფრინ-  
 დებათო“. აბა, სად ხედავთ აქ ბრძოლას და ბატონ-  
 ყმობის ჩირქის გამკლავებას“?..

ბ-ნ კაერემენს ისეთი მარტივი ტერმინები, რო-  
 გორც არიან „წოდება“ და „ნაცია“, გაუალ ტყედ  
 მიაჩნია. ნუ თუ ნაციის მაგიერობას გასწყვეს ის წო-  
 დება, რომელიც ფაქტიკურათ კანონმა კიდევ გააუ-  
 ქმა, და ცხოვრებამაც თვის მსვლელობაში დიდი  
 ხანია უარყო.

თავად-აზნაურობას, როგორც მეთაურს წოდე-  
 ბას, ოდესმე ერის წინამძღოლს და სამშობლოს დამც-

ველს, დიდხანია გამოეცალა ხელიდან ეს მნიშვნელობა. მან თვითონ უარყო თავის თავი იმ დღიდან, როცა იგი პარტიებათ დაიყო, ქვეყნის აოხრებას შეუდგა, და მოიწვია გარეშე ძალა მშვიდობიანობის დასამყარებლათ. ამ დროიდან მას გამოეცალა ხელიდან ქვეყნის მზრუნველობა. ამიერიდან იგი გახდა გარეშე ძალის მოსამსახურე და მის ხელში შემჩვრებელი. ამ მდგომარეობაში მას მოუსწრო მსოფლიო განათლებამ და დაამყარა კაცთა-შორის თანასწორობის უფლება. ამ დღიდან წოდებრივ უპირატესობას, პრივილეგიას, ანდერძი და წესი აეგო. დღეს ყველანი კანონისა და გარეშე ძალის წინაშე თანასწორნი შეიქნენ ამ ცხოვრების სარბიელზე. დღეს ვინც უფრო ნიჭიერია, უფრო მშრომელია და განათლების მიმდევარია, ბურთი და მოედანიც მისია. ამ მდგომარეობაში წოდებრივი უპირატესობის ძიება სამარეში ჩასვლას და იქ მკვდრების აყენებას მოგვაგონებს. დღეს ფაქტიკურათ წოდებანი კი აღარ არიან, არამედ მდიდარნი და ღარიბნი. დღეს ღარიბი აზნაური და ღარიბი თავადი ღარიბ გლეხობას გვერდში ამოსდგომია; ხოლო მდიდარი გლეხები, ვაჭრების სახელწოდებით, მდიდარ თავდაზნაურობასთან ერთად არიან. ახლა ამათ შორის იბადება ბრძოლა. აი, აქ არის დაბურდული კვანძი ჩვენი ცხოვრების ვითარებისა. ჩვენი საგანი უნდა იყოს დღეს ერი, და არა რომელიმე წოდება, ჩვენი საპატრონო უნდა იყოს საქართველოს ტომის უმრავლესობა, რომელიც არის ჩავარდნილი

სისაწყლევში და სიღარიბეში, და არა უმცირესობა-  
ვინც ფეხზე დამდგარია, იმას რაღა შესაყენებელი  
ბურჯი ეჭირვება უპირატესობის სახელით. „საქმე  
ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან და-  
ჩაგრულია“. აი, როცა ჩვენ ამ დაჩაგრულების უმ-  
რავლესობის მხარეს დავიქერთ, უმცირესობის ბე-  
დიც აქ გადაწყდება. მაშასადამე უპირატესობის  
ძიებას კი არ უნდა გამოუდგეთ, არამედ ერის გათა-  
ხსირებული უმრავლესობის ნაწილს უნდა მივეშვე-  
ლოთ და ამაში უნდა ვხედავდეთ მთელი ერის სა-  
კეთილდღეო წარმატებას.

ნუ თუ გგონიათ, ბ-ნო კაერემენო, რომ  
„ჩვენის დროის რაინდი“ იმიტომ გამოხატა განს-  
ვენებულმა ნინოშვილმა, რომ, „ჩატეხილი ხიდი“-ს  
დამტკიცება ნდომოდეს? თუ ასეა, რატომ ნიჭიე-  
რმა ბელეტრისტმა ყველა თავისი გმირები, „მოსე  
მწერალი“, „დავით დროიძე“ და სხვანი თავად-  
აზნაურობიდან არ გამოიყვანა? ვინ არის „მოსე  
მწერალი“? — გაკეთებული გლეხი; აბა, დააკვირ-  
დით, თუ ის ტარიელზე ნაკლებ ზიანს აძლევს  
სპირდონისთანა პატიოსან კაცს? ვინ არის დავით  
დროიძე? — გამდიდრებული გლეხი. აბა, დააკვირდით  
თუ ეს ტარიელზე ნაკლებად აზიანებს საზოგადო-  
ებას. მაშასადამე მართო „ტარიელის“ ხელზე და-  
ხვევა და მით მტკიცება: რომ „თვითონ ამ მესამე  
დასის წინამწლოლი და გზის გამკვლევი“ (კურ-  
სივი კაერემენის არის) ვითომ იმას ქადაგებს, რომ  
„ხიდი ჩატეხილიაო“ მეტი რაღა არის, თუ არა

მტკნარი შეცდომა? დღეს ხიდი ჩატეხილი თუ არის, მხოლოდ საწყლებსა და მდიდრებს შორის არის. აქ არის ნამდვილი საზრიანი განათქილება, როგორც ეს მტკიცდება ბანკების კრებებში. „ივერიის“ გახეთქა აილო ბაირალი და დაუწყა დევნა წვრილფეხა შეუძლო აზნაურობას, იმ აზნაურობას, რომელიც დღეს გლებთან ერთად კიდევ ვაჭრობს, კიდევ მეურნეობს, ჭირში და ლხინში მასთან არის; ხოლო გამდიდრებული ნაწილი დერენალ-თავად-აზნაურობისა განშორდა და ცალკე დადგა „ივერიის“ მეთაურობით. „მესამე დასი“ კი გასაწყლებულ უმრავლესობას ემხრობა და ამათში ჰპოვებს საქართველოს ბედნიერების ნიშან-წყალს. მას ყოველი შეძენილი უპირატესობა ერის უმცირესი ნაწილისა ქვეყნის მავნებლად და გასაწყლებულ უმრავლესობის დამჩაგვრელად მიაჩნია. აი, აქ განსხვავდება არსებითად მიმართულება „კვალისა“ იმ მიმართულებისაგან, რომელსაც ადგია შეერთებული ძალა „ივერია“—„მოამბისა“. ჩვენ გვიჭირავს გასაწყლებულ უმრავლესობის მხარე, თქვენ კი კეთილმდგომარეობის მეძიებელი ბობოლაებისა, როგორც ეს ცხადათ მტკიცდება „ივერიის“ და „მოამბის“ სტატიებში, სადა ქვეყნის დამლუპველ უპირატესობის მოპოვებას მეცადინეობენ უმცირესობისათვის ნ. ნიკოლაძის სტატიები და მეველეს მეთაური წერილები. ტყუილად დაგიკარგავთ, ბ-ნო კაერემენ, იმედი, ტყუილად ჩამოგიფარებიათ პირზე ნილაბი სასოწარკვეთილი უნუგეშო ჭირისუფლისა. გრწამდესთ, რომ თქვენმიერ ახირებულ „ცხოვრების მიმდინარეობას“ ვერ



შეაფერხებს ვერავისი სათაკილო და თვით სასირ-  
 ცხვო სურვილი, ვერც „არჩილისა“ და იმისი პატივ-  
 ცემული ავტორის „ხიდი ჩატეხილიას“ ძახილი.  
 მსოფლიო გათანასწორების ევოლიუციას ვერაფერი  
 წინ ვერ დაუდგება. გულს ნუ გაიტეხთ! დღეს თვი-  
 თონ თავად-აზნაურობამ ჩვენზე კარგათ იცის, რომ  
 ყოველი ეს ნიკოლაძის მიერ ჩამოთვლილი უპირა-  
 ტესობა წუთიერია და წარმავალი. დღეს არავისთვის  
 არ შეადგენს საიდუმლოს; რომ იაფი კრედიტი, ვა-  
 ლების შემსუბუქება და სხვა უპირატესობა უმცი-  
 რესობისათვის ისეთი „კოტოშია“, რომელიც დრო  
 და ჟამისაგან გაუქმებულს ერთს რომელსამე წოდებ-  
 ბას ველარ მოაჩენს... ამით ვათავებ, ბ-ნო კაერემენ,  
 თქვენთან საუბარს. დროა ბ-ნ ა. ნ—ლსაც გავსცეთ  
 შესაფერი პასუხი.

## II

„გლების ქუდი აზნაურსაც გამოადგებაო“; თუ  
 ეს მართალია, ბ-ნ ნა—ლზედაც იგივე შეიძლება  
 ითქვას, რაც კაერემენზე... მართალია, ეს უკანასკ-  
 ნელი უფრო გამოცდილი რაინდი ბძანდება, მაგ-  
 რამ ამ შემთხვევაში ვერც იმას გამოუჩენია მეტი  
 დაკვირვება, ცოდნა და გულ-წრფელობა. ისიც იმა-  
 ვე ჯოხის ცხენზე მჯდომარე რაინდის მზგავსად  
 „განუსვენე უფალო“-ს გაიძახის. კაერემენზე ნაკლე-  
 ბად არც ეს ვაჟბატონი დაუფრთხია „მესამე დასის“  
 გამოჩენას!..

„როგორ, ნუ თუ ეს მოსათმენია, რომ ვილაც  
 ახალ-გამოჩეკილები უარს ჰყოფენ ძველს ინტელი-  
 გენტ მეთაურებს? ნუ თუ ეს მოსათმენია, რომ ვი-

ლაც „მესამე დასი“ ხდება დაუძინებელ მტრად ძველ მოღვაწეებისა?—უფიქრია ბ-ნ ნა—ლს და ძველი ჩინოვნიკის ხრიკებისთვის მიუმართავს... ეს უკანასკნელი დაინახავს თუ არა, რომ იმას აწ სამსახურში აღარ ედგომება და დღეს თუ არა ხვალ კარებისკენ გაუშვებენ ხელს,—ის თვითონ აძლევს დათხოვნის ქალაღდს, და მიზეზი რომ ჰკითხოთ, უეჭველად მოგიყვებათ,—რომ ასეთ საზიზღარ დაწესებულებაში პატიოსან ადამიანს არ ედგომებო და სხვა... დიად, ასე მოსვლია ბ-ნ ნა—ლსაც, გაუგია თუ არა, რომ ეს „მესამე დასი“ კრიტიკულად შექყურებს ძველთა მოღვაწეთა მოქმედებას, თავის თავზედაც იქვი შეჰპარვია: „გარედ გაგდებას, თავისით გასვლა სჯობსო“—უფიქრია, და თვითონვე დაუწყია „გოცირიძული კვანტები“. ამიტომაც ამ „მესამე დასს“ კვალში ჩადგომია, რაც მის შესახებ დაწერილა და რაც მის წარმომადგენელთ დღემდე უმოძღვრნიათ, დიდა გულ-მოდგინებით გადაუკითხავს, მაგრამ თავისდა სამწუხაროდ (თუ საბედნიეროთ?) იმის მეტი ვერაფერი გაუგია, რომ ამ „მესამე დასს“ მესამე დასი რქმევია... მაგრამ ქყუა-მახვილი მწერალი თავის საკბილოს ყველგან გამოსძებნის, და ბ-ნ ნა—ლსაც, რაკი „მესამე დასისთვის“ წესის ასაგებად მეტი ვერაფერი უპოვნია, მეცნიერების ანბანის უცოდინარობა მაინც უკიჟინებია, და შემდეგ ბ-ნ გ. წერეთელს სცემია ყელში\*).

\*) ჩვენ ამ წერილში აზრად არ გვაქვს გ. წერეთლის დაფარვა ვინმესაგან, რადგანაც ეს საჭირო არ არის, და შეიძლება ბ-ნ ნა—ლმა ჩვენზეც იგივე „ოდეს კაცია დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო“ სთქვას, როგორც ბ-ნ პეტრიძეზე. ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხებით ბ-ნ გ. წერეთლისა და „მესამე დასის“ დამოკიდებულებას.

ყველაზე უფრო ის აბრაზებს ბ-ნ ნა—ლს, რომ გ. წერეთელი, ეს ოცდაათი წლის წინად სამწერლო და სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული გ. წერეთელი, მხარს უჭერს „მესამე დასს“, რომელიც ყველა ჩვენ „ძველ მოღვაწეებს“ უარსა ჰყოფსო. დიად, ეს ძლიერ უკვირს ბ-ნ ნა—ლს, მაგრამ ვარწმუნებთ, რომ აქ საკვირველი არაფერია: „მესამე დასს“ დაუნახავს თუ არა, რომ ჩვენი „ძველი მოღვაწეები“ რალაც პირადი ინტერესებით გატაცებულნი, პირს არიდებენ ხალხს (ჩვენ აქ „ხალხს“ განურჩევლად წოდებისა ვხმარობთ) და რალაც წოდებრივ ინტერესებს მფარველობენ, უარი უყვია ძველი მოღვაწეების ასეთი მოქმედება და „რაზმად“ დაწყობილა, რომ ხალხში შეიტანოს განათლება, ხალხს გვერდით უდგეს ქირსა და ლხინში, უეჭიმოს, წამოაყენოს; მაგრამ ამ დროს ამ სნეულის სარეცელთან დაუნახავს შობუცი ექიმი, რომელიც მამაშვილურის მზრუნველობით უვლის, ულოლიავენს სნეულს... რა თქმა უნდა, ასეთი გარემოება „მესამე დასსაც“ ცხიამოვნებოდა და ძმურ ხელს მისცემდა ასეთ ექიმს, მისთვის სულ ერთი იყო, გიორგი იქნებოდა ის, თუ თვითონ ნა—ლი. აქ აზრების შეთანხმებაში გახლავთ საქმე და არა წლოვანებაში. მართალია ასეთი მოქმედებისთვის „ბებერი ახალგაზდის“ სახელიც დაანათლეს გ. წერეთელს, მაგრამ, თუ გნებავთ, ესეც შეიძლება: ნუ თუ დღეს ჩვენში ცოტა მაგალითებია იმისი, რომ კაცი ხნით ახალგაზდა იყოს, და აზრებითა და მიმართულებით კი რამდენიმე ხნითა და დგმით უკან იდგეს თავის დრო-

ზე? სამწუხაროდ, ჩვენში შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ახალგაზდები, რომელნიც ჯერ უნივერსიტეტის კედელს არ მოშორებიან (მაშასადამე წლოვანებით ახალგაზდები არიან), და აზრებით კი „უკან დახეულ მოძღვრებს“ და იმ წოდებრივ ინტერესებსაც ვეღარ გასცილებიან, რომელსაც, ევროპა რომ არ მოვიხსენოთ, რუსეთის უკეთესმა ახალგაზრდობამ მესამოცე წლებშივე მოუღო ბოლო. რომ მკითხველმა უსაბუთოდ ლაპარაკი არ დაგვწამოს, მაგალითისათვის დავასახელებთ მხოლოდ იმათ, რომელთაც სალიტერატურო ასპარეზზედაც გაგვაცნეს თავი: აბა, თვალი გადაავლეთ ბ-ნ კიტას ნაწერებს, თუ იქაც ბ.ბ. ნიკოლაძისა და მეველეს მიერ ნამოძღვრი „თავად-აზნაურობის ფეხზე წამოყენება“ არ არის?.. მოიგონეთ ბ-ნ ილ. პონტელის წერილები, რომელშიაც გუნდრუკს უკმევდა „ივერიის“ მეთაურს და ნიკოლაძეს. თვალი გადაავლეთ ყველა ამას და დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სინამდვილეში. მაშასადამე, თუ „ბებერი ახალგაზდები არიან ახალგაზდა ბებრებიც“ ყოფილან... ჰგავს, შეიძლება კაცი წლოვანებით ახალგაზდა იყოს, და აზრებით კისაიქიოსაკენ გაიყურებოდეს; შეიძლება წინააღმდეგიც და სხ...

ახლა საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა ჩვენ „ძველ მოღვაწეებზედაც“ ვთქვათ და შემდეგ ბ-ნი ნა—ლის მეცნიერებას დაუბრუნდეთ.

როგორც თვითონ ბ-ნი ნა—ლიც მოწმობთავის წერილში, ამ „მესამე დასზე, გარდა „კვალს

„ში“ დაბეჭდილი ცნობებისა, ჩვენმა ლიტერატურამ  
 ჯერ-ჯერობით მეტი არაფერი იცის. დამერწმუნე-  
 ბით, რომ ეს მკირეოდენი ცნობები საკმაო არ  
 არის მთელ ახალთაობაზე აზრის შესადგენად; აქ  
 მხოლოდ წარმოთქმულია კრატეკული შეხედულება  
 „ძველ მოღვაწეებზე“ და გატარებულია ის აზრი,  
 თუ რას და როგორ უნდა ემსახუროს ახალგაზდო-  
 ბა. ჯერ მხოლოდ ყვავილი ნახა ჩვენმა საზოგადო-  
 ებამ და დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ  
 ასეთ ყვავილს ნაყოფიც ღირსეული და მომავალი  
 დროის შესაფერი მოყვება... მაგრამ ამ შემთხვევაში  
 ჩვენი პატივცემული მოღვაწეები ძლიერ გვაგონებენ  
 იმ ვიწრო თავ-მოყვარე მშობელს, რომელსაც ეუბ-  
 ნებიან: შენ შენი შვილი გაჯავრებს; ის არ კმაყო-  
 ფილდება იმ ვიწრო წრითა და ფარგლით, რომელ-  
 საც შენ ემსახურებიო, და ის კი (მშობელი) გაიძა-  
 ხის: „არა, ჩემი შვილი სიკვდილის ღირსია! როგორ  
 თუ ის ბედავს ჩემი აზრების წინაღმდეგობასო“ და  
 სხვა... დიალ, ძნელი წარმოსადგენია ასეთი მშობე-  
 ლი, ამას მოწმობს თვით ხალხის სიბრძნეც: „ის  
 ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასო“,  
 მაგრამ ზოგიერთ ჩვენ კრიტიკოსებს ეს სიბრძნეც  
 დაუფიწყნიათ... მართალია დღესაც ხშირად შეხვდე-  
 ბით ისეთ სოფლის მღვდელს, რომელიც ყოველ  
 ზნეობრივსა და იუზიდოულ ღონეს ხმარობს, რომ  
 თავისი ახალგაზდა, განათლებული შვილი დაითან-  
 ხმოს და თავის აუგილზე აკურთხებინოს; ასეთი  
 მშობელი უბედურად ჩასთვლის თავს, თუ სურვილს

ვერ მისწვდა და მაინც არ იქნება კმაყოფილი, მინისტრადაც რომ ნახოს თავისი შვილი... ვინ არ იცის, რომ ასეთი სურვილი ერთობ დესპოტურია, მაგრამ კერძო ცხოვრებაში კიდევ შეიძლება ადგილი მიეცეს; ხოლო თუ მთელი ერის გონებრივ ზრდასა და წარმატებაში ესევე მოხდა, ეს კი ვერაფერი შვილი იქნება. - სოციალურ ზრდას უნდა ახლდეს აზრების თავისებურობაც, სხვა დასხვაობაც, და მხოლოდ ამ სხვა-და-სხვაობის შეწონ-შეფარდებასა და შეკამათებას შეუძლია ხალხის წინ წაწევა ზნეობრივად და ქონებრივად... საუბედუროდ ეს ვერ გაუგიათ ზოგიერთ ჩვენ კრიტიკოსებს და იმათ შორის ბ-ნ ნა—ლის; ისინი დიდ მომაკვდინებელ ცოდვად უთვლიან ახალთაობას თავისი აზრის გამოთქმას ამა თუ იმ საგანზე და თავისდა უნებურათ, ცნობილ ტორკვემადაზე ნაკლებ სიმკაცრეს აღარ იჩენენ. ბევრი მაგალითი ვიცით იმისი, რომ ტორკვემადა რელიგიისა და სჯულის სხვა-და-სხვაობისთვის ასე მკაცრათ არ მოკიდებოდეს დამნაშავეს, როგორც ბ-ნი ნა—ლი... მაგრამ უმისოდაც გრძელი წერილი რომ უფრო არ გავაჭიანუროთ, ბ-ნი ნა—ლის მეცნიერებაზე გადავიდეთ.

ეს მეცნიერებაზე მყვირალა ვაჟ-ბატონი ძლიერ გაუჯავრებია ბ-ნ ჯიბლაძის სიტყვებს: „ჩვენში ბურჟუა-კაპიტალისტები გამეფებულანო“ და განცვიფრებით კითხულობს:

„ნუ თუ ჩვენში კაპიტალისტური წეს-წყობილება არსებობს, როცა ქარხნები და ფაბრიკები-

არა გვაქვს და არც ერთ წარმოებაში მაშინებს ვხმარობთო“ და სხ...

და ასეთ კითხვებს შემდეგ ეს მყვირალა მწერალი რაღაც უკმეხი მედიდურებით გაიძახის:

„არც ჩვენის ცხოვრების ხასიათი გაქვსთ გაცნობილი, არც ევროპისა, და არც ის იცით, კაპიტალისტური წეს-წყობილება რა თვისებისა და ბუნებისაა და საჭიროა მეცნიერების ანბანი გაიზვიროთო... გონებრივი ავლა-დიდება მეტის-მეტი ნაკლები გაქვსთ და თუთიყუშივით გაიძახით, რაც აქაიქ გსმენიათ და შეთვისებით კი ვერ შეგითვისებიათო“ (ასეთი ტირადის ავტორი ლიტერატურულ ზრდილობაზედაც ელაპარაკება მკითხველებს); „უმეცრება, კადნიერება და მედიდურობა, რომელსაც „მესამე დასის“ მწერალნი იჩენენ, მწერლობაში ყოვლად შეუწყნარებელიაო“.

ოჰ, ჩვენში ჯვარცმულო ზრდილობავ და პატიოსნებავ! შენ რომ ფეხები გქონდეს ცხრა-მთას იქით გადაირბენდი და ნა—ლისთანა კრიტიკოსებს კი არ აწვალვინებდი თავს!

გადამეტებული არ იქნება ვთქვათ, რომ იმ კაცს, რომელსაც კაპიტალისტური წეს-წყობილება და ექსპლოატაცია უქარხნოდ და უფაბრიკოდ ვერ წარმოუდგენია, არა თუ საეკონომიო მეცნიერების ანბანი არ სცოდნია, ისიც კი ვერ გაუგია, საჭმელია თუ სასმელი ეს მეცნიერება. თუ ბ-ნ ნა—ლს დაუჯერეთ, ბედნიერები ვყოფილვართ; ფაბრიკები და ქარხნები არ გვქონია და არც კაპიტალისტური

წეს-წყობილება გვექნება. თუ ასეა, ჩვენს ქვეყანაში ფაბრიკებსა და ქარხნებს ნუ გავაჭაჭანებთ და თავიდან ავიცილებთ იმ საშინელ სენს, რომელთან ბრძოლასაც დღეს მთელი კაცობრიობის უკითესი ნაწილი ალევს მთელ თავის ძალ-ღონეს...

ამ საშინელ სენს დღეს ჩვენშიაც გამოუშვე-რია თავისი ძლიერი ხელები და დღითი-დღე მიაქვს აუარებელი მსხვერპლი საწყალი ხალხიდან... ამას დღეს ჩვენში ბრძებიც კი გრძნობენ, გარდა ბ-ნ ნა—ლისა და საზოგადოდ იმ ვაჟბატონებისა, რომე-ლნიც არხეინათ მოსხდომიან „საზოგადო ხაჭაპურს“ და თავის ცხვირის მეტს ვერაფერს ხედვენ. დიად, ბანკებისა და სხვა საზოგადო დაწესებულების ჩრდილ ქვეშ მხარ-თეძოზე წამოწოლილ კრიტიკოსებისთვის ჯერ ბნელით დაფარულია ეს „კაპიტალისტური“ წეს-წყობილება; ამას მხოლოდ „თავეები“ გრძნო-ბენ და არა „ნა—ლები“... ჩვენ რომ კაპიტალის-ტური წესწყობილების საწონ-საზომით მარტო ქა-რხანა-ფაბრიკები მიგვაჩნდეს, ჩვენშიაც დავსახე-ლებდით ნავთის, ტყავების, ქვა-გუნდის, ზე-ტყის წარმოების საქმეს და სხვას... ნუ თუ გგონიათ, რომ ეს ხსენებული ქარხანები ევროპის ქარხანა-ფა-ბრიკებზე ნაკლებ ატყავებდეს მუშა ხალხს? გაიხსე-ნეთ 1890 წელს ბათუმში ხუთას ქართველ-იმერელთ შეთქმულება (სტაჩკა)—როტშილდის ქარხანაში, სადაც მუშებს ორი მანეთი ქირა ათ-შაჟრათ გაუ-ხადეს და მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე.

დღეს ჩვენში უფაბრიკოდ და უქარხნოდაც ადვილი დასანახავია კაპიტალისტური წეს-წყობი-





ლება. ნუ თუ ჩვენი „ჩხიკვაძე-მებუკეები“, ჩვენი „მოშა შალომეები“ და ჩვენი მეჩარჩე-ვაჭრობა, რომელთაც მთელი ქართლ-კახეთის საუკეთესო მამულები ხელში ჩაუგდიათ და სოფლის ხალხს ტყავს აძრობენ, მექარხნებზე ნაკლებ სასტიკად ეპყრობიან მშრომელ ხალხს? თუ ქარხნები და ფაბრიკები არა გვაქვს, იმიტომაც ვერ დაცინცლეს ხელიდან ჩვენმა გორ-ტფილის-სიღნაღის კაპიტალისტებმა მამულ-დედული ადგილობრივ მკვიდრთ. რა თქმა უნდა ქარხნებსა და ფაბრიკებში მეტი კაპიტალისტი ტრიალებს, მაგრამ „რწყილს ნესტარიც ეყოფაო“ იტყვიან ჩვენში და მართლაც ჩვენი ღარიბი ხალხისთვის ეს წვრილანი „კაპიტალისტიც“ საკმაოა. ნუ თუ სულ ერთი არ არის დიდი დანით გააძრობენ ტყავს თუ პატარათი? საქმე თვითონ ამ ტყავის გაძრობის პროცესშია და არა კაპიტალის მეტ-ნაკლებობაში. ეს პროცესი დიდი ხანია თავისუფლად დათარეშობს ჩვენში, ამას შენიშნავედა ყველა ის, ვისაც საეკონომიო მეცნიერების ანბანიც შეუღსწავლია, მაგრამ ნა—ლისთვის ეს ჯერ ბნელით დაფარული ყოფილა. მაშ შეიძლება თვითონ იმან არ იცოდეს მკითხველო, ეს „მეცნიერების ანბანი“?

ყარიბი.



# მთავარი უახლოვაბი.

გვ.	სტრიქონები ზემოდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
28	6	ბერი გელოვანი ბეომა გელოვანმა	
73	4	(სათაური) 1897	1895
117	10	სანამ	და სანამ
120	3	მოაზრეთ მეორეთ	მოაზრეთ
125	9	მხოლოთ	მხოლოთ აქ
127	6	დროშა	დრამა
138	23	ასოციალური	ასოციაციური
140	17	აღებშიცემობის,	აღებშიცემობის, მრეწველობის,
141	20	მოთხოვნილებას	მოთხოვნილების დაკმაყოფილებას
142	5	ევროპიელებისაგან	ევროპიელობისა- გან
165	23	თეორიაა	თეორია
182	20	გახსნა	გაიხსნა
203	15	იმ	„იმ
216	11	წააგო	წააგოო
228	3	ყველაზედ	ყველა ხედ
240	19	კუბლიცისტოკობაა	კუბლიცისტობაა
263	19	ირებზე	პირებზე
266	6	„ყიზილარი“	„ყაზილარი“
270	18	ოდესე ის	ოდისეის
274	24	virtiosus	vitiosus
284	15	საკითხავეების	საკითხებების
299	17	გ. რაკლიდის	ჭერაკლიტეს



856

1/37

1/37

1/37